ციური თარგამაძე

შოპენჰაუერის მოძღვრების ძირითადი მიმართულებანი

თბილისი

წიგნი განკუთვნილია ფილოსოფიის და ეთიკის ისტორიით დაინტერესებული მკითხველისათვის.

ავტორი

რედაქტორი დოც. ლ. ჩინჩალაძე

რეცენზენტები: პროფ. გ. ასათიანი
დოც. რ. გორდეზიანი

© ციური თარგამაძე, 2004

ISBN 99940-39-04-0

© გამომცემლობა „ინტელექტი", 2004

მკვლევართა მიერ გამოთქმული აზრები შოპენჰაუერის შესახებ

ორ საუკუნეზე მეტი (1788-1860) გვაშორებს ამ დიდი პიროვნების – ა. შოპენჰაუერის ეპოქისაგან. არტურ შოპენჰაუერს მისი ბიოგრაფები განსხვავებულად გვიხასიათებენ. „ზოგიერთის აზრით, ის იყო უკეთილშობილესი, უპატიოსნესი პიროვნება, ჭეშმარიტების ერთგული რაინდი, გაბედული, უკომპრომისო ადამიანი... უფრო ფართოდაა გავრცელებული გერმანელი ფილოსოფოსის სხვაგვარი პორტრეტები: გვიმტკიცებენ, რომ ის იყო მხოლოდ საკუთარი კეთილდღეებით დაინტერესებული, ეგოცენტრიზმით გაჟღენთილი, თავისთავზე დიდი წარმოდგენის მქონე, პათოლოგიურად ეჭვიანი ადამიანი. როგორი იყო არტურ შოპენჰაუერი სინამდვილეში?..შეეძლო კი ასეთ მდაბალ, სულიერობას მოკლებულ ადამიანს დაეწერა სულიერი სიმაღლით აღბეჭდილი თხზულებები"?[1] ჩვენ სავსებით ვეთანხმებით თ. ბუაჩიძის პასუხს ამ კითხვაზე: ცხადია, ცხოვრებას „არ გაუნელებია შოპენჰაუერის უძლიერესი სიყვარული სიმაღლისა, სულიერისა. ამის ყველაზე კარგი საბუთია ფილოსოფოსის ცხოვრება"[2].

იურგენ მაიერი შენიშნავს, რომ „შოპენჰაუერი ორიგინალურია გენიალურ ვირტუოზულობით და ჰარმონიულობით... მისი პიროვნება ერთიანია. ამის წყალობით ფილოსოფოსის შრომებში, ინდივიდუალური აზრის გამოვლენისას, გამოსჭვისის მიმზიდველი ბუნებრიობა და მართლისმთქმელობა".

ვ. ლ. შტეინის აზრით, „შოპენჰაუერის ბრალი არ არის, რომ მას ჰერაკლიტეს („მტირალა", „ბნელი ფილოსოფოსის") მსგავსად, ზედმეტსახელად უწოდეს „მოჩხუბარი ფილოსოფოსი ახალი დროისა"... „მისი გასამართლების ნაცვლად სწორი იქნებოდა გამოგვერკვია მიზეზები, რამაც გამოიწვია შოპენჰაუერში ყოველივე ეს"[3]. იგივე შტეინის ვარაუდით, მისი პესიმიზმის მიზეზი იყო „ბავშვობა გატარებული უმეტესწილად უფროს ადამიანთა წრეში,

---

1 თ. ბუაჩიძე, „თანამედროვე ბურჟუაზიული ფილოსოფიის სათავეებთან", თბ., 1986, გვ. 7

2 იქვე.

3 Штейн В., А. Шопенгауэр, т. I, 1887, с. IX.

(დედის სალონში), რომლებიც აგზნებულად განიცდიდნენ მაშინდელი ევროპის შფოთიან დროს, მამის ტრაგიკული სიკვდილი, დედის გულგრილობა და ეგოიზმი, თავაუღებელი აკადემიური მეცადინეობა, განმარტოება... შური, ბოროტება, სიმკაცრე. „გოეთე კი მას უწოდებდა „ბევრისთვის ძნელად საწვდომ, ღირსეულ ახალგაზრდას".

შოპენჰაუერი ბავშვობიდანვე გამოირჩეოდა ენების სწავლის ნიჭიერებით. გოტინგენის უნივერსიტეტში მედიცინის ფაკულტეტზე სწავლისას, ბუნებისმეტყველებით დაინტერესების შემდეგ განსაკუთრებით იჩენს თავს პლატონისა და კანტის შრომებით გატაცება. გოტინგენის უნივერსიტეტში იგი საბოლოოდ ირჩევს ფილოსოფიის გზას: „ცხოვრება ძალზე რთულია, გადავწყვიტე მის წვდომას შევწირო ჩემი სიცოცხლე" – ეუბნება დედის მეგობარ ვილანდს. იგი მშობლიური დანცინგიდან მიემგზავრება ბერლინის უნივერსიტეტში. აქ უსმენს ფიხტეს, შელინგს, ჰეგელს, იმედგაცრუებას გამოთქვამს და კვლავ აღტაცებულია (როგორც იგი უწოდებდა) „ღვთაებრივი პლატონისა" და „გასაოცარი კანტის სიბრძნით". შოპენჰაუერი პროფესორებს წარუდგენს თავის ხელნაწერებს, რომლებსაც ისინი იგნორირებენ.

1833 წლიდან იგი თავს ანებებს ბერლინის პრივატდოცენტობას და ფრანკფურტში, მიყრუებულ ადგილას სახლდება. თავის ამგვარ ნაბიჯს ის ასე განმარტავს: „ჩემთვის უფრო ადვილია ვირთხებმა შეჭამონ ჩემი სხეული, ვიდრე პროფესორებმა ხრან ჩემი ფილოსოფია". ალბათ ამას გულისხმობდა კუნო ფიშერიც, როდესაც მისადმი საზოგადოების დამოკიდებულებას ეხებოდა: შოპენჰაუერის ფილოსოფიური მოძღვრება დევნილია მისი მოწინააღმდეგეებისაგანო, ხოლო მკვლევარი ბიხოვსკი თავის წიგნში – „ა. შოპენჰაუერი" იმ აზრისაა, რომ მაშინდელმა ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორებმა დიდი ჭრილობა მიაყენეს მის სულს და მაინც, „ვერავითარმა ნარუმატებლობამ, ვერავითარმა მარცხებმა ვერ გატეხეს მისი პრინციპულობა, მისი დაუოკებელი მისწრაფება, დაეცვა თავისი მრწამსი. იგი ბედს არ ნებდებოდა... მას არავინ კითხულობდა, არავინ უსმენდა. მის ნაშრომს, როგორც წესი, იგნორირებდნენ. ამაში ხედავდა იგი „პროფესორთა შეთქმულებას" მის წინააღმდეგ. მიუხედავად იმისა, რომ ბიხოვსკი ბევრ საკითხში

არ იზიარებდა შოპენჰაუერის შეხედულებებს, ფილოსოფოსის ბიოგრაფიის ღრმა შესწავლის შემდგომ ვერ უარყოფს შოპენჰაუერისადმი მაშინდელი გაბატონებული და რევოლუციურად განწყობილი საზოგადოების მისადმი ცინიკურ დამოკიდებულების ფაქტებს, როგორც მკვლევარი აღნიშნავს, მაშინდელ მინისტრებთან დაახლოებული პროფესორების განაწყენების შიშით გამომცემლობები ზურგს აქცევდნენ შოპენჰაუერს. მისი გასაოცარი ერუდიციის შესახებ, მკვლევარი ბიხოვსკი აღნიშნავს: „არ შეიძლება არ ვაღიაროთ, რომ ეს იყო ძალზე ერთსახოვანი ადამიანი, მრავალმხრივი ერუდიციით, ფართო განათლებით და დიდი ლიტერატურული ოსტატობით"[1]. მას განსაკუთრებით უყვარდა „უპანიშადის" კითხვა. ძველი და ახალი ენების სრულყოფილ ცოდნასთან ერთად, წაკითხული და შესწავლილი ჰქონდა ბრაჰმანები, ბუდიზმი, ვედები, ხოლო უპანაშადების შესწავლას იგი თვლიდა თავის ცხოვრების სიმშვიდის მომგვრელად... მაშინ, როდესაც თანამედროვე საზოგადოებისაგან სრულიად მოძულებული იყო... „მან სხვადასხვა გამომცემლობებს შესთავაზა თავისი თარგმანები: გოეთე ინგლისურად, მხატვრული ნაწარმოებები – ფრანგულიდან, იტალიურიდან, ესპანურიდან, ... ჯორდანო ბრუნოს, იუმის ფილოსოფიური შრომები და ესპანურ-ეთიკური თხზულებებიდან ბ. გრაციანო, მაგრამ ყველა მისი წინადადება უარყოფილი იყო გამომცემელთა მიერ... თავისი ძირითადი შრომის გამოქვეყნებიდან 20 წლის მანძილზე, მან 1836 წელს ძლივს მოახერხა ჰონორარის გარეშე თავისი ახალი ფილოსოფიური შრომის – „ბუნებაში ნების შესახებ" გამოცემა, რომელსაც კვლავ მკვლევართა დუმილი მოჰყვა"[2].

1839 წელს ნორვეგიის აკადემიის მხოლოდ დახურულ კონკურსზე მისმა შრომამ „ადამიანური ნების თავისუფლების შესახებ", მიიღო პირველი პრემია, მაგრამ, ამის შემდეგაც, გამომცემლობები ერთხმად წინააღმდეგნი არიან მისი შრომების გამოქვეყნებისა. ეს მაშინ, როცა „ახალი ფილოსოფიის" ორტომეულში ვინდელბანდი შოპენჰაუერის შესახებ ამბობს: „ყველა ერის ფილოსოფიურ ლიტერატურაში არ

1 Быховский Б., А. Шопенгауэр, М., 1975, с. 16..
2 იქვე.

მეგულება არცერთი მოაზროვნე, რომელიც ფილოსოფიური აზრის ფორმულირებას ასეთი დასრულებული სიცხადით, ასეთი კონკრეტულობით მოგვცემდა, როგორც ამას ვხედავთ შოპენჰაუერთან".

ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორი ჯონ სტოკი თავის სტატიაში „გადარჩენის შოპენჰაუერისეული კონცეფცია", იწონებს მას. მისი აზრით, „შოპენჰაუერის პროკლამირებული ათეიზმი, მისი ცინიზმი და ზოგჯერ სიუხეშეც, არის მხოლოდ დამცველი ფარი, რომლის იქითაც იფარება ღრმა სიმპატიის აღმძვრელი გული, მწყურვალი ჭეშმარიტების, მადლის და გადარჩენისა"[1]. მისი ბიოგრაფიული ცნობების ზედმიწევნით შესწავლის შემდეგ ცნობილია, რომ, როგორც რევოლუციისადმი სხვადასხვაგვარად განწყობისა, ასევე პირადი ანტიპატიებისა და ფილოსოფიური თვალთახედვის რადიკალური დაპირისპირების გამო, გერმანული კლასიკური ფილოსოფიის კორიფენი ფიხტე, შელინგი და, განსაკუთრებით, ჰეგელი იგნორირებდნენ შოპენჰაუერის პიროვნებას. მიუხედავად მათი პროგრესული იდეებისა, ფილოსოფიის ისტორიაში მათი დამსახურებისა, ადვილი დასაშვებია, რომ ისინი პირადი დამოკიდებულებით სამართლიანნი მართლაც არ იყნენ შოპენჰაუერის მიმართ. ამ სიტყვების სამართლიანობას გვაფიქრებინებს ის ფაქტი, რომ ისეთი დიდი მასწავლებლისადმიც, როგორიც იყო მათთვის კანტი, აღნიშნულ პროფესორებს, სიცოცხლის ბოლო წლებშიც და დაკრძალვის დღესაც, არავითარი პატივისცემა არ გამოუვლენიათ. „გაოცებას იწვევს ისიც, რომ როცა სტუდენტებთან ერთად 16 წლის შოპენჰაუერი მოწიწებით ეზიდებოდა სათაყვანო ფილოსოფოსის კუბოს, არცერთი მათგანი არ დაესწრო ამ დიდი ადამიანის დაკრძალვის პროცესიას, მთელი გერმანია კი გლოვობდა ამ დღეს"[2]. ამგვარ ინცინდენტის შემდეგ ძნელი დასაჯერებელი როდია, რომ შოპენჰაუერი იყო „სავსებით იგნორირებული მათგან, ჩრდილში მიგდებული და, შესაძლებლობისამებრ ჩახშობილი".

XIX საუკუნის 40-იანი წლების პერიოდიდან, ფილოსოფიის ისტორიკოსებისაგან აქამდე მივიწყებული შოპენჰაუერი ინტერესის

1 Быховский Б., А. Шопенгауэр, М., 1975, с. 16.
2 Штейн В., А. Шопенгауэр, т. I, 1887, с. XIII.

ცენტრში მოექცა. 19 წლის ასაკიდან ფილოსოფიაში მოღვაწეს პირველად 52 ასაკში ელირსა ბედის გაღიმება, როცა ნორვეგიის აკადემიის დახურულ კონკურსზე პირველი ადგილი დაიკავა მისმა შრომამ და 27 წლის მანძილზე უარის შემდეგ კვლავ ჰონორარის გარეშე გამოიცა II ტომი შრომისა „სამყარო, როგორც ნება და წარმოდგენა".

შოპენჰაუერის ფილოსოფიამ აღიარება მოიპოვა სიცოცხლის ბოლო 6 წლის მანძილზე.

პოლიტიკური ნიჰილიზმი, რომელსაც იგი იჩენდა თანამედროვე რევოლუციისადმი, არასოდეს არ ნიშნავს „ანტიზნეობრიობას". შოპენჰაუერის აპოლიტიზმი და ნიჰილიზმი, მისი ფილოსოფიური შეხედულებების დაპირისპირება გერმანელ იდეალისტთა შეხედულებებისაგან სრულიადაც ვერ გამოდგება „ამორალიზმად", როგორც ეს ზოგ მკვლევარს სურს დაამტკიცოს[1].

მართალია, შოპენჰაუერი მტრულად იყო განწყობილი ფიხტეს, შელინგისა და ჰეგელისადმი, მაგრამ ამის გამო ვერ დავწამებთ მას, თითქოს იგი „შორს იყო ადამიანთა გაგებისაგან"[2]. პირიქით, ადამიანები იყვნენ შორს მისი გაგებისაგან, როცა ათობით წლები გადიოდა მონოტონურ, უსახელო მარტოობაში.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სოკრატეს მსგავსად იგი თავს „მსოფლიოს მოქალაქედ" თვლიდა და ამჯობინებდა, ელვაწა მთელი კაცობრიობისათვის „არა თავისი მუშტებით, არამედ ტვინით".

შოპენჰაუერის ცხოვრების დაწვრილებით და გულდასმით შემსწავლელი კუნო ფიშერი ამბობს: „უმაღლესი ყურადღების ღირსია ის ფაქტი, რომ მისი ნაშრომებით მოხიბლული იყვნენ: გამოჩენილი მუსიკოსი ჩვენი საუკუნისა – ვაგნერი და უთვალსაჩინოესი რუსი მწერალი, გრაფი ლევ ტოლსტოი, რომელიც თავის მეგობარ ფეტ-შენშინს სწერდა: „განუმეორებელი აღტაცება დამეუფლა შოპენჰაუერის შრომათა კითხვისას და მე განვიცადე ისეთი სულიერი სიამოვნება, რომლის მსგავსიც არაფერი განმიცდია აქამდე. არ ვიცი, ოდესე შეიცვლება თუ არა ჩემი ამგვარი თვალსაზრისი, მაგრამ ამჟამად მე ვფიქრობ, რომ შოპენჰაუერი

---

1 Быховский Б.6 А. Шопенгауэр, 1975, с. 191.

2. იქვე

ყველაზე უგენიალურესი ადამიანია მსოფლიოში. ვკითხულობ რა მას, ჩემთვის ყოვლად გაუგებარია, როგორ შეიძლებოდა მისი სახელი აქამდე უცხოდ დარჩენილიყო[1].

შოპენჰაუერის სიცოცხლის ბოლო წლები განსაკუთრებით ჰგავდა მოხუცი კანტის ბოლო წლებს. მიუხედავად მამის მიერ დანატოვარი სიმდიდრისა, (რომლითაც მას შეეძლო ეგემა ყოველგვარი სიამოვნება, რაც კი შეიძლება მიიღოს მოკვდავმა ადამიანმა), იგი ცხოვრობდა მხოლოდ აუცილებელ, მოწესრიგებულ, მშვიდ და ზუსტად განსაზღვრულ გარემოში. მისი ოთახის უძვირფასეს განძეულობას შეადგენდა; ბუდდას მოოქროვილი ქანდაკება, კანტის ბიუსტი, დეკარტის, შექსპირის, გოეთეს და კანტის სურათები; მათგან კანტისა – გამორჩეულ ადგილას, თავსასთუმალთან ეკიდა, როგორც სალოცავი ხატი. სიკვდილის წინა დღეს, იგრძნო რა აღსასრულის მოახლოება, შოპენჰაუერმა თავის მოწაფეს – გვინერს უთხრა: „რაც იქნება, იქნება, ინტელექტუალური სინდისი წმინდა მაქვს და მშვიდი“. „მართლაცდა – დაასკვნის ე. ვატსონი – (მისი ბიოგრაფი – მკვლევარი), მან პატიოსნად და კეთილსინდისიერად აღასრულა თავისი ადამიანური დანიშნულება“[2]. ვატსონსავე მოჰყავს ციტატა გვინერის მიერ (რომელიც სიკვდილის წინ არ მოსცილებია მოხუცს), თავისი სათაყვანო მასწავლებლისადმი წარმოთქმული სიტყვიდან: – „ამ უაღრესად მგრძნობიარე და მოაზროვნე ადამიანმა ცხოვრება განვლო განმარტოებაში, სხვათაგან შეუცნობლობაში და ბოლომდე დარჩა თავისთავის ერთგული. მისი თავისუფალი სული მონურად არ მოიდრიკა ცხოვრების სიმძიმის ქვეშ. ბედისაგან დიდი სიმდიდრით დაჯილდოებული, მთელი ცხოვრების მანძილზე მიისწრაფოდა იქითკენ, რომ ყოფილიყო ღირსეული ამ ჯილდოსათვის და დიდი მოწოდების გრძნობით ყოველთვის მზად იყო, უარი ეთქვა იმაზე, რაც სხვებს სიხარულს ანიჭებდა... წლების მანძილზე დაუმსახურებელ სიმარტოვეში მიტოვებულს, ერთხელაც არ გადაუხვევია მოწოდების გზიდან და განუხრელი ერთგულებით თავისი ძვირფასი ჭეშმარიტებისადმი სისტემატურად იმეორებდა ამ სიტყვებს: „დიდია ჭეშმარიტების ყოვლისშემძლეობა და იგი

1 Фишер К., А. Шопенгауэр, 1896, с. 114.

2 Ватсон Э., А. Шопенгауэр. Биографических очерк, 1893, с. 43.

ბოლოსდაბოლოს გაიმარჯვებს“... „ბევრი მასში კაცთმოძულესაც ხედავდა. პირიქით, ის თანაუგრძნობდა ადამიანებს და მათდამი თანატანჯვით იტანჯებოდა... მას არ ეწერა საკუთარი ოჯახის შექმნა, მაგრამ ... მან ააშენა შენობა, რომლის კარები ფართოდაა გაღებული მთელი მოაზროვნე კაცობრიობისათვის“[1]. ამრიგად, შოპენჰაუერი ზოგიერთისათვის იყო „ფრანკფურტელი განდეგილი“, „მიზანთროპი ფილოსოფოსი“, „ანტიმატერიალისტი“ და „ანტიდიალექტიკოსი“, „ამორალისტი“ – ზოგისთვის „გენიალური გონების პატრონი, როგორიც კი ოდესმე არსებულა, ჭეშმარიტი ფილოსოფოსი, რომელიც ყველაფერში ეძებს სიმართლეს, სინათლეს და გარკვეულობას“ (იულიუს ფრაუენშტედტი), ზოგისთვის იგი „გრანდიოზულად დიდია, როგორც მოაზროვნე“ (როზენკრანცი), „რომლის – „სამყარო როგორც ნება და წარმოდგენა“ გენიალურფილოსოფიურია და ყოველგვარ ქებაზე მაღლა დგას“ (ჟან პოლი), ასევე უდიდეს შეფასებას აძლევდნენ მას ვაგნერი, ნიცშე, ფოიერბახი, ბიხოვსკი, ვატსონი, ტოლსტოი და სხვები. ჩვენი აზრით, უარსაყოფია მოსაზრება, თითქოს შოპენჰაუერმა ფიხტეს, შელინგის და ჰეგელის გავლენა განიცადა; როდესაც შოპენჰაუერმა მათი ლექციები მოისმინა, იმედგაცრუებული კვლავ „ღვთაებრივ პლატონს“ და „ასაოცარ კანტს“ დაუბრუნდა. 1808 წელს მათ მისი ძირითადი თხზულებები ხელნაწერში წაიკითხეს და „ზუსტად განჭვრიტეს, რომ ერთადერთი საშუალება მათთან საბრძოლველად იყო მაიგნორირებელი დუმილით უცნობი გაეხადათ იგი საზოგადოებისათვის“[2], ხელს უშლიდნენ რა მათ გამოქვეყნებას, ამასობაში თავიანთ შრომებს ზარ-ზეიმით აქვეყნებდნენ.

როდესაც შოპენჰაუერის ბიოგრაფიას ვფურცლავთ, გაოცება გვიპყრობს: როგორ არ დაილალა იგი, ადამიანთაგან სიკვდილამდე ზურგშექცეული, კვლავ მათი ხსნის გზებზე ეფიქრა?! განა შეიძლება „ადამიანის მოძულე“ და მტერი უწოდო კაცს, რომელიც მორალის საწყისს ადამიანთა სიყვარულსა და თანაგრძნობაში ხედავდა? თანამედროვეთა ინტელექტუალურ სინდისს არ მიეტევება მისადმი ამგვარი დამოკიდებულება, მაგრამ ცხოვრება გვიჩვენებს, რომ გამარჯვებულებს არ ასამართლებენ. ჩვენი სტატიის მიზანია

1. Ватсон Э., А. Шопенгауэр. Биографических очерк, 1893, с. 43.
2 იქვე

გავაბათილოთ ის მცდარი აზრი, რომ შოპენჰაუერის მოძღვრების უმთავრესი ცნება „ნება“ თითქოს არის რაღაც აბსურდული, აზრობრივ გარკვეულობას მოკლებული, უშინაარსო ქაოტური ლტოლვა, როგორადაც მას ტრადიციულად მიიჩნევდა მრავალი საბჭოთა თუ სხვა მკვლევარი, რომ ამ ძირითად ტერმინში ჩადებულია ულრმესი აზრი, რაც ხსნის სამყაროს ბევრ საიდუმლოებასაც და შოპენჰაუერის დამოკიდებულებასაც რელიგიისადმი. ხსნის, ერთი მხრივ, მეტაფიზიკური ნების იგივეობას ღმერთის ცნებასთან, მეორე მზრივ, სამყაროში გამოვლენილი ნების იგივეობას კოსმიურ ენერგიასთან.

რა არის შოპენჰაუერის – „ნება“

შოპენჰაეურის მოძღვრების ძირითადი მიმართულებანი საწყისს იღებს ე. წ. „ნებიდან“. რა არის შოპენჰაუერის „თავისთავადი ნივთი“ (თთნ) ანუ ნება? ნება არსებობს თავისთავადი არსებობით, როგორც მეტაფიზიკური ნება და მისგან გამოვლენილ ინდივიდუალურ ნებათა, სურვილთა კოსმიურ ენერგიადაც. შოპენჰაუერის განსაზღვრით „საგანთა შინაგანი არსი არის თთნ ანუ წმინდა ნება – ერთიანი სურვილი“[1].

ტერმინი თთნ – „თავისთავადი ნივთი“ შოპენჰაუერმა კანტისაგან აიღო. „თთნ – ესაა ჩვენი ნება, რომელსაც აქამდე იდეალურს აკუთვნებდნენ“ – გვეუბნება იგი (იდეალური მას ესმის ისევე, როგორც კანტს – ც. თ.). შოპენჰაუერის თხზულებათა განხილვისას ჩვენ დავინახეთ, რომ თთნ-ს იგი უწოდებს არამარტო „ჩვენს ნებას“, არამედ მეტაფიზიკურ ნებასაც*.

მე გამოვთქვამ მოსაზრებას, რომ შოპენჰაუერის მეტაფიზიკური ნება ანუ თთნ შეიძლება იყოს მხოლოდ ღმერთი, ხოლო ნება სამყაროში გამოვლენილი მრავალ ინდივიდუალურ ნებაში ეს არის კოსმიური ენერგია სურვილისა, (Willenskraft – გერმ.) ეს აისახება ქართულ სინონიმურ კომპოზიტშიც ნება-სურვილი, სადაც ნება იგივეობრივია სურვილისა და გერმანულ სიტყვაშიც (Willanstrengung – ნების ძაბვა), სადაც აგრეთვე ნება ძალაა, ენერგიაა. მაშასადამე, ერთი მხრივ ყოველივე ჩვენი ცნობიერების ყალიბშია, მეორე მხრივ ყოველივეს გააჩნია თავისთავადი არსებობა, არსებობა „თავისთავად ნივთად“. იგი შეიძლება იყოს მეტაფიზიკური ნებაც და ინდივიდუალური ნებებიც.

მეტაფიზიკური ნება არის ჩვენთვის უხილავი, ჩვენი ცნობიერების საზღვრებს მიღმა არსებული უზენაესი ნება ანუ ღმერთი, რომელსაც ჩვენ ვერ დავასაბუთებთ, ხოლო ყოველი ადამიანი თავისთავში, თავის მსურველობაში გრძნობს ნებას, როგორც „სულის

---

1 Шопенгауэр А., Афоризмы и максимы. т. 3. 1892, с. 247.

* მეტაფიზიკური ნების გარდა ყველგან, სადაც ვახსენებთ მხოლოდ „ნებას“ იგულისხმება ინდივიდუალური კოსმიური ნება-ენერგია.

რეალურ ნაწილს“, რომ სამყაროში ყოველი ინდივიდუალური ნება – მატერია არის ხილული ნება, ძალა, ენერგია.*

ამრიგად, შოპენჰაუერის ვარაუდით, სამყაროში ადამიანის და სამყაროს საერთო არსი – ნება არის სურვილის, ნების კოსმიური ენერგია, ძალა, სწრაფვა, რომელიც უკვდავია, მარადიულია და მემკვიდრეობით გადაიცემა გვარ-გენის „რაღაც უკვდავის“ საშუალებით. უსულო საგნებში იგი გამოიხატება თვითშენახვის ინერციით, სულიერ არსებებში კი თვიშენახვის გარდა – სიცოცხლისაკენ სწრაფვით, ინდივიდუალობით, ეგოიზმით, სიკვდილის შიშით, ორგანიზმის დაშლის შიშით (რადგან ორგანიზმი არის ნების სხეულში განივთება, გასაგნება), მსურველობით, ბოროტისა ან კეთილის მიდრეკილებებით. ნება ბუნებაში ვლინდება ბუნებრივი ძალების სახით, ყოველ სულიერში – სიცოცხლისეული ძალის სახით, ადამიანში კი – სხვადასხვა სურვილთა ენერგიადაც. მასთან ნების მოძრაობა იხატება მსურველობა-უსურველობაში. აქ საინტერესოა შოპენჰაუერის მიერ მოყვანილი პარალელები ანაქსაგორას, ემპედოკლეს, არისტოტელეს და პლატონის შრომებიდან, რომ „მცენარის მოძრაობა, რომელიც იხატება ზრდაში, ხორციელდება მისთვის დამახასიათებელი მსურველობის (επιθυμιά-ს) ძალით“[1], ასევე შოპენჰაუერი შენიშნავს: „არისტოტელე აღნიშნავდა, რომ შეგრძნებათა გარეშე არ შეიძლება იყოს მსურველობა... ემპედოკლემ იცოდა სქესობრივი განსხვავებაც მცენარეებში“[2]. როცა მცენარე „იყურება“ მზისკენ, აქ ენერგიათა ურთიერთმიზიდულობაცაა, ნებათა ურთიერთმიზიდულობა.

ის ჭეშმარიტება, რომ ნებას შეუძლია სიცოცხლე ცნობიერების გარეშე, მცენარის სიცოცხლის მაგალითით, პირდაპირ გვხვდება თვალში: „... ამრიგად, ბუნებაში ნების იგივეობრივია სიცოცხლის

---

* თთნ – სამყაროში ფარულად ვლინდება გონებისთვის შეუმეცნებადი მრავალი საგნის ან მოვლენის არსის სახით, რომელიც მხოლოდ უძლიერესი ინტუიციით ან გონით განჭვრეტით მოიაზრება. იგი სამყაროში ვლინდება მატერიად, ენერგიად, ხოლო ცნობიერებაში ასახვისას – წარმოდგენად. ამიტომ უწოდა შოპენჰაეურმა თავის ნაშრომს „სამყარო, როგორც ნება და წარმოდგენა“.

1 Шопенгауэр А., Мир, как воля и представление 1893 с 357.

2 იქვე, გვ. 357-358

ძალა, ასევე სხვა ძალებიც ბუნებისა... მსურველობა ანუ ნება დიდი ან მცირე გარკვეულობით ითვლება მცენარეთა ცხოვრების ბაზისადაც[1]. ნების უპირველეს ატრიბუტად სიცოცხლისაკენ სწრაფვასთან ერთად შოპენჰაუერს მიაჩნია მსურველობა. ამიტომაა, რომ ადამიანი იქცევა იმის მიხედვით, რაც სურს, და სურს ის, რასაც თავისი ნებით წარმოადგენს, რადგან „ადამიანის ქცევები არის წმინდა გამოვლენა არსისა, – ნებისა". ადამიანის არსებაში ნება იღებს ინდივიდუალური ნების სახეს და გვევლინება სხვადასხვა სურვილის (ბოროტის ან კეთილის) ენერგიად. იგი არის ისეთი ძალა, რომელშიც (გამოვლენისას) მატერიის თვისებათა გარდა, გამოხატულია მისწრაფება, ლტოლვა მსურველობის წყურვილის დაკმაყოფილებისა. ამასთან, ნება ბუნებაში არსებულ ძალთა (ელექტრო, მაგნიტურ, ბიოდენის და სხვ.) მსგავსად, ხასიათდება ენერგიის მუდმივობისა და შენახვის მარადიულობით და ერთი საგნიდან მეორეს გადაეცემა, ერთი ფორმიდან მეორეში გადადის. იგი ვლინდება უსულო მატერიაშიც და მოაზროვნე მატერიაშიც. ამავე დროს, შოპენჰაუერი ვარაუდობს, რომ იგი არის დადებითი და უარყოფითი მხარეების, ზნეობრივ და უზნეო ლტოლვების, რეალურის და იდეალურის, ემპირიულისა და ინტელიგიბელურის დაპირისპირებულ ძალთა, ენერგიათა ერთიანობა ადამიანში. შოპენჰაუერის სიტყვით, სამყაროში, ადამიანში და ყოველ არსებულში მოქმედი ძალა ნებისა არის ყველგან იგივეობრივი, ერთიანი, განუყოფელი, კოსმიური ენერგია, რომელიც ყოველ ინდივიდში მის ინდივიდუალურ ნებად იქცევა და ნარმოადგენს ნების გამოვლენის სხვადასხვა ფორმებს: „მე შრომაში – „ნება ბუნებაში" – დავამტკიცე, რომ ბუნებაში მოქმედი და მოძრავი ძალა იგივეობრივია ადამიანის ნებისა"[2] – ამბობს შოპენჰაუერი. ამავე დროს, იგი ლაპარაკობს „მატერიის სიმდგრადეზე, ამ ერთადერთ წყაროზე და სუბსტანციის ერთადერთ რეალიზებულ გაგებაზე"[3] და ამტკიცებს რომ წმინდა – „უფორმო მატერია არის უშუალო გამოხატულება თთნ-ისა ანუ ნებისა"... „რომ მატერიასთანაა

1 Шопенгауэр А., Мир, как воля и представление 1893 с 357.
2 იქვე, გვ. 255.
3 იქვე, გვ. 527.

დაკავშირებული, რაც ემსგავსება ნებას და იგი დროში მოუსპობადის სახით გამოხატავს თავის ჭეშმარიტ მარადიულობას"[1] „რა არის ადამიანი თავისი არსით?.. იგი არის სიცოცხლისაკენ მსწრაფველი მსურველი"... ამავე დროს, „ნება როგორც თთნ, არის ყოველივეს საერთო შემადგენლობა, საგანთა აუცილებელი ელემენტი. იგი შედის ყოველ ადამიანში, ცხოველში და უფრო დაბალ არსებებშიც. ნებაში, როგორც ასეთში ჩვენ ვგავართ ყოველს და ყველაფერს, რამდენადაც ყველაფერი სავსეა და დულს ნებით"[2]. ამრიგად, მატერია სუბსტანციის მოქმედებაა, ყოველ მოვლენის სუბსტრატი, იგი გაცხადებაა ნებისა, „შემაერთებელი რგოლია სამყაროსი, როგორც წარმოდგენისა და სამყაროს, როგორც ნებისა, ამიტომ ყოველი ობიექტი, როგორც თთნ – ნებაა, ხოლო როგორც მოვლენა, ის მატერიაა"[3]

ამრიგად, შოპენჰაუერის მოძღვრებით, ყოველი არსებული ორ მხარეს შეიცავს: ფიზიკურის და მეტაფიზიკურის ერთიანობას. ყოველი არსი ბუნებაში ერთდროულად მოვლენაცაა და თთნ-იც. ამის შესაბამისად იგი უშვებს ორმაგი განსაზღვრულობის შესაძლებლობას: ფიზიკური ყოველთვის გამომდინარეობს მიზეზიდან, მეტაფიზიკური – ყოველთვის ნებიდან. ეს უკანასკნელი არის ის, რაც შეუცნობელ ბუნებაში გამოიხატება, როგორც ბუნებრივი ძალა, უფრო მაღლა – როგორც სიცოცხლისეული ძალა, ხოლო ცხოველებში და ადამიანში იღებს ნების სახელწოდებას. ადამიანის ახსნა შეიძლება არა მოვლენის, არამედ მისი თთნ-ის, საკუთარი ნების წვდომით. მეტაფიზიკური ახსნისას ადამიანი უნდა ავხსნათ, როგორც გამოვლენა მისი საკუთარი, თავისუფალი და არაცნობიერი ნებისაგან, რომელმაც შექმნა თავისი შესაბამისი ინტელექტი.

შოპენჰაუერის აზრით სამყაროში მოქმედი ნება თთნ დაუსრულებელი, ამოუწურავი არსებობისაა. იგი დრო-სივრცე-მიზეზობრიობის გარეშეა: „ბუნებაში დაწყებული მეტალიდან ორგანიზმამდე ყველაფერი იხარჯება და ნადგურდება. როგორ შეიძლებოდა ბუნების დაუსრულებელი დროის მანძილზე ფორმათა შენახვა

---

1 Шопенгауэр А., Афоризмы и максимы. 1892, с. 124-125.)
2 იქვე, გვ. 45
3 Шопенгауэр А., Мир, как воля и представление, 1893, с. 373.)

გამოფიტვის გარეშე, ინდივიდუმთა განახლება და დაუსრულებელი განმეორება სიცოცხლისეული პროცესებისა, თუკი მისი საკუთარი ბირთვი არ იქნებოდა რაღაც დროის გარეშე რამ, და ამასთანავე, სრულიად ამოუწურავი, მეტაფიზიკური თთნ, სავსებით განსხვავებული სახით იმისაგან, ვიდრე მოვლენაა, ფიზიკურად სავსებით სხვა არსებისა. ეს ბირთვია სწორედ ჩვენში და ყველაფერში არსებული ნება"[1].

ფილოსოფოსის შეხედულებით, გარესამყაროს მომწესრიგებელი ყალიბი არის ჩვენი ტვინი, რომელიც ამ ყალიბში აქცევს „დროს, სივრცეს, მიზეზობრიობას, რომელთა მაობიექტირებელ აბსტრაქციას წარმოადგენს მატერია. ამდენად, ჩვენს მიერ ფიზიკური საგნის მჭვრეტელობა სივრცეში არის ჩემი გრძნობადი და ტვინისეული ფუნქციების ნაწარმოებს პლიუს X"[2] – გვეუბნება შოპენჰაუერი და ნებას აქ უწოდებს X-ს რადგან იგი მხოლოდ ნაწილობრივ შეგვიძლია შევიმეცნოთ, ნება მასთან მოვლენათა სამყაროში გაობიექტირებულია მატერიაში, ხოლო ამ მოუსპობად სუბსტანციის ანალოგიით შოპენჰაუერი უშვებს, რომ არსებობს „ჩვენში მოაზროვნე მატერიაც", „რომ „ჩვენს ცნობიერებაში უნდა იყოს რაღაც მდგრადი", რომელიც არის აგრეთვე ნების გამოხატულება.

„მე ვხედავ – ამბობს შოპენჰაუერი –, რომ ყველგან, ბუნებაში, ყოველი ერთეული მოვლენა არის საერთო მახასიათებელი ათასობით მოვლენაში მოქმედი ძალისა. მეორე მხრივ, მცირე საბაბი გვაქვს იმის დასასაბუთებლად, რომ, რაკი აქ ეს ორგანული სიცოცხლე შეწყდა, ამიტომ მისი მმართველი ძალა იქცა არარად... თუ ქანქარა გაწონასწორების შემდეგ ბოლოსდაბოლოს გაჩერდება და ამის გამო ჩერდება მისი ინდივიდუალური, მოჩვენებითი სიცოცხლე, ამით ხომ არავის მოუვა თავში, რომ მასში ქრება სიმძიმე? პირიქით, ყველას ესმის, რომ სიმძიმე, როგორც აქამდე, ასევე შემდეგაც აგრძელებს მოქმედებას ათასობით მოვლენაში. ამ ქანქარაში წყდება არა სიმძიმის მოქმედება, არამედ თვალით დასანახი ხილული გამოვლენა"[3].

---

1 Шопенгауэр А., Афоризмы и максимы. т. 3, 1892, с. 247.
2 იქვე. გვ. 122
3 იქვე, გვ.120-121.

შოპენჰაუერს მიაჩნია, რომ სხეული, როგორც მატერია ადამიანის სიკვდილის შემდეგ შეიძლება ფერფლადაც იქცეს, მაგრამ მასში ნების სახით შენარჩუნებული იქნება სიცოცხლის პრინციპი, რომელიც ხელშემწყობ პირობებისას კვლავ განახლდება ახალ ფორმაში, მაგრამ იგივე ნების შენარჩუნებით. „როგორ? – წამოიძახებენ ზოგნი – შენახვა უბრალო ფერფლისა, უხეში მატერიის უცვლელობა უნდა ჩავთვალოთ შენახვად და გაგრძელებად ჩვენი არსებობისა? ეს მატერია, რომელიც ძევს ახლა ფერფლად და მტვრად, იქნებ წყალში მოხვედრისას იქცევა კრისტალად, მბრწყინავ მეტალად, იელვარებს ელექტრონულ ნაპერწკლად, გალვანური ძაბვის საშუალებით მოიცავს ძალას, რომელიც დაშლის უმტკიცეს შენაერთს, მინას მეტალად აქცევს... დიახ, იგი თავისთავად გაფორმდება მცენარეში, ცხოველში და თავის საიდუმლო საფუძვლით მოიცავს იმ სიცოცხლეს, რის დაკარგვის გამოც თქვენ ასეთი შიშით ზრუნავდით. არსებობის გაგრძელება ამგვარ მატერიად თითქოს სრულიად არაფერს არ ნიშნავს? ეს შენახვა მატერიისა გვაძლევს ჩვენი ჭეშმარიტი არსების მოუსპობლობის საბუთს“[1]. ამ ციტატითაც იგი ასაბუთებს ნების „რაღაცნაირ უკვდავებას მაინც“.

შოპენჰაუერმა ადამიანის არსება ორ ძირითად სფეროდ დაჰყო: თავისა და გულის სფეროდ. „მე ვარ უბრალოდ ნაერთი ამ გულისა და ამ თავისა“ – ამბობდა იგი, თუმცა სულის გაგება მიუღწევლად ჩათვალა მეცნიერებისათვის, მან ცალკე გამოჰყო „ამ გაგების რეალური ნაწილი – ნება“, რადგანაც, შოპენჰაუერის აზრით, „მატერია არის ხილული ნება და თითოეული ძალა თავისთავად (თთნ) არის ნება, ამიტომ არცერთი ძალა არ გვევლინება მატერიალური სუბსტატის გარეშე და პირიქით, არცერთი სხეული არ იარსებებს მასში არსებული ძალების გარეშე, რომლებიც ქმნიან მის თვისებებს. ამიტომ სხეული ეს არის შეერთება მატერიისა და ფორმისა, რომელიც შეიცავს მიზიდულობა-განზიდულობის ძალებს. „ძალასა და მატერიას შორის კი არ არის არავითარი წინააღმდეგობა. თავიანთი არსით ისინი იგივეობრივია და ითვლება სუბსტანციონალურ სანყისად“[2].

---

1 Шопенгауэр А., Афоризмы и максимы. т. 2, 1892, с. 122.

2 Шопенгауэр А., Мир, как воля и представление, 1893, с. 376.

სამყაროში კოსმოსური ენერგია – ნება სხვადასხვა ინტენსიობით არის ქვაშიც, მცენარეშიც, ადამიანშიც და მოიცავს ელექტრო-მაგნიტურ, ბიო და პოლარულ მხარეებსაც. ამიტომაა, რომ საგანთა და სულიერთა შორის საყოველთაო მიზიდულობა-განზიდულობაა, სწრაფვა ან უკუქცევაა. ამიტომაა, რომ ნებისა და სხეულების ერთიანობა, როგორც ერთიანობა ერთიანი, იგივეობრივი არსისა ყველაზე ძირეული დაშვებაა შოპენჰაუერთან, ამის გარეშე ვერ იქნება მისი სისტემა, რომელიც ემყარება ბუნების მოვლენებისა და ჩვენი ქცევების ერთიან არსს. თავის შრომაში „სამყარო, როგორც ნება და წარმოდგენა“ იგი გვიდასტურებს სხვადასხვა ფორმებში გამოვლენილ ამ სწრაფვათა იგივეობას: „ჩვენ ვხედავთ, – ამბობს იგი – დაუოკებელ სწრაფვას, რომლითაც მაგნიტი მიიმართება ჩრდილოეთისაკენ, დაუძლეველ ლტოლვას, რომლითაც რკინა მიისწრაფვის მაგნიტისაკენ, რომელ ძალითაც ელექტრონული პოლუსები ცდილობენ კვლავ შეერთებას და რომლებიც ადამიანთა სურვილების მსგავსად ძლიერდებიან წინააღმედგობებისას. ჩვენ ვამჩნევთ იმ შერჩევას, რომლითაც სხეულები ნივთიერ მდგომარეობაში გადასვლისას და სამყაროს შებოჭვისაგან განთავი-სუფლებისას ეძებენ ან გაურბიან ერთმანეთს, მიიზიდებიან ან განიზიდებიან, ერთდებიან ან განიყოფიან... და გონის დიდი ძალდატანება არ დაგვჭირდება იმისათვის, რომ ამგვარ მანძილზეც შევიცნოთ ჩვენი საკუთარი არსი, იგივე არსი, რომელიც ჩვენში შემეცნების შუქზე თავისი მიზნებისაკენ ილტვის. აქ (ბუნებაში) მიისწრაფვის ბრმად, იდუმალად, ცალმხრივად და უცვლელ კანონზომიერად, მაგრამ ყველგან რჩება იგივეობრივად, როგორც მკრთალი გარიჟრაჟის ნათება და შუადღის ნათელი ერთია და იწოდება მზის ნათებად“. ამ ციტატით შოპენჰაუერი ბუნების ძალთა და ჩვენში არსებულ ენერგია-ნების ერთარსობას ამტკიცებს, რომ მათ გამოვლენას და ჩვენი ქცევების გამოვლენას ერთი არსი, ერთგვაროვანი ენერგია უდევს საფუძვლად, რომ ყოველი იქცევა და გამოვლინდება მისი ინდივიდუალური ნების რაობითა და ინტენსიობით, რომ ყოველ არსებულს ნების სწრაფვა-ენერგია ამოძრავებს მიზიდულობით თუ განზიდულობით და ფარული ენტელექიით, მოძრაობის გაუცნობიერებელი მიზეზით, რომელიც მხოლოდ მეტაფიზიკური ნებიდან გამომდინარეობს.

შოპენჰაუერი მიგვანიშნებს, რომ ინდივიდუალურ ნებათა უთვალავი ფორმები – უსულო და სულიერი ნებები, გაუცნობიერებელი თუ გაცნობიერებული სურვილის ენერგიები, მიისწრაფვიან სუბიექტური თვითგანმტკიცებისა და სურვილების რეალიზაციისაკენ, მაშინ, როდესაც მეტაფიზიკური ნება მათ ობიექტური იდეებისა და ზნეობრიობისაკენ სწრაფვის მისიას აკისრებდა, მაგრამ თითქმის ყოველი ინდივიდუალური ნება (გენიათა და წმინდანთა გარდა) მხოლოდ საკუთარი სურვილების აღსრულებითაა გატაცებული. ეს ენერგია საგნებიდან მეტაფიზიკური ნებისაკენ ტელეოლოგიური სწრაფვისაა. არისტოტელეს იმანენტური ტელეოლოგიის მსგავსად, აქაც ყოველი ინდივიდუალური ნება არის შინაგანი ენერგიის მატარებელი აქტუალურად მსწრაფველი, რომელიც დაბალი ფორმებიდან მიისწრაფვის მაღალისაკენ, ტრანსცენდენტული ნებისაკენ, რომელიც გულისხმობს ზებუნებრივი შემოქმედის – ღმერთის არსებობას, მეტაფიზიკურ ნებას. შოპენჰაუერთან ყოველი ნება მატერიისა და ფორმის ერთიანობაა. ფორმა არ არსებობს მატერიის, მისი სუბსტრატის და მოძრაობის გარეშე, აქ მისი აზრი ემთხვევა არისტოტელეს აზრს, ხოლო როდესაც ღმერთი – არსებობს თავისთავად, როგორც მეტაფიზიკური ნება, აქ ემთხვევა არისტოტელეს და პლატონის ნააზრევსაც.

ერთიანი ნება, რომელიც ყოველივეს საფუძველია, თავის გამოვლენაში პლატონის იდეათა (გვართა) მსგავსად მაღლდება. უსულოებში – როგორც გაუცნობიერებელი სწრაფვა, ხოლო ადამიანის შემეცნებაში კი ნება ამოძრავდება მოტივებით, მოქმედებათა, ქცევათა აღმძვრელებით. არისტოტელესთან სული არის ენტელექია სხეულისა ანუ ძალის სწრაფვა არსის განხორციელებადობისაკენ. იგი ენტელექიას უკავშირებდა ფორმას, ფორმა კი მატერიის გარკვეულობაა. შოპენჰაუერთან ნება „სულის რეალური ნაწილია“, რომელიც გამოიხატება მატერიით და რომელიც მიისწრაფვის ამაღლებულ ფორმაში სვლისკენ, ზნეობრიობის განხორციელების მისიით.

შოპენჰაუერი ტრანსცენდენტური ტელეოლოგიის მინიშნებით კმაყოფილდება და ღმერთის დასაბუთებას შეგნებულად თავს არიდებს, რადგან მის დასაბუთებას ადამიანური გონებისთვის მიუწვდომლად თვლის, რომელსაც მხოლოდ ნაწილობრივ შეგვიძლია

ჩამოვაცალოთ „მაიის საფარველი“. ეს ნაწილობრივი მინიშნებები გაბნეულია მის თხზულებებში „სამყარო, როგორც ნება და წარმოდგენა“, განსაკუთრებით ხაზგასმით კი „აფორიზმებში ცხოვრებისეული სიბრძნიდან“, იმ თავში, სადაც ლაპარაკია წმინდანთა შესახებ. შოპენჰაუერი მიდის იქამდე, რომ ყველაფერი მეტაფიზიკური ნებიდან გამომდინარეობს, მეტაფიზიკური ნებისეულია, თუმცა არ ხმარობს სიტყვას – „ღვთაებრივია“, მაგრამ მიგვანიშნებს მას. შრომაში „სამყარო, როგორც ნება და წარმოდგენა“, იგი გვეუბნება: „ჩვენი მოძღვრება აღწევს ამ საზღვარს სიცოცხლის ნებისა, სადაც ეს ნება თავის საკუთარ გამოვლენაში თავისთავს ამტკიცებს ან უარყოფს. ამის იქით წასვლის სურვილი ნიშნავს, რომ ვისურვოთ ატმოსფეროს საზღვრებს გარეთ გასვლა“[1]. შოპენჰაუერს არ ახასიათებს იმის დაბეჯითებით დაჟინება, რის დასაბუთებაც შეუძლებლად მიაჩნია, ამიტომ მხოლოდ ნაწილობრივ ჩამოხსნის „მაიის საფარველს“, მხოლოდ ნაწილობრივ მიგვანიშნებს, რა უნდა იყოს ყოველივეს იგივეობრივი არსის – კოსმიური ნება-ენერგიის საფუძველი: ერთიანი, წმინდა, მეტაფიზიკური ნება, რომ ეს პლატონის უმაღლესი სიკეთის ზემოთ მდგომი „უზადო ერთია“, არისტოტელეს – ცის სფეროს ზემოთ არსებული, უზენაესი არსი, ზესთა სიკეთე, კანტის ღმერთი, ქართულ სიტყვიერებაში უზენაესი, უზესთაესი ნება ანუ (მ)ზესთა(ნ) ახლო სფეროზე უმაღლესი. ადამიანის და მთელი სამყაროს საფუძვლად მიჩნეული არსი, ღვთაებრივი არსი – მეტაფიზიკური ნება. შოპენჰაუერმა ნება, როგორც „სულის რეალური ნაწილი“ მოძებნა ადამიანის შინაგან მეობაშიც, მისი მსურველობის და სიცოცხლისკენ სწრაფვის საფუძველში, შინაგანი მსურველობის თვითგრძნობაში. შოპენჰაუერის ეთიკური სისტემის მიხედვით, ერთ-ერთი ღვთაებრივი გამოვლენა, (მეტაფიზიკური ნების უთვალავ გამოვლენებში) არის სინდისის და თანატანჯვის, თანაგრძნობის, სიმპათიის, ყოველი უანგარო მსურველობის გამოვლენა ადამიანში. მეტაფიზიკური ნებიდან გამომდინარე ენერგიის ობიექტივირება ინდივიდუალურ ნებებისაკენ და ინდივიდუალურ ნებების სწრაფვა მეტაფიზიკურ ნებისაკენ მიზეზია იმ მისიისა, რომელიც არის ზნეობრიობა – (მ)ზ(ე)-

1 Шопенгауэр А., Мир, как воля и представление т. I, с. 415.

ნე(ბ)ობრიობა ანუ მზისმაგვარობა, მზისსიკეთის მსგავსება ადამიანში. მგონი ამის შესაბამისია პლატონის „ფედონიდან“ მოყვანილი ციტატა: „უზადო ერთის“ შესახებ, რომ „ყოველივეს წესრიგს ანიჭებს და ყოველივეს მიზეზია შეუცნობი ზესთა სიკეთე, რომლის ხატიც არის ხილული მზე“ („ფედონი“, 197) ე. ი. (მ)ზ(ე)ნე(ბ)ობრიობა (⟶)-ს ზნეობრიობა მეტაფიზიკური ნების ღვთაებრივი სიკეთიდან მოდის, ერთმანეთს სიკეთით, ზნეობრიობით ემსგავსებიან. შოპენჰაუერის ინდივიდუალურ ნებათა სწრაფვა ძალზე ჰგავს ალექსანდრიელ გაქრისტიანებულ ნეოპლატონიკოსთა „სწრაფვას“. მათ მეტაფიზიკურ სისტემაში „ზესთასოფლისკენ აღმავლობას სულისას“ (პეტრეიბერ-არეოპაგელთან). სწორედ ამგვარი ზნეობრივი სწრაფვაა შოპენჰაუერის მოძღვრებაში ნების ახლებური გაგება, მისია და მიზანი, თუმცა ეს სწრაფვა ჯერ გაუცნობიერებელია.

შოპენჰაუერის მოძღვრებაში მზეს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მინიჭებული, როგორც მეტაფიზიკური ნების ხატს, ხოლო მზის სხივები შედარებულია ინდივიდუალურ ნებებთან, რომლებიც არსით ყველგან იგივეობრივია, როგორც „მკრთალი გარიჟრაჟის ნათება და შუადღის კაშკაშა ნათელი ერთია და იწოდება მზის ნათებად“. შოპენჰაუერის მოძღვრების მეტაფიზიკური ნების გააზრებისათვის შესაბამისი მაგალითია ქრისტიანულ-ნეოპლატონური სინთეზი V ს-ის ქართველი ფილოსოფოსის პეტრე იბერიის მიერ „მეტაფიზიკური ერთის“ გაგებისა, რომელთანაც მზე „ერთარსება ერთის“ ხატია, ამ მხრივ საინტერესოა პლატონის „კანონებში“ გამოთქმული აზრიც, რომ რადგან ღმერთი მიუწვდომელია, გამოუცნობი და თვალისმომჭრელი ბრწყინვალების, „უხიფათო იქნება, თუ ღმერთის ხატს (ანუ მზეს) შევხედავთ“ ე. ი. მზე ღმერთის ხატია, ხოლო მზის მაღლა სფერო ღვთაებრივი სფეროა (უზენაესის სფერო), ძველი აღთქმით „ცანი ცათანი – უფლისანი არიან“, ზნეობრივი ადამიანები კი – მზის სხივებივით. რუსთაველთან ინდივიდუალურ ადამიან-ნებისადმია მიმართვა: „მზე უშენოდ ვერ იქნების, რადგან შენ ხარ მისი წილი“. შოპენჰაუერთანაც ინდივიდუალური ნებები მეტაფიზიკური ნების ხატთან – მზესთან, მზის სიკეთესთან წილნაყარნი არიან. ამრიგად, პეტრე იბერ-არეოპაგელის

მეტაფიზიკური „უფალი უფალთა“, შოპენჰაუერის „ნებათა ნება“ და ბიბლიის „ნება ნებათაჲ“ ერთარსება ერთის გამომხატველია ყველგან, ხოლო მზე – მისი ხატია, სიკეთისეულობის, ზნეობრიობის გამომხატველი. როგორც აღინიშნა, შოპენჰაუერი გვეუბნება, რომ სამყაროში ობიექტივირებული ბრმა ნება ადამიანის საფეხურზე იქცევა თვითშემეცნებად და „თავისთავს შეიცნობს განუწყვეტლივ მსურველად“. „მნებავს ის, რასაც წარმოვადგენ“ – (ბოროტ თუ კეთილ ნებით) – არის შოპენჰაუერის ახალი დებულება. აქედან, ადამიანის თვითმსურველობიდან (მიკროსამყაროდან) უნდა ჩავწვდეთ სამყაროსა და ყოველი არსებულის საერთო არსს და ეთიკის უნივერსალურ პრინციპს – თანატანჯვას. ძველი უვარგისი ნების უარყოფისას იჩენს თავს ადამიანში ეთიკური საწყისი და თავისუფალი არჩევანი მის განმტკიცებასა თუ უარყოფას შორის. დაპირისპირებულ მხარეთა ბრძოლაში ტანჯვა ეთიკური ხსნის დასაწყისია. თვითშემეცნებით მიდის ადამიანი ზნეობრიობისაკენ, ამ არჩევნისა და განთავისუფლებისკენ. ამასთან, ადამიანი შეიცნობს თავისთავს, როგორც ნებით იგივეობრივს სხვასთან, რომელიც გკარნახობს, რომ „ის შენ ხარ“ და მის ადგილას წარმოგადგენინებს თავს განსაცდელისას, რითაც ჩემში აღიძვრის თანატანჯვა, თანაგრძნობა – ეთიკის მეტაფიზიკური (ღვთაებრივი) ნების საიდუმლო მისტერია, რომლითაც „არამე“ ჩემს შემეცნებაში იქცევა „მედ“. თანაგრძნობის პრინციპი ფუნდამენტად უდევს იმ მისტერიის შემოსვლას ჩემში, რომლის საფუძველზეც „არასოდეს არ შეიძლება გაქრეს და არარად იქცეს სიყვარულის ის სული, რომელიც ერთს შთააგონებს დაზოგოს თავისი მტრებიც, ხოლო მეორეს – თავი გაწიროს ადამიანისთვის, რომელსაც პირველად ხედავს“ – გვეუბნება „მიზანთროპად“ ცნობილი ფილოსოფოსი. ეს სული არის ნებაში ზნეობრივის ენერგია, (ინდივიდუალური ნებები მოკაშკაშე ან განლევადი სიკეთის სხივებივით ვართ შინაგანი ენერგიის მატარებლები აქტუალური მისიის განსახორციელებლად), ხოლო თანატანჯვის, სიმპათიის, დანაშაულის, პასუხისმგებლობის და სინდისის გრძნობის არსებობა ჩემში უკვე არის აუცილებელობის სამყაროში თავისუფლების სამყაროს, ღმერთის ხმის გამოვლენა ჩემში და მეტაფიზიკური ნების საიდუმლოებით მოცული მოქმედების

ფაქტი ადამიანის არსებაში, რაც გრძნობადის მეტაფიზიკურთან (ვარაუდით ღვთაებრივთან) კავშირს ნიშნავს.

მიგვაჩნია, რომ მეტაფიზიკურ ნებაში იგულისხმება ღმერთი, რომ სამყაროს წესრიგი უშუალო კავშირშია მის ნარმოქმნელ ძალასთან, რომ ადამიანს და სამყაროს ზნეობრივი მისია აკისრიათ, შოპენჰაუერი ამბობს, რომ სამყაროს მართავს მეტაფიზიკური ნება.

მეტაფიზიკური ნება, რომელიც როგორია თავისთავად, ჩვენ არ ვიცით, მაგრამ ვიცით, რომ იგი სამყაროში წარმოგვიდგენს უთვალავ მრავალსახეობრივ მატერიის ფორმებს – ინდივიდუალურ ნებათა ენერგიად. ე. ი. ნება არსებობს თავისთავადი მეტაფიზიკური არსებობითაც და სამყაროში კოსმიურ ენერგიადაც. შოპენჰაუერი ნების არსებობის მტკიცებას იწყებს „მედან", ჩვენი მსურველობიდან და ამტკიცებს, რომ მე ვარ ერთ-ერთი ანალოგია სამყაროს არსებულთაგან, მის შრომებში „ნება არის სამყაროსა და ყოველი არსებულის საერთო არსი, მარადიული კოსმიური ენერგია, ძალა, რომელიც თავისთავში აერთიანებს სურვილის, სიცოცხლისაკენ სწრაფვის, თვითშენახვის, დადებით – უარყოფითი ლტოლვების ერთობლიობას. მე ჩემს არსებაში ვგრძნობ ამგვარ ენერგიას, და რადგან მე მიკროსამყარო ვარ, სამყაროს არსიც ყოფილა მსურველობისაკენ, არსებობისაკენ, სიცოცხლისაკენ, თვითშენახვის და თვითგანმტკიცებისაკენ სწრაფის ენერგია.

შოპენჰაუერისათვის ნების გამოვლენა ყოველ არსებულში ბრმა, უმიზნო, გაუცნობიერებელი ლტოლვა – ენერგიაა სიცოცხლე-მსურველობა-თვითშენახვისაკენ, მართლაც, ყოველს სურს თავისი მეობის, თვითობის, არსებობის შენახვა იმად, რადაც მოვლენილა. ქვის თვითშენახვა მისი მდგრადობის, ქვად დარჩენის შენარჩუნებაა. ისიც თავისებურად ეწინააღმდეგება ყველა ძალას, რომელიც მისი ქვაობის დაშლას დააპირებს. მით უფრო ძლიერდება ეს „ინსტინქტი" ორგანულ სამყაროში. სწორედ ამ თვითშენახვის და სურვილის შინაარსს დებს შოპენჰაუერი სამყაროში გამოვლენილი ნების გამოსახატავად, როცა განსაზღვრავს მას, როგორც მსურველობას. უსულო საგნებში იგი თვითშენახვით გამოიხატება, სულიერებში კი სურვილის ენერგიადაც.

შოპენჰაუერს ემპედოკლეს მსგავსად მიაჩნია, რომ ნების ენერგიის მამოძრავებელია მიზიდულობა ან განზიდულობა, სიმპათია ან ანთიპათია, სიყვარული ან სიძულვილი, თანაგრძნობა ან მტრობა.

რადგან სხეული არის შეერთება მატერიისა და ფორმისა, ეს შენაერთი იწოდება ნივთიერ ძალად, (ხოლო მატერია გვეძლევა მიზიდულობისა და განზიდულობის ძალთა შეერთებად), მაშასადამე, ძალა და მატერია არსით, ნებით იგივეობრივია და ითვლება სუბსტანციის გამოვლენად.

შოპენჰაუერის განსაზღვრით, ყოველი არსი ბუნებაში ფიზიკურიცაა და მეტაფიზიკურიც, მოვლენაც და თავისთავადი ნებაც.

სავარაუდოა, რომ ენერგია, რომელსაც შოპენჰაუერი ნებას უწოდებს; მართლაც იგივეობრივია ბუნებაში მოქმედი ძალებისა, რომლითაც ერთი ადამიანის ნებას შეუძლია || ადამიანის ნებაზე ზემოქმედება მოახდინოს.

ბუნებრივ ძალთა მიზიდულობების სახით, რომლითაც სხვადასხვა პოლუსები ცდილობენ კვლავ შეერთებას და რომლებიც სურვილთა მსგავსად ძლიერდებიან წინააღმდეგობისას, ჩვენ მართლაც ვამჩნევთ, რომ სხეულებიც და ადამიანებიც გაურბიან ან ეძებენ ერთმანეთს, მიიზიდებიან ან განიზიდებიან, სიმპათიაში ან ანტიპათიაში არიან.

ამით ჩვენ ვგრძნობთ ბუნებაში არსებულ მიზიდულობა-განზიდულობათა არსობრივ მსგავსებას ადამიანურ ლტოლვებთან. შოპენჰაუერის მოძღვრებიდან ნების, როგორც კოსმიური ენერგიის მისწრაფება-ლტოლვა მოგვიანებით გამოიყენა გერმანელმა ფილოსოფოსმა მაქს შელერმა, თავის ფილოსოფიურ ანთროპოლოგიაში.

ნების ენერგია ვლინდება არაცოცხალ მატერიაში მატერიისათვის დამახასიათებელი ყველა თვისებით, ხოლო ადამიანში მსურველობის ანუ სურვილის ენერგიადაც. თუკი ნება იგივეობრივია ბუნებაში არსებულ ძალებისა, გამოდის, რომ სურვილით სწრაფვაც (მსურველობა) არის ძალა, ენერგია ბუნების ძალთა იგივეობრივი. ნების ენერგიის (როგორც ელექტრო-ბიომაგნიტურის, ასევე

თვითშენახვის, სიცოცხლისაკენ სწრაფვის, მსურველობის) აბსოლუტურობა სამყაროში დასტურდება ყოველ არსებულში მათი იგივეობის არსებობით.

ნების ენერგიაში წარმმართველია სურვილის ძალა. ეს კარგად ჩანს ქართულ კომპოზიტში ნება-სურვილი. გერმანულშიც Willanstrengung და Willenskraft – სურვილის, ნების ენერგია – ძალაა. იგი ისევე გაუცნობიერებელია, როგორც ელექტრო-ბიო-მაგნიტური იმპულსები. მართლაც, თუ, როგორც ზემოთ აღინიშნა, ნებას შეუძლია სიცოცხლე ცნობიერების გარეშე, მცენარის სიცოცხლის მაგალითით[1], თუ „მსურველობა ანუ ნება დიდი ან მცირე გარკვეულობით ითვლება მცენარეთა ცხოვრების ბაზისადაც"[2]. თუ „მცენარეთა მოძრაობა, რომელიც გამოიხატება ზრდაში, ხორციელდება მათთვის დამახასიათებელი მსურველობის (επιθυμια-ს) ძალით"[1], მით უფრო აშკარაა სურვილის ძალის ნომინანტი სულიერ არსებებში და მით უფრო ადამიანში. ყოველივე ეს მართლაც, გვაფიქრებინებს სურვილის ენერგიის საყოველთაო არსებობას.

ადამიანთა ინდივიდუალური ნებისას, როცა ნების შემართებაა მაგალითად ექსტრასენსული მოქმედებით, გიპნოზით მეორეზე ზემოქმედებისაკენ, – აღიძვრება შთაგონება, რომლის შეჩერება შეუძლებელია. ამრიგად, ნება-სურვილი, გერმანულად Wollen და Wille სხვადასხვა ინტენსიობით და ხარისხით არის ქვაშიც, (თვითშენახვის სწრაფვით), მცენარეებშიც, ცხოველშიც, ადამიანშიც. ნება ადამიანის საფეხურზე იქცევა სიმპათია-ანტიპათიის მიზიდულობა-განზიდულობად (ძველ-ბერძნულად სიმპათია – მიზიდულობაა), სურვილად ან მის უარყოფად. როცა სურვილი ნება მმსჭვალავს, მაშინ ნება მ-ნებ-ავს, ან გ-ნებ-ავს, ან ნებ-ავს ინდივიდს, იგი სამყაროში ვლინდება ინდივიდუალურ ნებათა ფორმებში. მაშინ, როცა ნება მ-ნება-ვს, მე ვ-ნებ-დები მი-ვ-ნებ-დები, და-ვ-ნებ-დები მას და ვ-ი-ნებ-ებ მის სურვილ-ნებას. თუმცა ადამიანი ცდილობს, ყველაფერი თავისი ინდივიდუალური ნებით გააკეთოს, შეინარჩუნოს საკუთარი ნება-გენი.

ნების გამოვლენის ასპარეზი, მისი სივრცეა დედამიწაც, სადაც, მაგალითად, კაკლის ხის კვლავწარმოსაქმნელად საჭიროა კაკლის

ნაყოფის – „მისი ნათესავი“ გენ-თესლის დათესვა, რომლის უმნიშვნელო მოცულობის თესლშიც „ჩატეულია“ ახალი კაკლის ხის დასაბადებელი ყველა კომპონენტი. ასევეა ადამიანშიც. ადამიანიც საზრდოობს დედამიწიდან და მის ორგანიზმშიც გროვდება ყველა დასაბადებელი კომპონენტი, მაგრამ ვიდრე იგი გარდაიცვლება, ინდივიდ-ნების ადგილსამყოფელში – გულში იბადება მისი პირადი ნება-სურვილები.

ნება ადამიანის ორგანიზმში გულსა და ვ-ნება-ში ყველაზე ინტენსიურია. როცა გული კვდება, ნება იძინებს, როგორც ხე – ახალ არსებობაში გადარგვისას. ხე რომ მისი „სიფხიზლის“ პერიოდში გადავრგათ, იგი გახმება, შეეწინააღმდეგება გენეტიკური უფლების, თავის უფლების დაკარგვას. ასევე „გადირგვება“ ადამიანი ნების ძილისას, – გარდაცვალებისას.

ადამიანს არ სურს, არ ნებავს გარდაცვალება, რადგან ის კარგავს ძველ გულსა და ინტელექტს, ცნობიერებამ აღარ იცის, რომ მისი ნება უკვდავია, „დათესილია“ დედამიწაში და აგრძელებს არსებობას, (თავ-ფესვ მოჭრილ ვაზშიც შენარჩუნებულია სიცოცხლის პრინციპი, ბირთვი – ნება). ის უკვდავი ნებით აგრძელებს „რაღაცნაირ არსებობას“.

სხეულიც გარდაცვალებისას დაიშლება რა ელემენტებად, კვლავ აიგება ახალ ნაერთად – ამბობს შოპენჰაუერი და გონ-ინტელექტის ადგილსამყოფელად თვლის თავს, ხოლო ნების სფეროდ – გულს.

ცნობიერება ვერ წვდება, თუ რა გზას გაივლის ინდივიდუალური ნების ენერგია, რა მდგომარეობებს, ვიდრე კვლავ ადამიანის სხეულში მოხვდება, რათა ხელშემწყობ პირობებში კვლავ დაიბადოს, მაგრამ დაშლის შემდეგ ის ისევე ინახება, როგორც ელექტრო-მაგნიტური და ბიოდენი ბუნებაში.

ამრიგად, დედამიწა გვასაზრდოებს და ჩვენს წიაღში ამზადებს ახალდასაბადებელ ნებას იმისაგან, რაც მან ადამიანებისგან მიიღო ნების სახით მათი გარდაცვალებისას. ის გვიბრუნებს მას ამ საზრდოთი. ნაცვლად მეტაფსიქოზის „სულთა გადასახლებისა“, აქ – პალინგენეზის თეორიით ხდება სხეულთა დაშლა და ახალი ფორმით დაბადება ძველი ნების შენარჩუნებით.

სიკვდილ-სიცოცხლეში ნება იგივეა თავისი გენით და მარადიულია. მისი ძველი კეთილი ან ბოროტი ნება მიიზიდება ან განიზიდება. ქართულად ეს კარგად გამოიხატება ნების-შემცველ სიტყვებში. მაგალითად, ნებივრობს ნებაყოფლობით თავის სტიქიაში, თავის ნებისყოფაში, ნებდება, ან არ ნებდება ძველ ნებას. ნება გარდაცვალებამდე სხეულში იქვემდებარებს გონებას (გონიერ ნებას), გულსაც, სხეულის ყველა ნაწილსაც. ნება სუბსტანციაა, გონება — აქციდენცია. გერმანული Willigkeit და Willfahren-ი — ნების მზაობაა, გულმოდგინებაა მათი თანხმობისათვის*.

ნება ყველაზე ინტენსიურად მნებავი ნაწილია ორგანიზმში. იგი უკვდავია როგორც „სულის რეალური ნაწილი". ის, დედამიწიდან საზრდოს სახით მოხვედრილი, თავისთავად თესლად გაფორმდება მცენარეში, ცხოველში, ადამიანში და თავისი საიდუმლო საფუძვლით მოიცავს ახალ სიცოცხლეებს. ნება დაუსრულებლად გადადის სხეულიდან დედამიწაში, დედამიწიდან სხეულში, სადაც იშლება და აიგება, მიიზიდება ან განიზიდება. ამიტომაა, რომ ბუნებაში ყველაფერი მიისწრაფვის ან უკუიქცევა ერთმანეთისაგან, ჯგუფდებიან სიმპათია-ანტიპათიით, მინებდებიან ან განნებდებიან, მიანებებენ ან გაანებებენ თავს ნებაყოფლობით, გაუცნობიერებელი კანონზო-

---

* ძველ ქართულში იტყოდნენ: „მომაპყარი ეგე სასმენელნი შენნი" და ეს ნიშნავდა: (დამაყურეო, გეყურებაო? — დიალექტშია შემორჩენილი — ც. თ. ყური მომა-ნებ-ეო ან „მომაპყარ სასმენელნი შენნი გულისანიო", რაც ნიშნავდა: გულისყური მომა-ნებ-ეო. ან მომაპყარ სასმენელნი შენნი გონ-ნების-ანიო" და ეს გულისხმობდა გა-გო(ნ)-ნებას. როცა გული, გონება და ნება ერთი სურვილის ენერგიით მოქმედებენ, როცა „გული, გონება და სული ერთმანეთზედა ჰკიდიან" (რუსთაველი), მაშინ მათი თანხმობაა Willigkeit-ია, მაგრამ ნება არამარტო თავის გულსა და გონებას იქვემდებარებს, არამედ ცდილობს, სხვა გული და გონებაც და-ი-ნებ-ოს, რათა ისიც და-ნებ-დეს მის სურვილს, რათა მანაც იგივე ი-ნებ-ოს, ამ დროს ნება თვით-ნებ-ობს, თავ-ნებ-ობს ანუ Willkürlich-ია (გერმ.), როცა ნება აპირებს იმპულსთა გაგზავნას მისი შთაგო(ნ)-ნებისათვის — Willfahren-ით და ერთის სურვილის, — ნების ენერგია მიიმართება II-ის და-ნებ-ებ-ისაკენ, თუ ვერ დაინებებს მას, ცდილობს ავნოს, ვ-ნება- ზიანი მიაყენოს; ნება-სურვილით სწრაფვისას მას სჭირდება ნებისყოფა, ნების სიმტკიცე, ნებაყოფლობითობა, ნებისმიერობა, თავისი ნების სტიქიაში ყოფნა ანუ თავისუფლება (და რადგან ნება კოსმიურ შინაარსს იტევს), ინდივიდ-ნების თავისუფლება გერმ. Willfreiheit-ია (Willen-Wollen-სურვილი), რუსულშიც ნება — Воля-დან მოდის вольность — თავისუფლება, რაც ნებაყოფლობითობაში ყოფნას ნიშნავს, და — ნების თავისუფლებას.)

მიერებით ანუ თავისდაუნებურად, მაგრამ ნებისმიერად მნებავი ენერგიით. დედამიწაშიც და ორგანიზმშიც ხდება დადებით და უარყოფით მუხტთა, კეთილ და ბოროტ ნებათა, დედალ-მამალ თესლთა, ელექტრობიოდენთა და ნივთიერებათა ცვლა.

უზენაესის ნება(მ)ზ(ე)ნე(ბ)ობრიობით მზის უანგარობაში გამოიხატება ანუ ზნეობრივია. ადამიანებში კი ნების ენერგია ბოროტ ან კეთილ მისწრაფებებით ვლინდება. ამიტომაა, რომ ადამიანი ზნეობრივია ან არაზნეობრივი იმის მიხედვით, თუ როგორი ნება აქვს თანდაყოლილად. ადამიანს სურს ანუ ნებავს ის, რასაც წარმოადგენს თანდაყოლილი ნებით. ბოროტ ნებას მხოლოდ ბოროტი მოტივი აღძრავს სამოქმედოდ, კეთილი მოტივი მას ვერ აამოქმედებს და პირიქით. ამიტომ არსებობს გამოთქმა: კეთილი ნების ადამიანები, Menschen guten Willens (გერმ.) – Люди доброй воли.

ადამიანსაც და სამყაროსაც ზნეობრივი მისია აკისრიათ. მათი საშუალებით ხორციელდება (მ)ზ(ე)-ნე(ბ)-ობრიობა ამ სამყაროში; ნების შინაგანი ენერგია განაპირობებს არსებულთა ყოველგვარი ქმედების შინაგანობას, მის არსობრივ მახასიათებელს (კეთილს თუ ბოროტს) და „ზნეობრივი წესრიგი სამყაროსი უშუალო კავშირშია ფენომენის წარმომქმნელ ძალასთან". სამყაროს არსი-ნება* იგივეობრივია ყველგან როგორც „მკრთალი გარიჟრაჟის ნათება და შუადღის კაშკაშა ნათელი ერთია, და იწოდება მზის ნათებად".

---

* ვფიქრობთ, რომ ჰიპოთეზის დაშვებას დანაშაული არასოდეს ჩაუდენია. ამიტომ არ ვიცი, რამდენად სარწმუნოა, მაგრამ ვბედავ, გამოვთქვა ჩემი მოსაზრება შემდეგი ჰიპოთეზით: ქართულ ენათმეცნიერებაში აბსტრუქტულ სახელთა მწარმოებელ -ება და -ობა სუფიქსებიდან -ება უნდა იყოს „ნება"-ს ნაწილი, რადგან ამ ორი სუფიქსიდან რომელიმეს წარმოშობა II-ის გვერდით აუხსნელი იქნებოდა, თუკი თავიდანვე მათ ერთიდაიგივე დანიშნულება და შინაარსი ექნებოდათ. ქართულში გვხვდება სიტყვათა ფორმები, სადაც არსებით სახელთან -ება-ს წინ „ნ" შენახულია და იგულისხმება ადამიანის ნება ან რომელიმე არსებულის ნება ან ადამიან-ნების მდგომარეობა მაგალითად: ღვთისნება, თვითნება, თავნება, ერთნება, სვე-ნება, მძლე-ნება, ავ(ი)ნება. ოცნება (გაოცებული ნება) პარალელურად იხმარება ოცობა და ოცება გიორგი მთაწმინდელთან.) ვფიქრობთ, რომ გონ(ნ)ებაში-ც ადამიანი გონის და ნების ძალათა ერთიანობით იგულისხმება.

ქვემოთ მოვიყვანთ ძველ ქართულში -ებ-ა და -ობა დაბოლოებით, პარალელურად ხმარებულ სიტყვებს, რაც მიუთითებს, რომ ისინი სხვადასხვა

ყველა ინდივიდუალური ნების და ბუნებრივი ძალების იგივეობრივი არსი – ნება გამომდინარეობს უზენაესის ნებიდან, მიიმართება ზენა ნებისაკენ (მ)-ზე-ნებისაკენ და უფრო მაღლა – უ-ზენა-ეს ნებისაკენ. „ჭეშმარიტ სიმბოლოდ ბუნებისა ყოველთვის და ყველგან ითვლება წრე, რომელიც წარმოადგენს დაბრუნების სქემას. იგი არის საერთო ფორმა ბუნებაში და ჩნდება ყველაფერში დაწყებული მნათობთა მოძრაობიდან ორგანულ არსებათა წარმოშობამდე და სიკვდილამდე" – გვეუბნება შოპენჰაუერი.

მნიშვნელობით იხმარებოდნენ და სადაც ჩვენ „ნ"-ს აღვადგენთ, რაკი ვგულისხმობთ მას ადამიანი-ნების მდგომარეობის გამომხატველ „ნ-ების" ნაწილად. (რადგან მსგავსი მნიშვნელობით ზემოთ ჩამოთვლილ სიტყვებში - ნ- შენარჩუნებულია ღვთისნება, თვითნება და ა. შ.) მაგ.: ერთად იხმარება:

კაც(ნ)ება – კაც-ობა
ცხოველ(ნ)ება – ცხოველ-ობა
უბინო(ნ)ება – უბინო-ობა
ცხენ(ნ)ება – ცხენობა
ურწმუნო(ნ)ება – ურწმუნო-ობა
მარტივ(ნ)ება – მარტივ-ობა
ნეტარ(ნ)ება – ნეტარ-ობა
ბოროტ(ნ)ება – ბოროტ-ობა
მწუხარ(ნ)ება – მწუხარ-ობა
მადლიერ(ნ)ება – მადლიერ-ობა
ღირს(ნ)ება – ღირს-ობა
უბრ(ნ)ება – უბრ-ობა
თვითსრულ(ნ)ება – თვითსრულობა
სრულყოფილ(ნ)ება – სრულყოფილობა
სათნო(ნ)ება – სათნო-ება
კეთილ(ნ)ება – კეთილ-ობა
მშვედ(ნ)ება – მშვიდ-ობა
დიდ(ნ)ება – დიდ-ობა
წყნარ(ნ)ება – წყნარ-ობა
სრულ(ნ)ება – სრულ-ობა
ზესთა(ნ)ება – ზესთა-ობა
ზე(ნ)ება – ზე-ობა
არს(ი)(ნ)ება – არს-ობა
ქმნილ(ნ)ება – ქმნილ-ობა
აღმკულ(ნ)ება – აღმკულ-ობა
უმეცნე(ნ)ება – უმეცნე-ობა
უმსგავსო(ნ)ება – უმსგავსო-ობა
მოძრავ(ნ)ება – მოძრავ-ობა
უზომო(ნ)ება – უზომო-ობა
სულიერ(ნ)ება – სულიერ-ობა
ენაკეთილ(ნ)ება – ენაკეთილ-ობა
მეცნიერ(ნ)ება – მეცნიერ-ობა

სიტყვიდან გაგონება») → გო(ნ)ნება, → უ-გო(ნ)ნებო → უგუნებო – (ადამიანია). ზოგან „ნ" შემონახულია ადამიანის მდგომარეობის ან როგორობის აღსანიშნავად მოყვანილ სიტყვებში: ამპარტავნება, (იგულისხმება ამპარტავანი ნება – ადამიანი) აღტყინება, დაყუდნება, ხშირად ნების მაგიერ იხმარება „ნები": გამგნები, მკურნები, მიმგნები, სათაყვანები და ა. შ. (სადაც ზოგან მეორე „ნ" დაკარგული უნდა იყოს). „ვეფხისტყაოსანშიც" მაგალითად. „ჩვენ ხრმალსა მივცეთ მძლენები". აქ „ნება – „ნები" იხმარება ძალის, ენერგიის მნიშვნელობით, ხოლო „ნუ სდევ წადილთა ნებასა" გულისხმობს წადილ(ნ)ებას ნება-სურვილს (რომელიც შოპენჰაუერთან ძალა-ენერგიაა) „ვითა მე მივხედი წადილსა – ჩემის გულისა ნებასა" (რუსთაველთან). სხვათაშორის წადილ(ნ)ება იხმარება წადილობის პარალელურადაც. პირველი შემთხვევაში -ება „ნების" ნაწილი უნდა იყოს და იხმარება ადამიანის სურვილ-ნების მნიშვნელობით, ხოლო მეორე შემთხვევაში წადილ-ობაში -

ვფიქრობთ, რომ შოპენჰაუერის მეტაფიზიკური ნება არის ღმერთი, ხოლო ინდივიდუალურ ნებათა მატერიალური ფორმები სამყაროში – მისი ნების კანონზომიერებითი გამოვლენა. ზენა ნებას და ინდივიდუალურ ნებათა შორის ისეთივე მიმართებაა, როგორც მზესა და მზის უთვალავ სხივებს შორის. ზენა-ნებაზე მაღლა უნდა იყოს უ-ზენა-ესი, როგორც დიდთან მიმართებაში უ-დიდ-ეს-ი, მშვენიერთან – უ-მშვენიერ-ეს-ი, მხურვალესთან – უ-მხურვალ-ესი და ა. შ. მაშასადამე, რაკი არსებობს უ-ზენა-ესი, უნდა არსებობდეს – ზენა – ნებაც, ზენა ენერგიაც ისევე როგორც უდიდესთან – დიდი და ა. შ. ზენაში (მ)ზე ნება – ენერგია იგულისხმება, რომელიც უზენაესი ნების მსგავსია სიკეთით. თუ „ნება" მართლაც კოსმიურ შინაარსს იტევს, მაშინ იგი მთელს სამყაროში ერთი მნიშვნელობის იქნება და ყველა ეროვნების ადამიანისათვის საერთო სუბსტანციაა. ამიტომ ეპოქათა შეუსაბამობის მიუხედავად შოპენჰაუერის „ნების" კოსმიურ იგივეობრივ ენერგია – არსად წარმოდგენა და სიტყვა „ნების" განსაკუთრებული სიუხვით ჩანნულობა ქართულ მეტყველებაში უნებლიედ შეგვახსენებს X საუკუნის ქართველი მოაზროვნის იოანე ზოსიმეს ნათქვამს, რომ „ყოველი საიდუმლო ამა ენასა შიგან დაფარულ არს".

ობა აბსტრაქციის გამომხატველია ასევე: „მაგრამ მზე თინათინნებდა" („ვეფხისტყაოსნიდან") – მზეს თინათინის ნების მსგავსება სურდაო. ან „ისმინე ჩემი თხრობილი, შეჯე, წავიდეთ ნებასა" ე. ი. ნება-სურვილის ძალას, ენერგიას წავყვეთო, ნების ძალის მიმართულებით წავიდითო.

თუ -ება და -ობა ერთი დანიშნულების – აბსტრაქციის გამომხატველი სუფიქსებია, რატომ წარმოიშობოდა ერთის მაგიერ ორი ერთგვაროვანი სუფიქსი.

ზემოთ მოყვანილი სიტყვები წარმოადგენს არასრულ ჩამონათვალს იმ ქართული სიტყვებისა, სადაც „ნება" იგულისხმება. ეს კი მის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე მიუთითებს და გვაფიქრებინებს, ხომ არ არის მასში ის კოსმიური დანიშნულების საიდუმლო მისია, რომელიც იოანე ზოსიმემ იგულისხმა მეტაფიზიკური ნების ანუ „ნება-ნებათაჲ-ს და ინდივიდუალური ნებების (თვითნებას, თავნებას, აკ-ნებას, სვე-ნებას, მძლენებას და სხვათა) სახით?

მაშასადამე, თუ ორივე -ება და -ობა სუფიქსები ერთი დანიშნულების – აბსტრაქციის აღმნიშვნელად წარმოიშვა, რა საჭირო იქნებოდა ორივე ფორმა? ვფიქრობთ, იმიტომ, რომ, ორივე არ გამოხატავდა საგნის აბსტრაქციას, არამედ საკარაუდოა, რომ -ება იყო „ნება" სიტყვის ნაწილი, ხოლო -ობა – ზოგადობის, აბსტრაქციის აღმნიშვნელი სუფიქსი. უძველეს ხანაში, როცა „ნებამ" დაკარგა „ნ" და დარჩა -ება-ს სახით, მან თანდათან, საუკუნეთა მანძილზე, -ობას ანალოგიით შეიძინა მისი შინაარსი და დანიშნულება.

ა. შოპენჰაუერის დამოკიდებულება რელიგიებისადმი*

ამ თავში შევეხებით შოპენჰაუერის დამოკიდებულებას ზოგადად რელიგიასთან. შოპენჰაუერი ცნობილია, როგორც თავგამოდებული ათეისტი, რაც ამგვარ არგუმენტს ეყრდნობა: შოპენჰაუერი წინააღმდეგია ტრადიციული თეოლოგიისა, მისი დოგმების, სასწაულების და რიტუალებისა. ხშირად თავის ნაშრომებში ცინიკურ ტერმინებსაც ხმარობს, რომ ყოველივე ეს მოგონილია ადამიანთა მიერ გულუბრყვილო თავების დასარწმუნებლად. იგი აკრიტიკებს პანთეიზმს, კათოლიციზმს, პროტესტანტიზმს, იუდაიზმს და სხვა რელიგიებს, გარდა ბუდიზმისა და საერთოდ ქრისტიანობისა, რადგან, მისი სიტყვით, „ქრისტიანობა სასიკეთოა ოპტიმიზმით"[1], „Die christliche Glaubenslehre dem Optimismus günstig sei"[1] ამასთან, ქრისტიანობა გამოირჩევა „შესაშური ცხოვრებით და გულთა მშვენიერებით". .. beneidenswerthe Leben gar vieler Heiligen und schöner Seelen unter den Christen"[2] იგი ბუდიზმსა და ბრაჰმანიზმს ენათესავება სულის უკვდავებით, ცოდვათა გამოსყიდვით, ასკეტიზმით, ზნეობრივი პრინციპების სიმაღლით, სულით და ეთიკური მიმართულებით, თვით მტრის სიყვარულითაც კი, და რომ უფრო მისაღებია ახალი აღთქმა, ვიდრე ძველი, რადგან ახალ აღთქმაში ნათქვამია: ასეთი სამყარო, სადაც ეშმაკი მძლავრობს, არ უნდა გვიყვარდესო. ამითაა გასაგები ასკეტური სულით საკუთარი „მეს" უარყოფა და ამითვე – ამ სამყაროზე გამარჯვება, „რომელიც უარესია ყველა სამყაროთა შორის"; შოპენჰაუერი ლაპარაკობს მარტინ ლუთერზეც, რომელიც მართალი იყო პრაქტიკული წესებით, როცა იმ ნაკლთა აღმოფხვრა უნდოდა, როგორითაც იყო აღსავსე მაშინდელი კათოლიკური ეკლესია. იგი აღნიშნავს, რომ ლუთერისდროინდელ კათოლიციზმში უფრო მეტი ბოროტება იყო, ვიდრე პროტესტანტიზმში. რომ ლუთერი მართალია მათდამი დამოკიდებულებით, მაგრამ მართალი არ იყო, „როცა შეეხო ასკეტიზმს – თვით ქრისტიანობის გულს" და ამით ძალზე შორს წავიდა, რაკი უგულვებელყოფილ იქნა ასკეტიზმის

1 A. Schopenhauer, Sämmtliche Werke... 1908. s. 384.
2 იქვე, გვ. 452.

პრინციპი. ძალდატანებული ოპტიმიზმი ფილოსოფიაშიც და რელიგიაშიც გზის აბნევაა, რომელიც წინ ელობება ჭეშმარიტებასო – აღნიშნავს იგი: „კათოლიციზმი ქრისტიანობის ცუდად გამოყენებაა, ხოლო პროტესტანტიზმი – დამახინჯებული ქრისტიანობა“. ასე რომ „ქრისტიანობას... წილად ერგო ის, რაც შეხვდება ხოლმე ყველაზე კეთილშობილს და ამაღლებულს, როგორც კი ბრბოს ჩაუვარდება ხელში“[1] – გვეუბნება ფილოსოფოსი ამრიგად, შოპენჰაუერი რელიგიათა შორის გამორჩეული პატივისცემით ბუდიზმისა და ქრისტიანობის პრინციპებს ასახელებს.

შოპენჰაუერის ფილოსოფიური მოძღვრება გვაგონებს არისტოტელეს მოძღვრებას, რომელიც ბუნების თეორიასა თუ კოსმოლოგიაში მატერიალისტურ თვალსაზრისს იცავდა და აკრიტიკებდა პლატონის იდეალიზმს, მაგრამ ბოლოს თავისი მატერიალიზმი ღმერთის არსებობის იდეას დაუქვემდებარა. შოპენჰაუერთანაც ბუნების თეორია და კოსმოლოგია აგებულია მატერიალისტურ თვალსაზრისზე, რომ სამყარო არის მატერიალურ ფორმა-ნებათა კოსმიური ენერგია, რომ მატერიალური სამყარო კანონზომიერებით, ჰარმონიით, წესრიგით, მატერიისათვის დამახასიათებელი კანონების და ნიშან-თვისებების მკაფიოდ გადმოცემული მაგალითებით შოპენჰაუერის მიერ, არის აგებული და გამომდინარე მეტაფიზიკური ნებისგან, რომელსაც მიგვანიშნებს ღმერთად. მისი აზრით, ფილოსოფია ვერ ფლობს საშუალებებს იმისათვის, რომ დაასაბუთოს ღმერთის როგორც მოქმედი საწყისი მიზეზის არსებობა, რომ ჩვენ მხოლოდ ნაწილობრივი ფრაგმენტები გვაქვს საამისოდ და არა მთლიანი, სავსე ფაქტები, რადგან მეტაფიზიკას სჭირდება შინაგანი და გარეგანი ცდა. მხოლოდ აპრიორიზმი ცდის გარეშე მის დასაბუთებას ვერ შეძლებს. მისი აზრით, ყოველი ჭეშმარიტი ფილოსოფია ათეოლოგიური უნდა იყოს იმ გაგებით, რომ არ უნდა იყენებდეს თეოლოგიის საშუალებას – რწმენას, მან თავისი საშუალებები – ცდა და დასაბუთება – უნდა გამოიყენოს. ისინი საშუალებებით თუ არ გაიმიჯნებიან, თავიანთ დამოუკიდებელ არსებობას ვერ გაამართლებენ. მეცნიერება მოითხოვს, არ ამტკიცო იმის არსებობა, რის დასაბუთებაც არ შეგიძლია. ამ პუნქტშიც

3 А. Шопенгауэр, Мир, как воля.... т. 2, 1896, с. 719.

შოპენჰაუერი იზიარებს კანტის აზრს, თუმცა ამგვარი გააზრება არ ნიშნავს მათ ათეისტობას. რადგან ღმერთი სამყაროს და ცნობიერების გარეთაა, ფილოსოფია კი სამყაროს შინაგან მოვლენებს იკვლევს, ღმერთის საკითხის მიმართ მან დუმილი უნდა ამჯობინოს – ამბობს იგი. შოპენჰაუერის მოძღვრებაში მეტაფიზიკური ნების საიდუმლო მისტერია სინდისის და თანაგრძნობის შინაგან სურვილში, შინაგან თვითგრძნობაში ეძლევა ადამიანს, ესაა სწორედ მინიშნება ადამიანში ღვთაებრივის არსებობაზე. ამის მიხედვითაა ადამიანში მეტაფიზიკა მშვენიერების, მეტაფიზიკა ეთიკის, მეტაფიზიკა ქცევის, მეტაფიზიკა ნების... აქ ყველგან ნაგულისხმევია ღვთაებრივის გამოვლენა (ამ სფეროთა მიხედვით) ადამიანში. მართალია, თავისი ფილოსოფიით იგი ემიჯნება ყველა რელიგიას, რადგან მიაჩნია, რომ ყოველი ტრადიციული რელიგია არის ადამიანის აპრიორული იდეა ღმერთზე, რომელიც ვერ ექვემდებარება ცდას, ხოლო რაც ცდას ვერ ემყარება, ვერ დასაბუთდება, მაგრამ საშუალების არქონა რაიმე „საგნის" დასასაბუთებლად არ ნიშნავს ამ „საგნის" არარსებობას. ასევეა ღმერთის იდეის მიმართაც. იგი ამბობს, რომ ადამიანი ვერ არის შემძლები ვერც ღმერთის არსებობის, ვერც მისი არარსებობის დასაბუთებისა, თუმცა ჩვენ მას შევიგრძნობთ შინაგან თვითგრძნობაში, თუნდაც მარტოოდეს სინდისისა და თანაგრძნობის საიდუმლო მისტერიის სახით, რომლის არსებობითაც ვგრძნობთ, რომ იგი მეტაფიზიკურის (ღვთაებრივის) მოქმედებაა ჩვენში.

შოპენჰაუერს ბევრი საერთო აქვს პლატონის მოძღვრებასთან იმით, რომ, პლატონის იდეათა მსგავსად, შოპენჰაუერის ინდივიდთა განვითარების საფეხურები დაბლიდან მაღლისაკენ მისწრაფებაშია. როგორც აღვნიშნეთ, არაორგანული ნებები თავისთავს ავლენენ თვითგანმტკიცების, თვითშენახვის გაუცნობიერებელი („სურვილით") ინსტინქტით, ორგანული ნებები – სიცოცხლისაკენ სწრაფვის „სურვილით", ხოლო ადამიანში – გაცნობიერებული მიზნობრივი სურვილებით. გვართა (იდეათა) ამაღლება არ წყდება სიკვდილ-სიცოცხლეშიც. სიკვდილშიც ხდება ერთი ინდივიდუალობის გარდაცვლა მეორე ინდივიდუალობაზე უფრო ახალი, ამაღლებული ფორმით დაპადებაში. თუ პლატონთან ღმერთამდე უმაღლესი იდეა

სიკეთის იდეაა, და იგი კარგად ჩანს ღმერთის ხატში – მზეში, აქაც, შოპენჰაუერთან, სამყაროში გამოვლენილ ნება-ენერგიათა შორის უმაღლესია მზე-ნება-ენერგია, რომელიც აგრეთვე სიკეთით და (მ)ზ(ე)ნე(ბ)ობრიობით – ზნეობრიობით უმაღლესი და მისაბაძია ინდივიდუალურ ნება-ენერგიებისთვის.

როგორც ვიცით, ღმერთის დასაბუთების სამგვარი დაშვებიდან (ფიზიკოთეოლოგიური, კოსმოლოგიური და ონტოლოგიური) კანტმა სამივე უარყო, ბოლოს ღმერთის დასაბუთების ონტოლოგიური შეუძლებლობა დაამტკიცა და დატოვა მხოლოდ მისი რწმენა. თავისთავადი ნივთი მასთან ზეგრძნობადი სფეროა, სადაც ღმერთის არსებობა მხოლოდ რწმენითაა დაშვებული. შოპენჰაუერმა ღმერთის ონტოლოგიური დასაბუთების შეუძლებლობის დადგენა კანტის მიერ მის უდიდეს დამსახურებად მიიჩნია.

როდესაც ფიხტემ თავისთავადი ნივთი მოხსნა, კანტმა აღშფოთებით წამოიძახა: ღმერთო! დამიფარე ამგვარი მეგობრებისაგან, მტრებს კი თავად გავუსწორდებიო. კანტმა მაშინ წინასწარ განსაზღვრა ფიხტეს, შელინგის და ჰეგელის იდეალიზმის მცდარობა. შემდეგ ფიხტემ, შელინგმა და ჰეგელმა თავისთავადი ნივთის მოხსნით უკეთესი გზის აღიარება მოიპოვეს ოპტიმიზმის გამო. შოპენჰაუერს თავისთავადი ნივთის ძალაში დატოვებით კანტისა და ჭეშმარიტების ერთგულება ჰქონდა მიზნად დასახული. კანტს რომ შეძლებოდა შოპენჰაუერის თხზულებათა წაკითხვა, იტყოდა, რომ ბერკლის სოლიფსიზმთან მას საერთო არაფერი აქვს, რადგან სამყარო როგორც წარმოდგენა იდეალურია, როგორც ცნობიერებაში აგებული, ხოლო რეალურია, როგორც თავისთავადი ნივთი – ნება. შოპენჰაუერი კანტის გზას აგრძელებს და ღმერთის არსებობის დასაბუთებას ზნეობრივი სფეროთი ცდილობს. ამისთვის, უწინარეს ყოვლისა, მან სამყარო უნდა გამოიყვანოს I საწყისიდან, რომელიც იქნება თავად უძრავი და ყოვლის მამოძრავებელი, თავად უსაფუძვლო და ყოველთა საფუძველი. მაშასადამე, მოკლედ უნდა ითქვას შემდეგი: ქაოსური სამყაროდან მეტაფიზიკური ნება – „ყოველივეს საფუძველი და თვითონ უსაფუძვლო“ – ქმნის პირველ მოძრაობებს, პირველ წესრიგს, შემდეგ კოსმიური ენერგიით (რომელიც მატერიისათვის დამახასიათებელი

თვისებების გარდა არის თვითშენახვის, სიცოცხლისაკენ სწრაფვის, სურვილის ენერგია) ქმნის ყოველ არსებულს: ბალახ-ნებას, მატლ-ნებას, ფრინველ-ნებას, ცხოველ-ნებას, ადამიან-ნებას, და ა.შ. შემდეგ რომლებიც თავისი გვარ-გენის პირველი ჩანასახებით გაუცნობიერებელი სწრაფვით ვითარდებიან და გადადიან ამაღლებულ ფორმებში. ისინი ინდივიდუალური კოსმიური ენერგიებია – ნებებია, რომელი ნებაც ადამიანში აღწევს თვითცნობიერებას, რომ მასში ყველაფერი მოძრაობს სურვილის ან უსურველობის და სიცოცხლისაკენ სწრაფვის ენერგიით. "... bis dahin ohne Erkenntniß als blinder Drang, so jezt, mit Erkenntniß. bewust und besonnen"[1] „ნება, რომელიც, აქამდე გაუცნობიერებელი, ბრმად მიისწრაფოდა, ახლა ადამიანის საფეხურზე (შემეცნებაში) არის გაცნობიერებული და გააზრებით განათებული"[1]. სამყაროში სიცოცხლის და სურვილის ნებად გამოვლენილი კოსმიური ენერგია იგივეობრივი კანონზომიერებით მოქმედებს ბუნებაშიც, ყოველ სულიერშიც და ადამიანშიც.

ნების კოსმიური ენერგიის გამოვლენა ეხება სიკვდილ-სიცოცხლესაც, „დაბადებასა და სიკვდილს, რომლებიც ერთმანეთის კორელატები არიან, ანეიტრალებენ, ინახავენ და ენაცვლებიან ერთმანეთს"[2] "Geburt und Tod gehören eben zur Erscheinung des Willens"... ... "Zeugung und Tod wesentliche Korrelate sind, die sich gegenseitig neutralisieren und aufheben".

ყველა არსებულის ნება მარადიულად გადადის დედამიწაში, რომელიც არის ნების ამლები – სიკვდილისას, ხოლო ნების მიმცემი – დაბადებისას, აქ ნაჩვენებია ენერგიის მარადიულობა, მისი შენახვისა და ახალ თვისებრიობაში გარდაქმნის მუდმივობის კანონის განხორციელება. როგორც მარადიულ მოძრაობაშია მიწა, დღე-ღამე „მზის ამოსვლა-ჩასვლა და შუადღის ნათება, ასევეა ინდივიდიც, იგი კვდება როგორც მოვლენა, მაგრამ ნებით „ გვარ-გენით, მარადიულ განახლებაშია"[3]. "Die Erde wälzt sich vom Tage in die Nacht; das

---

1 A. Schopenhauer... Sämmtliche Werke, Bd 2. Viertes Buch Der Welt als Wille ... 1908, s. 336.

2 A. Schopenhauer... Sämmtliche Werke, Bd 2. 1908 s. 324-325.

3 A. Schopenhauer... Sämmtliche Werke, Bd 2. 1908 s. 331.

Individum stirbt: aber die Sonne selbst brennt ohne Unterlaß ewigen Mittag" შოპენჰაუერი გვეუბნება, რომ „დაბადებულთ, რომლებშიც მეორდება მშობელთა ყველა თვისება, ცხადია განცდილი აქვთ სიკვდილი". იგი იზიარებს პალინგენეზის მოძღვრებას სხეულის გახრწნა-დაშლის შესახებ, რომლისგანაც რჩება ნება – „სულის რეალური ნაწილი", რომელიც გარკვეულ პირობებში მოხვედრისას კვლავ ახალი არსებობის საფუძვლად იქცევა. ადამიანი საზრდოს სახით დედამიწიდან იღებს იმ კომპონენტს, რომელიც მამრში მოხვედრისას იქცევა ნების, ხოლო მდედრში – ტვინის სფეროს შემქმნელად[1].

შოპენჰაუერი, სამყაროს აგებს მატერიალურ-კოსმიური ენერგიით, ხოლო მეტაფიზიკურ ნებას თუმცა არსად არ უწოდებს ღმერთს, მაგრამ გულისხმობს მის არსებობას სამყაროსა და ადამიანის ზნეობრივი მისიისა და მისკენ ენტელექიური სწრაფვის ნათელყოფით. მეტაფიზიკური ნების, ანუ ღმერთის არსებობას ჩვენში მიგვანიშნებს ღვთაებრივი „საიდუმლო მისტერიებით": პასუხისმგებლობის, დანაშაულის სინანულის, სინდისის, თანაგრძნობა-თანატანჯვის მისტერიით (როცა ჩემი თავის მეორის ადგილას წარმოდგენისას „არამე" იქცევა „მე"-დ. ადამიანის სიყვარულის მისტერიით, როცა სიყვარულის სულით ერთი ადამიანი თავს სწირავს მეორისათვის, რომელსაც პირველად ხედავს), პალინგენეზის მისტერიით (როდესაც ნების შენარჩუნებით ერთი ინდივიდუალობა გარდაიცვლება მეორე ინდივიდუალობად) და სხვა მისტერიებით ადამიანი თავის თვითცნობიერებაში ღმერთის მოქმედებას – მეტაფიზიკურის მოქმედებას აღმოაჩენს. იგი შემოდის ადამიანის გულში, რომელიც არის ნების სფერო სხეულში და აფხიზლებს, აფრთხილებს მას იმ არჩევნისათვის, რომლის თავისუფლებასაც უტოვებს. შოპენჰაუერის აზრით, განსაკუთრებით სინდისისა და თანატანჯვის გრძნობებით მეტაფიზიკურის, ღვთაებრივის მოქმედებაა ჩვენში, ანუ როგორც კანტი უწოდებს, „ზნეობრივი კანონი ჩემში".

შოპენჰაუერის თვალსაზრისით, მზე, უმაღლესი კოსმიური ენერგია, არის მაგალითი ინდივიდუალური ნებებისათვის თავისი ამოსვლა-ჩასვლით, თავისი ნების მარადიული განახლების და

უანგარო სიკეთის მაგალითებით. აქ გვაგონდება, რომ მზე ღმერთის ხატია პლატონთან, პეტრე იბერთან, რუსთაველთან, ხოლო არისტოტელეს – „პლანეტარულ შეხედულებებში" ერთი საფეხურით დაბლაა ღმერთზე, შოპენჰაუერთან კი მეტაფიზიკურ ნებაზე (ქართულში უ-ზენა-ეს ნებაზე). უზენაესი ნება ზენა არსის – მზე-ნების მაღლა მდგომია ქართულში; (მ)ზ(ე)ნე(ბ)ობრიობით ზნეობრიობით აიხსნება ინდივიდუალურ ნება-ენერგიათა „სულის აღმასვლით" სწრაფვა ღმერთის ხატის – მზის ენერგიისაკენ და მეტაფიზიკურ ნებისკენ.) შოპენჰაუერმა ნაწილობრივ მაინც ჩამოხსნა მას „მაიის საფარველი" და უწოდა მეტაფიზიკური ნება და არ უწოდა ღმერთი (ადამიანისათვის მისი არსებობის დასაბუთების შეუძლებლობის გამო), მაგრამ იგულისხმა მასში, როგორც სამყაროს ზნეობრივი წესრიგის შემოქმედი და აუცილებლობა, სხვაგვარად როგორ შეიძლება გაგება წინადადებისა „სამყაროს და ადამიანს ზნეობრივი მისია აკისრიათ". ღმერთის გარდა ვის შეუძლია ამგვარი მისიის დაკისრება ადამიანისათვის? ამასთან, ღმერთის იდეის საკითხის განხილვისას მას სწორად მიაჩნია მხოლოდ დუმილი, ასეც იქცევა და ჩვენ ასე ვხსნით ამ დუმილისკენ მოწოდებას: ღმერთს არ სურს ადამიანი პასუხისმგებლობის, დანაშაულის შეგრძნების, სინდისის, თანაგრძნობის, თავგანწირვის სურვილის გარეშე დატოვოს. მას სურს, ადამიანს არ ნაართვას საკუთარი ქმედებების გამო პასუხისმგებლობა (წინააღმდეგ შემთხვევაში ის ყოველ დანაშაულს ღმერთს გადააბრალებს), ხოლო სამყაროს ზნეობრივი წესრიგისათვის დატოვოს ზნეობრიობისაკენ ადამიანის სწრაფვა. ღმერთი ყველაფერს აძლევს ადამიანს ჰარმონიის, წესრიგის, მშვენიერების, ზნეობის (მზის უანგარო ნების) მაგალითებით, რათა მან სამყარო მოიხმაროს მხოლოდ საკუთარი პასუხისმგებლობით, სამართლიანად, კანონზომიერად და ზნეობრივად, წინააღმდეგ შემთხვევაში ყველა კატასტროფული მოვლენის შედეგებზეც ადამიანმა უნდა აგოს პასუხი. ამიტომ აძლევს ადამიანს იგი ნებისა და არჩევანის თავისუფლებას. ღმერთი არასოდეს არ დაუშვებს, რომ ადამიანს მისი არსებობის დასაბუთების უეჭველი არგუმენტი მისცეს. არისტოტელეს მსგავსად, კანტი და შოპენჰაუერი ფიქრობდნენ, რომ ადამიანი მორალური რომ იყოს, ამისათვის

საკმარისი არ არის მეცნიერული ცოდნა, უფრო მთავარია ზნეობრიობა, ხოლო ზნეობრიობისათვის აუცილებელი არ არის ღმერთის არსებობის დასაბუთება. შოპენჰაუერი იზიარებს კანტის აზრს, რომ ადამიანი შეიძლება მორწმუნე იყოს ან არ იყოს, მაგრამ თავისი მორალის სიწმინდისათვის აუცილებლად არ უნდა მიაჩნდეს რელიგიის მოშველიება, მისი ქცევა არ უნდა განისაზღვრებოდეს საიქიოში დასჯის ან დასაჩუქრების მოლოდინით. ამ პუნქტით თვლის შოპენჰაუერი მოწინავედ კანტის ეთიკას ადრინდელ მოძღვრებებთან შედარებით და ამბობს, რომ ფილოსოფიამ „არ უნდა მოირგოს თეოლოგიის შლეიფი", რადგან მეცნიერების დასაბუთების საშუალება რწმენა კი არა, ცდისა და აპრიორული განსჯის ერთიანობა უნდა იყოს. ერთადერთი, რასაც ევალება ღმერთის არსებობის ან არარსებობის დასაბუთება, ფილოსოფიაა, მაგრამ „რადგან ის ადამიანის გონების ფარგლებს გარეთ თავის საშუალებებს ვერ გამოიყენებს, ამ საკითხზე დუმილი უნდა არჩიოს". Philosophie ... auch diejenige Stimmung des Gemüthes, welche allein zur wahren Heiligkeit und zur Erlösung von der Welt führt..."[1]

ამიტომ შოპენჰაუერის ეთიკაში ადამიანის მორალურობისათვის აუცილებელიც კი არის, რომ ეთიკა თავისუფალი იყოს ღმერთის ცნებისაგან, მიუხედავად იმისა, სწამს იგი თუ არა. მისი ზნეობრიობისათვის ის არ მოითხოვს ღმერთის არსებობის დასაბუთებას, პირიქით, დუმილს უფრო სწორად თვლის, რადგან სწორედ ღმერთის არსებობის მეცნიერული დასაბუთების დაკანონების შემთხვევაში მოიხსნებოდა ადამიანის ნების თავისუფლება, და პასუხისმგებლობა ადამიანიდან ღმერთზე გადავიდოდა; „ადამიანი რომ არ იბადება ზნეობრივ ნულად", აქაც ჩანს ნების უკვდავება და ზნეობრივი ბაზისის მარადიულობისაკენ სწრაფვის რეალური ფაქტი. იმიტომაა დაჯილდოებული ადამიანი თავისუფლებით, რომ მას შეუძლია გამოიყენოს თანდაყოლილი არსი – ნება კეთილის გასაძლიერებლად, რათა შემეცნების სიღრმით სწორი ორიენტაცია აირჩიოს და უზრუნველყოს საბოლოო ბედნიერების ღირსეულობა, ადამიანის ეს წმინდა ზნეობრიობა მოიხსნებოდა, თუ საკუთარი დანაშაულის პასუხისმგებლობაც გადატანილი იქნებოდა ღმერთზე,

1 A. Schopenhauer... Sämmtliche Werke, Bd 2. 1908 s. 323.

მისი „ზნეობრიობა“ იქნებოდა მხოლოდ ნიღაბი და ფარისევლობა დასაჩუქრებისა და დასჯის შიშით. ამიტომ ღმერთი არ დაუშვებს, რომ მისი არსებობა (რწმენის გარდა), იყოს ადამიანისაგან ეჭვის გარეშე, ფაქტებით, უეჭველი მეცნიერული არგუმენტაციით დასაბუთებული. ერთი მხრივ, ადამიანი დაჯილდოებულია თავისუფლებითა და პასუხისმგებლობით, რითაც ღმერთმა იგი დატოვა სამყაროში მის ბატონად და თავისი სურვილებით მმართველად, მეორე მხრივ – იგი დასჯილია, რადგან მძიმეა თავისუფლებისა და პასუხისმგებლობის ტვირთი: Hatte das alte Testament die Welt und den Menschen zum Werk eines Gottes gemacht, so sah das Neus Testament um zu Lehren, das Heil und Erlösung aus dem Jammer dieser Welt nur von ihr selbst ausgehen kann, sich genötigt, jenen Gott Mensch werden zu lassen. Des Menschen Wille ist und bleibt es, wovon alles für ihn abhängt"[1] „ძველი აღთქმით, სამყარო და ადამიანი ღმერთმა შექმნა, ხოლო ახალი აღთქმა გვიჩვენებს, რომ მანვე აიძულა ადამიანი ამქვეყნიური უბედურებებისაგან თავდახსნა და კეთილდღეობა მხოლოდ თვითონ, თავისი თავით შეძლოს, ამისათვის მიატოვა ღმერთმა ადამიანი. ადამიანური ნება-სურვილი რჩება იმად, რისგანაც ყველაფერი ადამიანისგანვე გამომდინარეობს და მასზეევა დამოკიდებული“[1].

ეს ციტატა არის ამხსნელი იმისა, თუ რატომ მიანდო ღმერთმა ადამიანს თავისუფლება, რომ თავისი სურვილებით მართოს სამყარო, და დასაბუთებაც იმისა, რომ შოპენჰაუერი არის დეისტი. რა არგუმენტებით ვიცავთ მეტაფიზიკური ნების და ღმერთის იგივეობას?

1. შოპენჰაუერის განსაზღვრით, მეტაფიზიკური ნება არის „ყოველთა საფუძველი და თავად უსაფუძვლო“ მეტაფიზიკური ნება, ანუ „თავისთავადი ნივთი ამ გრძნობად სამყაროს მრავალრიცხოვან გამოვლინებაში შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი და მათში გამოვლენა შეუძლია როგორც მხოლოდ ერთიან და იგივეობრივ არსს“[2]. ღმერთიც ერთია, იგივეობრივი, ყოველთა საფუძველი და თავად უსაფუძვლო. მეტაფიზიკური ნება და ღმერთი იდენტური რომ არ იყვნენ, მათ ზუტად ერთი და იგივე ატრიბუტები არ ექნებოდათ.

---

1 A. Schopenhauer... Sämmtliche Werke, Bd 2. Leipzig, 1908 s. 384.

2 А. Шопенгауэр, Свобода воли и основы морали, 1896, ст. 353.

2. ვინ შეიძლება იყოს „ტანჯვის სამყაროს" მომვლენელი, „სიკვდილის განაჩენის" გამომტანი, სამყაროსა და ადამიანისთვის „ზნეობრივი მისიის" დამკისრებელი, თუ არა უმაღლესი გონება და უმაღლესი მსაჯული – ღმერთი, იდენტური მეტაფიზიკური ნებისა, რომელიც, შოპენჰაუერის სიტყვით, „ყველაფერშია და მის გარეშე არაფერი არ არსებობს".

3. სიტყვა „ღმერთის" ნაცვლად იგი გვთავაზობს „მეტაფიზიკურ ნებას", რათა გვიჩვენოს, როგორაა შესაძლებელი მისგან სამყაროს აგება. არ ამბობს არც იმას, რომ ღმერთი არსებობს და არც იმას, რომ არ არსებობს; და ამბობს: „ფილოსოფია არის ერთადერთი, რომელსაც ეხება არსის კვლევა"[1]... მაგრამ „ფილოსოფიამ ღმერთის შესახებ დუმილი უნდა არჩიოს"[2]... „ამიტომ კითხვას, რა შეიძლება იყოს ნება, ანუ რა არის ის თავისთავად, ჩვენ უპასუხოდ ვტოვებთ"[3] – გვეუბნება შოპენჰაუერი.

4. სამყაროში ღმერთმა მხოლოდ ადამიანს მიანდო თავისუფლება და პასუხისმგებლობა. რა მისია ექნებოდა ადამიანს ზნეობრივი თავისუფლების და პასუხისმგებლობის გარეშე? ამიტომ რჩება მეტაფიზიკური ნება – ღმერთი x-ად სამყაროში.

5. „ზნეობრივი წესრიგი სამყაროსი უშუალო კავშირშია ფენომენის წარმომქმნელ ძალასთან" – გვეუბნება შოპენჰაუერი. ვინ შეიძლება იყოს ფენომენის წარმომქმნელი, სამყაროს ზნეობრივი წესრიგის და ფენომენის დამაკავშირებელი, თუ არა ღმერთი – ზემოთ ჩამოთვლილი ატრიბუტების მატარებელი, იგივე მეტაფიზიკური ნება?

6. ჩვენი ცნობიერების საზღვარს გარეთ არსებული ღმერთის არსებობის დასაბუთების შეუძლებლობა არ ნიშნავს მის არარსებობას და არც მისი რწმენის არარსებობას შოპენჰაუერში, ისევე, როგორც კანტში.

ამრიგად, შოპენჰაუერი დეისტია, რომელსაც სწამს ღმერთი, რომელიც სამყაროს შექმნის შემდეგ მის საქმეებში არ ერევა, რათა ადამიანს ზნეობრივი თავისუფლება, ზნეობრივი წესრიგის პასუხისმგებლობა და მისკენ სწრაფვის მარადიული მისია დაუტოვოს.

---

1 А. Шопенгауэр, Афоризмы и максимы, т. 2, 1892, ст. 171.
2 A. Schopenhauer... Sämmtliche Werke. Bd 2. 1908 s. 452.
3 А. Шопенгауэр, Афоризмы и максимы, т. 2, 1892, ст. 256)

სამყაროს ახსნა არსის განახლებით (პალინგენეზით)

თანამედროვე მეცნიერულ აზროვნებაში ცნობილია, რომ სიკვდილი არის სიცოცხლის აბსოლუტური მოსპობა, მექანიკური უარყოფა ყოველი არსებულისა, რომლის შედეგადაც არაფერი აღარ რჩება. შოპენჰაუერი კი ეწინააღმდეგება იმ აზრს, რომ „სიკვდილი ჩავთვალოთ ადამიანის სრულ გაქრობად"[1] „იმ აზრით, რომ ადამიანი იბადება არარასაგან, ის რასაკვირველია სიკვდილით ბრუნდება არარაში. არარა სრულიადაც არ არის აბსოლუტური, ანუ ისეთი, რომელიც იქნებოდა არარა მის ყოველ აზრში. ამის წვდომას ხელს უწყობს ემპირიული ფაქტის აშკარაობა, რომ დაბადებულთ, რომლებშიც მეორდება მშობელთა ყველა თვისება, ცხადია, განცდილი აქვთ სიკვდილი"[2].

შოპენჰაუერი იზიარებს პალინგენეზის მოძღვრებას და აღნიშნავს: „არ უნდა აგვერიოს მეტაფსიქოზი – როგორც ერთი სულის მეორეში გადასახლება, პალინგენეზთან, როგორც გახრწნა-დაშლა და ახლად შექმნა ინდივიდუმისა, რომელთანაც რჩება ერთადერთი ნება, რომელიც იღებს ახალი არსების სახეს და იღებს ახალ ინტელექტსაც. ასე, რომ ინდივიდუუმი იშლება როგორც ნეიტრალური მარილი, რომლის საფუძველი ერთდება ახალ მჟავასთან და კვლავ ახალ მჟავას წარმოქმნის"[3]. ამრიგად, შოპენჰაუერის აზრით, როგორც ერთი მარილიდან იქმნება კვლავ მარილი, რომლებიც არსით – საფუძვლით ერთიდაიგივეა (ახალში ძველი მარილია შემონახული და მას ემატება ახალი მჟავას ნაერთი), ასევე, გარდაცვლის შემდეგ რჩება „რაღაც", თვალით-დაუნახავი უმცირესი ატომის მსგავსი, რომელიც გარკვეულ პირობებში მოხვედრის შემდეგ, ახალი არსებობის საფუძვლად იქცევა.

ბუდიზმის ორი მოძღვრებიდან: მეტაფსიქოზიდან და პალინგენეზიდან შოპენჰაუერი ეპირატესობას აძლევს პალინგენეზს: „ეს უკანასკნელი ბევრ შემთხვევაში შეთანხმებულია ჩემს მოძღვრე-

---

1 Шопенгауэр А., Афоризмы и максимы, т. 2, 1892, с. 21.
2 იქვე, გვ. 141.
3 იქვე, გვ. 210.

ბასთან ნების მეტაფიზიკური მარადიულობით..."[1] შოპენჰაუერი განსაკუთრებულ მნიშვნელობას აძლევს ფორმათა დაუსრულებელ სახეცვლილებებში მემკვიდრეობითობის შენახვას. „თუ უფრო ღრმად ჩავწვდებით პალინგენეზიის საიდუმლოებას და მხედველობაში მივიღებთ შრომას „მემკვიდრეობითობის" შესახებ, მაშინ უფრო კარგად წარმოგვიდგება იგი ისეთი სახით, როცა ყველა დროის მანძილზე მამაკაცის სქესი გვევლინება ნების, ხოლო მდედრის – ინტელექტის შემნახველად... რის გამოც ადამიანთა მოდგმა ინახავს თავის უცვლელ მუდმივობას"[2]. შოპენჰაუერის აზრით, ინდივიდი, „წყდება", როგორც გარკვეული შენაერთი ნებისა და ტვინისა (რომელთა სფეროები ძირითადია ადამიანში), მაგრამ იგი არსებობას აგრძელებს ახალ შენაერთად, რომელშიც განახლებული ნებაა და სრულიად ახალი ტვინი. „როგორ საოცრად და უცნაურადაც არ უნდა ბატონობდეს ფიზიკური საწყისი დაბადების საშუალებით და სიკვდილის საშუალებით ინდივიდუმის ნებისა და ინტელექტის გარკვეულ შენაერთზე, რომლებიც ექვემდებარება დაშლას, მათ საფუძველში არსებული მეტაფიზიკური ელემენტი შეიცავს იმდენად უცხოგვარ არსს, რომ რჩება ყველა ამათგან ხელშეუხებელი და შეურყეველი და ჩვენ ამით შეგვიძლია ვინუგეშოთ"[3] – გვეუბნება ფილოსოფოსი.

შოპენჰაუერი ანუგეშებს კაცობრიობას, რომ ადამიანთა არსი უკვდავია. ამ აზრის ნათელსაყოფად მას მოჰყავს თრაზიმახეს და ფილალეტის დიალოგი (ტ. 2. გვ. 213). თრაზიმახეს კითხვაზე, თუ რა იქნება იგი სიკვდილის შემდეგ, ფილალეტი პასუხობს: „ყველა-ფერი და – არარა", რადგან „შენ როგორც ინდივიდი, მთავრდები შენი სიკვდილის მოსვლასთან ერთად. მაგრამ ინდივიდუუმი არ არის შენი ჭეშმარიტი და უკანასკნელი არსება, არამედ მისი უბრალო გამოვლენაა. ის არ წარმოადგენს „საგანს თავისთავად", არამედ მხოლოდ მის მოვლენას, რომელიც გამოიხატება დროის ფორმაში და ამიტომ გააჩნია დასაწყის-დასასრული. ხოლო შენმა არსებობამ „თავისთავად" არ იცის არც დრო, არც დასაწყისი, არც დასასრული, არც მოცემული ინდივიდუალობის საზღვრები, ამიტომ

1 Шопенгауэр А., Афоризмы и максимы, т. 2, 1892, с. 210.
2 იქვე. 211;
2 იქვე. 212.

ის არ შეიძლება გამორიცხული იყოს არც ინდივიდუალობისაგან. ის არსებობს ყოველ ინდივიდუალობაშიც და ყოველ არსებულშიც. პირველი გაგებით შენ სიკვდილის შემდეგ იქცევი არარად, მეორე გაგებით შენ იქცევი და დარჩები ყველაფრად. ამიტომ ვამბობ, რომ სიკვდილის შემდეგ შენ იქნები ყველაფერი და არაფერი... იმდენად, რამდენადაც შენი სიცოცხლე მიმდინარეობს დროში, ხოლო შენი უკვდავება – სამუდამო არსებობაში"[1].

თრაზიმახე ამ პასუხს ასე აფასებს: „მისმინე, ჩემი ინდივიდუალობის გაგრძელების გარეშე მე მთელს შენს უკვდავებაში გროშსაც არ მივცემ"[2]. აქ შოპენჰაუერი ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ ადამიანურ ინდივიდუალობას მეტ ღირებულებას აძლევს თვით ნების უკვდავებაზეც კი. ამიტომ მისთვის ძვირფასია სწორედ მისი ინდივიდუალური მეობა.

თუმცა ინდივიდუალობის თვალთახედვით ის არარად იქცევა, მაგრამ არსის თვალსაზრისით ის წვდება, იმეცნებს გარე სამყაროს – მოვლენათა სამყაროს, ხოლო შინაგანი ხედვით-თვითწვდომითნებას, საკუთარსა და სამყაროს საერთო არსს. „ყოველი ინდივიდი, რომელიც თავის შიგნით იყურება შეიცნობს თავის არსებაში თთნს – ნებას ანუ ყველგან ერთნაირ რეალობას.

ამიტომ იგი შეიცნობს თავს სამყაროს ბირთვად და ცენტრად. სწორედ ამის გამო იგი თავისთავს ჩათვლის განუსაზღვრელად მნიშვნელოვნად. თუ პირიქით, ის განჭვრეტს გარედან, მაშინ უბრალო მოვლენის, წარმოდგენის სფეროში მოხვდება, სადაც იგი შეიცნობს თავის თავს, როგორც ინდივიდუმს უსასრულო ინდივიდუმთა სიმრავლეში. ცხადია, როგორც სრულიად არამნიშვნელოვან და სავსებით ჩაკარგულ არსებას. ამგვარად, თითოეული სრულიად უმნიშვნელო განუყოფელი ინდივიდუმი, თითოეული „მე", განჭვრეტილი შიგნიდან, არის ყველაფერი ყველაფერში, ხოლო პირიქით, გარედან განჭვრეტით ის არარაა, ან თითქმის არარა.

ამრიგად, ამას ეფუძნება ის უზარმაზარი განსხვავება, თუ რას წარმოადგენს თითოეული საკუთარ თვალში და იმისიც, თუ რას

---

1 Шопенгауэр А., Афоризмы и максимы, 1892, с. 214..
2 იქვე.

წარმოადგენს სხვათა თვალში ანუ ის ეგოიზმი, რასაც უსაყვედურებს თითოეული სხვებს"[1].

შოპენჰაუერის აზრით, „სიკვდილი არის უდიდესი უარყოფა"[2], ხოლო სიკვდილ-სიცოცხლე დაპირისპირებულთა ერთიანობისა და ბრძოლის გამომხატველია. ისინი განუყრელ ერთიანობაში იგულისხმებიან, როგორც ერთიანი ნების გაორება. ნება არის სიკვდილშიც და სიცოცხლეშიც, რომლებიც უერთმანეთოდ არ არსებობენ და ერთმანეთის საწინააღმდეგონი არიან.

სიკვდილი ემსახურება იმ მიზანს, რომ ადამიანმა უარყოფს თავისი ნება, რათა გადავიდეს ზნეობრივად უფრო ამაღლებულ არსებობაში. ეს გადასვლა მოითხოვს ყველგან და ყველაფერში წინააღმდეგობის დაძლევას, რადგან ყოველი შეიცავს წინააღმდეგობას და თავადაც რაღაცის მიმართ დაპირისპირებულია. ამრიგად, მოვლენათა სამყაროში დაპირისპირებულთა ბრძოლა აბსოლუტურია, „ამ სამყაროს არსებები მხოლოდ იმისთვის არსებობენ, რომ ერთმა შეჭამოს მეორე და სადაც ამის გამო ყოველი ხორცისმჭამელი ცხოველი წარმოადგენს ცოცხალ საფლავს ათასობით სხვათათვის, ხოლო მისი თვითშენახვა არის მრავალი მტანჯველი სიკვდილის რიგი, სადაც შემეცნებასთან ერთად იზრდება ტანჯვის შეგრძნების უნარი, რომელიც ადამიანში უმაღლეს საფეხურს აღწევს და მით უფრო, რაც ინტელიგენტურია იგი"[3].

ასეთ წინააღმდეგობებით სავსე სამყაროში წინააღმდეგობებითაა და ტანჯვით აღსავსე ადამიანის ინდივიდი. „ცხოვრებისათვის გაუცნობიერებელი ნება თავისთავს შეიცნობს (უსასრულო და მარადიულ სამყაროში) ინდივიდუმად სხვა ინდივიდებს შორის, რომლებიც აღვსილი არიან მისწრაფებებით, ტანჯვით და შეცდომებით... ყოველი მისი დაკმაყოფილებული სურვილი ბადებს ახალ სურვილს. ამქვეყნად არავითარ დაკმაყოფილებას არ შეუძლია გააძღოს მისი მოთხოვნილებები". „მოვლენათა სამყაროში ყველაფერი სისტემატურად არასრულყოფილია და მატყუარა, ყველაფერ სასიამოვნოს თან ახლავს არასასიამოვნო, ყოველი სიამოვნება მხოლოდ ნახევრადაა სიამოვნება, ყოველი კმაყოფილება

1 Шопенгауэр А., Афоризмы и максимы, т. 2, 1892, с. 243.
2 იქვე, გვ. 192.
3 იქვე, გვ. 243.

თან ატარებს იმედგაცრუებას, ხოლო ყოველი მდგომარეობის შემსუბუქება შეიცავს ახალ სიძნელეებს"[1].ადამიანი დეტერმინირებულია ამ არასრულყოფილ სამყაროთი და თავისი ინდივიდუალური არასრულყოფილი არსებობით, იგი თავისუფლებასაც მოკლებულია და ზნეობრივ სრულყოფილებასაც, ამიტომ მან უნდა უარყოს ეს სამყაროც და ინდივიდუალური ნებაც, რათა თავისუფლებას მიაღწიოს. „თუ დავუშვებთ ამქვეყნად ინდივიდის მარადიულ სიცოცხლეს,-გვეუბნება შოპენჰაუერი, სიცოცხლის გაგრძელების შემთხვევაში ადამიანის ნებას არ ექნება თავისუფლება. თავისი უცვლელი ხასიათების გამო და მოტივთა ჯაჭვის გამო მისი მოქმედებები მკაცრი აუცილებლობითაა განსაზღვრული. ამიტომ მან უნდა შეწყვიტოს არსებობა იმად, როგორიც არის, რომ ახალი დაბადებით მიიღოს ახალი და სხვაგვარი არსებობა. ამ აღვირს სიკვდილი წყვეტს"[2]. აქ უარყოფის უარყოფაში ხდება ერთი თვისობრიობიდან მეორე თვისობრიობაში გადასვლა. ამრიგად, სიკვდილი არის განთავისუფლების მომენტი ინდივიდუალობისაგან, რომელიც არ შეიცავს ჩვენი არსების შინაგან ბირთვს. სიკვდილით „წყდება მოვლენა დროში და ხელშეუხებელი რჩება თთნ-ნება"... „ყველას შეუძლია გამოიტანოს დასკვნა, რომ სიკვდილს შეუძლია დასასრული დაუდოს მის სიცოცხლეს, მაგრამ მის არსს, მის არსებას – არა[3] (... შოპენჰაუერის აზრით, ადამიანი არ არის არარა. გარდაცვალებას მივყევართ ახალ ფორმაში ამაღლებისაკენ. ამ თვალის ახელას ადამიანი ინტუიციური შემეცნებით აღწევს. „ამის მიხედვით შეიძლება დავასკვნათ: სიცოცხლე შეიძლება განვიხილოთ, როგორც სიზმარი, ხოლო სიკვდილი – გამოღვიძება". ამიტომაც არარა არ არის არსით არარა – გაარაფრება, არამედ ის ასე გვეჩვენება მოვლენაში: სიკვდილი ყველა შემთხვევაში წარმოგვიდგება არარაში გადასვლად, ასევე დაბადებაც – როგორც წარმოშობა არარადან... მაგრამ მას აქვს მხოლოდ მოვლენის რეალობა[4]. შოპენჰაუერის აზრით, გარდაცვლილ სახეობათა არსი აგრძელებს არსებობას, „სიკვდილი გულახდილად აცხადებს თავს, როგორც

1 Шопенгауэр А., Афоризмы и максимы, т. 2, 1892, с. 200.
2 იქვე, გვ. 237.
3 Шопенгауэр А., Афоризмы и максимы, т. 2, 1892, с. 200.
4 იქვე, გვ. 208.

ინდივიდის დასასრული. მაგრამ ამ ინდივიდში დაფარულია ახალი არსების დასაბადებელი. ცხადია, რაც არ უნდა მოკვდეს, არაფერი არ კვდება სამუდამოდ. მომაკვდავი კვდება, მაგრამ რჩება ახალდასაბადებელი, რომლისგანაც გამოდის ახალი არსება, რომელიც შედის არსებობაში ისე, რომ არ იცის, საიდან მოდის და რატომაა ასეთი, როგორიც დაიბადა. ეს მისტერია პალინგენეზია"[1]. პალინგენეზის გაანალიზებისას შოპენჰაუერი მიუთითებს დიალექტიკური უარყოფის შინაარსზე, რომ ერთი ფორმის მეორეში გადასვლისას, ახალში შენახულია ძველის არსი. პირველ უარყოფად აქ გამოდის სიკვდილი, რომელიც გვევლინება ძველი ფორმის უარყოფად, ხოლო უარყოფის უარყოფა არის არსის ახალ ფორმაში განახლება.

ძველ ქართულში „თესლი" განმარტებულია, როგორც „ნაყოფის მშობელი", ხოლო უცხო თესლი – სხვაგვარ ტომის არსი. თუ ყოველი მცენარეულის თესლი, ამ სახეობის საბოლოო პროდუქტი უარყოფის უარყოფის კანონს გამოხატავს, და მას კარგად ვხედავთ, ვთქვათ ხორბლის მარცვლის მაგალითზე, ან უზარმაზარი მცენარის – ხის მაგალითზე, როცა მისი დაშლა-მოსპობის შემდეგაც დარჩენილი თესლი ახალ ფორმაში იმეორებს იგივე გვარის – გენის ხეს, შოპენჰაუერს მიაჩნია, რომ იგივეგვარად ადამიანის მარადიული არსის გამგრძელებელია გვარი გენ-თესლით. დაშლა-მოსპობის მიუხედავად გადარჩება რაღაც, უუმცირესი ნაერთი, რომელშიც თესლის სახით კონცენტრირებულია მემკვიდრულ ფაქტორთა ერთიანობა ახალი ფორმის ახალ არსებობაში გარდაცვლისა და მარადიული არსებობისათვის. როგორც აქ, ამ ადგილას მოისპობა ხორბლის მცენარე (ან მწერი, ან ფრინველი, ან ცხოველი), მაგრამ რჩება მარცვალ-თესლი, რომელმაც შეიძლება არსებობა სადმე, რაღაცაგვარ პირობებში განაგრძოს, ასევე ადამიანი აქ, დროისა და სივრცის ამ მონაკვეთში, როგორც ყოველი მოვლენა კვდება-იძინებს, იშლება, მაგრამ მასში უუმცირესი ნაწილაკის, ნივთიერების სახით რჩება „რაღაც", რომელიც სათანადო პირობებეში კვლავ იბადება ახალი ფორმით, ახალი ინტელექტით, რომელიც იმ ძველის არსს-ნებას ატარებს.

რაკი ჭეშმარიტია კანონი მატერიის ენერგიის მუდმივობისა და შენახვისა და ყოველი არსებული მატერიალურია, გამოდის, რომ

არაფერი არ იკარგება, ყველაფერი ინახება რაღაც სახით, ამდენად არსებობს მუდმივად. აქ მხოლოდ დიალექტიკური უარყოფაა. ნება შეიძლება გარდაიქმნას არა აბსოლუტური, არამედ მხოლოდ დიალექტიკური უარყოფით. ამგვარად, მასთან სიკვდილი მხოლოდ ძილის სახისაა, ძილის თვისების. იგი უსასრულო გადასვლაა ერთი ფორმიდან მეორეში, ძველიდან ახალში, სიკვდილიდან სიცოცხლეში, სიცოცხლიდან სიკვდილში, მაგრამ არა აბსოლუტური მოსპობა, არამედ ყოველ გარდაცვლისას შენახვა „რაღაცისა", რომელსაც იგი ნებას (სიცოცხლისაკენ მარადიულ სწრაფვას, სიცოცხლის განახლების მატარებელს) უწოდებს და ეს ფორმათა მარადიული ცვლა მიიმართება დაბლიდან მაღლისაკენ, მარტივიდან რთულისაკენ, ცოდვილობიდან ნაკლებ ცოდვილობისაკენ, ცოდვათა შემსუბუქებისა და ცოდვათაგან განთავისუფლებისაკენ – სრულყოფილებისაკენ. ამიტომ გვეძლევა სამყარო, როგორც ცოდვათაგან განტვირთვის საშუალება-ასპარეზი. ეს არის ტანჯვის ქურაში წრთობა, ტანჯვითი კათარზისი, რათა ახალ ფორმაში უფრო განტვირთულნი, ან სრულიად განწმენდილნი მოვიდნენ, რადგან მარტივიდან რთულისაკენ, დაბლიდან მაღლისაკენ სვლა თანდათან იხვეწება და სიმაღლისკენ სვლით სრულყოფას უახლოვდება. ამიტომაა ყოველი ახალი დაბადება ახალი ტანჯვის დასაწყისი, რათა თავისი ნება ცოდვათაგან შეამსუბუქოს.

მართლაც, არის თუ არა სიცოცხლის პრინციპი მარადიული, არსებობს თუ არა „რაღაც", რომელიც სიკვდილის შემდეგაც ძილღვიძილშია და სათანადო პირობებისას „გაიღვიძებს"? ჩვენ ერთი რამ ვიცით, ადამიანის სიკვდილის შემდეგ მის ნიაღ-მიწაში ცოცხლობენ ყვავილები, მცენარეები, რომლებიც იმ დაშლილი სიცოცხლის რაღაც კომპონენტებს თავიანთი სხეულით „ატარებენ", საგულისხმოა, ადამიანის სხეულში მოხვედრილნი, რაღაცაგვარად გარდაქმნილნი, რაღაცაგვარ თესლად იქცევიან, რომლებიც კონცენტრირებულად ატარებენ იმ ძველი ფორმის ახალში განახლების შესაძლებლობას, როგორც მცენარის თესლი – მცენარის ორგანიზმისას. საგულისხმოა ასეთი უბრალო მაგალითიც: ყველას გვინახავს თავ-ფესვდაჭრილი ვაზის პატარა წკნელი როგორ გამოიღებს კვირტებს, იკეთებს ფესვს და ტანს და აგრძელებს

სიცოცხლეს. რა იყო ის „რაღაც“, რომელიც მთლიანი ვაზის სრულიად აღსდგენ კომპონენტებს ინახავდა პატარა ჯოხის ნაწყვეტში? – სიცოცხლის განახლების პრინციპის მარადიულობა, ძველ კომპონენტთა განახლების პოტენცია.

ამერიკელმა მეცნიერებმა რამოდენიმე წლის წინ ჩაატარეს ასეთი დაკვირვება: გარდაცვლილის სხეული დაკრძალვამდე შეაერთეს ენცეფალოგრამის აპარატთან. შემოდის მომტირალი და ხმამაღლა გამოთქვამს ისეთ ფრაზებს, რომელიც სიცოცხლეში ძალზე ახარებდა გარდაცვლილს, ჩამწერზე აღინიშნება სიხარულის გამომხატველი ჩანაწერი. შემდეგ, მეორე ხმამაღლავე გამოთქვამს გარდაცვლილისათვის სიცოცხლის პერიოდში ძალზე შემაშფოთებელს. ჩამწერზე აღინიშნება შეშფოთების სიგნალები. ეს ადამიანი კი უკვე გარდაცვლილია, ტვინი მკვდარია. შოპენჰაუერი ამ შემთხვევაში იტყოდა, რომ აქ ცოცხალია „რაღაც“, რომელსაც იგი არქმევს ნებას. გარდაცვლილს მარხავენ, იგი იხრწნება, იშლება, მაგრამ რჩება თვალით შეუმჩნეველი ნივთიერება, რომელიც ისევე კონცენტრირებულად ინახავს ორგანიზმის განახლების კომპონენტებს, როგორც უმცირესი მარცვალი – დიდი მუხის განახლების პრინციპს.

ეს ნივთიერება „თავისთავად გაფორმდება მცენარეში, ცხოველში და თავისი საიდუმლო საფუძვლით მოიცავს იმ სიცოცხლეს, რის დაკარგვის გამო თქვენს საზღვრებში თქვენ ასეთი შიშით ზრუნავდით“[1]... სწორედ მისი მატერიალურობა გვაძლევს იმის თქმის უფლებას, რომ „ჩვენი ჭეშმარიტი არსების მოუსპობლობადობა გამოიხატება მატერიის გაუქრობლობაში, ესაა ის საბუთი, რომ ცოცხალი არსება აბსოლუტურ განადგურებას არ განიცდის, არამედ აგრძელებს არსებობას მთლიან ბუნებაში, მთლიან ბუნებასთან ერთად“[3].

როგორც ვხედავთ, შოპენჰაუერის აზრით, ბუნებაში არ არის აბსოლუტური უარყოფა, არამედ არის ისეთი უარყოფა, რომელსაც დიალექტიკურ უარყოფის-უარყოფას ვუწოდებთ. ამგვარი

1 Шопенгауэр А., Афоризмы и максимы, т. 2, 1892, с. 124.
2 იქვე.
3 იქვე, გვ. 125.

მსჯელობიდან გამომდინარეობს სწორედ უარყოფის უარყოფის კანონი. ამავე დროს, „რაც კვდება, მიდის იქით, საიდანაც გამოდის ყველგვარი სიცოცხლე და მათი სიცოცხლეც, ვინც კვდება. ამ აზრის შესახებ ეგვიპტელები ამბობენ: „ორკა ამენთეონ“ – ეს პლუტარქეს მიხედვით „ამღები და მიმცემია“, რაც ნიშნავს, რომ არსებობს ერთიდაიგივე წყარო, საიდანაც ყველაფერი გამოდის და სადაც ყველაფერი ბრუნდება. ამ თვალსაზრისით ჩვენს ცხოვრებას უნდა შევხედოთ, როგორც სიკვდილისაგან სესხის მიმღებს...“[1]. რა უნდა იყოს ის, საიდანაც ყველაფერი გამოდის და სადაც ყველაფერი ბრუნდება? ცალკეული ხე, ყვავილი, ადამიანური ინდივიდი კვდება, მაგრამ რჩება ამ ხისაგან ამ ყვავილისაგან, ამ ადამიანისაგან რალაც, მისი ჯიშის, გვარის, ტიპის, სახეობის არსებობის გასაგრძელებლად, ე. ი. ცალკეული მთლიანი ინდივიდი მოკვდავია, მაგრამ მასში უკვდავი ნაწილიც რჩება. ეს უკვდავი ნაწილი, შოპენჰაუერის აზრით, არის მარადიული თესლი, რომელიც გადაინახება ყოველ არსებულში მისი სიკვდილის შემდეგ, როგორც ახალ ფორმაში განახლების აუცილებელი პირობა. ამ „თესლს“ იგი ნებას უწოდებს. როგორც მცენარის თესლი თავის „სიკვდილშიც“ და „ახლადდაბადებაშიც თავისი არსით ერთიდაიგივე მნიშვნელობისაა, ასევე, შოპენჰაუერის აზრით, ადამიანის „დაბადება თავისი არსით და მნიშვნელობით არის იგივე, რაც სიკვდილი[2]“, ამასთან, თუ ხორბლის მარცვალს შეეძლებოდა არასოდეს არ ეარსება, მაშინ, აქედან გამომდინარე, ხორბლის მარცვალი ამ ქვეყნად ვერც იქნებოდა, ასევე „თუ ადამიანს შეეძლებოდა, რომ ოდესმე არ ყოფილიყო, მაშინ ვერ იქნება ვერც ახლა. ესეცაა საბუთი ჩვენი ჭეშმარიტი არსების გაუქრობლობისა“[3]. შოპენჰაუერის თქმით, ინდივიდისათვის „მისი ცნობიერება იწყება დაბადებიდან და იგი მისთვის ნიშნავს წარმოშობის დაწყებას არარადან (რადგან მანამდე არსებობა, ტვინის შეცვლის გამო, არ ახსოვს)... თუ სიკვდილის შემდეგ არსებობა განსხვავდება მისი ინდივიდუალური ცნობიერებისაგან, მაშინ იგი დამოკიდებული უნდა იყოს, როგორც სიკვდილზე, ასევე დაბადებაზე და მისთვის ერთნაირად სწორი იქნება ამის თქმა: „მე ყოველთვის

1 Шопенгауэр А., Афоризмы и максимы, т. 2, 1892, с. 209.

2 იქვე, გვ. 153.

3 იქვე, გვ. 16).

ვიქნები" ანუ „მე ყოველთვის ვიყავი", რაც ერთს აძლევს ორ უსასრულობას"[1].შოპენჰაუერის აზრით, ადამიანის ძველი არსებობიდან გადარჩება ახალი ფორმისა და თვისების შემქმნელი საფუძველი – ნება. „ნება, ის რაც რჩება ჩვენში სიკვდილის შემდეგ, არის ბირთვი და წარმომდგენი სრულიად ახალი არსებობისა, რომელშიც წარმოიქმნება ახალი ინდივიდუმი ცოცხალი და პირველსაწყისი მდგომარეობით... ცხადია, სიკვდილი არის ერთი ინდივიდუალობის დაკარგვა და შეძენა მეორისა ანუ ინდივიდუალობის შეცვლა თავისი საკუთარი ნების ხელმძღვანელობით"[2]. შოპენჰაუერი აქ გვიჩვენებს უარყოფის უარყოფას, როცა დაპირისპირებულთა წინააღმდეგობა წყდება ძველი ინტელექტის, ძველი ფორმისა და არსებობის ახლით შეცვლით. „სიკვდილი არის უარყოფა (უკუგდება) რომელთანაც მიდის არსება სიცოცხლისადმი თავისებური დამოკიდებულებით – ყოველ ინდივიდუალურ არსებობაში წინააღმდეგობის აღმოჩენით"[3]... ე. ი. ინდივიდუალური ნება ადამიანში სიკვდილის შემდეგ შორდება დედისაგან წარმოშობილ ინტელექტს და თავისი სახეცვლილებითი თვისების გამო, რომელიც მკაცრი აუცილებლობით შეერწყმის სამყაროს სვლას, ახალი დაბადებით ახალ ინტელექტს იღებს, რომლითაც ის ხდება ახალი არსება, რომელსაც აღარ გააჩნია არავითარი მახსოვრობა ძველი არსებობისა. ასე რომ, ინტელექტი, ერთადერთი მფლობელი მახსოვრობისა, ჩვენი მოკვდავი ნაწილია ანუ ფორმა, ნება კი – სამუდამო ნაწილია, სუბსტანციაა.

ამის მიხედვით ამგვარ მოძღვრებას მეტად შეესაბამება სახელწოდება პალინგენეზიისა (ბერძნ. „პალინ" – „ხელახლა" გენეზის" წარმოშობა-განვითარება), ვიდრე მეტამფსიქოზი. ეს სისტემატური განახლებები შეადგენენ ურღვევი ნების თანმიმდევარ მონაცვლეობას, ვიდრე იგი გაუმჯობესებული, მრავალი თანმიმდევარი შემეცნების შემდეგ, არ უარიყოფა თავისთავისაგან და თავისთავს არ შეიცვლის. „ამ თვალსაზრისს ეთანხმება წმინდა ეზოტერული მოძღვრება ბუდიზმისა, რომელიც იცავის არა მეტაფსიქოზს, არამედ თავისებურ ზნეობრივ საფუძველზე

1 Шопенгауэр А., Афоризмы и максимы, т.32, 1892, с. 162.
2 იქვე, გვ. 185.
3 იქვე, გვ. 186.

დაფუძნებულ პალინგენეზს, რომელსაც გადმოგვცემს დიდი ღრმააზროვნებით"[1].შოპენჰაუერის აზრით, მეტაფსიქოზის და პალინგენეზის მოძღვრებები, არსის უკვდავობის საერთოობით, დიდად არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. მეტაფსიქოზის მოძღვრება უფრო ადვილად გასაგები იყო მასებისათვის, ამიტომ იგი მეტად გავრცელებულია მთელს მსოფლიოში. იგი გახდა ბრახმანიზმის და ბუდიზმის ბირთვი და ახლაცაა გაბატონებული არაისლამურ აზიაში. იგივე შეადგენდა ეგვიპტელების რწმენის საფუძველს, რომელსაც დაესესხნენ ორფეოსი, პითაგორი, პლატონი. ამაზე ლაპარაკობს რუსოც თავის წიგნში „ადამიანის აღზრდის შესახებ". ლიხტენბერგი თავის დახასიათებაში ამბობს: „მე არასოდეს არ შემიძლია მოვიშორო ფიქრი, რომ უკვე მოვკვდი, ვიდრე დავიბადებოდი". ემპირიკოსი იუმიც თავის მონოგრაფიაში უკვდავების შესახებ ამბობს: „მეტაფსიქოზი არის ერთადერთი სისტემა, რომელსაც უნდა მოუსმინოს ფილოსოფიამ"[2]. ეს ორი მოძღვრება ერთმანეთთან ახლოა იმით, რომ ორივეს მიხედვით არსებობა გრძელდება სიკვდილის შემდეგაც. ორივე მოძღვრება აღიარებს სიკვდილის დადებითობას იმის გამო, რომ ახალ არსებობაში ადამიანი ამაღლებით უნდა გადავიდეს. შოპენჰაუერი ემხრობა უფრო პალინგენეზს, რომლის მიხედვით სიკვდილი არის უდიდესი ჭკუის სნავლება, რომელიც გამონერილი აქვს ბუნებისაგან ნებას და მისთვის დამახასიათებელ ეგოიზმს. ამიტომ სიკვდილი შეიძლება გავიგოთ, როგორც სასჯელი ჩვენი არსებობისა... ძალდატანებითი დარღვევა ჩვენი არსებობის შეცდომისა. ეს არის უდიდესი უარყოფა... რადგან ჩვენ ჩვენი საფუძვლით ვართ იმგვარნი, როგორიც არ უნდა ვყოფილიყავით – გვეუბნება შოპენჰაუერი.

როგორც ვიცით, ადამიანში სქესობრივი აქტით იწყება ადამიანის დაბადება, ჩასახვა „დათესვა" რომელსაც მამისგან გადაეცემა სხეულის უკვდავი ნაწილი – ნება, ხოლო დედისგან – მოკვდავი – ტვინის სფერო. მაგრამ საიდან მოვიდა, როგორ შეიქმნა ადამიანის დასაბადებელი თესლი, რომ ახალი სიცოცხლე „დათესოს", ხომ არა აქვს მას კავშირი სიკვდილთან, რომლის ადგილსამყოფელი ყველა გარდაცვლილისათვის დედამიწაა –

1 Шопенгауэр А., Афоризмы и максимы, т. 2, 1892, с. 188.
2 იქვე, გვ. 192.

ყოველის „ამლები და მიმცემი“? რას უნდა ნიშნავდეს „რაც კვდება, მიდის იქით, საიდანაც გამოდის?“ დედამიწაში დაშლილი ორგანიზმის ნაშთი (მჟავა თუ მარილი) ხომ არ შეიცავს იმ დასაბრუნებელს, რომელიც ადამიანის ორგანიზმში დასაბადებელ თესლად იქცევა? აკი ადამიანი ისახება ამ აქტით, მაშ როგორლა გამოდის იგი დედამიწიდან, სადაც სიკვდილის შემდეგ მიდის, ან როგორლა აცხადებს სიკვდილი თავისთავს დასასრულად ინდივიდისა, რომელშიც დაფარულია ინდივიდის დასაბადებელი? რას უნდა ნიშნავდეს, „რაც არ უნდა მოკვდეს, არაფერი არ კვდება სამუდამოდ, მომაკვდავი კვდება, მაგრამ რჩება ახლადდასაბადებელი, რომლიდანაც გამოდის ახალი არსება, რომელიც შედის არსებობაში ისე, რომ არ იცის, საიდან მოდის?“[1] ან რას ნიშნავს: „არსებობს ერთიდაიგივე წყარო, საიდანაც ყველაფერი გამოდის და სადაც ყველაფერი ბრუნდება?“[2] ცხადია, დედამიწაში ძველი ხორბლის სიკვდილიდან იბადება ახალი თესლი, რომელმაც ახალი ხორბალი უნდა „დაბადოს“. ხომ არ ნიშნავს ეს რომ ადამიანის სიკვდილშიც „დაფარულია ახალი არსების დასაბადებელი“, რომ გარდაცვლილში „რჩება ახალდასაბადებელი, რომლიდანაც გამოდის ახალი არსება“[3]? რას გულისხმობს აქ შოპენჰაუერი? ფილოსოფოსის მსჯელობიდან ჩვენ ასეთი დასკვნა შეგვიძლია გამოვიტანოთ: რაც შეიძლება შენარჩუნებულ იქნეს ადამიანში სიკვდილის შემდეგ, ეს არის გენური ერთიანობა კომპონენტებისა მატერიისათვის დამახასიათებელი ყველა ნიშნის მაგნეტიზმის, ელექტრობის, ბიოდენის და სხვ. ჩათვლით) ასევე მსურველობის, თვითშენახვის, გამრავლების სიცოცხლისაკენ სწრაფვის ე. ი. მემკვიდრული ფაქტორების ერთობლიობის პოტენციისა, რომელ ერთიანობასაც შოპენჰაუერი უწოდებს ნების გამოვლენას და რომელიც თვალით შეუმჩნეველი ატომის თუ თესლის სახით კონცენტრირებულადაა გადარჩენილი როგორც გამხმარი მცენარიდან გადარჩენილი უმცირესი თესლი ინახავს ამ მცენარის (თუნდაც გრანდიოზული ხის) ასაგებად ყველა კომპონენტს. ამგვარი ერთიანობა – ნება – სხეულის დაშლის შემდეგაც გაუქრობლად შენარჩუნდება და ახალი არსებობის

1 Шопенгауэр А., Афоризмы и максимы, т. 2, 1892, с. 209.
2 იქვე, გვ. 208-209.
3 იქვე.

ტენდენციას ინახავს. შოპენჰაუერი მიგვანიშნებს: მართალია, ადამიანის დაშლის შემდეგ მიღებული მარილი თუ მჟავა თავისთავად სასიცოცხლო კომპონენტს შეიძლება არც წარმოადგენდეს, მაგრამ მას შეიძლება ჰქონდეს უნარი სხვადასხვა პირობებში სხვადასხვა კომბინაციებში სხვადასხვა რამ შექმნას, გადასული მინიდან მცენარეული საზრდოს სახით, გარკვეულ პირობებში, ბიოქიმიურ კომბინაციებში ის შეიძლება სასიცოცხლო პოტენციის ნივთიერებად იქცეს, რათა შემდეგ ორგანიზმის დამბადებელ თესლად გარდაიქმნას: მამაკაცის ორგანიზმში – იგი ნების შემქმნელ სფეროდ, ხოლო მდედრის ორგანიზმშმი – ტვინის სფეროს შემქმნელად.

ამრიგად, შოპენჰეუერი იცავს „ჩვენი ჭეშმარიტი არსების მოუსპობლობის იდეას, რომელიც გამოიხატება მატერიის გაუქრობლობაში“, მის მარადიულობაში.

გაბატონებულია აზრი, თითქოს შოპენჰაუერი იყო ანტიმატერიალისტი და ანტიდიალექტიკოსი და ალბათ ძალზე არადამაჯერებლად მოგვეჩვენება ამგვარი მტკიცება, რომ დიალექტიკის უზოგადესი კანონები, რომლებიც გამოხატავენ არსებულთა ერთი თვისებიდან მეორეში გადასვლას, დაპირისპირებულთა ბრძოლას და უარყოფის უარყოფას, სწორედ შოპენჰაუერის შრომებში იღებენ სათავეს. შოპენჰაუერის შრომებში განსაკუთრებით შრომაში „სამყარო, როგორც ნება და წარმოდგენა“ და „აფორიზმების“ სამივე ტომში მთელი მსჯელობა ეხება სამყაროში ამ კანონთა გამოვლენის რეალურ მაგალითებს.

არსად არ ჩანს, რომ არსებულთა განვითარება მოცემული იყოს უცვლელი და უმოძრაო სახით, პირიქით, იგი საგნებსა და მოვლენებს დიალექტიკური თვალთახედვით განიხილავს.

მართალია, მისი კვლევის სფერო მეტაფიზიკური სფეროა, ფიზიკური სამყაროს მიღმა საზღვრის წვდომას ცდილობს, მაგრამ არა მეტაფიზიკური, არამედ დიალექტიკური მეთოდით.

ამ აზრის სასარგებლოდ ლაპარაკობს ისიც, რომ იგი დიდად აფასებს კანტის დიალექტიკას და ამბობს: „უბრწყინვალეს და უსაჭიროეს პნკარებს კანტის ფილოსოფიიდან უდაოდ ეკუთვნის

ტრანსცენდენტალური დიალექტიკა"...[1] და თუმცა კრიტიკული შენიშვნებიც აქვს კანტის მიმართ, მაინც უდავოდ აღიარებს „ამ დიალექტიკის უმაღლეს მნიშვნელობას"[2].

ყოველი არსებული შოპენჰაუერთან ორი დაპირისპირებული მხარის (წარმოდგენის და ნების) ერთიანობაა. იგი განაპირობებს ბუნებაში შეურიგებელ ბრძოლას სხვადასხვა ძალებს, სხვადასხვა ტიპებსა და ინდივიდებს შორის, რაც ქმნის მათ ტანჯვას. რადგან სიცოცხლისათვის არსებითია ეს ტანჯვა, ამიტომ ნება უპირისპირდება თავის თავს. თავისთავთან ეს დაპირისპირება ნებისა გამოიხატება დაუსრულებელი ბრძოლით ბუნების ძალებსა და ინდივიდებს შორის მატერიის, დროის და სივრცისათვის... ინდივიდები არამარტო გამოხატავენ ცალკეულ იდეებს, რომლებიც ერთმანეთს ანადგურებენ, არამედ ერთიდაიგივე ინდივიდიც ბრძოლას უცხადებს თვით თავის თავს. ნების გასაგნება თავის ყოველ საფეხურზე არის იდეა. ეს იდეები – ნების გამოვლინებები მოცემულია მოწესრიგებულ საფეხურებად არაორგანულიდან ორგანულისაკენ და ადამიანისაკენ. ეს არის დაბლიდან მაღლისაკენ მარტივიდან რთულისაკენ, ნაკლებ სრულყოფილიდან უფრო სრულყოფილისაკენ სვლა. ამ საფეხურთა რეალიზაციისათვის და საფეხურებს შორის დაპირისპირებულთა ბრძოლაა, „ბრძოლა ყველასი ყველას წინააღმდეგ", არამარტო არსებობისათვის, არამედ უფრო მაღალ საფეხურზე ასვლისათვის, რისთვისაც მას სჭირდება ძველი ფორმის ახლით შეცვლა. ამიტომ იგი უნდა დაუპირისპირდეს თავის თავს, უარყოს ძველი არსებობა და გადავიდეს ახალში, უფრო მაღალში. ეს ხდება ერთი ფორმის მეორეზე გარდაცვლით, უარყოფის უარყოფით. ნება თავისთავს იმეცნებს და უარყოფს, იცვლება ადამიანში ძველი არსებობის გარდაცვალებით და ახალდაბადებით. აქ სახეზე გვაქვს არამარტო ძველი ფორმის და თვისობრიობის ახალში გადასვლა, არამედ ძველისა და ახლის დაპირისპირება და უარყოფის უარყოფა. თუ შოპენჰაუერი დაუშვებდა, რომ სიკვდილის შემდეგ ინდივიდუალური ნება კვდება, აბსოლუტურად ქრება, მაშინ სიკვდილის სახით გვექნებოდა მექანიკური უარყოფა.

---

1 Шопенгауэр А., Афоризмы и максимы, 1892, ტ. III, გვ. 522.
2 იქვე, ტ. III, გვ. 522.

მაგრამ, ვინაიდან შოპენჰაუერის აზრით, კვდება რა ინდივიდის სხეული – ფორმა, იგი მოხსნა-შენახვის სახით სიკვდილის შემდეგაც ინახავს ნებას, რომელიც არსებობას აგრძელებს ახალ ფორმაში, ამიტომ აქ მოცემული გვაქვს არა უბრალოდ მექანიკური უარყოფა, აბსოლუტური უარყოფა, არამედ უარყოფის უარყოფა. რაკი, შოპენჰაუერის აზრით, მოვლენათა სამყაროში ნების ადეკვატური, მისი გამოვლენა არის მატერია, მაშასადამე ყველა კანონი, რომელიც ჭეშმარიტია მატერიისათვის, ჭეშმარიტი უნდა იყოს თთნ-ის ანუ ნებისთვის. ამის გამო ამბობს შოპენჰაუერი „წარმოშობა და მოსპობა არ ეხება საგანთა არსს, რომ ის რჩება ხელშეუხებელი და ცხადია, მოუსპობელი". ამრიგად, მატერიის მუდმივობისა და შენახვის, მემკვიდრეობითობის და განვითარების უზოგადეს კანონთა გააზრება ჩვენში აღძრავს ჩერნიგოვეცის სამართლიანობის ვარაუდს, რომ „ბევრი რამ ამათგან შოპენჰაუერისაგან აიღეს შემდგომმა ფილოსოფოსებმა და უკეთესად განავითარეს ისინი" და ... „თუ ოდესმე მეცნიერები შეისმენენ შოპენჰაუერის ფილოსოფიას და თავიანთი გამოკვლევების ამოსავალ და საბოლოო პუნქტად მიიჩნევენ ნებას, რომელიც თითოეული ადამიანისათვის ცნობილია თვითცნობიერებაში და ასე გენიალურადაა გადმოცემული ჩვენი ფილოსოფოსის მიერ, მაშინ დასრულდება ბუნებისმეტყველების გზის ცდომილება და დაბნევა და იგი მიიღებს გამაერთიანებელ საწყისს"[1].

იგივე ითქმის შოპენჰაუერის შრომებში გაფანტულ უამრავი მაგალითების შესახებ, რომლებშიც ლაპარაკია ერთი ფორმიდან მეორეში გადასვლის, დაპირისპირებულთა ბრძოლის და ერთიანობის, ასევე უარყოფის უარყოფის გამოვლენაზე, რომელთა შესახებ კანონები გენიალურად ჩამოაყალიბა ჰეგელმა თავის მოძღვრებაში დიალექტიკის შესახებ. უცილობლად, დასაბუთების გარეშე, ვერ უნდა დავიჩემოთ ჰეგელზე გავლენა შოპენჰაუერისა, მაგრამ თავის სიცოცხლეში შოპენჰაუერის შრომების გამოქვეყნება ჰეგელის გამო დიდ წინააღმდეგობებს აწყდებოდა და იგი იკითხებოდა ფილოსოფოს-პროფესორთა მიერ სავსებით მაიგნორირებელი დუმილით. ასევე, უცილობლად, ვერც შოპენჰაუერის სხვებზე გავლენას დავიჩემებთ, მაგრამ ეს ყოველი უნდა გავითვალისწინოთ მაინც.

1 А. Шопенгауэр – Афоризмы и максимы, перевод Черниговца предислови

როცა შოპენჰაუერის ეთიკური ხსნის გზას ვაანალიზებთ, გვაგონდება ბუნებაში არსებული ანალოგიური სურათი: კალმახი, სიცოცხლის დასასრულს ზღვის შესართავიდანაც კი უკან ბრუნდება თავის წარმოშობის ადგილას – ჩანჩქერის სათავეში და იქ ქვირითის დაყრის შემდეგ თავს იკლავს, რათა გამოჩეკილ მემკვიდრეთათვის თავისი სხეულის სახით მათი საზრდო დატოვოს.

ეს მსხვერპლი ჩვენ გვიხსნის ბუნების საოცარ საიდუმლოს და შოპენჰაუერის თვალსაზრისის სისწორესაც, რომ ყოველი ინდივიდუალური არსება და მით უფრო ადამიანი თავისი თავით მსხვერპლად ეწირები თავისი გვარის ახალ, უფრო ამაღლებულ, უფრო სრულ ფორმაში განახლებას.

ადამიანი კალმახივით იღწვის, რათა თავისი არსება შეივსოს, სრულყოს, რომ რაც შეიძლება ამაღლებული და სრულყოფილი გენი დაუტოვოს შემდგომ თაობას თავისი არსების განახლებისათვის, კალმახის დაშლილი სხეულიც შეიცავს საზრდოს შემდგომი თაობებისათვის (ადამიანში ეს საზრდო მით უფრო სულიერია, რაც მეტად ამაღლებულია, ადამიანურია, ზნეობრივია) და რაც უფრო მეტია მასში ამ განახლებისათვის საჭირო კომპონენტები, მით უფრო მასაზრდოებელი იქნება შემდგომთათვის.

ბუნება კარნახობს სულიერთ ამ პრინციპის დაცვას. ამასვე გვეუბნება შოპენჰაუერი, რომ სხეულის დაშლის შემდეგ გადარჩება ნების ძალა, ნების ენერგია, რომელიც თავისთავში ატარებს თავისი გვარის, გენის განახლების პოტენციალს.

სწორედ გვარის, გენის, ნების უკვდავებაზე მიგვანიშნებს შოპენჰაუერის შრომებიდან მოყვანილი ციტატა: „ნაკლებად უნდა მოგვივიდეს აზრად ის, რომ სიცოცხლის შეწყვეტა ჩავთვალოთ გამაცოცხლებელი პრინციპის განადგურებად, ანუ ჩავთვალოთ სიკვდილი ადამიანის სრულ გაქრობად. თუ უკვე აღარ არსებობს ძლიერი ხელი, რომელმაც 3000 წლის წინ ოდისეის მშვილდი მოზიდა, არ ნიშნავს, რომ განადგურდა, სრულიად გაქრა ის ძალაც, რომელიც ასე ენერგიულად მოქმედებდა ამ ხელში და რომ ძალამ, იმ მშვილდის მომზიდველმა, პირველად არსებობა დაიწყო მხოლოდ ამ ხელთან ერთად... ძალა, რომელიც მართავდა ან გაუჩინარებულ

სიცოცხლეს, არის ის ძალა, რომელიც მოქმედებს ან არსებულ სიცოცხლეში... რაც რჩება, ესაა, ერთი მხრივ, მატერია, მეორე მხრივ ბუნების ძალები... მაგრამ ჩვენი გამაცოცხლებელი პრინციპი უნდა განვიხილოთ, როგორც ბუნების პრინციპი, ვიდრე რომელიმე უფრო ღრმა განსჯა არ გვაიძულებს ჩავწვდეთ, რა არის ის თავისთავად, და ამრიგად, უკვე ბუნების ძალა, სიცოცხლისეული ძალა რჩება ხელშეუხებელი ფორმებისა და მდგომარეობების ცვლილებისას... მოუსპობლობა ჩვენი ჭეშმარიტი არსისა დასაბუთებულად წარმოგვიდგება... ის, ვინც შიშობს სიკვდილის შემდეგ აბსოლუტური განადგურების გამო, ვერ გაბედავს უარყოს ის ფაქტი, რომ სიცოცხლის უშინაგანესი პრინციპი სიკვდილის მიერ ხელშეუხებელი რჩება[1].

ადამიანი სიცოცხლის მანძილზე ცდილობს, აამაღლოს თავისი არსებობა ფიზიკური თუ იდეალური (ეთიკურ-ესთეტიკურ-ინტელექტუალური სრულყოფით); რათა სრულყოფილი გენი დაუტოვოს შემდგომთ.

რაც უფრო მეტ სრულყოფილებას მიაღწევს იგი ამ არსებობაში, მით უფრო მეტი სიმშვიდით, სიხარულით, ბედნიერების განცდით წავა თავისი ინდივიდუალური არსებობიდან. რომ „რომელიც ქრება და ის, რომელიც მის ადგილს იჭერს არის ერთიდაიგივე არსება, ოღონდ ფორმით განახლებული[1] .

შოპენჰაუერს აინტერესებს ადამინისა და სამყარიოს მეტაფიზიკური ძირის-არსის პრობლემა, ამასთან მიზნად აქვს ადამიანში ადამიანური ფასულობების აღორძინების იმედი ჩაგვისახოს., რომელიც ცივილიზაციამ დათრგუნა, იგი ანუგეშებს კაცობრიობას ადამიანის გვარისმ, გენის, ნების უკვადავებით.

---

1 Шопенгауэр А., Афоризмы и максимы, т. 2, 1892, с. 121-123

ამჟამად, საზღვარგარეთის ქვეყნებში დიდი აღიარება აქვს მოპოვებული მეცნიერული აზროვნების ახალ მიმართულებას, რომელსაც პარაფსიქოლოგიას ანუ მეტაფსიქოლოგიას უწოდებენ, იგი ცდილობს, შეისწავლოს მგრძნობელობის ისეთის ფორმები, რომელთა ახსნა სცილდება გრძნობათა ორგანოების სფეროს. პარაფსიქოლოგები სპეციალურ ექსპერიმენტებს ატარებენ, რათა დაადასტურონ ან საბოლოოდ უარყონ სასწავლებრივი ფსიქოფიზიოლოგიური მოვლენების არსებობა, განსაკუთრებით ნათელხედვა-ტელესთეზია, გრძნობის ორგანოების გამოყენების გარეშე, როდსაც ხდება მეორე პიროვნების განცდათა აღქმა და აზრის ან გრძნობის უშუალო გადაცემა; კუნთის შეკუმშვის შედეგად წარმოშობილი ძალის მანძილზე გადაცემა და მისი ზემოქმედება სხვა სხეულზე-ტელეკინეზი; ფსიქოკინეზი, – აზრის ძალით ზემოქმედება ფიზიკურ ობიექტზე; ტელეპატია – ერთი ადამიანის მიერ მეორის აზრის გაგება და ა. შ. პირველი მესიტყვე, რომელიც დაინტერესდა ამ საკითხების შესწავლით და ორიგინალური თვალსაზრისი გამოთქვა მის ირგვლივ, იყო შოპენჰაუერი. მან ეს ფაქტი ადამიანში ნების გამოვლენით ახსნა.

შოპენჰაუერის აზრით, აბსოლუტურად რეალური – თთნ, ანუ ნება, არის მიზეზი და საფუძველი შთაგონების, ჰიპნოზის, ნათელმხილველობისა და მისი შემეცნება უნდა ამოვიღოთ ჩვენი საკუთარი არსების შინაგანი წიაღიდან. „მართლაც, რეალურის ანუ თთნ-ის შემეცნება ცნობიერებაში შემოდის აქედან და სახელობრ, როგორც ნება“ – ამბობს იგი.

„აფორიზმების ...“ I თავში – „სულთახედვის შესახებ“ ფილოსოფოსი მსჯელობს იმაზე, რომ გარე სამყაროს მჭვრეტელობა... განპირობებულია არა მხოლოდ გრძნობებით, არამედ ტვინითაც“[1], რომ გრძნობები მხოლოდ შეგრძნებებს იწვევენ ჩვენს გრძნობათა ორგანოებში და მისგან გონება აგებს პირველად სხეულებრივ სამყაროს მიზეზობრიობის კანონის აპრიორული გამოყენებით და აპრიორიზმისათვის დამახასიათებელი ფორმებით – დროით და

1 Шопенгауэр А., Афоризмы и максимы, т. 2 1892 1, предисловие.

სივრცით"[1] ე. ი. გარესინამდვილის ასახვას გონება ახდენს გრძნობათა ორგანოებისაგან მოპოვებული შთაბეჭდილებებით, რომელსაც სვამს ცნობიერების ყალიბებში. ხომ შეიძლება, რომ ასეთივე ასახვა მოახდინოს ტვინმა შინაგანი შთაბეჭდილებებიდანაც? „რატომ არ შეიძლება, რომ ასეთი აღძვრა შინაგანი იყოს თვით ორგანიზმიდან, მიაღწიოს ტვინამდე და შემდეგ თავისი ტვინის ფორმების საშუალებით სწორედ ამგვარი გადამუშავება განიცადოს?"[2] – კითხულობს იგი.

შოპენჰაუერის აზრით, ტვინის სფერო და ნების სფერო ადამიანის ორგანიზმში გარკვეულ დამოუკიდებელ, ერთმანეთისაგან იზოლირებულ ფუნქციებს ასრულებს. ჩვეულებრივ ისინი არ ერევიან „ერთმანეთის საქმეში". ფხიზელ და ჯანმრთელ მდგომარეობაში ადამიანის ტვინი ასახავს გარე შთაბეჭდილებებს და მის ცნობიერებაში ამ დროს სრულიად არ აისახება ორგანიზმის შიგნით მიმდინარე პროცესები. მას ამისათვის „არ სცალია", რადგან თავისი ობიექტით – გარე სამყაროს აღქმითაა დაკავებული, ხოლო ამ დროს ნების ორგანოები: სიმპათიკური ნერვული სისტემის კაპილარები და ბოჭკოები. დაკავებული არიან შინაგანი პროცესების მართვითა და შთაბეჭდილებებით. ამრიგად, ტვინი გარე სამყაროს ასახავს, ნება – შიგას. მაგრამ, როგორადაც ტვინი გარე სამყაროსაგან მიღებულ შთაბეჭდილებებს აღიქვამს და გადაამუშვებს, ასევე, რატომ არ შეიძლება მეორე სფეროს მესვეურმა – ნებამ შინაგანი შთაბეჭდილებებიც მიაწოდოს „თავის მსახურ" ტვინს* გადასამუშავებლად? მაშინ ტვინი გამოდის თთნ-ის და მოვლენის მაკავშირებლად. მივდივართ იმ დასკვნამდე, – გვეუბნება შოპენჰაუერი, რომ „ნება არის სულის მოვლენათა საფუძველი, როგორც მოვლენა სხეულში"[2] ტვინის გარე შთაბეჭდილებებით დაკავებისას ნება შინაგან პროცესებს მართავს გაუცნობიერებლად თავისთავად, ინსტინქტურად, ტვინის გარეშე. მხოლოდ მაშინ, როდესაც ორგანიზმს რაიმე – „უჭირს", ნება „უხმობს ტვინს", რათა მან თავი ანებოს თავის სპეციფიკურ საქმეს – გარე შთაბეჭდილებათა

1 Шопенгауэр А., Афоризмы и максимы, т. 1892 с.3

* გავიხსენოთ, რომ თუ ადრინდელ ფილოსოფოსებთან ნება ექვემდებარებოდა გონებას, შოპენჰაუერთან გონება „ნების მსახურია".

2 (1) იქვე, გვ. 4-5.

შეგროვებას და შინაგან სხეულს მიაპყროს ყურადღება. სწორედ ამ დროს ირღვევა ტვინის სფეროსა და ნების იზოლირების „პირობა“, ტვინი აცნობიერებს არაჯანმრთელი ორგანოს მდგომარეობას და იგი მასში ამ ორგანოს ტკივილის ან ამგვარის სახით ფიქსირდება.

ფილოსოფოსის აზრით, ძილის დროს, ანუ ყველა სასიცოცხლო მუშაობის დროებით შეჩერებისას, სასიცოცხლო ძალები მთლიანად მიიმართება ორგანული შინაგანი მდგომარეობის მონესრიგება-განმტკიცებისაკენ. ამიტომაა, რომ ძილის შემდეგ ავადმყოფი ილვიძებს შემსუბუქებული და გაუმჯობესებული გრძნობით. ძილის დროს ხდება ტვინის კვება-შესვენება, რასაც ადგილი არა აქვს ფხიზლობის დროს. ფილოსოფოსის აზრით, ნება ამ ოპერაციებს ახორციელებს სიმპათიკური ნერვული სისტემის საშუალებით. „უწვრილესი ნერვული დაბოლოებებით, რომლებიც ქმნიან დიდ სიმპატიკურ ნერვებს ანუ შინაგან ნერვულ კერას. იგი სრულიად გამოყოფილია და განცალკევებული გარეგანი ნერვული კერისაგან – თავის ტვინისაგან, რომელიც მართავს მხოლოდ გარეგან ურთიერთობებს და ნერვული აპარატის გარეთ მიმართულ წარმოდგენებს. ამის გამო, შინაგანი ნერვული კერის ოპერაციები ნორმალური მდგომარეობისას არ შედიან ცნობიერებაში, არ შეიგრძნებიან, მაგრამ მაინც აქვთ გაშუალებული და ძალზე სუსტი კავშირი ტვინის წვრილ და მაანასტომიზირებელ ნერვებთან. ამ ნერვების გზით მისი იზოლაცია (არანორმალურ მდგომარეობისას ან შინაგანი ნაწილების დაზიანებისას) რაღაც ხარისხში წყდება, რის შედეგადაც ასეთი დაზიანება ცნობიერებას მსჭვალავს ტკივილით... ტვინის გარე შთაბეჭდილებებით დაკავებისას ეს სუსტი გამოხმაურება სრულიადაც ვერ შეინიშნება და ახდენს მხოლოდ დაფარულ და გაუცნობიერებელ გავლენას, რომელიც იწვევს სულის განწყობას და გუნებაგანწყობილების ცვლილებებს“[1].

ამრიგად, ნების პრაქტიკული მსახურებია ორგანიზმში არსებული უწვრილესი, უმგრძნობიარესი ნერვული დაბოლოებები და მათ მიერ შექმნილი სისტემა, რომელთა საშუალებითაც ნება კავშირს ამყარებს ყველა ორგანოსთან და საჭირო შემთხვევაში (მაგნიტური, ელექტრო თუ ბიოდენის საშუალებით, რომელიც გააჩნია იგივე დაბოლოებებში

1 Шопенгауэр А., Афоризмы и максимы, т. 3, 1892., გვ. 16.

გენს), – სხვა ადამიანთა ორგანოებთანაც. შოპენჰაუერი მიგვანიშ-ნებს, რომ სწორედ ამ უმგრძნობიარესი სიმპატიკური ნერვული დაბოლოებებით შექმნილ სისტემას, (რომელიც თავის სფეროში რთავს მხედველობის, სმენის, შეხების ანუ თვალის, ყურის და კანის რეცეპტორებს – „სიზმრის ორგანოებს"), მიუძღვის დიდი როლი სიზმრის, შთაგონების, ჰიპნოზის, ნათელმხილველობის და სხვა ამგვარის მოხდენაში „ჩაძინებისას, როცა გარეგანი შთაბეჭდილებები წყვეტენ მოქმედებას, ხოლო აზრების მოძრაობა და სიცოცხლის-უნარიანობა გრძნობადობის წიაღში თანდათან ქრება, მაშინ სუსტი შთაბეჭდილებები ორგანული ცხოვრების შინაგანი ნერვული კერიდან გაშუალების გზით ძლიერდება (ისევე, როგორც სისხლისმიმოქცევის უმცირესი ცვლილებებიც კი ამ დროს შესამჩნევია და შეგრძნებადი). როგორც ჩირაღდანი ინყებს ჩახჩახს, როცა შეღამდება, როგორც მხოლოდ ღამით ვისმენთ უკეთესად ნაკადულის ჩუხჩუხს, რომელიც ჩახშობილია დღის ხმაურში, ასევე შთაბეჭდილებები (ძალზე სუსტნი იმისათვის, რათა გავლენა მოახდინონ მღვიძარ ადამიანზე, ანუ მოქმედ ტვინზე), მხოლოდ მაშინ, როცა ნყდება ტვინის საკუთარი მოღვაწეობა, შემძლებნი ხდებიან, გამოიწვიონ მსუბუქი აგზნება ტვინის ცალკეული ნაწილებისა და მათი წარმოდგენითი უნარისა. აი, სწორედ აქ უნდა იყოს ძილის ზმანებათა წარმოშობის მიზეზი"... ამრიგად, ღრმა ძილი – ესაა ტვინის სიმშვიდე, ხოლო სიზმარი – მაინც მისი მოღვაწეობა, ოღონდ რომელილაც ორგანოს მოღვაწეობა (და ისიც მხოლოდ ნაწილობრივი, რომელიმე ნაწილის), მაგრამ განპირობებულია იგი ტვინის ნაწილებით, თუ მისი აღგზნების ხარისხით, ან მისი შინაგანი მოძრაობის სახეობით?"[1]. ამრიგად, ადამიანს, შოპენჰაუერის აზრით, მჭვრეტელობის ორმხრივი უნარი აქვს: ერთით ტვინისმიერით, ჩვენ ვჭვრეტთ სამყაროს, მეორე ხედვით – ნებისმიერით – შინაგან ფსიქიკას. იგი არაა გაშუალებული, როგორც პირველი, გარეგანის შეგრძნებებით, „თუმცა მისი საგნები გვარით და ფორმით ისეთივეა, როგორც პირველი მჭვრეტე-ლობისას, რის შედეგადაც უნდა დავასკვნათ, რომ მეორეც, როგორც პირველი, წარმოადგენს ტვინის თვისებას"[2]. მაგრამ

1 Шопенгауэр А., Афоризмы и максимы, т. 3, 1892, с. 17.
2 იქვე, გვ. 36-37

ტვინზე უფრო მკვეთრად აქ მოქმედებს ნება. აქ სხეული იგივეობრივია ნებისა. შოპენჰაუერის აზრით, „მაგნეტიზორიც მოქმედებს არა ფიზიკურად, არამედ მაგნეტიზორის ნებით"[1]. ასევე, მთვარეული დადის „ნების შინაგანი ხედვით" (რომელსაც შოპენჰაუერი „სიზმრის ორგანოთი" მოძრაობასაც უწოდებს). „ყველა მჭვრეტელობა – მთვარეულის ხედვა, გარეგან სხეულთა პირისპირ განჭვრეტა, ყოველგვარი სიზმარი, მეორე ხედვა, რომელიც წარმოიშობა უგონოდ მყოფ (ტვინგამორთულ) სხეულში, ასევე მომაკვდავში, ხდება სიზმრის ორგანოთა საშუალებით"[2]. ძილის დროს ცნობიერება გამორთულია მოღვაწეობისაგან, მაგრამ აქ ნების „შინაგანი შთაბეჭდილებები" ზოგჯერ ერთდება ტვინის გარეგან შთაბეჭდილებებთან, როცა სიმპათიკური ნერვები „იპარებიან" ჩაძინებულ ტვინისაკენ, „არ ასვენებენ" მას. სწორედ მაშინ ხდება ამ „სიზმრის ორგანოებით სიზმრის წარმოქმნა გარე და შიგა შთაბეჭდილებების ერთმანეთზე გადახლართვის შედეგად. თუმცა, „დაძინების დროს, სიზმრის გამოჩენისას, ტვინთან – წარმოდგენათა მომცველ ამ ერთადერთ ორგანოსთან – გზა მოჭრილი აქვს აგზნებას, როგორც გარედან გრძნობათა საშუალებით, ასევე შიგნიდან აზრების საშუალებით" და ჩვენ სხვა არაფერი დაგვრჩენია, თუ არა იმის დაშვება, რომ იგი იღებს წმინდა ფიზიოლოგიურ აღგზნებას ორგანიზმის ნიაღიდან. „ხოლო ამ ნიაღის ზემოქმედება ტვინზე ხდება ორი გზით: ნერვების და სისხლძარღვების გზით"[3]. ამრიგად, ნების გავლენა ტვინზე ხორციელდება შინაგანი ზემოქმედების საშუალებით, ნერვული დაბოლოებების სისტემის ძალით. ამ დროს ტვინი, ერთგული თავისი ბუნებისა, გადაამუშავებს ამ შინაგან შთაბეჭდილებებს, ზუსტად იმგვარად, როგორადაც იმ შთაბეჭდილებებს, რომლებსაც იღებს გარედან... ამიტომ ყოველი მჭვრეტელობა სიზმრის ორგანოთა საშუალებით არის ტვინის მჭვრეტელობითი ფუნქციის მოღვაწეობა, ოღონდ აღგზნებული შინაგანი შთაბეჭდილებებით... რომ ეს მოღვაწეობა (თუნდაც იგი ეხებოდეს გარეგან და შორეულ საგნებს), მაინც ობიექტური რეალობა და ჭეშმარიტებაა, ეს ფაქტია, მაგრამ

1 Шопенгауэр А., Афоризмы и максимы, т. 3, 1892, с. 15.
2 იქვე, გვ. 36-37.
3 იქვე, გვ. 15

მისი ახსნა შეიძლება მხოლოდ მეტაფიზიკური გზით". შოპენჰაუერის აზრით, „ცხადი მჭვრეტელობისაგან განსხვავებით, სიზმრის ორგანოების მიერ მჭვრეტელობის აღგზნება ტვინში გამომდინარეობს თვით ორგანიზმის შინაგანი წიაღიდან და სიმპათიკური ნერვული სისტემიდან ვრცელდება ტვინზე", (რის საშუალებითაც აღიგზნება მჭვრეტელობა მსგავსად პირველისა ტვინზე გარეგანით მიღებული), მაგრამ რადგან აღგზნება საპირისპირო მიმართულებას იღებს... ეს უდევს საფუძვლად მაგიურ ზემოქმედებას"[1]. ... „ამრიგად, ყველა შემთხვევაში, თთნ ანუ შინაგანი არსი ადამიანისა წარმოადგენს მხოლოდ ნების ობიექტივაციას ანუ ინდივიდის ტვინში ნების ასახვას"[2]. ამავე დროს, შოპენჰაუერის აზრით, დრო – სივრცის საზღვარი არ არსებობს მარადიული ნებისათვის. ინდივიდუმები ერთმანეთისაგან გამოყოფილნი არიან დროითა და სივრცით, ნებისათვის კი მათი საზღვრები არ არსებობს, ამით ხსნის შოპენ-ჰაუერი იმ ფაქტს, რომ შესაძლებელი ხდება ინდივიდების ერთმა-ნეთზე ზემოქმედება. სივრცეში მათი განლაგების მიუხედავად, მათზე ერთიანი, საერთო ნება მოქმედებს. „აქედან, უშუალოდ თთნ-ის არსში დაგროვილი ინფორმაციით ირკვევა სიზმრის შესაძლებლობა, სომნამბულიზმის და ნათელმხილველობის გარემოებები"[3]. შოპენჰა-უერის აზრით, სიზმრის მდგომარეობა შემაერთებელი რგოლია, ხიდია სომნამბულისტურ ცნობიერებასა და ცხად ცნობიერებას შორის[4] – მთვარეულობა, ლუნატიზმი (გავიაზროთ რუსულში So(m)n-Сон ქართულში ძილინებისა). მისი გამოწვევა შეიძლება ჰიპნოზითაც.) ცნობიერებასა და ცხად ცნობიერებას შორის. ამასთან, რაც ხდება, ყველაფერი ხდება მკაცრი აუცილებლობით შოპენჰაუერს მოჰყავს მაგალითი საკუთარი ცხოვრებიდან: საღამოს, წერის დროს, მან უეცარი ხელისწაკვრით დააქცია მელანი, ინატრა მსახური, მაგრამ გაიფიქრა, რომ გვიან იყო, კარი ჩაკეტა და დაიძინა. დილით აკაკუნებს მსახური, წყლით და ჩვრით ხელში. მას მელნის დაქცევა დაესიზმრა, რის შესახებაც დილითვე უამბო მის

---

1 Шопенгауэр А., Афоризмы и максимы, т. 3, 1892, , გვ 37-38
2. იქვე. გვ. 108.
3. იქვე., გვ. 111
4. სომნამბულიზმი – (ლათ. somnus – ძილი, ambulo – დავდივარ)

ოთახში მწოლ მსახურს, რომელიც დაემონმა სიზმრის მოყოლის ფაქტში. შოპენჰაუერის ახსნით, ნების ძალით (რაკი მსახურს და შოპენჰაუერს ერთი ნება მართავდა (რაკი ნების ენერგია ერთგვაროვანია ყველგან, როგორც ყოველი ენერგია) მომხდარი ფაქტი უკვე წინასწარ იყო შელწეული მსახურის ცნობიერებაში. იგი ამბობს: „ეს აიხსნება იმით, რომ ღრმა ძილში ზმანება მაღლდება მთვარეულის ნათელმხილველობამდე და მას ესიზმრება თეორემატიკული სიზმარი (რაც უნდა მოხდეს მომავალში)*“. აქვე იგი შენიშნავს, რომ პირველად ეს თეორემატიკული ძილი ახსენა არტემიდორემ[1]. შოპენჰაუერის აზრით, ნება – „სულის რეალური ნაწილი“ – მოქმედებს „მოხეტიალე ატომების“ მსგავსად. აგრეთვე „ადამიანის ნება – შეუზღუდველი ინდივიდუაციის საზღვრებით – უშუალოდაც და შორ მანძილზეც მოქმედებს მეორე ადამიანის ნებაზე და ისევე მოქმედებს მის ორგანიზმზე, როგორც სივრცეში ჭვრეტადი მისი ნება“[2] ფილოსოფოსის თვალსაზრისით, რადგან ყველა მოვლენაში თთნ, ანუ ნება, იგივეობრივია, მისი ზემოქმედება ყველგან ემყარება მეორე ხედვას ნებისმიარს, „სიზმრის ორგანოებით“ ხედვას, ამიტომაა, რომ ის ადამიანი, რომელშიც ძლიერია ნათელმხილველობა, „ერთნაირად ზემოქმედებს რამდენიმე ინდივიდუმზე, რის გამოც ყველა ისინი ხედავენ ერთიდაგივეს“[3]. შოპენჰაუერი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ აზრთა შთაგონებაც ემყარება ნებას და მისი ზემოქმედების იგივეობას: „რის გამოც, თუ ვინმეს სურს რაიმე საშიში საიდუმლოს დაფარვა, იმ საქმის გარშემო არ უნდა ისაუბროს მასთან, ვისაგანაც მას ფარავს, რადგან საუბრის დროს მას გარდაუვლად თავში უნდა ჰქონდეს ჭეშმარიტი ვითარება იმ საქმისა, რის განჭვრეტაც შეუძლია მეორეს, რადგან აქ შეიძლება მოხდეს შთაგონება, რომლისგანაც ვერ დაიმალები, ვერც დაფარვით, ვერც შენიღბვით“[3]. შოპენჰაუერს ნების გავრცელება ისევე წარმოუდგენია, როგორც მაგნიტის ან ელექტროდენის გადაცემა ერთი სხეულიდან მეორეზე, ოღონდ ამისათვის შეიქმნას

---

* II ს ბერძენმა მოაზროვნემ არტემიდორემ დაწერა „სიზმრის წიგნი" და საფუძველი ჩაუყარა „იონერომანტიკის" მოძღვრებას „მოხეტიალე ატომის" შესახებ.

1 Шопенгауэр А., Афоризмы и максимы, т. 3, 1892, с 111.

2 იქვე, გვ.118.

3 იქვე

გარკვეული პირობა. მას მოჰყავს ასეთი მაგალითი: „გოეთეს გადმოცემით, ორი შეყვარებული ადამიანი ერთმანეთის მიერ ჩაფიქრებული შარადების გამოცნობაში იყვნენ. მალე ისინი არამარტო გამოცანას ხსნიდნენ, არამედ წარმოთქვამდნენ იმ სიტყვას, რომელიც მეორის მიერ იყო ჩაფიქრებული"[1]. ამრიგად, შოპენჰაუერის თვალსაზრისით, ყველა არსებულში ერთიანი და იგივეობრივი ნება ძალამოსილია, იმოქმედოს ტვინზე, გამოიყენოს იგი თავის მსახურად, თავისი ტვინი იქნება ეს, თუ სხვისი. მას შეუძლია ტვინი გამორთოს, მოადუნოს იგი, ან დააძინოს და სხეულის ორგანოებს შეასრულებინოს დავალებები სიმპართიკური ნერვული სისტემის უწვრილესი და უმგრძნობიარესი ნერვული დაბოლოებების და ბოჭკოების გამოყენებით, რომლებზედაც შეუძლია იმოქმედოს ყველა ადამიანის გენში არსებულ მაგნეტიზორულ ან ბიოელექტრულ იმპულსებით (რომლებიც სხვადასხვა ადამიანში მეტნაკლები ინტენსიობით არსებობს), რომელთა ერთობლიობასაც იგი ნების გამოვლენად მოცემულ მემკვიდრეობითობას უწოდებს (ჩვენი თანამედროვე ტერმინით – გენს). ამგვარი მოქმედების გამომწვევად, აღნიშნულ ნერვთა ზემოქმედებით მას მიაჩნია „შთაგონება". შთაგონებად, როგორც ჩანს, შოპენჰაუერს მიაჩნია ნებისაგან გამომდინარე იმპულსი, რომლის შეჩერება (როდესაც ნება უკვე მიმართულია რომელიმე სხეულის მიმართ), შეუძლებელია.

დასასრულ, გვინდა აღვნიშნოთ, რომ თუ რაციონალიზმის მიმდევრები ადამიანის არსს აზროვნებაში ხედავდნენ, ექსისტენციალიზმის მიმდევრები – არსებობაში, შოპენჰაუერი – არაცნობიერ კოსმიურ ენერგიათა ერთობლიობაში – ნებაში.

შოპენჰაუერმა ადამიანის და მთელი სამყაროს საფუძვლად მიჩნეული, არაცნობიერი არსი – ნება მოძებნა სწორედ ადამიანის შინაგან წიაღში, მისი მსურველობის გენეტიკურ საფუძველში. იმაში, თუ რა და როგორ ნებავს ადამიანს, ჩანს, თუ რას წარმოადგენს იგი თავისი არსით, რომ ადამიანური ქცევები მისი შინაგანი არსიდან – ნებიდან, მსურველობის საფუძვლიდან უნდა აიხსნას. ნება ადამიანში ადამიანთა გვარის ყველა მემკვიდრულ ფაქტორთა დაპირისპირებულ ძალთა ყოვლისმომცველი კოსმიური ენერგიაა. ამ

1 Шопенгауэр А., Афоризмы и максимы, 1892, с. 113

ენერგიით ადამიანი ყოველთვის აკეთებს იმას, რაც სურს და სურს ის, რასაც წარმოადგენს თავისი არსით (ბოროტი თუ კეთილი ნების გამოვლენას) ამ ენერგიას ემყარება ადამიანში ქცევის 3 მამოძრავებელი: 1. ეგოიზმის, 2. ბოროტების, 3. თანაგრძნობის (სიმპათიის) აღმძვრელი თანდაყოლილი ლტოლვა, გენური სურვილის ენერგიით სწრაფვა.

შოპენჰაუერს მიაჩნია, რომ ადამიანის სხეულში ჯგუფდება დადებით-უარყოფითი, ზნეობრივ-არაზნეობრივი მუხტები, რომლებიც იქცევიან ქცევის მამოძრავებელ ზამბარებად. ნების გამოვლენა ინდივიდუალურ ადამიანში მას წარმოუდგენია ისევე, როგორც დემოკრიტეს „სულის ატომთა განლაგება – შოპენჰაუერთან „სულის იმპულსთა განწობა" როცა ქცევა-განწყობას ქმნის სხეულში რომელიმე მხარის (დადებითის თუ ურაყოფითის) სიჭარბე, რომელიც ყოველ ერთნაირ პირობებში ერთნაირად იმოქმედებს თავის გამომვლენელი მოტივით, შინაგანი ატომების განლაგების სახით. ასეთი მოტივის აღმძვრელად შეიძლება ნების საშუალებით იქცეს ერთი ადამიანის მეორეზე ზემოქმედება (სიტყვიერი, ჰიპნოზური, შთაგონებითი, თვითშთაგონებითი, ხელის შეხებითი, ბიოდენური და სხვა). ნება სხვადასხვა ინტენსიურობით ვლინდება ყველა არსებულში და სხვადასხვა ადამიანში, მაგრამ იგი ყველგან იგივეობრივია თავისი არსით.

შოპენჰაუერს მიაჩნია, რომ თთნ ანუ ნება არის ბუნებისა და ადამიანის ამხსნელი, უაღრესად შინაგანი ენერგია, რომლითაც უნდა აიხსნას ყველა გამოუცნობი მოვლენა და საიდუმლო, არამარტო სასიცოცხლო პროცესები, ქცევები და ინსტინქტები, არამედ მეტაფიზიკური მოვლენებიც, ექსტრასენსული მოქმედებებიც და სიკვდილის მისტერიაც. შოპენჰაუერი, როგორც ყოველ აღნიშნულს, ექსტრასენსულ მოვლენასაც ადამიანის სხეულში არსებულ ნების გამოვლენით ხსნის.

3. დანილევსკის წიგნი „გამოკვლევები ელექტროდენის მანძილზე ფიზიკური მოქმედების შესახებ" (1900 წ. ტ. II) და კაჟანსკის – „ბიოლოგიური რადიოკავშირი" (1923 წ.), გვიდასტურებენ, რომ ნერვიულ სისტემაში ცვლადი დენი ბიოდენია. ეს უნდა იყოს სწორედ შოპენჰაუერის, ნების ენერგიის გამოვლენა, რომლითაც

შეიძლება ერთი ადამიანის ტვინი გახდეს მეორე ადამიანის იგივე სახის ენერგიის იმპულსთა მიმღები.

მოძღვრებას ძილისა და სიზმრის, ასევე ტვინში აგზნება-შეკავების პროცესების შესახებ ყველაზე ადრე ვეცნობით შოპენჰაუერთან (1788-1860). პავლოვის „აგზნება-შეკავების პროცესი სწორედ გარეშთაბეჭდილებათაგან ამორთვის და შიგაშთაბეჭდილებათა დომინირების (დომინანტის) ანალოგიურია. ყველა შემდგომ ფილოსოფოსთა გამოკვლევებში, რომლებიც ეხებიან ამ პროცესებს, (სახეობათა ევოლუცია-მემკვიდრულობას და ექსტრასენსულ მოვლენებს), შოპენჰაუერის შრომათა ზეგავლენა იგრძნობა, ასე მაგალითად, მენდელმა 1865 წ. დაადგინა მემკვიდრულობის კანონები, ხოლო ძილსა და სიზმარზე გამოკვლევები ჩამოაყალიბეს ნუდოვმა 1891 წ. და მაიერმა 1841 წელს, ფრანგმა მორიმ; როშემ 1896 წ., ჟუარმა (1897 წ.), შემდეგაა დაწერილი გერმანელი ვეგანდის, რუსი ბეხტერევის, ასტვაცუროვის, ავსტრიელი ფროიდის, ასევე მესმერის და პორტუგალელი აბატ ფარიეს გამოკვლევები, ჰეიდენჰაინის „ცხოველური მაგნეტიზმი“, ბრედის გამოკვლევა მაგნეტიზმის შესახებ და პავლოვის „აგზნება-შეკავების პროცესები“. აღნიშნულ მკვლევარებთან იგრძნობა შოპენჰაუერის მოძღვრების გავლენა.

ფაქტები მეტყველებენ, რომ ი. რ. მაიერის 1841 წლის – ენერგიის შენახვისა და მუდმივობის კანონის – აღმოჩენამდე, შოპენჰაუერი ლაპარაკობს მატერიის (როგორც ნების გამოვლენის ერთ-ერთი ფორმის) მოუსპობლობა-გაუქრობლობაზე, ენერგიის შენახვასა და გარდაქმნაზე, ერთი ფორმიდან მეორეში თვისობრივი გადასვლის პროცესის უნივერსალობაზე, ევოლუციასა და მემკვიდრეობითობაზე. ასევე – დაპირისპირებულთა ბრძოლის აბსოლუტურობაზე, დიალექტიკურ უარყოფით უარყოფაზე. აღნიშნულის შესახებ უთვალავი მაგალითებით დასტურდება, რომ უსაფუძვლო არ არის მისი შრომების მთარგმნელ-მკვლევარის – ჩერნიგოვეცის მიერ „აფორიზმების...“ პირველ ტომის წინასიტყვაობაში გამოთქმული მოსაზრება, რომ „ყველაფერი ჭეშმარიტი დარვინის, ლამბროზოს, მანტეგანცის მოძღვრებებში ორგანულად გამომდინარეობს შოპანჰეუერის სისტემიდან,

მკვეთრადაა ხაზგასმული ჯერ შოპენჰაუერთან და უთუოდ ნასესხებია მათ მიერ, თუმცა შეიძლება დამოუკიდებლადაც მივიდნენ ამ დასკვნამდე)" – გვეუბნება იგი.

რაკი ნება, შოპენჰაუერის სიტყვით, იგივეობრივია ბუნებაში არსებული (ელექტრო-ბიო-მაგნიტურ-პოლარული...) ძალებისა. გამოდის, რომ სურვილით სწრაფვაც (მსურველობა), გამრავლებისაკენ (ვნებით) სიცოცხლისაკენ და თვითშენახვისაკენ სწრაფვაც (თვითშენახვის ინსტინქტი) არის ენერგია – ძალა ბუნების ძალთა იგივეობრივი. ნების ენერგიის (როგორც ელექტრო-ბიო-მაგნიტურ-პოლარულის იგივეობრივის) აბსოლუტურობა სამყაროში დასტურდება თანამედროვე რადიოტექნიკისა და რადიოელტექნიკის მიღწევებით. ასე მაგალითად: ტელეპატია-აზრების წაკითხვა ნათელხილვით მოგვაგონებს კავშირს, რომელსაც უმავთულო ტელეგრაფი და რადიო ახორციელებს ელექტრომაგნიტური ტალღებით, ტელესთეზია – სატელევიზიო კავშირს, ტელეკინეზი – მანძილზე მართვას თვალის აპარატი ფუნქციონირებს ისევე, როგორც ფოტოაპარატი, ბროლი თავისებური ობიექტივია, ბადურის შუქმგრძნობი უჯრედების ფენა – ცოცხალი ფოტოფირფიტა. ულტრაბგერითი ლოკაციის ორგანები აქვთ დელფინებსა და ღამურებს, რადიოლოკაციისა – თევზებს. თანამედროვე ბიოელექტრონიკის უთავლავი მაგალითებიდან დასტურდება, რომ ენერგია, რომელსაც შოპენჰაუერი ნებას უწოდებს, მართლაც იგივეობრივია ბუნებაში მოქმედი ძალებისა.

1903 წ. ბერლინელმა შმიდტმა დაადგინა, რომ რაბდიკული ძალა თავისი ბუნებით ელექტრულ-მაგნიტურია. ეს ენერგია საბადო-წყაროთა მძებნელ ადამიანებში ინტენსიურია და ისინი ნათელხედვის ორგანოების (სმენის, შეხების მხედველობის ... ორგანოთა) ზენორმალურ გრძნობადობას ამჟღავნებენ. ამის მაგალითებია ექიმ მიტჩელის გამოკვლევებში და დ. მენდელეევის წიგნში „მასალები სპირიტუალიზმზე მსჯელობისათვის", როცა თვალდახუჭული ადამიანი (თითის მიახლოებით) ორმაგი სუფრის ქვეშ ამოდებულ კონვერტიდან კითხულობს ნაწერს. ზოგ ადამიანს მიწიდან ამოსული გამოსხივების, რადიუმის ემანაციით გამოწვეული ჰაერის იონიზაციის (ჩვეულებრივ შეუგრძნობელის)

შეგრძნების უნარი აქვს. ამგვარ უნარს შოპენჰაუერი დიდი ნების ენერგიის ინტენსივობის ქვეშ მყოფი სხეულის მგომარეობას უწოდებს, მსგავსი მაგალითები მოგვცა 1930 წელს ეუჟენ ოსტის მიერ ჩატარებულმა ცდებმა, როცა ტელეკინეტიკური ძალის მქონე პაციენტმა შორი მაგიდიდან ცხვირსახოცი ჩამოაგდო. პაციენტი რუდი (ტრანსის მდგომარეობაში მყოფი) ამბობდა, რომ მისი სხეულიდან თითქოს რაღაც სუბსტანციის ნაკადი გამოიყოფოდა (რუდი ასე ხედავდა) და ეს სუბსტანცია გადაადგილებდა ხოლმე ცხვირსახოცს. მართლაც, ცდისას ობიექტზე მიმართული ინფრაწითელი სხივების კონა გადიკვეთა უხილავი სუბსტანციით, რომელიც იმავე ობიექტისაკენ მიისწრაფოდა. კუნთის შეკუმშვით წარმოშობილი ძალის მეორე სხეულზე გადაცემის მაგალითები, (რომელიც თანამედროვე კვლევის დროსაც გვხვდება და ექსტრასენსული მოქმედების ფაქტები გვაძლევს იმის თქმის უფლებას, რომ შოპენჰაუერის ნება არის ენერგია, ბუნების ძალთა იგივეობრივი, რომელსაც შეუძლია იმოქმედოს ელექტრო-ბიო-მაგნიტური იმპულსებით, რომ სიმპათიკური ნერვული სისტემის სახით ადამიანის სხეულის უჯრედებში არსებობს მათი პოტენციალები, რომლებიც აგზნება-შეკავების ანუ, შოპენჰაურის თქმით, გარე და შიგა შთაბეჭდიდებათა ჩართვა-ამორთვისათვის უმნიშვნელოვანეს კომპონენტებს წარმოადგენენ, რომ ორგანიზმი შეადგენს სისტემას, რომელშიც ინახება არამარტო ნივთიერებათა და ენერგიათა ცვლა, არამედ ინფორმაციის მიღება-შენახვის უნარიც, რომელსაც შოპენჰაუერი უწოდებდა ადამიანის ორგანიზმში და ყოველ არსებულში არაცნობიერი ენერგიის გამოვლენას, იმ იმპულსების სახით, რომელიც შესამჩნევია მხოლოდ შთაგონების აღძვრისას.

ამრიგად, ექსტრასენსული მოვლენების საფუძველია ადამიანის ორგანიზმში უაღრესად შინაგანი ენერგიის – ნების ენერგიის არსებობა, რომელიც იგივეობრივია ბუნებაში მოქმედი ენერგიის ძალისა (ელექტრო-ბიომაგნიტურ-პოლარული ძალებისა), რომელიც სამყაროში თავს იჩენს ამ ძალთა გამომვლენი იმპულსების სახით.

არაცნობიერი ნების ენერგია განსაკუთრებით ინტენსიურია ძილისა და სიზმრის დროს, როცა ტვინის ორგანოები გამორთულია გარე შთაბეჭდილებებისაგან და გზა ხსნილია შთაგონებისათვის. ნების მოქმედებისას 1 ტვინი შეიძლება გახდეს ნების ენერგიის ტალღების გადაცემის „სადგური", მეორე კი – ამ ტალღების მიმღები. მიღებულ ტალღებს შეუძლია თავის ტვინის ქერქში შესაბამისი ნერვულ-ფსიქიკური პროცესები გამოიწვიონ. ამავე დროს, იოგების მიერ თავისთავის ჰიპნოზის გამოწვევა, გულისცემის შეჩერება ან ძილი უნდა იყოს შოპენჰაუერის არაცნობიერი ნების ენერგიის შინაგანი მობილიზაციის, შინაგანი ნების „ხმის" გაბატონებით გამოწვეული*.

ამრიგად, ექსტრასენსული მოვლენების ახსნა ემყარება კოსმიური ენერგია-ნება-სურვილის ინტენსიობას ამა თუ იმ ადამიანში, რომლითაც იგი სხვა ადამიანებსა და საგნებზე ზემოქმედებას ახდენს. ეს ზეგავლენა შეიძლება იყოს დადებითი ან უარყოფითი, კეთილი ან ბოროტი, იმისდამიხედვით, თუ როგორია იმ ადამიანის ნება-სურვილის ენერგია, რომელიც ზემოქმედებს მეორეზე.

---

* „ნების ხმა" ანალოგიური თუ არაა, დიდ კავშირში მაინც არის სინდისის შინაგან ხმასთან, რადგან ორივეს ადგილსამყოფელი გულის სფეროა, რომლის მობილიზებითაც მოქმედებს ნებისყოფა, როცა მას რამეს „გული ეუბნება", როცა მას გულის-ყურით უსმენენ. და გა-გონ-ნება-ც ხდება ნების მიერ გონნებაზე მბრძანებლობით, როცა ამას გონიც კეთილინებებს, როცა „გული, გრძნობა და გონება ერთმანეთზედა ჰკიდია" (რუსთაველი). ღმერთმაც ძალა უნდა მისცეს (და შემწევნება ანუ შეწევნება-შეწევნა) მის განსახორციელებლად. ამიტომ ამბობს რუსთაველი: „აწ ენა მინდა გამოთქმად, გული და ხელოვა(ნ)ნება –

„ძალი მომეც და შეწევნა, შენგნით მაქვს მიესცე გონება".

შესანიშნავია ისიც, რომ რუსთაველი გონების, გრძნობის და ნების (ანუ გულისხმის კარნახიდან) გულის სფეროს აძლევს უპირატესობას და ამბობს:

„ჰკითხე ასთა, ჰქმენ გულისა, რა გინდ რა ვინ გივაზიროს"

ე. ი. ასთა გო(ნ)ნების რჩევას მოუსმინე, აუცილებლად გაითვალისწინე და შემდეგ გაკეთე ის, რასაც გული გიკარნახებსო.

მაშასადამე, შოთა რუსთაველისათვისაც და შოპენჰაუერისათვის ადამიანის ორგანიზმში მთავარი და გადამწყვეტი არის გულისხმიერ(ნ)ება გულის ნება – (როგორც შოპენჰაუერი უწოდებს – „სულის რეალური ნაწილი"), რომელსაც გულის სფეროში აქვს ადგილსამყოველი. შოპენჰაუერიც გულის სფეროს და მის ნებას აძლევს უპირატესობას.

თავი VI

შოპენჰაუერის ეთიკა და მისი მიმართება კანტის ეთიკასთან

შოპენჰაუერის ფილოსოფიაში ეთიკას პირველხარისხოვანი ადგილი უჭირავს. მისი მსოფლმხედველობა განუყრელი ერთიანობაა ეთიკისა და მეტაფიზიკისა, რომელიც მასთან წარმოადგენს ეთიკის საყრდენს. მეტაფიზიკა და ეთიკა შოპენჰაუერთან თავისებური გაორებაა ერთიანისა, რომლის საფუძველში ძევს სუბიექტის გაორება შემმეცნებელ და მსურველ „მედ". შემეცნების პროცესში განუყოფელი სუბიექტ-ობიექტი განუყოფელია ნებელობის აქტშიც.

შოპენჰაუერი ეთიკის საკითხებს ეხება თავისი ძირითადი ნაშრომის „სამყარო, როგორც ნება და წარმოდგენა" IV წიგნში (ნაშრომის პირველი წიგნი ეხება შემეცნების თეორიას, მეორე – მეტაფიზიკას, მესამე – ესთეტიკას და მეოთხე – ეთიკას). ეთიკის საკითხები მას ძირითადად დამუშავებული აქვს აგრეთვე შრომებში: „ნების თავისუფლება" და „მორალის საფუძვლები", („ეთიკის ორი ძირითადი პრობლემა") ასევე „აფორიზმებისა და მაქსიმების" სამივე წიგნში.

ნაშრომის „სამყარო, როგორც ნება და წარმოდგენა" IV წიგნში შოპენჰაუერი ამბობს: „ამ ნაწილს შეიძლება ვუწოდოთ პრაქტიკული ფილოსოფია წინა – თეორიულთან შედარებით, თუმცა პრაქტიკულ ეთიკას ეძახიან მოვალეობის ეთიკას, მაგრამ მიმართულება მივცეთ ადამიანის ქცევებს და შევცვალოთ მისი ხასიათი, ეს ზედმეტი გარჯაა. აქ საკითხი ეხება არსებობის ღირებულებას თუ უფასურობას, ხსნასა თუ წყევლას, რომელსაც წყვეტს თვით ადამიანის არსებაში უძვირფასესი არსი, ღვთაებრივი დემონი – როგორადაც მას პლატონი უწოდებს და გონითმისაწვდომი ხასიათი, როგორც უწოდებდა კანტი[1]. ადამიანში არსებული ეს უძვირფასესი არსი შოპენჰაუერისთვის ისევე, როგორც კანტისათვის, გონითმისაწვდომი ხასიათია, მორალურობის იდეალია, კეთილი ნებაა, თთნ-ია. იგი განსაზღვრავს ყოფნა-არყოფნის, ხსნისა თუ წყევლის, არსებობის ღირებულების თუ უფასურობის საკითხს. მისი აზრით, ამ

1 Шопенгауэр, А., Мир, как воля и представление, т. I, 1900, IV кн., с. 281.

გრანდიოზულ პრობლემატიკაში მხოლოდ ქცევა მეტად უსუსური და არაზუსტი კრიტერიუმია და ვერ გამოდგება ეთიკის პრობლემების გადაწყვეტის საზომად.

შოპენჰაუერის თვალთახედვით, ეთიკა ადამიანებს უნდა განუმარტავდეს იმას, თუ რა არის ესა თუ ის მოვლენა თავისთავად, თუ რა არის ამა თუ იმ მოვლენის არსი, რათა, ღრმა და სწორი შემეცნების შედეგად, სამართლიანი და სწორი არჩევანი შევძლოთ, რადგან, ამის გარეშე, ქადაგება იმისა, თუ როგორ უნდა მოვიქცეთ, დროებით შედეგს გამოიღებს, მაგრამ ზნეობრიობას ვერ შეცვლის: ამრიგად, შოპენჰაუერის აზრით, ეთიკის საქმეა არსი და არა ჯერარსი, როგორც ეს მიაჩნდა კანტს. იგი ამაზე ამბობს: „სათნოებებს არ სწავლობენ, როგორც გენიას, მისთვის ესა თუ ის გაგება უნაყოფოა და მხოლოდ იარაღად შეიძლება გამოგვადგეს, ისევე, როგორც ხელოვნებას. ამიტომ ჩვენ ვიქნებოდით უაზრონი, თუ ვიფიქრებდით, რომ ჩვენი მორალური სისტემები და ეთიკური შეგონებანი კეთილებად, სათნოებად და წმინდანებად აქცევდნენ ადამიანებს, ან ესთეტიკოსები პოეტებს, მოქანდაკეებს და მუსიკოსებს შექმნიან. ფილოსოფიას სხვა არაფერი შეუძლია, გარდა იმისა, რომ ახსნას და განიხილოს არსებული[1].აქვე, შოპენჰაუერი, კანტის მსგავსად, ზნეობრიობისათვის აუცილებლად თვლის ნების თავისუფლებას.

ადამიანს ესმის, რომ მოვლენისეული სინამდვილე არის ადამიანისავე ცნობიერების ფორმებით აგებული სამყარო. სიცოცხლე გრძნობადობაში მას ეძლევა ტანჯვად, რადგან ამოუწურავი დაუსრულებლობა მსურველობა-მისწრაფებებისა შედეგად იწვევს ტანჯვას. ადამიანს ეძლევა ალტერნატივა: უფრო მიეჯაჭვოს ამ ილუზიურ არსებობს, ნების – მსურველობის განმტკიცებით, თუ, სწორი შემეცნებით განათლებულმა, შეწყვიტოს მსურველობა, უარყოს ნების განმტკიცება, უკუაგდოს მისწრაფებები და მოტივები, რომლებიც დაუსრულებლად მიაქანებენ ალუვსებლობის ტანჯვისაკენ, რომ ამ უარყოფით მოპოვებულ სიმშვიდის გზით განაგრძოს სვლა სრულყოფილი თავისუფლებისაკენ? ამ ალტერნატივის გადასაწ-

1 Шопенгауэр, А., Мир, как воля и представление, т. I, 1900, IV кн., с. 281-282.

ყველაზად ეთიკას ეძლევა ძირითადი საკითხი: ნების თვითშემეცნებისა. შოპენჰაუერის აზრით, „როგორც დასაბუთების გარეშე მორალი მხოლოდ ცარიელი ქადაგებაა მორალისა, რომელსაც არავითარი შედეგი არ მოყვება", ასევე ზნეობრიობა ვერ მიიღწევა შემეცნების გარეშე. ამრიგად, ეთიკის გასაღები შოპენჰაუერს ეგულება შემეცნების სიღრმესა და სისწორეში.

შოპენჰაუერს მიაჩნია, რომ შემეცნების გარდა ნების თავისუფლებაც აუცილებელია ეთიკური გზისათვის. ადამიანს სამყარო ეძლევა ცოდვათა გამოსასყიდად. თუ ნება* არ იქნებოდა თავისუფალი, მაშინ სიცოცხლისაკენ სწრაფვის უარყოფა ვერ იქნებოდა შესაძლებელი და სამყარო ვერასოდეს ვერ მოიცილებდა თავის თავს, თავის ცოდვებს და ტანჯვას. თავისუფლება შესაძლებელია იმით, რომ მოვლენათა სამყაროში ვიცილებთ მოვლენათა სამყაროსათვის დამახასიათებელ მისწრაფებებს. შოპენჰაუერი ეთანხმება მალბრანშს, რომ თავისუფლება არის საიდუმლო მისტერია.

ბრმა ნება ადამიანის საფეხურზე იქცევა თვითშემეცნებად, გებულობს რა, რომ თავისი არსით იგი არის მსურველობა, სიცოცხლისაკენ სწრაფვა, ეგოიზმი, მოთხოვნილებები და ტანჯვა. იგი ვერ პოულობს სხვა იდეალს ცხოვრებაში, გარდა თვითუარყოფისა და შემეცნების საშუალებით თვითუარყოფაში განთავისუფლებისა. ნაწილობრივი განთავისუფლება მიიღწევა ამქვეყნად ნების უარყოფით, ასკეტიზმით, წმინდანობით, ნირვანით და ესთეტიკური გენიალობით. საბოლოო განთავისუფლება კი მოხდება ეთიკური ზნის გავლით, ნების სრული უარყოფა – გარდაცვლის შემდეგ, ახალ ფორმაში ამაღლებით, რომელიც დამოკიდებულია წარსული ყოფის ზნეობრიობაზე.

შოპენჰაუერის ეთიკური დოქტრინა ორიგინალურია, განსხვავებულია ყველა სხვა ადრინდელთაგან თავისი ახალი პრინციპით – თანატანჯვის პრიცნიპით, რომლის აუცილებლობასაც იგრძნობს ეთიკური გენია ნათელი გონებით და შემეცნების სიღრმით. მისი აზრით, ეთიკურ-ინტელექტუალური გენია სრულყოფის გზას მაშინ შეუდგება, როდესაც თავისთავში ინდივიდუაციისა და ეგოიზმის

* ნებაში აქ ყველგან იგულისხმება ინდივიდუალური ნება – ენერგია მსურველობისა.

პრინციპს მოხსნის, როდესაც ინტუიციური შემეცნებით ჩაწვდება იმ სიბრძნეს, რომ ყოველი „სხვა“ არსით მისი იგივეობრივია. შოპენჰაუერის თქმით, „არავითარი ზნეობრიობა ანმყოში არ მიიღწევა, თუ არ გამომდინარეობს ინტუიციური შემეცნებიდან, რომელიც სხვა ადამიანში აღიარებს იგივე არსს, რასაც თავისთავში, რადგან ზნეობრიობა თუმცა შემეცნებიდან გამოდის, მაგრამ არა აბსტრაქტული შემეცნებიდან, რომელიც მხოლოდ სიტყვებით გამოიხატება. იმდენად მცირედ შეიძლება ეთიკური გაკვეთილებით და ქადაგებებით ზნეობრიობის შექმნა, როგორც ეთიკოსებს შეუძლიათ პოეტების წარმოშობა“. შოპენჰაუერი პლატონივით კითხულობს: „შეიძლება ვისწავლოთ სათნოება?“ – და უარყოფით პასუხობს. ასევე იხსენებს სენეკას, რომელიც ამბობდა: შეუძლებელია ვისწავლოთო მსურველობა. შოპენჰაუერის აზრით, რაც ადამიანს ნამდვილად და საერთოდ სურს, იგივე დარჩება, სურს კი ის, რასაც წარმოადგენს, ხოლო რასაც წარმოადგენს, იმგვარივე ქცევაც აქვს.

შოპენჰაუერთან გამოვლენათა მრავალგვარობას განსაზღვრავს ერთარსობრივი და იგივეობრივი ნება, საიდანაც გამომდინარეობს ყოველი. ნება განსაზღვრავს მსურველობებსაც და ქცევებსაც. შოპენ-ჰაური გვეუბნება: ჩვენ ვართ ცოდვილი სამყაროს, ცოდვილი შვილები. ვიდრე უარვყოფთ მას, ვიდრე გარდავიცვლებით და ავმაღლდებით ახალ არსებობაში, ჩვენ დაგვრჩენია შემეცნების გაღრმავება, მოვლენათა ჯაჭვისაგან განთავისუფლება, ერთმანეთის შველა მიტევებისა და თანაგრძნობის პრინციპით. ეს პრინციპები კი ადამიანებში მაშინ გაიღვიძებს, როდესაც ეგოიზმის ინდივიდუაციის ილუზიას მოხსნის წმნდა შემეცნების სინათლით, რომელიც საფარველს ჩამოხსნის და ცხადყოფს ინტუიციური წვდომით, რომ არსით ყველანი იგივეობრივნი ვართ. ადამიანის ბოროტი თუ კეთილი ქცევა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად მცდარი, მოჩვენებითი, ილუზიურია ან ნათელი, ღრმა და სწორი მისი შემეცნებითობის უნარი. შენი ზნეობრიობა იწყება იქ, როდესაც ინტუიციით შეიმეცნებ, რომ „ის შენ ხარ“, როდესაც სხვის ადგილზე შენს თავს გააცნობიერებ, როდესაც მეორე ადამიანში შენს ნებას წარმოიდგენ, როდესაც მასში შენი არსი გიყვარს, როდესაც გინდა, მისი უბედურება, მისი ტანჯვა თანატანჯვით შეამსუბუქო.

ასეთია ინდური ვედების ანალოგიით გადმოცემული შოპენჰაუერის ეთიკური მრწამსი, რომელიც ქრისტიანულ პრინციპებს ჰგავს.

შოპენჰაუერის ეთიკა იმითაცაა განსხვავებული ადრინდელთაგან, რომ იგი წინაალმდეგია ამოსავალ პრინციპად როგორც მოვალეობის, ასევე სარგებლობისა და სიამოვნების გააბსოლუტურებისა, რომლებიც საფუძვლად ედებოდა ადრინდელ ეთიკურ მოძღვრებებს. ემპირიული ადამიანის ქცევებს ამოძრავებს ნება გამოვლენილი ან ეგოიზმის, ან გაბოროტების, ან თანაგრძნობის სახით. ადამიანის ბოროტი ან კეთილი ქცევა დამოკიდებულია შემეცნების სისწორეზე, იმაზე, თუ რაოდენ ზღვარს ავლებს ადამიანი „მესა" და „არამეს" შორის. ეგოისტთან და ბოროტთან ეს განსხვავება დიდია, კეთილთან – მათ შორის ზღვარი წაშლილია, ისინი ერთარსობრივნი არიან. ბოროტი ნების ყველაზე ადექვატური გამომხატველია ეგოიზმი. იგი ახლოა თვითშენახვასთან და ანტაგონიზმშია სამართლიანობასა და კაცთმოყვარეობასთან. ასეთივეა ბოროტებაც. ეგოიზმი და გაბოროტება არაზნეობრივი, ხოლო თანატანჯვა (თანაგრძნობა) ზნეობრივი მამოძრავებელია ადამიანთა ქცევისა. შოპენჰაუერის აზრით, სიცოცხლის ნება თვითშენახვისა და ეგოიზმისაკენ, ინდივიდუაციისა და განცალკევებულად არსებობისაკენ სწრაფვაში ვლინდება. ნების ერთარსობის წვდომას ინდივიდუაციის მოჩვენებითობა – „მაიის საფარველი" უშლის ხელს, თორემ ადამიანები შემეცნების გარკვეულობაში დაინახავდნენ, რომ ნება „ნივთია თავისთავად", „სამყარო მხოლოდ სარკეა ამ ნებისა", რომ ერთი ადამიანის მიერ მეორის დანდობა, სიყვარული და თანატანჯვა შემეცნების იმ სისწორეზეა დამოკიდებული, რომ ყველა ერთი არსისა ვართ. ნებამ თავისი ვარგისიანობა-უვარგისობა თვითშემეცნებაში უნდა დაინახოს. ამრიგად, ეთიკის ძირითადი საკითხი შოპენჰაუერთან არის თვითცნობიერება, ეთიკის უპირველესი პრობლემა – ნების თავისუფლება, ხოლო მეორე პრობლემა – ეთიკის დაფუძნება. განვიხილოთ ისინი ცალ-ცალკე.

1) ნების თვითცნობიერება – ეთიკის ძირითადი საკითხი

ნების თვითცნობიერებაზე მსჯელობა მოცემულია შოპენჰაუერის შრომის „სამყარო, როგორც ნება და წარმოდგენა“ IV წიგნში. აქ შოპენჰაუერი ნების თვითცნობიერებაზე ასე მსჯელობს: „ნება არამარტო თავისუფალია, არამედ ყოვლისშემძლეც, მისგან გამომდინარეობს არამარტო მისი მოქმედებები, არამედ მისი სამყაროც, და როგორიცაა იგი, როგორც ვლინდება მოქმედებაში, როგორც ვლინდება მისი სამყარო, ორივე მისი თვითშემეცნებაა და სხვა არაფერი. იგი განსაზღვრავს თავის თავს და სხვებსაც, რადგან ნების გარეშე არ არის არაფერი და ყველაფერი ნებაა. მხოლოდ ამ სახითაა იგი ავტონომიური. სამყაროში, როგორც წარმოდგენაში ნება ჭვრეტს თავის სარკეს, რომელშიაც იგი ხედავს თავის თავს“[1]. ამრიგად, თთნ არის ნება და სამყაროს შინაგანი არსი, ხოლო სიცოცხლე – თვალხილული სამყარო-მოვლენა ანუ სარკე ნებისა. სამყარო თან ახლავს ნებას, როგორც სხეულს – ჩრდილი. სიცოცხლის გამოვლენის ფორმა ესაა ნების გამოვლენის ფორმა. მასში ჩვენ განვასხვავებთ ტანჯვასა და სიკვდილს, ...

შოპენჰაუერთან სამყაროსა და ნების სახით გვაქვს დაპირისპირება აუცილებლობისა და თავისუფლებისა. ყოველი საგანი მოვლენისა, როგორც ობიექტი – აუცილებელია. ამავე დროს იგი არის თთნ – ნება – მარადიულად თავისუფალი. ადამიანი, სამყაროს სხვა ნაწილების მსგავსად, ნების ობიექტივაციაა. ამიტომ მასაც ეხება ეს ყოველი. ემპირიული ხასიათით ისიც გამოვლენაა აუცილებლობისა, ხოლო გონითმისაწვდომი ხასიათით – თავისუფლებისა. „ადამიანი არ იცვლება, რადგან მისი ცხოვრება და მოქმედებები ანუ მისი ემპირიული ხასიათი მხოლოდ გონითმისაწვდომი ხასიათის გამოვლენაა, უკვე ბავშვშიც რომ შევიცნობთ, იმგვარი უცვლელი მიდრეკილებისა, რადგან ადამიანის მსურველობა და მისწრაფება არ იცვლება“[2]. არ იცვლება გონითმისაწვდომი ხასიათიც, როგორც მსურველობა, მისწრაფება, ნება.

---

1 Шопенгауэр, А., Мир, как воля и представление, т. I, 1900, IV кн., с. 281.

2 იქვე, გვ. 306.

„გარედან შეიძლება ნებაზე იმოქმედო მოტივებით, მაგრამ ისინი ვერაფრით ვერ შეცვლიან ნებას – თთნ-ს, რადგან მსურველობა და მისწრაფება არ იცვლება"[1]. მაშ საიდან გვეძლევე ჩვენი ქცევით უკმაყოფილების სინანული? „სინანული გვეძლევა არა იმის გამო, რომ ჩვენი ნება შეიცვალა, არამედ იმის გამო, რომ შეგვეცვალა შემეცნება"[2]. ამის გარეშე შოპენჰაუერს ყოველი ქადაგება ამაოდ მიაჩნია. ამიტომ ამბობს: „ცდა იმისა, რომ ადამიანის ხასიათის ნაკლი სიტყვებითა და მორალური შეგონებებით მოვსპოთ და ამით გარდავქმნათ მისი ხასიათი, მისი მორალურობა, იგივეა, რაც ცდა იმისა, რომ გარეგანი ზემოქმედებით ტყვია ვაქციოთ ოქროდ, ან ყოველდღიური მოვლით მუხა ვაიძულოთ, გამოისხას გარგარი"[3]. თუმცა ძალზე უმნიშვნელო ცვლილება შესაძლებელია, თუ „ჩვენ ერთხელდასამუდამოდ ნათლად შევიცნობთ, როგორც ჩვენს დადებით თვისებებს და უნარებს, ასევე შეცდომებს და სისუსტეებს... მაშინ ჩვენ ყველაზე სწორად ავიცილებთ ყველაზე მწარეს ყველა ტანჯვათაგან – საკუთარი თავით უკმაყოფილებას, რომელიც უცილობელი შედეგია საკუთარი ინდივიდუალობის არცოდნისა"[4]. ... „ადამიანმა უნდა იცოდეს რა უნდა, და ამავე დროს, უნდა იცოდეს, რა შეუძლია. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში გამოავლენს თავის ხასიათს და მაშინ წარმოქმნის რაღაცას ნამდვილს..."[5] ასევე, როგორც თევზისთვის კარგია მხოლოდ წყალში ყოფნა, ჩიტისთვის – მხოლოდ ჰაერში, თხუნელასთვის მხოლოდ მიწისქვეშ, ასევე ყველა ადამიანისათვის თავისი ხასიათის შესაფერისი ატმოსფერო საჭირო, რომ მან ეს თანდაყოლილი ხასიათი გამოავლინოს სავსებით მის შესაბამისად, რადგან, შოპენ-ჰაუერს მიაჩნია, რომ „ეთიკური თვალსაზრისით ძალზე კეთილ-შობილი ქცევაც კი, რომელიც არ გამოვლინდება მისი ხასიათიდან, ველარ შეასრულებს თავის მოვალეობას"[6]. ე. ი. ხასიათი, როგორც

---

1 Шопенгауэр, А., Мир, как воля и представление, т. I, 1900, IV кн., с. 281.
2 იქვე, გვ. 306.
3 იქვე, გვ. 306.
4 იქვე, გვ. 319.
5 იქვე, გვ. 316.
6 იქვე, გვ. 306.

ნების გამოვლენა მოვლენათა სამყაროში, ემპირიულ სინამდვილეში, ექვემდებარება მიზეზობრიობას, აუცილებლობას. ყველა ერთნაირ პირობებში იგი უცვლელად ვლინდება და მოკლებულია თავისუფლებას. მაგრამ ემპირიული ხასიათი დრო-სივრცის გარეშე არსებული ხასიათის იდეალის, თავისთავადი ნების ინტელიგიბელური ხასიათის ობიექტივაციაა.

ამრიგად, შემეცნებისას ყველაფერი გაორებულია თთნ-ის, თავისნთავადი ნების სახით და მისი გამოვლენის – ობიექტივაციის სახით. ყოველი არსებული დაპირისპირებულთა ერთიანობაა ამ არსებულის თავისთავადი ნებისა და მისი გამოვლენისა. ყოველი არსებული თავისთავადი კეთილი სახით ამ არსებულის უმაღლესი იდეალია, ინტელიგიბელური ხასიათია, თავისუფალია ყოველგვარი განსაზღვრულობისაგან, თთნ-ია, ხოლო იგივე – გამოვლენაში უხამსია, უმდაბლესი, განსაზღვრული და ემპირიული აუცილებლობის მონა.

თვითშემეცნებაში ვგებულობთ, რომ „ნება თავისი გამოვლენის ყველა საფეხურზე (უმდაბლესიდან უმაღლესამდე) მოკლებულია მიზნობრიობას და დაუსრულებლად მიისწრაფის, რაკი ერთადერთი მისი არსებაა მისწრაფება, რომლის გზაზე არავითარმა მიღწეულმა მიზანმა არ იცის საბოლოოდ წერტილი, რის გამოც ნებას არ შეუძლია მიაღწიოს საბოლოოდ დაკმაყოფილებას"[1].

არ არსებობს სხეული მისწრაფების ან მსურველობის, ან წყურვილის გარეშე, როგორც ამბობდა იაკობ ბოემე" – გვეუბნება შოპენჰაუერი. ნების თვითშემეცნებაში შევიცნობთ იმასაც, რომ ამ დაუსრულებელი ლტოლვა-წყურვილის გამო „არსად არ არის საბოლოო დაკმაყოფილება, არსადაა წერტილი სიმშვიდისა"[2]. ადამიანის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების მიზნით, უთვალავი მოტივები ამოძრავებენ ნებას და წარმოშობენ ნების უთვალავ აქტებს: „მოტივი დაუსრულებლად ჰპირდება სრულ კმაყოფილებას ნების წყურვილის დაკმაყოფილებას, მაგრამ, როცა მიიღწევა, მაშინვე წარმოიშობა ახალი სახით და მასში ისევ აღაგზნებს ნებას თავისი ძალის ხარისხთან შესაბამისად"[3].

1 Шопенгауэр, А., Мир, как воля и представление, т. I, 1900, IV кн. с. 321.

2 იქვე, გვ. 321.

3 იქვე, გვ. 340.

ადამიანი თვითშემეცნებაში შეიცნობს, რომ ყოველი მისწრაფება წარმოიშობა ნაკლულოვანებიდან, თავისი მდგომარეობის უკმაყოფილებიდან, რის გამოც იგი ტანჯვად იქცევა მანამ, სანამ არ დაკმაყოფილდება, მაგრამ არავითარი დაკმაყოფილება ხანგრძლივი არ არის, არამედ მხოლოდ ამოსავალი წერტილია ახალი მისწრაფებისა. ამიტომაც მისწრაფებას ჩვენ ვხედავთ მხოლოდ უწყვეტი ტანჯვის სახით და რაკი არ არის საბოლოო წერტილი მისწრაფებისა, ცხადია, არ არის არც ზღვარი და დასასრული ტანჯვისა ..." ნების გამოვლენის ზრდასთან ერთად სულ უფრო და უფრო თვალნათელი ხდება ტანჯვა. ტანჯვის ყველაზე დაბალი საფეხური ახასიათებთ ალბათ ინფუზორიებს... ასევე ცხადია, იმ ოდენობით, რა ოდენობითაც შემეცნება აღწევს გარკვეულობას და ცნობიერება მაღლდება, იზრდება ტანჯვაც, რომელიც ადამიანში აღწევს თავის უმაღლეს ხარისხს და აქ ისევ იმ ოდენობით იზრდება ტანჯვაც, რაც უფრო მკვეთრად ცნობიერია, რამდენადაც ინტელიგენტურია ადამიანი. ხოლო იმ ადამიანში, რომელშიც ცხოვრობს გენია, ტანჯვა ყველაზე მეტია"[1].

სამაგიეროდ, სტანდარტული ადამიანები მოკლებულნი არიან წმინდა შემეცნების და წმინდა შემოქმედების სიხარულს, რომელიც დროებით მაინც ათავისუფლებს გენიალურ ადამიანებს ყოველდღიურობის აუცილებლობისა და ტანჯვისაგან. „ადამიანთა შეუდარებლად დიდი ნაწილისათვის წმინდა ინტელექტუალური ტკბობა მიუწვეველია. ისინი უძლურნი არიან, იგრძნონ სიხარული, რომელსაც წმინდა შემეცნება გვანიჭებს... მათი ყოფიერება შედგება უმეტესწილად მსურველობისაგან, ვიდრე შემეცნებისაგან, ხოლო მოქმედება და რეაქცია მათი ერთადერთი სტიქიაა"[2]. აქ ინტელექტუალურ ტკბობაში შოპენჰაუერი გულისხმობს მხოლოდ გენიოსთათვის დამახასიათებელ შემოქმედებით სიხარულს, რაც, რასაკვირველია, ყველა მოკვდავს არ გააჩნია.

მაგრამ, როგორადაც არ უნდა მოიმოქმედოს ბუნებამ, და ბედნიერებამ, ვინც არ უნდა იყოს, და რასაც არ უნდა ფლობდეს, თვით ცხოვრებისათვის არსებითი მახასიათებელია უსასრულო

1 Шопенгауэр, А., Мир, как воля и представление, т. I, 1900, IV кн., с. 322.

2 იქვე, გვ. 327.

ტანჯვა. შოპენჰაუერის აზრით, ადამიანები ინტელექტუალური ძალის სიმცირე-სიდიდის მიხედვით ან მისწრაფება-ტანჯვაში არიან, ან ნაყროვანება-მონყენაში, მაგრამ დიდ ტანჯვას მასთან ის უპირატესობა აქვს, რომ იგი ადამიანს თანდათან შემგუებელს ხდის, ამტანს ხდის ტანჯვისადმი.

შოპენჰაუერის აზრით, (კანტის თვალსაზრისის მსგავსად), ადამიანის სიცოცხლის უპირველესი მისწრაფება არის თვითშენახვა, ეგოიზმი. ამავე დროს, რაც უფრო ეგოისტია ადამიანი, მით უფრო მეტია შეცდომა შემეცნებისა. „ეგოიზმის შეცდომა იმაშია, რომ ჩვენ ერთურთს ვჭვრეტთ, როგორც „არამეს", მაგრამ ეს ინდივიდუაცია ეხება მოვლენას და არა არსებას, რომლის „შემეცნება აკავებს ადამიანში ბრმა ნების მისწრაფებებს"[1].

ტანჯვის მთავარი წყარო მოვლენათა სამყაროში არის „ერიდა" – ბრძოლა ინდივიდუმებს შორის, რომელიც გამომხატველია შინაგანი წინააღმდეგობისა. მთელს ბუნებაში, ნების ობიექტივაციის ყველა საფეხურზე, არსებობს განუწყვეტელი ბრძოლა ყველა მოდგმის ინდივიდებს შორის და ამითვე გამოიხატება შინაგანი ბრძოლა ნებისა თავისთავთან. ობიექტივაციის უმაღლეს საფეხურზე ფენომენიც, როგორც ამაღლებული გარკვეულობის წარმომადგენელი, ამის გაშიფვრის საშუალებას იძლევა. ამ მიზნით, უპირველეს ყოვლისა, ვიპოვით ეგოიზმის წყაროს, როგორც ყოველი ბრძოლის ამოსავალ წერტილს. თვითშემეცნება საჭიროა ეთიკის დაფუძნებისათვის, როცა მისი საშუალებით ფენომენი მიხვდება, რომ მტანჯველი და ტანჯული ერთია... ზნეობრიობა, შოპენჰაუერის აზრით, მიიღწევა მხოლოდ ინტუიციური შემეცნებიდან, რომელიც სხვა ინდივიდში აღიარებს ივივე არსს, რომელსაც – თავისთავში. ამრიგად, შოპენჰაუერის აზრით, ამგვარი შემეცნებიდან გამოვიტანთ იმ დასკვნას, რომ კეთილ ადამიანს ტანჯვა (რომელსაც ის ხედავს მეორე ადამიანში) ისე ახლოს მიაქვს გულთან, როგორც საკუთარი. ამიტომ ის ცდილობს, ორივეს შორის აღადგინოს წონასწორობა, უარს ამბობს სიამოვნებაზე, იღებს გადაწყვეტილებას, რათა შეამციროს სხვათა ტანჯვა, რადგან დარწმუნებულია, რომ

---

1 Шопенгауэр, А., Мир, как воля и представление, т. I, 1900, IV кн., с. 389

განსხვავება მასსა და სხვებს შორის (რომელიც ბოროტისათვის უზარმაზარ უფსკრულად ჩანს), მხოლოდ მატყუარა შემცდენელ მოვლენას ეკუთვნის. „ის ინტუიციით უშუალოდ შეიცნობს, რომ მისი საკუთარი გამოვლენა არის იმგვარივე, რაც სხვაში არსებული, სწორედ სიცოცხლისაკენ სწრაფვა (ნება), რომელიც შეადგენს ყოველი სულიერის არსებას და რომელიც არსებობს ყოველ ცხოველშიც და მთელს ბუნებაშიც. ამიტომ იგი არ აწვალებს არცერთ სულიერს"[1]. შოპენჰაუერის აზრით, სამყაროს ყოველ არსებულში ეს ნების ერთარსობა დაფარულია მოვლენათა სამყაროში იმ მოჩვენებითობით, თითქოს ჩვენ სხვადასხვა არსისანი ვართ. რაც უფრო ბნელია შემეცნება, მით უფრო ბნელია იგი მოვლენისეული „მაიის საფარველით". მაიის ამ საფარველისაგან განთავისუფლება და სიყვარულით საქმეთა ჩადენა ერთია"[2]. „სიძულვილი და ბოროტება განპირობებულია ეგოიზმით, რომელიც ეფუძნება და ექვემდებარება ინდივიდუაციის პრინციპს, ხოლო ზნეობრიობა და სიყვარული – საკუთარი და სხვისი ინდივიდუმის არსის განსხვავების წაშლას. ესაა ყველაფერში გამოვლენილი ნების უმაღლეს ხარისხში ნათლად შემეცნება"[3]. ფილოსოფოსის აზრით, ნება მტანჯველია არასწორი შემეცნების გამო, ეგოიზმის განმტკიცების გამო გაზრდილია წინააღმდეგობა „მესა" და „არამეს" შორის. ამიტომ, შემეცნების შემდეგ იგი ხვდება ამ ეგოისტური ნების გადაგდების აუცილებლობას. ადამიანი, რომელიც ზურგს აქცევს ეგოიზმით, მაცდუნებელი ლტოლვებით, სხვებისადმი დაპირიპირების მისწრაფებით სავსე ნებას, თავისუფლდება ტანჯვისაგან. არაფერს არ ძალუძს მისი აღელვება, რადგან მან გაწყვიტა ის ათასობით ძაფი მსურველობისა, რომელიც სამყაროსთან გვაკავშირებდა და ბრაზით, შიშით, შურით, მრისხანებით გვაიძულებდა განუწყვეტლივ გვეტანჯა. დამშვიდებული ღიმილით უყურებს იგი უკანმიტოვებულ მატყუარა სამყაროს, რომელიც ოდესმე აღელვებდა მის სულს, და რომელსაც ახლა გულგრილად უყურებს, როგორც ჭადრაკის ფიგურებს თამაშის შემდეგ. ნების თვითშემეცნება ხდება ნების

1 Шопенгауэр, А., Мир, как воля и представление, т. I, 1900, IV кн., с. 390.
2 იქვე, გვ. 390.
3 იქვე, გვ. 396.

განმტკიცებისა და შეცნობის ფონზე, მისი უარყოფის შემდეგ. წმინდა შემეცნებაში ვგებულობთ, რომ სამყარო არის ნება, რომელსაც თავის ობიექტივაციის იერარქიები გააჩნია. ამ იერარქიათა შორის მწვერვალია ნების თვითშემეცნება, რომლის საშუალებითა იწყება ხსნის ანუ გადარჩენის ეთიკური გზა. ნება თვითშემეცნებას ადამიანის ტვინით აღწევს, რომელიც ეკითხება მას: უფრო განამტკიცოს სიცოცხლე, განაგრძოს ტანჯვა, თუ შეწვიტოს მსურველობა და სიმშვიდის გზით მივიდეს სრულ თავისუფლებამდე? ეს იქნება ნების უარყოფა ნირვანით, კვიეტივით. ადამიანი ხდება წმინდანად და მსხვერპლად ერთდროულად: ეს არის აღმოსავლური, ინდური ვედების გავლენით არჩეული გზა, რომელთაც ჰქონდათ ერთი მიზანი: განთავისუფლება.

ეს ანტითეზა ნების დაფუძნებისა და მისი უარყოფისა წარმოადგენს შოპენჰაუერის მორალის უმაღლეს პუნქტს, რომელიც ნების თვითშემეცნების საფეხურიდან გამომდინარეობს და რომლიდანაც გამოჰყავს მას შემდეგ ადამიანის ქცევები.

შოპენჰაუერი იმის მომხრეა, რომ უარყოფილ იქნას ამ სამყაროში სწორედ ამგვარი ფორმით გამოვლინება ნებისა, რათა გარდაიცვალოს უფრო ამაღლებულ არსებობაში გადასვლისათვის. მისთვის უცხოა ოპტიმიზმი მოცემულ მოვლენათა სამყაროში, მაგრამ მისი პალინგენეზის თეორია გვეუბნება, რომ ნება უკვდავია და იგი მარადიულად განახლდება ახალ ფორმაში, ახალ არსებობაში, იქნება ეს ამ სამყაროშივე, თუ სხვა სამყაროში ან სხვა პლანეტაზე, ამის შესახებ ვერაფერს ვერ ამბობს.

ნების უარყოფა, ამ სამყაროში ამგვარი ფორმით გამოვლინებაში, არ ნიშნავს საერთოდ სამყაროს არსების უარყოფას მისი მარადიული არსებობის მთლიან ასპექტში. იგი უარყოფს ნებისა და სამყაროს არსებობის მხოლოდ ამ უხამს ფორმას, უშვებს რა უფრო მაღლით, განწმენდილით, უფრო მაღალ რეგიონებში გადასვლის შესაძლებლობას.

ამრიგად, რაკი ეთიკის ცენტრალური საკითხი შოპენჰაუერთან არის არსი და არა ჯერარსი, ეთიკამ უნდა შეისწავლოს ადამიანის არსი, რომელიც სამყაროს არსის იგივეობრივია. მათ ორივეს ზნეობრივი მისია აკისრიათ. ამიტომაც თვითცნობიერება ეთიკის მთავარი საკითხია.

2) ადამიანური ნების თავისუფლება

შეუძლია თუ არა ადამიანს, ისე ღრმად შეიმეცნოს სამყაროს არსი, რომ ამ შემეცნების შემდეგ უარი უთხრას მოვლენათა სამყაროს, გაათავისუფლოს ინდივიდუალური ნება მოვლენათა სამყაროს კანონებიდან, შეუცვალოს სახე მას, გარდაქმნას, გარდაცვალოს? ე. ი. შეუძლია ადამიანს შემეცნების ამგვარი სიღრმით დააფუძნოს ეთიკა? როგორ უნდა მოხდეს ნების ამგვარი გარდაქმნა-განთავისუფლება, რომელიც საფუძვლად დაედება ახალი ეთიკის დაფუძნებას? აი, ასეთ კითხვებს პასუხობს შოპენჰაუერის მსჯელობა ნების თავისუფლების შესახებ.

შოპენჰაუერს მიაჩნია, რომ თავისუფლების მიღწევა ეს არის პირველი პრობლემა ეთიკისა. მასთან ეთიკის ძირითადი ობიექტია ადამიანი. ადამიანით ხდება ინდივიდუალური ნების განთავისუფლებაც და სამყაროს განთავისუფლებაც. ინდივიდუალური ადამიანის განთავისუფლების გზებია: 1) ტანჯვის გადატანა-გაძლება წმინდანობით, 2) ნირვანის მიღწევით და 3) ეთიკურ-გენიალური შემეცნებით.

შოპენჰაუერის თვალსაზრიით, ეთიკა უნდა გამომდინარეობდეს არა გონებიდან, არამედ ნებიდან, რადგან სურვილის ობიექტის გარეშე არ არის შემეცნება, რაც აუცილებელია ეთიკისათვის. სწორედ იმიტომ, რომ „იმოქმედო გონიერად და კეთილსინდისიერად – ორი სავსებით განსხვავებული საგანია". ამიტომაც მიაჩნია მას არასწორად ზნეობრიობის დაქვემდებარება ტრანსცენდენტალურ მოვალეობაზე: ამქვეყნად მოვლენილ ადამიანს თანდაყოლილი ხასიათის გამო (რომელიც არის ნების გამოვლენა), განსაზღვრული აქვს ეს ხასიათი და შეზღუდული – თავისუფლება. „ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, ვინ როგორია".

შოპენჰაუერის აზრით, ყოველ დროს ქადაგებდნენ მრავალ კარგ მორალს, მაგრამ უშედეგოდ, მისი დაფუძნება არ ხერხდებოდა. ამასთან, შეიმჩნეოდა მისწრაფება, ეპოვათ რაიმე ობიექტური ჭეშმარიტება, რომლისგანაც გამოვიდოდა ობიექტური წანამძღვრები ეთიკისა.

შოპენჰაუერმა აღნიშნა, რომ კანტის ახალმა თეორიამ გამოგვიყვანა იმ დაბნეულობიდან, როდესაც აუცილებლობას ვეძებდით

არსში, და თავისუფლებას – მოქმედებაში. მან მიგვიყვანა დასკვნამდე, რომ პირიქითაა, აუცილებლობაა მოვლენათა სამყაროს კანონებით განსაზღვრულ მოქმედებებში, ხოლო თავისუფლება – არსში. ამიტომაა, რომ ზნეობრივი პასუხისმგებლობა თვალნათლად თითქოს იმაზეა, თუ რას აკეთებს ადამიანი, მაგრამ ჭეშმარიტად კი იმაში მდგომარეობს, თუ რას წარმოადგენს იგი. რადგან ყოველი მოიქცევა ისე, რასაც წარმოადგენს, რაც სურს, და სურს ის, რასაც წარმოადგენს. რომ იგი სწორედ ასეთია და არა სხვაგვარი, ამის გამო გრძნობს პასუხისმგებლობას. აქ არსში – ნებაში – მსურველობაში აქვს ადგილი სინდისის ქენჯნას. „ჩვენ გვეკამათებიან, ჩვენი მოქმედებები ასე რომ იყოს განპირობებული ხასიათებით, მაშინ არ იქნებოდა არც სინანულის, არც სინდისის ქენჯნა, არც მოტივთა არჩევანიაო. მაგრამ სინანულის თემა ის კი არ არის, თუ რა ჩავიდინეთ ჩვენ, არამედ იმაში, თუ რა გვინდოდა“. სინდისის ქენჯნა იმის მწარე შემეცნებაა, რომ რაც გვინდა, იმის შედეგია, რაც ჩვენ ვართ. ის გამომდინარეობს ხასიათიდან.

შოპენჰაუერის განმარტებით, ქცევაში განმსაზღვრელია თანდაყოლილი ხასიათი – მისი საკუთარი არსის – ნების გამოვლენა. ეს ხასიათი განსაზღვრავს ქცევას. ამა თუ იმ ხასიათის ადამიანისათვის, ამა თუ იმ გარემოში მხოლოდ „ეს“ შეიძლება იყოს მოტივი – მიზეზი მისი ხასიათის გამოსავლენად, რომელი მიზეზიც ამ ხასიათს შეესაბამება. მას, შეიძლება, უნდა სხვაგვარად მოიქცეს, მაგრამ ვერ ახერხებს ამას, რადგან მის ქცევას განსაზღვრავს თანდაყოლილი შინაგანი ბუნება-ხასიათი, შინაგანი არსი-ნება. გამოდის, რომ ნება დეტერმინირებულია და თავისუფლება გამორიცხულია? მართლაც, მოვლენათა სფეროში ემპირიული ადამიანის ხასიათი არათავისუფალია – გვეუბნება შოპენჰაუერი, მაგრამ ემპირიული ხასიათის სიღრმეში, გარდა დრო-სივრცე-მიზეზობრიობაზე დამოკიდებული ხასიათისა, მოქმედებს ადამიანის ინტელიგიბელური ხასიათი, ზნეობრივი ხასიათის იდეალის სახით, რომელიც თავისუფალია და ამიტომაა, რომ ადამიანი პასუხისმგებელია თავის ქცევაზე. ადამიანის ინტელიგიბელური ხასიათი მისი ღრმადშინაგანი ზოგადადამიანური ბუნებაა, რომელიც შესაძლებლობაში შეიძლება ყოვილიყო ასეთიც და ისეთიც, როგორიცაა ეს ბუნება, იმისდა-

მიხედვით და იმიტომ, გრძნობს თავს ადამიანი პასუხისმგებლად. შოპენჰაუერთან ნების თავისუფლება სურვილის თავისუფლებას ნიშნავს. არა თვითნებურ, არამედ სინდისით გაკონტროლებულ, განსჯილ ზნეობრივ თავისუფლებას, როგორც ეს სავსებით სწორად ესმოდა კანტსაც.

ამრიგად, თავისუფლების სამი სახიდან (ფიზიკური, ინტელექტუალური, ზნეობრივი), ფიზიკური თავისუფლება მდგომარეობს ძალისადმი დაბრკოლების უქონლობაში. ინტელექტუალური თავისუფლება – შემეცნებისა და განსჯის ანუ გონებისა და სულის დაბრკოლებათა უქონლობაში. (მაგ., დაბრკოლებაა გონებაჩლუნგობა ან უნებლიე შეცდომა გონებისა. ერთი წამლის მაგიერ სხვა წამლის მიცემა ან ღამით შემოსულ დარაჯის ქურდად მიჩნევა), რადგან ინტელექტუალური თავისუფლება გვექნებოდა შემეცნების უნარის სწორი ფუნქციონირებისას და გარემოებათა სწორი გაგებისას. ინტელექტუალურ თავისუფლებას აბნელებს სიმთვრალე და აფექტები. ამ დროს ინტელექტი დაბნეულია, აზროვნება დამახინჯებულია, ინტელექტუალური თავისუფლება ნაწილობრივ შეწყვეტილია. ამიტომ, შოპენჰაუერის აზრით, ინტელექტუალური თავისუფლების ექონლობისას ყველა დანაშაულს უნდა შევხედოთ იმ საზომით, შემძლები იყო თუ არა იმისა, რომ დაფიქრებოდა, რა მოყვებოდა ამისთანა ქცევას ე. ი. ინტელექტუალურად თავისუფალი იყო თუ არა დაბრკოლებისაგან, შეზღუდვისაგან, დაბნეულობისაგან. აქ ქცევაზე პასუხისმგებლობის ნაცვლად პასუხი უნდა აგოს სიმთვრალის გამო პასუხისმგებლობამ.

ემპირიული ხასიათების ფარგლებში და ემპირიულ მოქმედებაში არ შეიძლება შევხვდეთ თავისუფლებას, მაგრამ, რაკი ჩვენა ვართ ჩვენი ქცევის ჩამდენი, ვითვლებით თავისუფლად. ამავე დროს, ვერავინ ვერ ამართლებს თავის ბოროტებას თანდაყოლილი ხასიათებით და არ ამბობს: „ასე არ მინდოდა, მაგრამ... იმის გამო რომ ზნეობა თანდაყოლილი მაქვსო“ და დანაშაული შეიგრძნობა, როგორც ჩვენი დანაშაული. რატომ? იმიტომ, რომ თანდაყოლილი ხასიათი – ემპირიული ხასიათი ჩვენი არსების თვისებაა, ნების საქმეა. არც ერთი ადამიანი არ იბადება ქვეყნად ზნეობრივ ნულად, თანდაყოლილი ხასიათის გამო, და როგორი ნიშნებითაცაა დაჯილ-

დოვებული ხასიათი, ასეთად დარჩება. ამიტომ ვამბობთ ვინმეზე „როგორ შევცდი ამ კაცში" ე. ი. ჩვენი შემეცნება გამოიცვალა ამ კაცის მიმართ, კაცი კი – არა.

ყოველი ემპირიული ადამიანი, ინდივიდუალური ნება იქცევა თავისი არსის შესაბამისად. ის იძულებულია, მოცემულ პირობებში, მოტივებში, იმოქმედოს ზუსტად ასე და არა სხვაგვარად, მაგრამ მის არსებას შეეძლო ყოფილიყო სხვაგვარი და არა ასეთი. აქედან აიხსნება დანაშაულის, სინდისის ქენჯნის გრძნობები. საქმე ეხება იმას, რომ ჩვენ „ასეთნი" ვართ, ჩვენი ნება ასეთია. თუ ჩვენს სამყაროში ჩვენი „ასეთი" ნება განმტკიცდება, ემპირიული ხასიათი იგივე დარჩება, რადგან მის ფარგლებში ნებას ცვლილება არა აქვს. თუ ჩვენი შემეცნება შეიცვალა და მიაღწია იმ სიმაღლეს, რომ მან უარყო თავისი საკუთარი არსი კვიეტივით, აქ გამოვლინდება ზნეობრივი თავისუფლება მოვლენათა სამყაროში. ე. ი. იმ ალტერნატივაში – ნება განმტკიცებული იქნება თუ უარყოფილი – არის უმაღლესი პუნქტი, რომელზედაც ზნეობრივი თავისუფლება გამოვლინდება მოვლენათა სამყაროში. ესაა არქიმედეს წერტილი მორალში. ამავე დროს, შოპენჰაუერის აზრით, მცდარია ჩვენი ინტელექტის და ემპირიული ხასიათის უკვდავების რწმენა, მაგრამ ჩვენში არის რაღაც აბსოლუტურად თავისუფალი, პირველადი, უკვდავი.

ხასიათი არის ინდივიდუალური ნების აწმყოში არსებული, ემპირიულად შემეცნებადი უცვლელი თვისება, რომლითაც ადამიანი პასუხისმგებელია თავის ქცევაში. ადამიანი ზნეობრივია ან უზნეო ხასიათის გამო. ადამიანის პასუხისმგებელია იმიტომ, რომ ასეთი ხასიათი აქვს. ერთი შეხედვით, შოპენჰაუერის მსჯელობა წინააღმდეგობის შემცველია თავისუფლების შესახებ მსჯელობისას, მაგრამ იგი კანტის მსგავსად ამბობს: „მკაცრი ემპირიული აუცილებლობა ქცევებისა არსებობს ტრანსცენდენტალურ თავისუფლებასთან ერთად, ისევე, როგორც ცდისეული სამყაროს ემპირიული რეალობა არსებობს მის ტრანსცენდენტალურ იდეალურობასთან ერთად"[1]. შოპენჰაუერის აზრით, კანტის მსგავსად, სწორედ ემპირიული ხასიათი და მთელი ადამიანი, როგორც ცდის ობიექტი არის უბრალოდ მოვლენა, ამიტომ დაკავშირებულია მოვლენის ფორ-

1 Шопенгауэр, Свобода воли, 1896 с. 91.

მებთან: დრო, სივრცე, მიზეზობრიობასთან და ექვემდებარება მის კანონებს. ამის საპირისპიროდ, ამ ფორმათა დამოუკიდებლად არის გინითმისაწვდომი (ინტელიგიბელური) ხასიათი ანუ ნება, როგორც თთნ, რომელსაც შეესაბამება აბსოლუტური თავისუფლება. ეს თავისუფლება ვერ შედის მოვლენებში, მაგრამ არსებობს იმდენად, რამდანადაც ჩვენ ძალგვიძს აბსტრაქციების მოხდენა აზრობრივად, რათა მოვიაზროთ ის, რაც ყველა დროის მიღმაა, მოაზრებადია თავისთავად, როგორც შინაგანი არსი ადამიანისა. ამ თავისუფლების ძალით, ადამიანის ყველა მოქმედება არის მისი საკუთარი შემოქმედება, რამდენადაც არ უნდა გამომდინარეობდნენ ისინი მოტივებთან ერთად ემპირიაული ხასიათებიდან, რადგან ეს ემპირიული ხასიათი არის მხოლოდ გამოვლენა ჩვენში არსებული გონითმისაწვდომი, ინტელიგიბელური ხასიათისა, რომელშიც წარმოდგება ჩვენი საკუთარი „მეს" არსი. ამრიგად, ნება თავისუფალია მხოლოდ თთნ სახით და მოვლენის გარეთ. ე. ი. თავისუფლება დამოკიდებულია ადამიანის არსზე.

ზნეობრივი თავისუფლება მას შესაძლებლად მიაჩნია მხოლოდ ინტელიგიბელური ხასიათების ქვეშ, როდესაც ის „გამორთულია" მოვლენათა სამყაროდან. ასეთი თავისუფლება მას შეუძლია მოვლენათა სამყაროში მოიპოვოს მხოლოდ დროებით, როგორც გენიალურმა ხელოვანმა, ან წმინდანმა ეთიკური გენიალობით, „როცა ასკეტი აღწევს თავისთავში სიცოცხლისადმი ყოველგვარი ნების უარყოფას, ამ მომენტიდან სიკვდილამდე იგი არის მოვლენა, რომელიც არ ემორჩილება საკმაო საფუძვლის კანონს. ამ მდგომარეობას შოპენჰაუერი აუცილებლობის სამყაროში თავისუფლების გამოვლენას უწოდებს"[1]. საბოლოო განთავისუფლებისათვის შოპენჰაუერის ნების მეტაფიზიკა სათავეს იღებს ბუდიზმში, რომლის მორალი მოქცეულია ოთხ უმაღლეს ჭეშმარიტებაში: 1. არსებობა არის ტანჯვა, 2. ტანჯვის მიზეზია სურვილი, 3. ტანჯვა შეწყდება ნირვანის საშუალებით, 4. ნირვანას ვაღწევთ ექსტაზში ჭვრეტის საშუალებით. თუ გენია ესთეტიკაში ხელოვანის სახით ერთეულში ჭვრეტს ზოგადს – ნების მარადიულ ტიპებს (პლატონის იდეების მსგავსს), გენია ეთიკაში შემეცნების სიღრმით ჩაწვდება სამყაროს

1 გ. თევზაძე, ნეოკანტიანელების შემეცნების თეორია, თბ. 1963, 300.

არსს-ნებას, როგორც ტანჯვას, და მოცემული სამყაროს უარყოფით განთავისუფლდება მისგან. კითხვაზე, თუ როგორ შეიძლება თავისუფლებას მივაღწიოთ თვითცნობიერების შედეგად, პასუხი ასეთია: არსებობს ისეთი ღრმა შემეცნება, რომელიც გვაგებინებს, რომ სამყარო – ტანჯვა გვეძლევა ნების განმტკიცებისა ან უარყოფითობის არჩევნისათვის. მაგრამ, თუ მოვლენათა სამყაროში ყველაფერი განპირობებულია კანონებით, მიზეზებით და ყოველი აუცილებელია, მაშ სადღაა თავისუფლება ნებისა, ნების გარდაცვლა და ეთიკის შესაძლებლობა? ჩვენი არსი არის ინტელიგიბელური, გონითგანჭვრეტადი ხასიათის საქმე, მას შეუძლია თავისთავის შეცვლაც და ემპირიულისაც, შეუძლია განთავისუფლდეს, სიცოცხლისაკენ სწრაფვის მაგიერ კვიეტივისკენ წავიდეს.

ამრიგად, არა ადამიანის ემპირიულ ქცევაშია თავისუფლება, არამედ არსში, ზნეობრიობის არჩევა-არარჩევაში. ამაშივეა მისი დანაშაულის და დამსახურების ფაქტიც. აქ მთავარია არა როგორ მოვიქეცით ან როგორ არ უნდა მოვიქცეთ, არამედ როგორ გავსურდა მოქცევა, რადგან გვსურს ის, რასაც წარმოვადგენთ. მსურველობა კი ხასიათის მიხედვითაა. რატომ არ ვამბობს, რომ დამნაშავეა ჩემი უცვლელი ხასიათი და არა მეო? რადგან ჩვენ არჩევნის თავისუფლება გვაქვს ემპირიულ და გონითმისაწვდომ ხასიათს შორის, რომელიც ემპირიულ თანდაყოლილ ხასიათთან ერთად ჩვენში არის, როგორც ზნეობრივი ბაზისი. როგორია ჩემი არსი, ბოროტის ამთვისებული თუ კეთილის, ამაშია ჩემი დანაშაულიც და დამსახურებაც. როგორიცაა ჩვენი არსი, ისეთი ვართ ჩვენ, მაგრამ ის შეიძლებოდა უკეთესი ყოფილიყო. ამრიგად თავისუფლების შესაძლებლობა გვეძლევა არსით, ნებით, გონითგანჭვრეტადი ხასიათით და არა ემპირიული ქცევით.

მაშასადამე, ადამიანს თავისუფლება გააჩნია

1) ემპირიული, უცვლელი, თანდაყოლილ ხასიათთან ერთად ინტელიგიბელურის (როგორც ტრანსცენდენტალური ზნეობრივი უნარის) ჩვენს არსებაში არსებობით. როგორც აუცილებლობასთან ერთად თავისუფლების, რეალურთან ერთად იდეალურის შეთავსება.

2) დროებითი თავისუფლების სახით – წმინდა ჭვრეტისას, და ამით ემპირიული კანონებიდან თავდახსნისას.

3) თვითშემეცნებისას ნების განმტკიცების თუ უარყოფის არჩევნის შესაძლებლობით. თვითშემეცნებაში – შემეცნების სიღრმეში. იგი შეცნობილი აუცილებლობაა.

4) ერთი ფორმიდან მეორეში – ზნეობრივად უფრო მაღალში გარდაცვლის შესაძლებლობით. საწინააღმდეგო შემთხვევაში (ინდივიდის უკვდავებაში) იგი სამუდამოდ მიჯაჭვული იქნებოდა ემპირიულ სამყაროზე და სამუდამოდ ექნებოდა იგივე ცოდვები და შეცდომები.

ამრიგად, აუცილებლობა-თავისუფლების გაგება შოპენჰაუერთან ისეთივეა, როგორც კანტთან. მას მიაჩნია, რომ ადამიანი მოვლენათა სამყაროში დეტერმინირებულია, მაგრამ მას გააჩნია ინტელიგიბელურის არჩევის თავისუფლება.

3) მორალის საფუძველი – მეორე ძირითადი პრობლემა ეთიკისა

„მორალის საფუძვლების“ შესავალში შოპენჰაუერს დასმული აქვს შეკითხვა: სად უნდა ვეძებოთ წყარო და საფუძველი მორალისა, ზნეობის იდეაში, რომელიც უშუალოდ ცნობიერებაშია, სინდისში და ზნეობის ძირითადი გაგების ანალიზში, თუ ცნობიერების სხვა საფუძვლებში? და თავადვე პასუხობს: „ჯერ კიდევ კანტმა თქვა, რომ ეს საკითხები მეტაფიზიკამ უნდა გაარკვიოს რადგან მხოლოდ მასში შეიძლება გადაწყდეს ზნეობრივი ფილოსოფია“[1]. აქვე შოპენჰაუერს გამოთქმული აქვს აზრი წარსულში ეთიკურ მოძღვრებათა შესახებ: „ყოველ დროს გააჩნდა მორალის კარგი მქადაგებლები, მაგრამ მისი დაფუძნება ძნელი და უშედეგო იყო მუდამ. ამასთან შეიმჩნეოდა მისწრაფება, რომ ეპოვათ რომელიმე ობიექტური ჭეშმარიტება, რომლიდანაც ლოგიკურად გამოვიდოდა ეთიკური პრინციპები. მას ეძებდნენ საგანთა ბუნებაშიც და ადამიანის ნატურაშიც, მაგრამ ამაოდ. ყოველთვის აღმოჩნდებოდა ხოლმე, რომ ადამიანის ნება მიმართულია მხოლოდ საკუთარი კეთილდღეობისათვის, რომელთა ჯამი გამოიხატებოდა ნეტარების სიკეთეში, ხოლო ეს მიმართება ადამიანს სრულიად სხვა გზაზე გამოიყვანდა, ვიდრე ამას ისახავდა მორალი. შემდეგ მოსინჯეს კეთილდღეობა (ბედნიერება) გაეიგივებინათ სათნოებასთან (ზნეობრიობასთან), ხან გამოეხატათ იგი, როგორც სათნოებათა მოქმედება და შედეგი. მაგრამ ვერც ერთი, ვერც მეორე ვერ იქნა მიღწეული“[2]. სამწუხაროა, – აღნიშნავს შოპენჰაუერი – რომ ეთიკას, რომელიც ადამიანურ ცხოვრებას ეხება, ვერ გაუმართლა, ისევე, როგორც მეტაფიზიკას, და იგი მას შემდეგ, რაც სოკრატემ ჩაუყარა საფუძველი, ეძებს თავის ამოსავალ პრინციპს. ამის მიზეზად შოპენჰაუერს მიაჩნია ის, რომ ადამიანის ბუნება ეგოისტურია და „მის ნატურაში ვერ იქნა მოძებნილი საყრდენი წერტილი, რომლის ძალითაც მათ შეეძლებოდათ, მისწრაფებები მის ეგოისტურ მიდრეკილებათა საწინააღმდეგოდ წარემართათ“[3].

---

1 Шопенгауэр, А., Основы морали, с. 119.
2 იქვე, გვ. 124.
3 იქვე.

შოპენჰაუერი შიშობს, რომ ეთიკის ფუნდამენტის მოსაძებნად სხვა გზა არ არის, გარდა ემპირიულისა, შიშობს, რადგან „ლეგალურ და ხოტბაშესხმულ ქცევებს ხშირად ზნეობის მცირე ნაწილაკიც კი არ გააჩნიათ და მხოლოდ ეგოისტური მოტივით არიან ჩადენილნი"[1]. საბოლოოდ იგი მაინც გადაწყვეტს, რომ ეთიკის ფუნდამენტისათვის არა აპრიორული, არამედ ემპირიული გზა უნდა იქნეს არჩეული. რომ საჭიროა გავითვალისწინოთ ისეთი ქცევები, რომელთაგანაც უნდა გამომდინარეობდეს ჭეშმარიტი ზნეობრივი ღირებულებები. ასეთი ქცევა შეიძლება იყოს „ნებაყოფლობითი სამართლიანობა, წმინდა კაცთმოყვარეობა და ჭეშმარიტი კეთილშობილების გამოვლენა... უნდა მივუთითოთ ყველა შემთხვევაში ისეთ ზამბარაზე, რომელიც გაუღვივებს ადამიანებს ამგვარ ქცევას... ამგვარი ზამბარა იქნება ზნეობრიობის საფუძველი, ხოლო მისი ცოდნა – მორალის ფუნდამენტი"[2].

შოპენჰაუერის აზრით, ადამიანის ქცევას გააჩნია ზნეობრივი და არაზნეობრივი „ზამბარები" – მამოძრავებელი ძალები ქცევისა. „მთავარი და ძირითადი ზამბარა, რომელიც ამოძრავებს ადამიანს და მის ცხოვრებას, არის ეგოიზმი ანუ მისწრაფება საკუთარი არსებობისადმი და საკუთარი კეთილდღეობისადმი"[3].ეს თანდაყოლილი გრძნობა შოპენჰაუერს მიაჩნია განუსაზღვრელად. ადამიანს განუსაზღვრელად სურს თავისი არსებობის შენარჩუნება, რათა იგი იყოს მარადიულად, არსებობას კი თან ახლავს ტანჯვა, ხოლო ტანჯვასთან დაკავშირებულია ყველა ნაკლოვანება და უკმაყოფილება. ადამიანს სურს, ამ არსებობაში მიიღოს რაც შეიძლება მეტი სიამოვნება, და ცდილობს, თავისთავში განავითაროს ისეთი ახალ-ახალი უნარები, რომელიც მოუტანს ამათ. ის ცდილობს, გაანადგუროს ამ მისწრაფების ხელისშემშლელი ყოველივე, როგორც მტერი. მას სურს ყველაფრით ისიამოვნოს, ყველაფერი ჰქონდეს. ეგოიზმის დევიზია: „ყველაფერი ჩემთვის და არაფერი სხვებისთვის"[4]. შოპენჰაუერის აზრით, ეს ეგოიზმი არის სწორედ პირველი და უმთავრესი ძალა, რომლის გადალახვაც უხდება ზნეობრიობას.

1 Шопенгауэр, А., Основы морали, გვ. 118.
2 იქვე, გვ. 247.
3 Шопенгауэр, А., Свобода воли и основы морали, 1896, с. 248.
4 იქვე, გვ. 248.

შოპენჰაუერს ეგოიზმი მიაჩნია ყველაზე უარყოფით მამოძრავებლად ადამიანთა ქცევისა, რადგან იგი ეწინააღმდეგება სამართლიანობას: „ეგოიზმი ებრძვის სამართლიანობის სათნოებას, რომელიც, ჩემი შეხედულებით, არის ყველაზე პირველი და ჭეშმარიტი სათნოება“[1] – ამბობს იგი. მას იგი მიაჩნია არაკეთილგანწყობისა და მტრობის აღმძვრელად. ეგოიზმის გამო, არაკეთილგანწყობასა და მტრობას მეგზურობს შური. შური კი თავის მხრივ აღძრავს ბოროტებას. ბოროტისათვის სხვისი ტანჯვა და ტკივილი თვითმიზანია, ხოლო მისი მიღწევა – ნეტარება. ამრიგად, არაზნეობრივი ქცევის მამოძრავებელი ზამბარებია: ეგოიზმი და ბოროტება, რომელთაც საფუძვლად უდევს შური.

ქცევის ზნეობრივ მამოძრავებლების გაანალიზებამდე შოპენჰაუერი სვამს ასეთ კითხვას: ჩვენს გამოცდილებაში გვხვდება თუ არა ნებაყოფლობითი სამართლიანობისა და უანგარო კაცთმოყვარეობის ქცევები, რომლებიც შემდეგ მაღლდებიან კეთილშობილებამდე და დიდსულოვნებამდე? და პასუხობს: „ეს საკითხი სამწუხაროდ წმინდა ემპირიული გზით ვერ წყდება, რადგან ცდაში გვეძლევა ქცევა, მაგრამ მისი აღმძვრელი მოტივი დაფარულია. ამიტომ ყველასთვის არის იმის ეჭვის შესაძლებლობა, რომ სამართლიან და კეთილ ქცევაზე იმოქმედა ეგოისტურმა მოტივმა“[2]. მაგრამ ხომ არსებობს უანგარო ქცევაც? ქცევის ზნეობრივ ღირებულების კრიტერიუმად შოპენჰაუერს მიაჩნია ეგოისტური მოტივის უქონლობა. გარდა ამისა, ქცევის ზნეობრივი ღირებულების შინაგანი, არათვალსაჩინო, მაგრამ უტყუარი ნიშანია ისიც, რომ ასეთი ქცევა თავისთავით კმაყოფილებას ანუ სინდისის მოწონებას იწვევს, ხოლო ბოროტება და სისასტიკე – შინაგან გასამართლებას. ამრიგად, შოპენჰაუერი ეძებს ქცევათა განმსაზღვრელ და მამოძრავებელ ძალებს, ქცევის „ზამბარებს“, რომელთაც უნდა დაეყრდნოს მთელი ეთიკა. ჭეშმარიტად ზნეობრივი ქცევის მამოძრავებელი ძალის ახსნას იგი რამდენიმე აქსიომას წარუმძღვარებს: 1. მოტივის გარეშე არავითარი ქცევა არ არსებობს, 2. არავითარი ქცევა, რომელსაც გააჩნია მოტივი, არ შეიძლება არ

1 Шопенгауэр, А., Свобода воли и основы морали, 1896, გვ. 251.

2 Шопенгауэр, А., Основы морали, 1896, с. 260.

შესრულდეს, თუ უფრო ძლიერმა კონტრმოტივმა არ ჩაშალა, 3. ეგოიზმი და ქცევის ზნეობრივი ღირებულება გამორიცხავენ ერთმანეთს, თუ ქცევას მოტივად ეგოისტიური მიზანი აქვს, მას არ გააჩნია ზნეობრივი ღირებულება... 4. ქცევის ზნეობრივი მნიშვნელობა გამოიხატება მხოლოდ მის დამოკიდებულებაში სხვებთან.

ამრიგად, არსებობს მხოლოდ სამი ძირითადი ზამბარა – მამოძრავებელი ძალა ადამიანური ქცევებისათვის და მხოლოდ მათი ძალით არსებობს ყველა შესაძლებელი მოტივი. ესენია: 1. ეგოიზმი, რომელსაც სურს მხოლოდ საკუთარი კეთილდღეობა. 2. გაბოროტება, რომელსაც სურს სხვისი ტანჯვა, 3. თანაგრძნობა, რომელსაც სურს სხვისი კეთილდღეობა.

ეგოიზმისას და ბოროტებისას ჩემი დამოკიდებულება სხვებთან ისეთია, რომ მე არ მინდა სხვების სიკეთე და მინდა მათი ტანჯვა, ხოლო თუ მე მინდა სხვისი სიკეთე და არ მინდა მისი ტანჯვა, ეს ნიშნავს, რომ მე თანავუგრძნობ მას. თუ „მის ტკივილს ვგრძნობ, როგორც საკუთარს, ამისთვის საჭიროა, რომ რაღაც საშუალებით მე მისი იგივეობრივი ვიყო. ამისთვის უნდა გაქრეს განსხვავება ჩემსა და სხვას შორის, რომელ განსხვავებასაც ეფუძნება ჩემი ეგოიზმი"[1]. სწორედ ამგვარი „თანაგრძნობა (ანუ თანატანჯვა) არის ერთადერთი და ჭეშმარიტი საფუძველი ყოველი თავისუფალი სამართლიანობისა და კაცთმოყვარებისათვის: და რადგან ქცევა გამომდინარეობს მისგან, იგი ფლობს ზნეობრივ ღირებულებას"[2], თანატანჯვა შოპენჰაუერს მიაჩნია რაღაცაგვარ გამაერთიანებელ საიდუმლო მისტერიად, რომლის ძალითაც ადამიანში ისეთი რაღაც ხდება, რომ როგორც კი ეს თანაგრძნობა აღიძვრება, სხვისი სიკეთეც და ტანჯვაც ჩემთვის იმდენად ახლობელი ხდება, იმგვარისავეა, როგორიცაა ჩემი საკუთარი. ცხადია, მაშასადამე, ჩემსა და სხვებს შორის განსახვავება აბსოლუტური არ არის... ეს წარმოადგენს ეთიკის უდიდეს მისტერიას... „ჩვენ ვხედავთ, რომ ამ პროცესისას ქრება საზღვარი ბუნების ჩირაღდნის (ასე ეძახდნენ ძველი ღვთისმეტყველნი გონებას) შუქზე (რომელიც ერთ არსებას

1 Шопенгауэр, А., Свобода воли и основы морали, 1896, с. 260.
2 იქვე, გვ. 268.
3 იქვე, გვ. 267.

მეორისგან ჰყოფს), და როცა „არამე" იქცევა „მედ"[3]. ქცევის სამი მამოძრავებელი ზამბარიდან (ეგოიზმი, გაბოროტება, თანატანჯვა) ერთია ზნეობრივი-თანატანჯვა; იგი ეთიკის საფუძველია და წყარო თავისი ორი ხარისხის სათნოებისა; სამართლიანობისა და კაცთმოყვარეობისა. სამართლიანობა მოითხოვს პრინციპს: „არავის არ ავნო", ხოლო კაცთმოყვარეობა – „დაეხმარე ყველას როგორც შეგიძლია". თანაგრძნობა არის ერთადერთი არაეგოისტური, ერთადერთი ჭეშმარიტი ზნეობრივი მამოძრავებალი (ზამბარა). ეს მტკიცდება გამოცდილებით და საერთოადამიანური გრძნობის დამონმებით. შოპენჰაუერი ამ საერთოადამიანურ გრძნობას უწოდებს სინდისს, რომელიც ქცევის მოწონებით ან დაწუნებით განსჯის თავის ქცევას, იგია მსაჯული, მაკონტროლებელი ქცევისა: „ქცევები ჩვენში უნდა აღძრავდნენ შინაგან კმაყოფილებას, რომელსაც ეწოდება კეთილი, მშვიდი, დაკმაყოფილებული სინდისი..."[1]. თუ კარგად ჩავუკვირდებით, ჩვენ დავინახავთ დიდ საერთოობას დემოკრიტეს „სულის ატომთა წონასწორობასთან", რომელსაც ადამიანში იწვევს მშვიდი სინდისი, პლატონის „ღმერთის ხმა ჩემში", კანტის ზნეობრივი მსაჯული, „ზნეობრივი კანონი ჩემში". სამივე შემთხვევაში იგი არის სინდისი – შინაგანი მსაჯული – ზნეობრივი თავისფლება, გინითმისაწვდომი ზნეობრივი ხასიათი, ჩვენი ნების, ჩვენი შინაგანი არსის გამოვლენა. თანაგრძნობა აღძრავს მშვიდ სინდისს (და არა მშფოთვარეს ან მქენჯნავს). ამრიგად, თანაგრძნობა არის ერთადერთი არაეგოისტური და ზნეობრივი მამოძრავებელი ძალა, შინაგანი ენერგია ყოველი ზნეობრივი ქცევისა, რომლის გამოც სხვის ტკივილს „ვგრძნობ, როგორც საკუთარს", თანაგრძნობა მაიგივებს სხვასთან და მის საფუძველზე ჩადენილი ქცევა ფლობს ზნეობრივ ღირებულებას, როგორც სრულიად განთავისუფლებული ეგოიზმისაგან. შოპენჰაუერს მიაჩნია, რომ სწორედ ამ დადებითი ენერგიის შინაგანობის, არაეგოისტურობის, სხვასთან გამაიგივებელი თვითგრძნობის და მასთან მშვიდი სინდისის გამო უნდა იყოს თანაგრძნობა (თანატანჯვა) მორალის ფუნდამენტი. ამ მიგნების სისწორის დასასაბუთებლად მას მოჰყავს მაგალითი: დავუშვათ, რომ ორი

1 Шопенгауэр, А., Основы морали, 1896, с. 299.

ახალგაზრდა – კაი და ტიტი შეყვარებულნი არიან ორ სხვადასხვა ქალიშვილზე. თითოეულს ჰყავს მეტოქე, რომელთაც მათთან შედარებით უპირეტესობები აქვთ. ორივემ გადაწყვიტეს, გაუნადგურებინათ თავიანთი მეტოქენი... როდესაც მათ მიიღეს ზომები მკვლელობისათვის, ორივემ ხელი აიღეს განზრახულზე თავისთავთან ბრძოლის შემდეგ. კაის მიერ ამ ხელისაღების მიზეზად შოპენჰაუერს ჩამოთვლილი აქვს ყველა შესაძლებელი პასუხი (შეკითხვაზე, თუ რამ ააღებინა ხელი) ფილოსოფოსთა ეთიკური მაქსიმებიდან. შოპენჰაუერის აზრით, კაის შეჩერება შეეძლო ან რელიგიურ საფუძველს (წარმოადგენდა რა ჩადენილის სამაგიერო გასამართლებას), ან ის იტყოდა ფილოსოფოსთა მაქსიმებისამებრ: „მე განვსაჯე, რომ ჩემი ქცევის მაქსიმა ამ შემთხვევაში ყველა გონიერი არსებისათვის გამოსადეგ საყოველთაო წესად ვერ გამოდგებოდა, რადგან ჩემი მეტოქე უნდა გამომეყენებინა, როგორც მხოლოდ საშუალება და არა როგორც მხოლოდ მიზანი". ან იგი იტყოდა ფიხტესთან ერთად: „ყოველი ადამიანური ცხოვრება არის საშუალება ზნეობრივი კანონის რეალიზაციისათვის, ცხადია, რაკი მე გულგრილი ვერ ვიქნები ზნეობრივი კანონის რეალიზაციისადმი, ამიტომ არ შემიძლია გავანადგურო მეორე ადამიანი, რომელიც მოწოდებულია ამ რეალიზაციის ხელშეწყობისათვის... ან ადამ სმიტის მსგავსად იტყოდა: „მე განვჭვრიტე, რომ ჩემი ქცევა ჩემს მაყურებლებში არავითარ სიმპათიას არ აღძრავდა..." ან ხრისტიან ვოლფისამებრ: „მე შევიგრძნე, რომ ჩემი საკუთარი სრულყოფილების საწინააღმდეგოდ ვიქცეოდი"... ტიტი კი, შოპენჰაუერის აზრით, უპასუხებდა: „როგორც კი საქმე მივიდა მკვლელობის მომზადებამდე და ამის გამო უნდა დავფიქრებულიყავი არა ჩემი განცდის, არამედ მეტოქის შესახებ, მაშინ ჩემთვის პირველად გახდა ცხადი, რა უნდა გადახდენოდა მას. მე შემიპყრო თანაგრძნობამ, სიბრალულმა და შემეცოდა იგი. მე აღარ შემეძლო ჩემში თანაგრძნობის დაძლევა, აღარ შემეძლო ეს ჩამედინა"[1]. ე. ი. საქმე გადაწყვიტა იმ თანაგრძნობამ, რომელიც გამოიწვია ტიტიში თავისთავის მეორის ადგილზე წარმოდგენამ, რომ („ის შენ ხარ") მათმა გაიგივებამ. შოპენჰაუერი ბოლოს კითხულობს: „ახლა მე ვკითხავ კეთილსინდისიერ და

1 Шопенгауэр, А., Основы морали, 1896, с. 306.

მიუდგომელ მკითხველს, რომელი ადამიანია მათ შორის უკეთესი? რომელი ადამიანი შეჩერდა (კაი თუ ტიტი) უფრო წმინდა მოტივით? ამის მიხედვით სად იქნება მორალის ფუნდამენტი?"[1]. შოპენჰაუერი დაასკვნის, რომ მორალის ფუნდამენტი და ზნეობრიობის მამოძრავებელი ძალა არის თანაგრძნობა, რადგან მასზეა დაფუძნებული სამართლიანობა და კაცთმოყვარეობა, რადგან „სხვებისადმი მტრული განწყობა არაფრით ისე არ შეგვიძლია ჩავახშოთ, როგორც მაშინ, როცა ჩვენს თვალსაზრისს გადავრთავთ ისე, რომ მტერმა ჩვენში გამოიწვიოს თანაგრძნობა, რომ ცხოვრებისეული უსასრულო ტანჯვის შესამსუბუქებლად განგებამ ადამიანთა გულში გააჩინა იმგვარი სასწაულმოქმედი თვისება, რომლის ძალითაც ერთი ადამიანის ტანჯვა თანაიგრძნობა სხვათა მიერ და რომელ თანაგრძნობიდანაც გამომდინარეობს ხმა: „დაინდე!" და „დაეხმარე!" ამრიგად, შოპენჰაუერს ზნეობრივი ქცევის თემად მიაჩნია „თანატანჯვა", რომელიც ადამიანში აღძრავს სურვილს სხვისი ტანჯვის თავისად განცდისა და შემოქმედებით სიყვარულს ტანჯული ადამიანისადმი, რადგან სიყვარული უმოტივოა. „შენ ჩემში ხარ", მათ შორის არ არის განსხვავება და ეს ხდება არსის ერთიდაიგივეობის წვდომით. შოპენჰაუერი აღნიშნავს: „ჩემს მიერ დაფუძნებულ ეთიკაში მე უწინამორბედო ვარ, მათგან სტოიკოსები სპინოზა და კანტი პირიქით, უარყოფენ და კიცხავენ თანაგრძნობას. ამათგან განსხვავებულია ჟან-ჟაკ რუსო – ღრმა მცოდნე ადამიანთა გულებისა"[2]. ჩინელებთანაც ხუთი ძირითადი სათნოებიდან (თანაგრძნობა, სამართლიანობა, თავაზიანობა, სიბრძნე და გულწრფელობა) წარმმართველი, პირველი ადგილი თანაგრძნობიას უჭირავს. ასევეა ინდუსებთან, ათენელებთანაც. სტობიუსთან „თანაგრძნობა ყველაზე წმინდა თვისებაა ადამიანისა. ყველაზე მეტად თანაგრძნობას აფასებდა რუსო და ლესინგი, რომელიც 1756 წელს წერდა: „თანამგრძნობი ადამიანი არის ყველაზე უკეთესი ადამიანი, რომელიც მიდრეკილია ყველა საზოგადოებრივ სათნოებისადმი და ყოველგვარი დიდსულოვნებისადმი"[3].

1 Шопенгауэр, А., Основы морали, 1896, с. 307.
2 იქვე, გვ. 322.
3 იქვე, გვ. 322.

შოპენჰაუერის აზრით, ადამიანები იბადებიან ეგოიზის, გაბოროტების ან თანაგრძნობისადმი მიდრეკილი ხასიათებით. თანაგრძნობისადმი მიდრეკილ ადამიანს სხვისი ტანჯვა გულთან ახლოს მიაქვს, ვიდრე საკუთარი, ამიტომ სხვებს მსხვერპლს სწირავს. ამის მაგალითად შოპენჰაუერს მოჰყავს ნაწყვეტი შილერის (მსოფლიო ისტორიის X წიგნის X თავიდან) ნაშრომიდან: „ბერმა მისცა რა ტყვეთა გამოსასყიდად ყველა განძეული... და დაინახა რა ტყვე ქვრივის მწუხარება, რომელსაც წაართვეს გასაყიდად ერთადერთი ვაჟი, მან მის მაგიერ მონად გასაყიდად თავისი თავი შესთავაზა მონათვაჭარს"[1]. ამავე დროს, კაცთმოყვარე თანამგრძნობი მოტივების ამთვისებლობისკენაა მიდრეკილი, ხოლო არაკაცთმოყვარე – პირიქით.

შოპენჰაუერის აზრით, ქცევები დამოკიდებულია ნებაზე, თანდაყოლილ გენზე, ბუნებრივ პირველსაწყის ხასიათზე, (რაც გამოვლინდება გულის სფეროს რაგვარობაში), კეთილ თუ ბოროტ გულზე, რომელი ნების ადგილისმყოფელია. ამიტომ ამბობს იგი: „თავი შეიძლება გავანათლოთ, მაგრამ გული ხომ იგივე რჩება, გამოუსწორებელი"[2] ამრიგად, არსებითად, ძირითად გადამწყვეტს (როგორც გონებრივის, ისე ფიზიკურის, ისე ზნეობრივის მხრივ), შეადგენს ის, რაც ნების სახით თანდაყოლილია და ხასიათს ქმნის.

ამრიგად, შოპენჰაუერის დასკვნით, მორალის საფუძველია თანაგრძნობა და მისგან გამომდინარე ორი ძირეული სათნოება: სამართლიანობა და კაცთმოყვარეობა.

მაგრამ, თუ როგორ გამომდინარეობს თთნ, არსიდან ამა თუ იმ ხასიათის მოვლენა, ეს თხოულობს მეტაფიზიკურ საფუძველს, რომელიც უნდა სცილდებოდეს მოვლენის საზღვრებს, ცდის საზღვრებს და უნდა იყოს მჭიდრო კავშირში მთელი სამყაროს არსებობასთან და ადამიანის ხვედრთან, რადგან ეს უკანასკნელი არის უმაღლესი წერტილი, რომელთანაც თავს იყრის არსებობის მთელი ეთიკური მნიშვნელობა. ამიტომ უნდა განვიხილოთ ეთიკის მეტაფიზიკური საფუძველი.

---

1 Шопенгауэр, А., Основы морали, с. გვ. 333.
2 იქვე იქვე, გვ 336.

4) ეთიკის მეტაფიზიკური საფუძველი

შოპენჰაუერის აზრით, ეთიკის მეტაფიზიკური თვალსაზრისი მდგომარეობს იმაში, რომ თანაგრძნობის ფენომენის საფუძველია ყოველივეში არსებული საერთო არსის – ნების იგივეობა.

ევანგელისტის თქმით, მეტაფიზიკა შეიმეცნებს რწმენის თვალებით. მეცნიერება შეიმეცნებს იმიტომ, რომ არ ძალუძს რწმენა. მეტაფიზიკას კი სწამს იმიტომ, რომ არ ძალუძს შემეცნება. ტვინის მიერ შემეცნებით – ამბობს შოპენჰაუერი – ჩვენ შევიმეცნებთ ჩვენს სხეულს, როგორც ობიექტს სივრცეში. ხოლო შინაგანი გრძნობის საშუალებით შევიმეცნებთ ჩვენი ნების მისწრაფებებისა და აქტების მთელს რიგს (რომლებიც წარმოიშვებიან გარეგანი მიზეზების – მოტივების საფუძველზე), დაბოლოს შვიმეცნებთ მთელს მრავალსახეობას – ჩვენი ნების ძლიერ თუ სუსტ მოძრაობას, რომელთანაც დაკავშირებულია მთელი ჩვენი შინაგანი გრძნობები და შეგრძნებები. ესაა და ეს. რადგან თავად შემეცნება სუბსტრატისა კვლავ შეუცნობელი რჩება: „საკუთრივ სუბსტრატი (მრავალსახეობათა საერთო საფუძველი) ამ მთლიანი მოვლენისა ანუ ჩვენი შინაგანი „არსება თავისთავად", თვით მსურველი და შემმეცნებელი – მიუღწევადია. ჩვენ მას ვხედავთ გარედან, შინაგანი ჩვენი ბნელია"[1]. შოპენჰაუერიც კანტის მსგავსად ამბობს, რომ „მე" თავისთავს შეიცნობს, როგორც მოვლენას, მაგრამ არა იმას, რაც არის ის თავისთავად... „იმ ნაწილის მიხედვით, რომელიც მიღწერვადია ჩვენი შემეცნებისათვის, თითოეული განსხვავებულია მეორისაგან, მაგრამ აქედან არ გამომდინარეობს, რომ ასეთივე ვითარებაა იმ ნაწილშიც, რომელიც დაფარულია და შეუცნობი. იმ დიდი ნაწილის შესახებს გვრჩება ვიფიქროთ, რომ იგი ყველა ჩვენთაგანში იგივეობრივია"[2].შოპენჰაუერის აზრით, არსებათა მრავალრიცხოვნება და განსხვავება ემყარება სივრცეს და დროს. მხოლოდ მათი საშუალებითაა ეს განსხვავება შესაძლებელი, რადგან ერთმანეთი შეგვიძლია მოვიაზროთ ან ერთმანეთის გვერდიგვერდ, ან ერთიმეორის შემდეგ. ამ საკითხთან დაკავშირებით, შოპენჰაუერს

---

1 Шопенгауэр, А., Свобода воли и основы морали, 1896, с. 351.
2 იქვე, გვ. 351.

განსაკუთრებით მოსწონს კანტის მოძღვრება დროისა და სივრცის იდეალურობის შესახებ. „ამ მოძღვრების თანახმად, სივრცე და დრო ჩვენი შემეცნებითი უნარის ფორმებია. ისინი შემეცნებით უნარს ეკუთვნიან და არა მისი საშუალებით შემეცნებულ საგნებს. მათ არასოდეს არ შეუძლიათ იყვნენ თთნ-ის განმსაზღვრელნი, მაგრამ შეესაბამებიან ჩვენს ცნობიერებაში მათ გამოვლენას. თუ თთნ-ისათვის ანუ სამყაროს ჭეშმარიტი არსისათვის უცხოა დრო და სივრცე, მაშინ აუცილებელია უცხო იყოს მრავალრიცხოვნებაც. გამოდის, რომ თთნ ამ გრძნობადი სამყაროს მრავალრიცხოვან გამოვლენაში შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი და მათში გამოვლენა შეუძლია მხოლოდ როგორც ერთიანს და იგივეობრივ არს"[1]. აქ შეიძლება ვივარაუდოთ მეტაფიზიკური ნებაც, კოსმიური ენერგიაც, რომელიც ქმნის მეტაფიზიკურ საფუძველს ეთიკისას. ამრიგად, რაც წარმოგვიდგება როგორც მრავალრიცხოვნება, ცხადია, გამოიხატება დრო-სივრცეში და არ შეიძლება იყოს თთნ, არამედ – მხოლოდ მოვლენა. მაგრამ მოვლენა არსებობს რეალურად მხოლოდ ჩვენს ცნობიერებაში და შემოფარგლულია მრავალგვარი პირობებით, ემყარება ორგანულ ფუნქციას და არა მის გარეთ არსებულს. შოპენჰაუერი მსჯელობს ასე: „თუ მრავალრიცხოვნება და განცალკევებულობა დამახასიათებელია მხოლოდ შიშველი მოვლენისათვის და ერთიდაიგივე არსი წარმოგვიდგება ყოველ სულიერში, მაშასადამე, თვალსაზრისი, რომელიც სპობს განსხვავებას „მესა" და „არამეს" შორის, არარის ცრუ და მცდარი. ჩვენ ვპოულობთ ასევე, რომ ეს აზრი ჩვენ ვიპოვეთ თანაგრძნობის ფენომენის საფუძველში, რომელიც წარმოადგენს რეალურ გამოხატულებას ამ თვალსაზრისისას... ამიტომ იგი შეიძლება იყოს მეტაფიზიკური საფუძველი ეთიკისა, რაც მდგომარეობს იმაში, რომ ერთი ინდივიდი მეორეში უშუალოდ შეიცნობს თავისთავს, თავის ჭეშმარიტ, საკუთარ არსს"[2]. შოპენჰაუერის აზრით, არსებობს ორგვარი შემეცნება: ერთი სახის შემეცნებით (მცდარი შემეცნებით) თითოეული ინდივიდუმის განსხვავება სხვათაგან წარმოადგენს თავისი საფუძვლითაც სხვათაგან განსხვავებულს, და ყოველი

1 Шопенгауэр, А., Свобода воли и основы морали, 1896, с. 353.
2 იქვე გვ. 355.

ინდივიდუმის ეგოისტურ საფუძველში ძევს ასეთი განაცხადი: „მე გამაჩნია ჩემი ჭეშმარიტი არსი, საკუთარი თვითობა, სხვა დანარჩენი არის „არამე“ და ჩემთვის უცხო“. აქედან გამოდის ყოველი რეალური გამოხატულება უგულობის, უსამართლობის ან ბოროტი ქცევისა. შოპენჰაუერის აზრით, „ინდივიდუაცია არის მხოლოდ მოვლენა, რომელიც წარმოიშვება დროისა და სივრცის საშუალებით, რომლებიც სხვა არაფერია, თუარ ჩემი ტვინით განპირობებული შემეცნებითი უნარის ფორმები, ამიტომ მრავალრიცხოვნება და განსხვავებულობა არის მხოლოდ ჩემი წარმოდგენა. ჩემი ჭეშმარიტი შინაგანი არსი კი არის და არსებობს ყოველ სულიერში ისევე უშუალოდ, როგორც იგი თავს აცხადებს ჩემს თვისცნობიერებაში“[1]. ეს ის შემეცნებაა, რომელიც გარედან ვლინდება თანაგრძნობაში, რომელიც წარმოდაგენს ყოველი უანგარო სიკეთის წყაროს და რომლის გამოხატულებასაც ნარმოადგენს ყოველი კეთილი საქმე. ეს ის შემეცნებაა, რომლის სანსკრიტული ფორმულაა „tat tvam asi“ ანუ „ის შენ ხარ“. ეს ის შემეცნებაა, რომლისკენაც მიმართულია მოწოდება დანდობაზე, კაცთმოყვარეობაზე, შემწყნარებლობაზე, რადგან ასეთი მოწოდება არის გახსენება იმისა, რომ ჩვენ ყველანი წარმოვადგენთ ერთიდაიგივე არსის გამოვლენას. შოპენჰაუერის აზრით, იმის მიხედვით, თუ რომელი შემეცნება გაგვიმტკიცდება.... შევნიშნავთ ემპედოკლეს სიყვარულს ან სიძულვილს. ამრიგად, ფილოსოფოსის აზრით, ყოველ კეთილ ქცევას საფუძვლად უდევს ღრმა შემეცნება ყოველი სულიერის ერთარსობისა. ყოველი სრულიად ნამდვილი სიკეთე, ყოველი ჭეშმარიტად უანგარო დახმარება, რომელსაც მოტივად აქვს სხვისი გაჭირვება, არის საკუთრივ საიდუმლო მისტერიოზული ქცევა, პრაქტიკული მისტიკა... რადგან უკვე მარტო ის, რომ ადამიანი იძლევა მოწყალებს და ამასთან არ გააჩნია არავითარი მიზანი, გარდა სხვისი დამწუხრებული გაჭირვების შემსუბუქებისა, შესაძლებელია მხოლოდ იმის საფუძველზე, რომ იგი სხვის მოვლენაში შეიცნობს საკუთარ არსს, „ამიტომ ვუწოდე მე თანაგრძნობას უდიდესი საიდუმლო მისტერია ეთიკისა“ – ამბობს იგი.

---

1 Шопенгауэр, А., Свобода воли и основы морали, 1896, გვ. 557.

ამრიგად, შოპენჰაუერის თვალსაზრისით, ეთიკის მეტაფიზიკური საფუძველია ნების ერთარსობა, მთლიანობა და იგივეობაა ყოველ არსებულში.

„ეს მეტაფიზიკური ეთიკა მოცემული იყო ჯერ კიდევ ინდურ სიბრძნეში, რომელსაც მე ვეჭიდები, როგორც კოპერნიკი – პითაგორელთა პლანეტარულ სისტემას, რომელიც განდევნილი იყო არისტოტელეს და პლატონის მიერ"[1] – შენიშნავს იგი.

ამასთან, ზეგრძნობადი, ღვთაებრივი ძალაა ჩვენში სინდისის ხმა. ჩვენი ინდივიდუალური არსი კი ზნეობრიობის სფეროა. „არსშია სწორედ ის ადგილი, სადაც სინდისის მიერ სინანული ჩნდება". ეს გრძნობა: თანატანჯვა (თავისი ორი ხარისხით: სამართლიანობით და კაცთმოყვარეობით) და სინდისი – ზნეობრივი თავისუფლების ხმა ჩემში – მართლაც აღძრავს ადამიანებში სხვა ადამიანებთან გაიგივების – რაღაც სასწაულმოქმედის, მისტიკურ-ზეგრძნობადის განცდას.

ჩვენ სავსებით სამართლიანად ვთვლით შოპენჰაუერის მიერ ფიხტეს თვალსაზრისის კრიტიკას თანაგრძნობის (თანატანჯვის) პრინციპისადმი. ამ საკითხის განხილვისას, შოპენჰაუერის სიტყვით: „ფიხტეს მოძღვრების პედანტობა საზრდოს გვაძლევს სატირი-სათვის". შოპენჰაუერს თავის წიგნში „ნების თავისუფლება და მორალის საფუძვლები" ფიხტეს შრომიდან მოჰყავს ასეთი ციტატა: „სიმპათიის, თანატანჯვის, კაცთმოყვარეობის მიხედვით მოქმედება არამარტო არამორალურია, არამედ მორალის საწინააღმდეგოც"[2]. რადგან ფიხტეს ზნეობრივად მიაჩნია „არა სიკეთე წინასწარგან-ზრახვის გარეშე", არამედ მხოლოდ წინასწარ, „ნათლად ჩაფიქრე-ბული მიზნით"[3].

აქ ფიხტეს მხედველობიდან რჩება ის ფაქტი, რომ შოპენჰაუ-ერთან გონება ნების მსახურია და გონების დამსახურება ნების დამსახურებას ნიშნავს, ასევე სამართლიანია შოპენჰაუერის აზრი, როცა იგი ეთიკაში გონების გააბსოლუტურების წინააღმდეგია, რადგან მისი სწორი შენიშვნით „იმოქმედო გონიერად და კეთილსინდისიერად, ორი სავსებით განსხვავებული საგანია".

1 Шопенгауэр, А., Свобода воли и основы морали, გვ. 361.
2 იქვე. გვ. 227.)
3 იქვე.

აღნიშნულის შემდეგ, მართლაც, უხერხულად მიგვაჩნია „სიმპათიის, თანატანჯვის და კაცთმოყვარეობის მიხედვით მოქმედების „არამარტო არამორალურად", არამედ „მორალის საწინააღმდეგოდაც" მიჩნევა.

რაც შეეხება ნების ერთარსობის საკითხს ყოველ არსებულში, ჩვენ თთნ-ის რაობის განსაზღვრისას დავინახეთ, რომ ბუნების ძალები და ჩვენში არსებული ნების ენერგია ერთიდაიგივე ნებიდან გამომდინარეობს, რომ ბუნების ძალების და ჩვენი ქცევების გამოვლენას ერთი არსი, ერთგვაროვანი ნების ენერგია – სწრაფვა უდევს საფუძვლად. ყოველი იქცევა მისი სწრაფვის რაობითა და ინტენსიობით. მისი აზრით, ყოველ არსებულს ნების სწრაფვა – ენერგია ამოძრავებს მიზიდულობით ან განზიდულობით. ადამიანში გამოვლენილ დადებით სწრაფვას იგი სიმპათიას უწოდებს და მის შემდეგ სახეებს განასხვავებს:

1. როცა სწრაფვას საფუძვლად უდევს თანაგრძობა – თანატანჯვა, მაშინ ადამიანებში მოქმედებს კაცთმოყვარეობისა და სამართლიანობის მუხტები. მაშინ ადამიანთა შორის შთაგონება აღიძვრის, რომელიც კარნახობს, რომ ყოველი არსებული იგივეობრივი არსისაა, როცა ყოველი მისი ტკივილი თუ სიხარული შენად აღიქმება და შენს თავს მის ადგილას წარმოიდგენს.

2. მეორეგვარ სწრაფვას საფუძვლად უდევს სიყვარულის მიზიდულობა – „amore" და იგი გენიტალიით ემსახურება კაცობრიობის მარადიულ არსებობის გაგრძელებას...

3. როცა ადამიანთა სწრაფვებს საფუძვლად უდევს მაგია (და იგი შოპენჰაუერს მიაჩნია ექსტრასენსულ მოვლენების ამხსნელად).

ამ სამგვარი ლტოლვა-სწრაფვიდან ანუ სიმპათიიდან (მიზიდულობიდან) ეთიკის საფუძვლად იქცევა თანაგრძნობა (თანატანჯვა), როცა ინდივიდუალური ნება, კაცთმოყვარეობა-სამართლიანობის აღმძვრელ სურვილთა უპირატესობით, ზნეობრივ კოდად ვლინდება. შოპენჰაუერის აზრით, თანაგრძნობის პრინციპს ფუნდამენტად უდევს ის მეტაფიზიკური მისტერია, რომლის საფუძველზეც „არასოდეს არ შეიძლება გაქრეს და არარად იქცევს სიყვარულის ის სული, რომელიც ერთს შთააგონებს, დაზოგოს თავისი მტრებიც, ხოლო მეორეს – თავი გასწიროს ადამიანი-

სათივის, რომელსაც პირველად ხედავს". ეს სიყვარულის სული არის ნებაში დადებითითს, კეთილის, ზნეობრივის ენერგია, რომელიც რჩება ჩვენში სიკვდილის შემდეგაც და არის ბირთვი და წარმომშობი სრულიად ახალი არსებობისა.

თუ შოპენჰაუერის დაშვებას სწორად მივიჩნევთ, რომ ზეგრძნობადი, მეტაფიზიკური რამ ჩვენს არსებაში მართლაც არსებობს, იგი სწორედ თანაგრძნობის და სინდისის გამოვლენაში უნდა გვევარაუდა. ამასთან, საგულისხმოა ისიც, რომ ადამიანის არსებაში პასუხისმგებლობის, დანაშაულის და სინდისის გრძნობის არსებობის ფაქტი, თანაგრძნობასთან ერთად, უკვე არის აუცილებლობის სამყაროში თავისუფლების გამოვლენა და მეტაფიზიკურის საიდუმლოებით მოცული მოქმედება. ეს ფაქტი ჩვენს არსებაში გრძნობადის მეტაფიზიკურთან რაღაც ფარულ კავშირს ნიშნავს. ეს კავშირი კი შეიძლება გამომდინარეობდეს მხოლოდ მეტაფიზიკური ნებიდან.

ჩემი მოსაზრებით, შოპენჰაუერი მეტაფიზიკური სფეროს მოშველიებით მიგვანიშნებს იმაზე, რომ ადამიანის ბედი მაინც მეტაფიზიკური ნების ანუ უზენაესი ნების თვალკთახედვის არეშია, თუმცა ადამიანს თავისუფლებას უტოვებს ნება-სურვილის ენერგიის სახით, რომლითაც მან არჩევანი უნდა მოახდინოს ემპირიულსა და ინტელიგიბელურს (თანდაყოლილ ხასიათსა და გონითგანჭვრეტად ხასიათს შორის).

ყოველგვარი მეტაფიზიკურის გამოვლენა ადამიანში, ყოველი მეტაფიზიკური მისტერია გულსიხმობს მეტაფიზიკური ნების მოქმედებას ჩვენში.კანტის გონითგანჭვრეტადი, ინტელიგიბელური ხასიათი, როგორც ზნეობრიობის იდეალური ბაზისი ადამიანში სწორედ იმ ზნეობრიობის ძალა უნდა იყოს ჩვენში მორალური მისიის შესასრულებლად, რასაც ადამიანი გაუცნობიერებელი ენტელექიით ესწრაფვის. გავიმეორებთ შოპენჰაუერის ციტატას, რომელიც ამ ვარაუდის განმტკიცებას უწყობს ხელს: „აქ საკითხი ეხება არსებობის ღირებულებას თუ უფასურობას, ხსნასა თუ წყევლას, რომელსაც წყევტს თვით ადამიანის არსებაში უძვირფასესი არსი, ღვთაებრივი დემონი – როგორადაც მას უწოდებს პლატონი და გონითგანჭვრეტადი ხასიათი როგორც უწოდებდა კანტი"[1].

1 Шопенгауэр А., Мир, как воля и представление. 1900 г. IV кн. с. 281.

მცდარია აზრი, თითქოს შოპენჰაუერი უარყოფს ესთეტიკურ ცხოვრებას, ლამაზ ემოციებს, საინტერესო განცდებს. თითქოს მას სძულს სიცოცხლე და ამიტომ ელტვის ასკეტიზმს. შოპენჰაუერმა იცის სიცოცხლის ფასი და ამქვეყნიური სამყაროს ფასიც, რომელიც მისთვის დიდი ღირებულების მატარებელია, მაშინაც კი, როცა „ეს სამყარო ყველაზე უარესია ყველა სამყაროთა შორის". სწორედ იმიტომ, რომ მას ადამიანის კეთილდღეობის ზნეობრივი მისია აკისრია.

როგორც აღინიშნა, კანტის ფილოსოფიამ განსაკუთრებული როლი შეასრულა შოპენჰაუერის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში.

კანტია ძირითადი, რომელსაც უმადლის შოპენჰაუერი თავისთავში ფილოსოფოსის ჩამოყალიბებას; ღრმა კვალი დატოვა მასში ბუდიზმის, ბრაჰმანიზმის, უპანიშადების გაცნობამ, რომელთა გავლენის შესახებაც საუბარია გვინერის, გრუზენბერგის, ფიშერის, შმიდტის, შტეინის, ბიხოვსკის, ვუნდტის და რიბოს გამოკვლევებში, მაგრამ მიგვაჩნია, რომ შოპენჰაუერის მსოფლმხედველობის წყაროებიდან უპირველესი ადგილი კანტის ფილოსოფიას ეკუთვნის.

კანტთანაც და შოპენჰაუერთანაც ყოველივე არსებული არსებობს ჩვენს ცნობიერებაში, როგორც ჩვენი წარმოდგენის, მეცნიერების საგანი, და ამავე დროს იგი არსებობს თავისთავადი არსებობით, როგორც ცნობიერებისათვის მიუღწეველი ან დაუსაბუთებელი – თთნ (თავისთავადი ნივთი) .

კანტთან გრძნობადი სამყარო, ყველაფერს თავის კანონებში რომ აქცევს და შემეცნების ტრანსცენდენტალურ აპერცეფციაში* რომ აიგება, შოპენჰაუერთანაც მოვლენათა სამყაროა, საერთოდ, ადამიანური წარმოდგენა, ხოლო იმავე სამყაროს მეტაფიზიკურის არსი – ნთთ, შოპენჰაუერთან ნებაა, კანტთან კი – შეუმეცნებელი სამყარო".

კანტის და შოპენჰაუერის მორალი ეყრდნობა ერთ ადამიანში ორი განსხვავებული ბუნების არსებობას. მუდამ ბრძოლაა ადამიანში ამ ორ მაღალ და მდაბალ ბუნებას შორის. კანტიც და შოპენჰაუერიც მკვეთრად მიჯნავენ ადამიანს, როგორც ცხოველურს,

* ტრანსცენდენტალური აპერცეფცია ნიშნავს აპრიორულ, ე. ი. იმთავითვე, ცდამდე არსებულ და ცდაში ნაგულისხმევ, უცვლელ ცნობიერებით აღქმას.

გონიერი, მორალური ადამიანისაგან. ადამიანობა არის მათთან ადამიანის წმინდა არსი მასშივე არსებული ცხოველურის საპირისპიროდ. მიუხედავად გრძნობად სამყაროსთან კავშირისა, უნდა ემორჩილებოდე შენს მეობაში არსებულ წმინდა ადამიანურობას, ინტელიგიბელურ ადამიანურობას. კანტისა და შოპენჰაუერის აზრით, მოვლენათა სამყაროში ადამიანი-ფენომენი ბუნების კანონზომიერებათა ქვეშ მოქცეული დაშორებულია ადამიანურობის იდეალს, მაგრამ როგორც ნოუმენი – ინტელიგიბელური არსებაა, თავისუფალია.

ამრიგად, კანტთანაც და შოპენჰაუერთანაც ადამიანი ემპირიული ბუნებით დეტერმინირებულია, როგორც მოვლენა, ხოლო წმინდაადამიანურ-ინტელიგიბელურით – თავისუფალია, როგორც ნთთ. კანტიც და შოპენჰაუერიც მოუწოდებენ, რომ ადამიანმა ყოველთვის უნდა იხელმძღვანელოს თავისი ნოუმენალურ-ინტელიგიბელური ხასიათით, რომელიც მასში პოტენციონალურად ინახება, როგორც რეალურში – იდეალური.

შოპენჰაუერის შრომას „ სამყარო, როგორც ნება და წარმოდგენა" – წამძღვარებული აქვს რუსოს სიტყვები: „გამოდი ბავშვობიდან, ჩემო მეგობარო, გაიღვიძე". შოპენჰაუერის სიტყვით, იგი ბავშვობიდან გამოიყვანა „გასაოცარმა კანტმა, იმ კანტმა, რომლის წინაშეც ქედს ვიხრი და რომლისგანაც ასე ბევრით და დიდებულით ვარ დავალებული, ისე ძლიერ, რომ მის სულს შეუძლია მომმართოს ჰომეროსის სიტყვებით – მე შენი თვალებიდან ჩამოვხსენი საფარველი, რომელიც აქამდე გეფარა"[1].

შოპენჰაუერი იწონებს კანტის ეთიკას, რადგან მან დაგმო ევდემონიზმი, მაგრამ აკრიტიკებს რიგორიზმსაც. მისი აზრით, არც მოვალეობის პრინციპს, არც ბედნიერების პრინციპს არ შეუძლია ემსახუროს წმინდა ეთიკას. საბოლოოდ მაინც ყველა ტრადიციულ ეთიკურ მოძღვრებათა შორის პრიორიტეტს ანიჭებს კანტის ეთიკას.

მიუხედავად შოპენჰაუერის შენიშვნებისა მისი ეთიკის ზოგიერთ საკითხზე, იგი სრულიადაც არ უგულებელყოფს კანტის მნიშვნელობას და ამბობს: „ჩემს მიერ ეთიკის დაფუძნების ცდა ემყარება კანტის ეთიკას, ნაწილობრივ იმიტომ, რომ მორალში კანტის

1 Шопенгауэр А., Полное собрание сочинений, т. IV, с. 39

უდიდესი რეფორმის გამო, მას ჭეშმარიტი უპირატესობა გააჩნია ადრინდელ ეთიკურ მოძღვრებებთან შედარებით"[1].

თუმცა ზოგ პუნქტში შოპენჰაუერი დიამეტრალურად ეწინააღმდეგება კანტის თვალსაზრისს და ამბობს: „მოქმედებამდე გონიერად და კეთილსინდისიერად – ორი სრულიად განსხვავებული საგანია, მას სწამს, რომ „კანტის წმინდა ზნეობრივი კანონი არის „ულრმესი საფუძველი მთელი მისი სისტემისა"[2], რომ კანტის ეთიკა არის ამოსავალი საფუძველი შოპენჰაუერის ეთიკისა (მიუხედავად იმისა, რომ განსაკუთრებით არ მოსწონს აბსტრაქტული მსჯელობა, რადგან მას ეთიკაში ფორმალურად თვლის, კონკრეტული, ფაქტობრივი მსჯელობის გარეშე შოპენჰაუერი მორიდებით ამბობს: ჭეშმარიტების ინტერესების გამო" მე ზოგ პუნქტში ვუპირისპირდები კანტს, „რადგან დაპირისპირებულნი ერთმანეთს არკვევენ", მაგრამ მიზანი ეთიკის დახვეწაო. იგი არ ეთანხმება კანტს, რომელსაც ეთიკა ნებიდან, ნების მიერ მოქმედებიდან კი არ გამოჰყავს, არამედ გონებიდან. იწონებს, რომ კანტი ზნეობრიობისთვის აუცილებლად თვლის ნების თავისუფლებას. მაგრამ კატეგორიული იმპერატივის კანონებზე ამბობს: „თვალნათელი წინააღმდეგობაა, უნოდო ნებას თავისუფალი, და ამავე დროს გამოუწერო კანონები, რომლითაც „უნდა ისურვოს" ... „უნდა ისურვოს" – ეს ხომ ხის რკინაა „ჩვენ ვერაფერს ვიტყვით „უპირობო მოვალეობის" და ვერც „თავისუფლების კანონის" შესახებ, რადგან ისინი თავისთავში წინააღმდეგობას შეიცავენ: მოვალეობა ყოველთვის მოიცავს პირობას, ხოლო კანონი გამორიცხავს თავისუფლებას". და იქვე შენიშნავს: „ჭეშმარიტების ინტერესების გამო კანტის ეთიკაზე თავდასხმის შემდეგ. სამართლიანობა მოითხოვს, რომ მე აღვნიშნო უდიდესი და უბრწყინვალესი დამსახურება კანტისა ეთიკის სფეროში იგი მდგომარეობს თავისუფლებისა და აუცილებლობის ერთდროულად არსებობის მოძღვრებაში, რომელიც მან პირველმა წარმოგვიდგინა"[3].

კითხვაზე, თუ რა განსაზღვრავს ქცევის მორალურობას, კანტსაც და შოპენჰაუერსაც ერთი პასუხი აქვთ: ქცევა მორალურია,

1 Шопегауэр А., Основы морали, 1896, с. 219.
2 იქვე, გვ. 137.
3Шопегауэр А., Основы морали, 1896,, გვ. 218.)

თუ არაეგოისტურია და უანგარო, თუმცა მორალის საფუძვლად კანტმა მოვალეობის მიხედვით ქცევა აირჩია, ხოლო შოპენჰაუერმა თანაგრძნობის მიხედვით, რადგან იგი მიიჩნია ყველაზე არაეგოისტურ და უანგარო ქცევის მოტივად ყველა სათნოებათა შორის. კანტთან ზნეობრივ კანონი უნდა იყოს საყოველთაო: „მოიქეცი იმ მაქსიმის მიხედვით, რომლითაც ისურვებდი, რომ იგი გამხდარიყო საყოველთაო კანონად". შოპენჰაუერთანაც თანატანჯვაში საყოველთაო თანაგრძნობას ნების იგივეობა და საყოველთაობა განაპირობებს.

შოპენჰაუერის აზრით, სამყაროსა და ყოველგვარ არსებულთა არსი, დეკარტის მსგავსად, აზროვნებიდან (სუბიექტიდან) კი არ უნდა გამოვიყვანოთ, არც არსებობიდან და ყოფიერებიდან, არამედ ნებიდან, რომელიც მოგვცემს ჭეშმარიტი ეთიკის გასაღებასაც და იქნება სუბიტექტ-ობიექტის, იდეალურ-რეალურის გამაერთიანებელი.

შოპენჰაუერი თავის შრომაში „აფორიზმები და მაქსიმები" (II ტ.) სპეციალურ თავს უძღვნის იდეალურისა და რეალურის გაგების ისტორიას, მალალი მეცნიერული კეთილსინდისიერებით აღნიშნავს იმ ფილოსოფოსთა დამსახურებას, რომლებმაც კანტამდე გზა გაკაფეს თვითცნობიერების პრობლემისა და რეალურ-იდეალურის დამოკიდებულების გარკვევისათვის.

კანტის და შოპენჰაუერის იდეალიზმი ტნასცენდენტალურია იმ გაგებით, რომ ყველაფერი, რის შესახებაც ცოდნა გვაქვს, ტრანსცენდენტალური ცნობიერების შიგნითაა და არა ამ ცნობიერებებისაგან დამოუკიდებლად.

შოპენჰაუერსაც, კანტის მსგავსად, რეალურ-იდეალური ესმოდა სხვაგვარად, ვიდრე პლატონსა და შემდეგ ფიხტესა და ჰეგელს. რეალური კანტთან და შოპენჰაუერთან არის ობიექტურად არსებული სუბსტანცია, ხოლო იდეალური-სუბიექტური, შემეცნებიდან გამომდინარე. ამიტომ შოპენჰაუერი ამბობს: „რეალური, ანუ თავისთავადი ნივთი არასოდეს არ შეიძლება მოგვეცეს გარედან, წარმოდგენის გზით, რადგან წარმოადგენის არსი მდგომარეობს მხოლოდ იდეალურის მოცვაში, ამიტომ შემეცნება რეალურისა (რადგან ჩვენც თვითონ რეალურნი ვართ), როგორმე უნდა

ამოვიღოთ ჩვენი საკუთარი არსების შინაგანი წიაღიდან და მართ-ლაც, თთნ-ის ანუ რეალურის შემეცნება ცნობმიერებაში შემოდის აქედან, სახელდობრ როგორც ნება (მსურველობა).

ნთთ კანტისათვის შეუმეცნებადია, გამოუცნობია, ხოლო შოპენჰაუერისათვის ის არის სამყაროს არსი-ნება, რომლიდანაც გამომდინარეობს ყველაფერი, მათ შორის სამყაროს მორალური მნიშვნელობაც.

ჩვენ დავინახეთ შოპენჰაუერის შრომების მაგალითზე, თუ როგორაა შოპენჰაუერთან გადაწყვეტილი ეთიკური პრობლემა, უნდა აღვნიშნოთ, რომ იგი აქაც, როგორც კანტთან, გამომდინარეობს გნოსეოლოგიური და ონტოლოგიური შეხედულებებიდან. ერთი მხრივ, აქაც გვაქვს საერთოადამიანური წარმოდგენა, მეორე მხრივ – ნთთ.

ამრიგად, XIX საუკუნის ფილოსოფიურ აზროვნებაში, რომლის საყრდენი წერტილია კანტის ფილოსოფია, ორი განსხვავებული განშტოებაა: ერთი – უარყოფს თთნ-ს და მიიმართება სუბიექტური იდეალიზმისაკენ (ფიხტე), ობიექტური იდეალიზმისაკენ (შელინგი), აბსოლუტური იდეალიზმისაკენ (ჰეგელი), მეორე ხაზი კი – კანტის ნთთ-ის ძალაში დატოვებით, მიდის მეტაფიზიკური ნებისაკენ. ამ გზით პირველი მესიტყვეა შოპენჰაუერი.

გარდა ზემოთმოხსენებულისა, უნდა აღვნიშნოთ რამდენიმე პუნქტი, რომელთა მიხედვით ჩვენ იმ თვალსაზრისს ვიცავთ, რომ შოპენჰაუერის ეთიკის წყაროა კანტის მოძღვრება:

1. კანტიც და შოპენჰაუერიც უდიდეს ყურადღებას აქცევდნენ მეტაფიზიკის სფეროს. შოპენჰაუერის მსგავსად, კანტი არ ფარავდა, რომ „ბედმა არგუნა შეყვარებული ყოფილიყო მეტაფიზიკაზე".

2. მათთან ცოდნის სფერო და ზნეობის (ეთიკის) სფერო არ ემთხვეოდა ერთმანეთს. არისტოტელეს მსგავსად, მათი აზრითაც, ადამიანი მორალური რომ იყოს, ამისათვის საკმარისი არ არის მეცნიერული ცოდნა.

3. შოპენჰაუერი სავსებით იზიარებდა კანტის აზრს იმის შესახებ, რომ ადამიანი შეიძლება მორწმუნე იყოს ან არ იყოს, მაგრამ თავისი მორალის სიწმინდისათვის აუცილებლად არ უნდა მიაჩნდეს რელიგიის მოშველიება, მისი ქცევა არ უნდა განისაზღვრებოდეს

საიქიოში დასჯის ან დასაჩუქრების მოლოდინით, იგი თავისთავად უნდა იყოს მორალური. ამ თვალსაზრისს იზიარებდა შოპენჰაუერი და ამის მიხედვით აყენებდა კანტის ეთიკას მოწინავედ ადრინდელ მოძღვრებებთან შედარებისას.

4. თუმცა მორალურობის განმსაზღვრელი კანტთან კატეგორიული იმპერატივი და მოვალეობაა, ხოლო შოპენჰაუერთან ნება და მისი მსურველობა, ეს განსაზღვრელობა განსხვავებულია ერთმანეთისაგან, მაგრამ მათ საერთოობა გააჩნიათ შინაგანობის თვალსაზრისით, რაც იმაში მდგომარეობს, რომ კატეგორიული იმპერატივის ბრძანება არ არის გარეგანი იძულება, ის შინაგანია და თავისთავის მიმართ იგულისხმება, ხოლო შოპენჰაუერის – მსურველობაში შინაგანი მოთხოვნილება თავისთავად იგულისხმება. ამრიგად, განსხვავების მიუხედავად საერთოობა შინაგან მოთხოვნილებაში, შინაგან იძულებაშია, რაც ასე ნიშანდობლივი სპეციფიკაა ყოველი ჭეშმარიტი ეთიკისათვის.

5. ორივე ფილოსოფოსთან ეთიკის უპირველესი ობიექტი – ადამიანი ორი დაპირისპირებული მხარის ერთიანობის შემცველია: მოვლენისა და თთნ-ის, აუცილებელობისა და თავისფლების. შოპენჰაუერიც სავესებით იზიარებს კანტის გონითმისაწვდომი და ემპირიული ხასიათების განსხვავებას.

ორივენი ერთ თვალსაზრისზე დგანან: ღმერთის არსებობას არც ასაბუთებენ, არც უარყოფენ. ორივესთან რელიგია უნდა ექვემდებარებოდეს ეთიკას, რომელიც თავისუფლების სამყაროს იკვლევს და ზნეობის შესაძლებლობის აუცილებელ პირობას ადგენს.

6. ორივესთან ადამიანის სიკვდილის შემდეგ რჩება რაღაც აბსოლუტურად თავისუფალი და უკვდავი. ორივე ფილოსოფოსთან სამყაროს ზნეობრივი მისია აკისრია.

7. კანტთანაც და შოპენჰაუერთანაც ადამიანში „რაღაც უკვდავის“ გადარჩენა მინიშნებულია იმით, რომ ადამიანში რჩება თანშობილი ზნეობრივი პრინციპები (შოპენჰაუერის სიტყვით „– ადამიანი არ იბადება ზნეობრივ ნულად“); რომ შოპენჰაუერთან მორალური ბაზისის უპირველესი პირობაა ადამიანში უკვდავი ნების თანდაყოლილად არსებობა.

8. ორივენი აფექტების, ვნებების დასამორჩილებლად მოუწო-

დებენ სინდისს – გონითმისაწვდომ-ინტელიგიბელურის ხმას. შოპენჰაუერის ეთიკის ამ მოწოდებას ეხმაურება კანტის მოწოდება სინდისის დაჯერებისაკენ, რომელიც არის – „ზნეობრივი კანონი ჩემში“.

9. შოპენჰაუერს, კანტის მსგავსად, არ სწამდა რელიგიური რიტუალების, თუმცა ეს სრულიადაც ვერ ადასტურებდა მათ ათეისტობას.

10. ორივესთან ადამიანი გონებით და ზნეობით დაჯილდოებული არსებაა. ადამიანს შეუძლია შემეცნების სიღრმით და სისწორით აირჩიოს სწორი ორიენტაცია, რომ უზრუნველყოს ბედნიერების ღირსეულობა.

11. ორივე ფილოსოფოსთან ბედნიერება – ზნეობრიობა ანტინომიური ცნებებია, ისევე, როგორც მოვლენა და თთნ, როგორც აუცილებლობა და თავისუფლება, ფენომენი და ნოუმენი ადამიანში. ორივესთან ბედნიერებასა და ზნეობრიობას შორის უპირველესი ზნეობრიობაა, ხოლო მასზე დაქვემდებარებული – ბედნიერება, ორივე იზიარებს იმ აზრს (სოკრატე – პლატონის მსგავსად), რომ უმაღლესი სიკეთის მისაღწევად გრძნობადობისაგან განთავისუფლებაა საჭირო. კანტთან ეს მხოლოდ საიქიოში მიიღწევა, შოპენჰაუერთან კი გენია-ესთეტიკოსისაგან ეთიკოსის საშუალებით ნირვანით, მორალური სიხარულით, სინდისის კმაყოფილებით, სიმშვიდის ნეტარებით, რაც ამქვეყნად შესაძლებელია.

12. კანტის აზრს იმის შესახებ, რომ შემეცნების საგანი შემეცნებაში აიგება უცვლელი ტრანსცენდენტალური ცნობიერებით, შეესაბამება შოპენჰაუერის – „სამყარო ჩემი წარმოდგენაა“... ხოლო „სამყარო თავისთავადი არსებობისაცაა ჩვენი ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად“, – კანტის ამ აზრს შეესაბამება შოპენჰაუერის აზრი, რომ სამყარო თავისთავადი არსებობით ნებაა, რაც მოცემულია შოპენჰაუერის წიგნში – „სამყარო, როგორც ნება და წარმოდგენა“.

13. ყველაზე მეტად კანტის ფილოსოფიის ერთგულება შოპენჰაუერის მსოფლმხედველობაში, უწინარეს ყოვლისა, გამოიხატა კანტის ნთთ-ის დატოვებაში, აუცილებლობისა და თავისუფლების

სფეროთა ერთდროულად და დაპირისპირებულად არსებობის დაშვებაში, რაც საფუძვლად დაედო შოპენჰაუერის ეთიკას.

მეტაფიზიკური ნება შეიძლება იყოს მხოლოდ ღმერთი, რომელიც მართავს სამყაროს ზუსტი კანონზომიერებით, ამიტომ სამყაროში ყველაფერი დეტერმინირებულია. მხოლოდ ადამიანს უტოვებს იგი ნებით – „სურვილის ენერგიით" არჩევანის თავისუფლებას, რომ არჩევანი მოახდინოს ინტელიგიბელურსა და რეალურს შორის. კანტთან არჩევანი ხდება არსსა და ჯერარსს შორის, შოპენჰაუერთან ეს არჩევანი არსის – კოსმიური-ენერგიის სურვილის ან არსურვილის ძალით წყდება. ინდივიდუალური ნება არის სურვილის ენერგიას +x ენერგია, ეს უკანასკნელი გამოვლინდება მეტაფიზიკური ნებიდან.

ღმერთის შიშის ან დასაჩუქრების მოლოდინისაგან ქცევის განსაზღვრულობის ასაცილებლად, კანტსაც და შოპენჰაუერსაც არც საჭიროდ მიაჩნია და არც შესაძლებლად მისი არსებობის დასაბუთება, რადგან ეთიკური ადამიანი თავისთავად უნდა იყოს ეთიკური, შიშის ან დაჯილდოვების გარეშე.

კანტის ეთიკა მხოლოდ საწყისი წყაროა შოპენჰაუერის ორიგინალური ეთიკისათვის. მათი გზები იყოფა იქ, სადაც კანტი ეთიკის საფუძვლად კატეგორიულ იმპერატივს ირჩევს თავისი მაქსიმებით, ხოლო შოპენჰაუერი – ნების ანუ „სურვილის კოსმიურ ენერგიიდან" გამომდინარე თანაგრძნობას რომელიც ინდივიდში არის შინაგანი, მსურველი ენერგია, შინაგანი მოთხოვნილების სწრაფვა, თვითობა, მეობა, ყველა ადამიანის გამაერთიანებელი არსი. ე. ი. კანტთან ეთიკა ეყრდნობა ჯერარსს, შოპენჰაუერთან – არსს, მაგრამ თავისუფლება ორივესთან ნთთ-ის სახითაა და მოვლენის გარეთ, ე. ი. თავისუფლება დამოკიდებულია არსზე.

„იმოქმედე ისე..." ასე იწყებს კანტი თავის ცნობილ მაქსიმებს, მაგრამ ეთიკაში მთავარია არა ის, თუ როგორ იმოქმედებ, არამედ ის, თუ რა სურვილი ამოძრავებს ამ ქმედებას. ეთიკური მახვილი („აქცენტი") ეხება არა იმას, თუ „რას აკეთებ", არამედ იმას, თუ რა გსურს ამ მოქმედებით. აქ შოპენჰაუერი ეძებს ეთიკის დაფუძნებისთვის უფრო ძლიერ საყრდენს. ეთიკური პრინციპების საყოველთაოობა და ადამიანის გამოუყენებლობა საშუალებად, ძალაში რჩება შოპენჰაუერთანაც.

მთავარი ისაა, რომ შოპენჰაუერმა ეთიკის გასაღებად წამოაყენა სურვილის ენერგია – ნება და არა ფაქტიური ქმედება რაიმესი, რომელიც მოკლებულია შინაგანი სურვილის სიცხადეს.

ეს მიკვლევა მიგვაჩნია შოპენჰაუერის რაციონალურ აღმოჩენად ეთიკაში, რადგან „სურვილის ენერგია" – თანაგრძნობის აღნიშვნელი კეთილი ნება, რომელიც მან საფუძვლად დაუდო თავის ეთიკას, უზრუნველყოფს სწორედ ეთიკისათვის უმნიშვნელოვანესი კომპონენტების არსებობას. სურვილში გამოიხატება სწორედ ქცევის სიწრფელე, ნებაყოფლობითობა, ნებისყოფა, მოქმედების შინაგანობა (გარეგანუსაზღვრელობა), თავისუფალი არჩევანის შესაძლებლობა, რადგან რაც მსურს, რაც ჩემი შინაგანი სურვილიდან გამომდინარეობს, განსაზღვრავს ჩემს მიმართულებას ბოროტების ან სიკეთისაკენ.

ეთიკის გასაღებად ნების, ანუ „სურვილის ენერგიის" წამოყენება მისგან გამომდინარე საფუძვლით თანაგრძნობა – თანატანჯვით სრულიად ახალი სიტყვაა. ქცევას განსაზღვრავს მისწრაფება-სიმპათია-მიზიდულობა-სურვილი ან მისი უარყოფა.

ნება თავისთავადის ქვეშ ყოველი არსებულის (სამყარო-ნებისა და ინდივიდუალური ნებების) იგივეობრივ-ერთარსის დასაბუთებით, რომელიც არის მსურველობის კოსმიური ენერგია შოპენჰაუერმა დააკავშირა თავისუფლებისა და აუცილებლობის, რეალურისა და იდეალურის, ნთთ-ის და მოვლენის სფეროები ადამიანის უშინაგანეს თვითცნობიერებაში. ეს მიგვაჩნია ახალ სიტყვად შოპენჰაუერის მოძღვრებაში, ხოლო თანაგრძნობა – „თანატანჯვის" წამოყენება მორალის ამოსავალ საფუძვლად წინგადადგმულ ნაბიჯად ეთიკის ისტორიაში.

შოპენჰაუერის ეთიკის ნაკლი მდგომარეობს იმაში, რომ ნთთ-ის, ანუ ნების გამოვლენა კოსმიურ ენერგიად თუმცა მეტად დამაჯერებლადაა გადმოცემული მის მიერ, მაგრამ მაინც ამომწურავად დაუსაბუთებელია, (რისი შემეცნების მხოლოდ ინტუიციური, ნაწილობრივი შესაძლებლობაა). ამ ნაკლს თვითონ შოპენჰაუერიც ხაზს უსვამს. მაგრამ ის ფაქტი, რომ ყველა არსებულს გააჩნია მხოლოდ ერთი, იგივეობრივი, არსი, როგორც თანაგრძნობის საფუძველი, შეიძლება იყოს აგრეთვე ეთიკის მეტაფიზიკური საფუძველიც.

შოპენჰაუერმა იგივეობრივი ერთარსის – ნების საშუალებით თავისუფლებისა და აუცილებლობის სფეროები ერთმანეთს დაუკავშირა. ნებაა მორალის საფუძვლის – თანაგრძნობის ფუძეც.

შოპენჰაუერმა ნების სახით ადამიანში, მის თვითგრძნობაში და თვითშემეცნებაში აღმოაჩნია ორი განსხვავებული სფეროს – თავისუფლებისა და აუცილებლობის, მეტაფიზიკურისა და ფიზიკურის, ნთთ-ისა და მოვლენის, ობიექტისა და სუბიექტის, რეალურისა და იდეალურის, ინტელიგიბელურისა და ემპირიული ხასიათების, ნოუმენისა და ფენომენის, როგორც დაპირისპირებულთა გამაერთიანებელი. ეს სფეროები შოპენჰაუერმა შეაერთა კეთილი ნების ყოველარსებულში ერთარსობის და იგივეობის საფუძველზე.

დასასრულ, უნდა აღინიშნოს, რომ შოპენჰაუერი სამყაროს მოვლენებს (არისტოტელეს მსგავსად) ახალი მეცნიერული თვალთახედვით გვიხსნის, მაგრამ საბოლოოდ (თუმცა დაუსაბუთებლად და მხოლოდ ვარაუდით) ნება-სურვილის (მსურველობის) კოსმიურ ენერგიასაც, ინდივიდუალური ნების მოქმედებასაც და ადამიანის ნებასაც უზენაესი ნების – მეტაფიზიკური ნების (ღმრეთის) არსებობით მიგვანიშნებს, რომელიც სამყაროს წრებრუნვაში ადამიანის ნებას არჩევითობის პრიორიტეტს ანდობს და ანებებს, რითაც განაპიროებებს მის თავისუფლებას დეტერმინირებულ სამყაროშიც კი, ამით ეძლევა შოპენჰაუერს ეთიკის გარეგანუსაზღვრელობის შესაძლებლობა.

შოპენჰაუერის უდიდესი როლი მიუძღვის „კანტის შეფასებაში, მან პირველმა აღიარა კანტის უდიდესი დამსახურება ფილოსოფიის ისტორიაში.

თავისი ეთიკური სისტემის შექმნისას შოპენჰაუერი არ ენდობა რეალურ, პრაქტიკულ ქცევებს. ადამიანთა ქცევის კეთილად გამოვლენა მას არ ეიმედება ეთკის საყრდენ ამოსავალ პრინციპად, რადგან თვალთახედვისათვის კეთილი ქცევის სახით შეიძლება ყველაზე მზაკვრული ბოროტება ინიღბებოდეს. ცივილიზებულ სამყაროში ამის უთვალავი მაგალითი ყოველ ნაბიჯზე შეიძლება შეგვხვდეს, ამიტომ ქცევის თვალნათელ კეთილ მანევრებს ვერ ენდობა შოპენჰაუერი, რომელმაც თავისი პირადი ცხოვრებით

იწვნია სიკეთის სახელით მის თავზე გადახდენილი არაერთი მზაკვრობა. ამიტომ ის ეთიკის საყრდენს ისეთ საფუძველში ეძებს, რომელიც გამორიცხავს ქცევის გარეგან მიმზიდველობაში არაგულწრფელ ჩანაფიქრს. ასეთად კი მას ესახება მხოლოდ თანაგრძნობით, თანატანჯვით ჩადენილი სიკეთე, თავისუფალი ყოველგვარი ეგოიზმისა, ვერაგობისა და ანგარებისაგან, რომელთაც თანატაჯვასთან მეგობრობა ვერ უხერხდებათ. მართლაც, თანატანჯვაა ყველაზე უძლიერესი სათნოება, რომლითაც სამართ-ლიანობა და კაცთმოყვარეობა თავის გზას თავისთავად გაიკვლევს. ამიტომ მიგვაჩნია შოპენჰაუერის ეთიკის საფუძვლად თანაგრძნობა-თანატანჯვა ყველაზე სწორ სათნოებად ყველა დანარჩენს შორის.

თავი IV
ინდივიდის პრობლემა შოპენჰაუერის ფილოსოფიაში

როგორც ვიცით, ჰეგელამდელი და ჰეგელის დროის გაბატონებული ფილოსოფია ააბსოლუტურებდა რა შემმეცნებელ სუბიექტს, ადამიანურ გონს, ამავე დროს, ინდივიდის ნიველირების ხარჯზე, განადიდებდა ზოგადის მნიშვნელობას. ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენდა კანტის მსოფლმხედველობა, რომელთანაც ინდივიდის ადამიანური ღირსება უდიდესი მნიშვნელობისაა.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ შოპენჰაუერი აგრეთვე განსაკუთრებულ ყურადღებას სწორედ ინდივიდის პრობლემას მიაპყრობს. ინდივიდი მასთან სწორედ ფილოსოფიურ- მსოფლმხედველობრივი საყრდენის როლს ასრულებს ჯერ ერთი იმიტომ, რომ ისეთ მოვლენაზე დაკვირვებისათვის, როგორიცაა თაობათა ცვლა, ფილოსოფოსის აზრით, საჭიროა გონება აბსტრაქტული აზროვნებით, „ასეთი უნარით დაჯილდოებულია მხოლოდ ადამიანი. ამან გახადა იგი ბუნების მბრძანებლად და გააფართოვა ინდივიდუმისათვის ცალკეულ პიროვნებად განვითარების საზღვრები"... მასთან სამყაროს საყრდენი წერტილი ადამიანია, იგი სამყაროს არსის ამხსნელია, მიკროსამყაროა, რადგან მათ საერთო არსი გააჩნიათ-ნება, და ეს არსი ყველაზე ინტენსიურად ისახება ინდივიდში. ამიტომაც ნების შემეცნება ხდება სწორედ ადამიანური ინდივიდის საშუალებით. მისით დგინდება სამყაროს შეფასება და მორალური მნიშვნელობა. თავისუფლება – ყველაზე უმნიშვნელოვანესი პრობლემა ეთიკისა, ინდივიდის საშუალებით აქვს გადაწყვეტილი შოპენჰაუერს.

ინდივიდი მოწოდებულია თვითშემეცნებისათვის. მან რომ თავისი იდეა შეიმეცნოს, ჩაწვდეს თავის გვარის ამქვეყნად მოსვლის აზრსა და დანიშნულებას, უნდა დაძლიოს თავისი ინდივიდუალობა და წმინდა სუბიექტად იქცეს. ეს მაშინ მოხდება, თუ ინდივიდი თავს დააღწევს ნების მსახურობას, თუ მსურველი სუბიექტის მაგიერ (რომელშიც გაბატონებულია სიცოცხლე-სიამოვნებისაკენ სწრაფვა, ინდივიდუალური თვითშენახვის ეგოიზმი), თვითშემმეცნებელ სუბიექტად იქცევა, თუ მიხვდება, რომ ყოველი ადამიანი არსით იგივეობრივია ერთმანეთისა. ამგვარ შემეცნებაში ინდივიდი ივიწყებს ნებას, მსურველობას, ეგოისტურ

მოთხოვნილებებს და ეძლევა ისეთ წმინდა ცნობიერებას, რომელიც მხოლოდ უშუალო იდეათა ჭვრეტითაა დაკავებული. ჩვეულებრივი ყოფითი ინდივიდუალობისაგან იგი თავისუფლდება ეთიკურ-ესთეტიკურ-ინტელექტუალური გენიალობით და დგება სიმშვიდის, თავისუფლებისა და ბედნირების გზაზე, რომლის შესახებაც შოპენჰაუერი ამბობს: „ეს არის უმტკივნეულო მდგომარეობა, რომელსაც აქებდა ეპიკურე, როგორც უმაღლეს სათნოებას, როგორც უფლისსნორ მდგომარეობას, რადგან იმ წუთებში ჩვენ თავისუფალნი ვართ ნების სასტიკი დაწოლისაგან, ვზეიმობთ ნების კატორღისაგან თავდახსნას, როცა იქსიონის ბორბალი გაჩერებულია". აქაა ეთიკურ-ესთეტიკურ-ინტელექტუალური ინდივიდის ღირებულებისა და ღირსების უმაღლეს საფეხურზე აყვანის საუკეთესო ნიმუში. მიმართეთ მოვლენათა სამყაროდან, საკმაო საფუძვლის კანონებიდან, ნების მსახურობიდან თავდახსნის გზას ან ესთეტიკურ ჭვრეტაში ამაღლებით-ხელოვნებით, ინტელექტუალური ამაღლებით და თვითშემეცნებით, ან ეთიკური გზით, რომელიც დროებით ხსნის გზებთან (ესთეტიკურ და ინტელექტუალურ შემეცნების – წმინდა სუბიექტად ამაღლების გზებთან ერთად) სამუდამო ხსნის საშუალებასაც იძლევა. მაგრამ არ შეიძლება ინდივიდის ღირებულება და ღირსება განისაზღვროს იმით, რომ იგი „წარმავალია, მოკვდავია". პირიქით, ამ შეწირვაში ხედავს იგი ინდივიდის უმაღლეს მნიშვნელობას, ღირებულებას და ღირსებას, რადგან, შოპენჰაუერის მსოფლმხედველობის მიხედვით, ამ შეწირვით ინდივიდმა, ახალ ფორმაში, სრულყოფილებისაკენ ახალი ნაბიჯი უნდა გადადგას.

„პიროვნების დასასრული ისევე რეალურია, როგორც მისი საწყისი და იგივე აზრით, როგორც ის, რომ ჩვენ არ ვიყავით დაბადებამდე, ჩვენ არ ვიქნებით არც სიკვდილის შემდეგ, მაგრამ ის, რისი საშუალებითაც გახდა შესაძლებელი დაბადება, არ შეიძლება შეწყდეს სიკვდილით"[1] – გვეუბნება ფილოსოფოსი. აქ ჩანს, ინდივიდის დასასრული აბსოლუტური დასასრული არ არის, როგორც დიალექტიკური უარყოფა არ არის აბსოლუტური უარყოფა. „თუმცა სიკვდილთან ერთად კვდება ცნობიერება, ქრება სიცოცხლე, მაგრამ არა სიცოცხლის პრინციპი, რომელიც მასშია შენახული"[2]. შოპენჰაუერს მიაჩნია, რომ ის

1 Шопенгауэр А., Афоризмы и максимы, т. 2, 1892, с. 171.
2 იქვე, გვ. 173.

მაკავშირებელი „რაღაც“ რომელიც საერთოა ძველისა და ახლისათვის, არის ნება, მაგრამ, ვინაიდან „ჩვენი არსებობა ცნობიერების გარეთ ვერ გავა, ამიტომ კითხვას, რა შეიძლება იყოს ნება: ანუ რა არის ის თავისთავად, ჩვენ უპასუხოდ ვტოვებთ“[1]. მაგრამ ფილოსოფოსისათვის ნამდვილად ცხადია, რომ ინდივიდის „სიკვდილი არის ერთი ინდივიდუალობის დაკარგვა და შეძენა მეორისა, ანუ ინდივიდუალობის შეცვლა“[2].

შოპენჰაუერის აზრით, ბუნება უკვდავია იმის გამო, რომ ინდივიდებს, გვარებს, მთლიან სამყაროს საერთო უკვდავი საფუძველი აქვს, ესაა ნება, რომლის საშუალებითაც ინდივიდუმთა სიკვდილი და შემდეგ ახალი ფორმით განახლება ფილოსოფოსს ისევე არასაშიშად მიარჩნია კაცობრიობის მარადიული არსებობისათვის, როგორც ინდივიდთა ჩაძინება, და გარკვეული პერიოდების შემდეგ, გაღვიძება. „როდესაც შემოდგომაზე აკვირდები მწერების პატარა სამყაროს, ხედავ, რომ ზოგი მათგანი იმზადებს საწოლს ზამთრის ძილისათვის, მეორე თავისთავს ახვევს თოჯინასავით, რათა გაზაფხულზე გამოიღვიძოს განახლებული და სრულყოფილი სახით, უმრავლესობა წყნარდება სიკვდილის მკლავებში და საწოლზე ტოვებს მხოლოდ თავის კვერცხს, რომ მისგან განახლდეს, ესაა უდიდესი მოძღვრება ბუნებისა უკვდავების შესახებ, რომ სიკვდილსა და ძილს შორის არ არის რადიკალური განსხვავება, რომ პირველი ისევე ნაკლებ საშიშია არსებობისათვის, როგორც მეორე. ზრუნვა, რომლითაც მწერები ამზადებენ უჯრედს, საწოლს ან ბუდეს, დებენ რა მასში კვერცხს და საჭმელს, რომ გამოჩეკონ ლარვები და შემდეგ მშვიდად მოკვდნენ, სავსებით ემსგავება იმ ზრუნვას, რომლითაც ადამიანი ღამით ამზადებს კაბას და საუზმეს და შემდეგ მშვიდად იძინებს. ეს მსგავსება არ იქნება საფუძვლით იგივე, თუკი თავისი ჭეშმარიტი არსებით შემოდგომით გარდაცვლილი მწერი იგივეობრივი არ იქნება გაზაფხულზე დაბადებულისა...“[3] (გავიხსენოთ აბრეშუმის ჭიის ჭუპრში ჩაძინება და პეპლად გარდაქმნა-გარდაცვლა). „როგორც ღამის დადგომისას ქრება სამყარო, თუმც არ წყვეტს არსებობას არცერთი წუთით, ასევე სიკვდილით ქრებიან ცხოველები და ადამიანები და ასევე

1 Шопенгауэр А., Афоризмы и максимы, т. 2, 1892, с. 173.
2 იქვე, გვ. 173.
3 იქვე, გვ. 135.

უწყვეტად განაგრძნობს არსებობას მათი ჭეშმარიტი არსება"[1]. შოპენჰაუერის აზრით, ინდივიდის განადგურება არ ეხება მის არსს, ამიტომ იგი „არასაზიანოა ისევე, როგორც თამაში", რადგან ისინი „კვლავ მის წიაღში ეცემიან, სადაც ამ დაცემით მიიმალებიან"[2]. შოპენჰაუერი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ადამიანური ინდივიდი არსებით მნიშვნელობას ატარებს ბუნებისათვის. იმ ფაქტმა, რომ ორგანულ არსებათა არსებობა განსაკუთრებით ეფემერულია, რომ ცხოველები და მცენარეები წარმოიქმნებიან რა დღეს, ხვალ კვდებიან, და რომ დაბადება და სიკვდილი სწრაფი მორიგეობით მისდევენ ერთმანეთს, მაშინ, როდესაც არაორგანულს განაღდებული აქვს შეუდარებლად ხანგრძლივი არსებობა, შოპენჰაუერის აზრით, უნდა გვაფიქრებინოს, რომ ეს „სისტემატური წარმოქმნა და გაქრობა არ ეხება საგანთა ძირს, რომ საიდუმლო არსი არამარტო არ იკარგება, არამედ განაგრძობს ყოფნას გაუნადგურებლად"[3]. აქაც, იგი, მატერიის მუდმივობის კანონის მსგავსად, იცავს ნების მუდმივობის იდეას.

შოპენჰაუერის აზრით, ინდივიდი კვდება, ისევე, როგორც ჩადის მზე, მაგრამ ისევ ამოდის. ისევე, როგორც შემოდგომაზე იძინებს მწერი და გაზაფხულზე იღვიძებს. (ისევე, როგორც ზამთრის ძილი არ განსხვავდება ღამის ძილისაგან). ამასთან, ადამიანი დაიძინებს სამი თვით თუ სამიათასი წლით და შემდეგ განახლდება ახალი ფორმით, მისთვის ეს პროცესი შეუმჩნეველი იქნება, რადგან ძველი ტვინი აღარ ექნება, რომელმაც უნდა დაიმახსოვროს, „რომ ეს ის არის".

გარდა ამისა, ფილოსოფოსი ხშირად ხმარობს „არარადან არარაში" გადასვლას, მაგრამ არა იმ აზრით, როგორადაც მიაჩნიათ მკვლევართ. შოპენჰაუერი ამბობს: „იმ აზრით, რომლითაც ადამიანი იბადება არარასაგან, ის, რასაკვირველია, სიკვდილით ბრუნდება არარაში... მაგრამ არარა სრულიადაც არ არის აბსოლუტური, ანუ არაა ისეთი, რომელიც იქნებოდა არარა მის ყოველ აზრში. ამის წვდომას ხელს უწყობს ემპირიული ფაქტის შენიშვნა, რომ „დაბადებულში მეორდება მშობელთა ყველა თვისება. ცხადია, მათ გადატანილ-განცდილი აქვთ სიკვდილი", რომელშიც მათთვის საერთო გადარჩენილია ნების გამოვლენის სახით. იგი ამას თანდაყოლილ ხასიათს უწოდებს, იგივე შინაარსით, რასაც

1 Шопенгауэр А., Афоризмы и максимы, т. 2, 1892, с. 135.
2 იქვე, გვ. 128.
3 იქვე, გვ. 138.

მოგვიანებით გენეტიკა – გენს. შოპენჰაუერი დაბადება-სიკვდილში და ისევ დაბადებაში სწორედ ამ გენ-ნების გადარჩენაზე მიგვანიშნებს.

„არარადან" არარას იგი უწოდებს იმ პერიოდს, როდესაც სიკვდილის შემდგომ ის ჯერ არაფერი არარის და დაბადებამდეც ვიდრე ახალ ფორმაში დაიბადება.

თუ დავუშვებდით, რომ შეუდარებლად დიდხანს არსებული თვალი კაცობრიობის გვარს მთელი მისი არსებობის მანძილზე განჭვრეტდა, მაშინ დაუსრულებელი ცვლა დაბადების და სიკვდილისა მას წარმოუდგებოდა უწყვეტ ვიბრაციად და ამიტომაც თავში არ მოვიდოდა, დაენახა მასში არარადან არარაში ახალ-ახალი მოძრაობა ყოფიერებისა.

როგორც ჩვენს ხედვას სწრაფად მბრუნავი ნაპერწკალი მოეჩვენება უწყვეტ რგოლად... ასევე ამ თვალისათვის სახეობა, გვარი, ჯიში წარმოდგებოდა არსებითად და თავისთავად, ხოლო სიკვდილ-სიცოცხლე – კი – ვიბრაციად.

ამით შოპენჰაუერს იმის თქმა სურს, რომ მითუმეტეს, ჩვეულებრივ მოკვდავის თვალისათვის სიკვდილ-სიცოცხლე არარადან არარაში გადასვლა იქნება და სხვა არაფერი, სინამდვილეში კი ის არსის შემნახველია. „შევეკითხოთ ჩვენს თავს კეთილსინდისიერად, გვეუბნება ფილოსოფოსი, ნუთუ მერცხალი ახლანდელი გაზაფხულისა სრულიად სხვაა, ვიდრე პირველი გაზაფხულის მერცხალი? და ნუთუ ორივე გამოვლენას შორის შექმნის საოცრება მილიონჯერ არარასაგან განმეორდა და ამდენჯერვე აბსოლუტურ განადგურებას მიეცა?"[1].

თუ კარგად ჩავუკვირდებით, ცხადი გახდება, რომ აქ მიკვლეულია უარყოფის უარყოფის კანონის ერთ-ერთი ყველაზე არსებითი ნიშანთაგანი, როგორც აუცილებელი კავშირი ახალსა და ძველს შორის – მემკვიდრეობითობა.

მაშასადამე, ინდივიდი კვდება, მაგრამ გვარი თავისი გენით განაგრძობს არსებობას ნების სახით.

შოპენჰაუერი ჯერ კიდევ XIX საუკუნის (1814 წელს წერს, ხოლო 1819 წელს აქვეყნებს თავის ძირითად შრომას „სამყარო, როგორც ნება და წარმოდგენას") პირველ ნახევარში გვაძლევს ჩამოყალიბებულ მეცნიერულ მსჯელობას გენის შინაარსით, მემკვიდრეობითობის სახეობათა მუდმივობის, ძველისა და ახალს შორის კავშირის, ძველის

1 Шопенгауэр А., Афоризмы и максимы, т. 2, 1892, с. 143.

კვდომისა (უარყოფისა) და ახლის (უარყოფის უარყოფის) ერთი ფორმიდან მეორეში გადასვლას, დაპირისპირებულთა ბრძოლა ერთიანობის შესახებ მეცნიერულ ანალიზს, როცა ამ საკითხზე ჯერ კიდევ არაფერი თქმულა მემკვიდრეობითობაზე – გენზე და მასზე ლაპარაკია მხოლოდ 1866 წელს (როცა შოპენჰაუერის შრომები ძალზე გახმაურებულ აღიარებას პოულობს), ჩეხი მეცნიერის მენდელის მიერ (შრომაში „ცდები მეცნიერულ ჰიბრიდებზე"), რითაც საფუძველი ეყრება გენეტიკის მეცნიერებას.

ჩვენ ვერ დავიჩემებთ, რომ მენდელი უსათუოდ შოპენჰაუერს ეყრდნობა, მაგრამ მემკვიდრეობითობის მიკვლევაში რომ პირველობა შოპენჰაუერს ეკუთვნის, ეს უდავოა. იმ სიტყვებში, რომ პირველი და ახლანდელი მერცხალი სრულიად სხვა არ არის, რომ მათ აქვთ საერთო მემკვიდრეობითობა, რომ იმ პირველი მერცხლის სიკვდილისას გვარში ინახება საერთო არსებითობა, სწორედ ამიტომ არ შეიძლება ვთქვათ, რომ ძველი (სიკვდილის შემდეგ), აბსოლუტურ არარაში გადავიდა, რომ პირველი მერცხალი აბსოლუტურად მოისპო სიკვდილის შემდეგ. შეუძლებელია – გვეუბნება ფილოსოფოსი. მემილიონე მერცხლის არსებობა დღეს უკვე არის ფაქტი რაღაც საერთოს მუდმივობისაც, მემკვიდრეობით ამ საერთოს გადაცემისა (რაც საფუძველია ახლის განვითარების) და იმისაც, რომ ეს პროცესი არის არა „აბსოლუტური განადგურება" ანუ „აბსოლუტური არარა", არამედ უარყოფის უარყოფის გამოვლენა.

შოპენჰაუერის აზრით, სიკვდილის შემდეგ, აბსოლუტურად იგივეობრივი ინდივიდი არ მეორდება, მაგრამ ახალი ფორმით განახლდება საფუძვლით და არსით იგივეობრივი ინდივიდი. „მე რომ ვთქვა ახლა, ეს კატა, ეზოში რომ თამაშობს, იგივე კატაა (იგივე ხტომით და ეშმაკობით), რაც იყო 300 წლის წინ მეთქი, გიჟად ჩამთვლიან. მაგრამ მე ვიცი, რომ უფრო მეტი სიგიჟეა ვიფიქროთ, თითქოს ახლანდელი კატა საფუძვლით და არსით სხვაა, ვიდრე 300 წლის წინანდელი. საჭიროა მხოლოდ კეთილსინდისიერად და სერიოზულად ჩავუღრმავდეთ ხერხემლიან ცხოველებს და ნათლად მიეხვდეთ, რომ ისეთი არსება მთლიანობაში, როგორიც ახლაა, არ შეიძლება გადავიდეს არარაში. და ამავე დროს, მეორე მხრივ, ვიცით, რომ იგი წარმავალია. ეს ემყარება იმას, რომ ამ ცხოველში მისი იდეის (გვარის მუდმივობა

აღიბეჭდება ინდივიდუმში"[1]. ეს გვარის მუდმივობა, გადასული თაობებში, არის სწორედ მემკვიდრეობითობა – გენი (ბერძნ. genos – გვარი).

ამავე დროს, ინდივიდუმების დაუსრულებელ ცვლაში ხელშეუხებელი, უცვლელი რჩება არსებულთა ყოველი იდეა ანუ გვარი. ნება ფუძნდება სწორედ იდეაში, გვარში, ამიტომაც ბუნება ზრუნავს გვარის არსების შენახვისათვის. გვარის არსებად კი შოპენჰაუერს მიაჩნია ნება, რომელიც გენით გადაიცემა. „ამიტომაც, ცხადია, პლატონიც რეალურ ყოფიერებას მიაწერს მხოლოდ იდეებს, გვარს, ხოლო ინდივიდუმებს – დაუსრულებელ წარმოშობასა და მოსპობას"[2] – გვეუბნება იგი. შოპენჰაუერს მიაჩნია, რომ სიკვდილი არის დროებითი დასასრული დროებითი მოვლენისა. „დრო არის უბრალო სახე მარადიულობისა, როგორც ჩვენი დროებითი არსებობა არის უბრალო სახე ჩვენი თავისთავადი არსებობისა"[3]. ჩვენი თავისთავადი არსებობა კი (ჩვენი გვარში არსებობა) ეკუთვნის მარადიულობას, რადგან დრო არის ფორმა ჩვენი შემეცნებისა, რომლის საშუალებითაც მცდარად შევიმეცნებთ ჩვენსა თუ სხვა საგანთა არსს, როგორც წარმავალს, წარმოშობადს და მოსპობადს.

მხოლოდ ადამიანურ ინდივიდს აქვს მომადლებული, იყოს სამყაროს ეთიკური, ინტელექტუალური და ესთეტიკური რჩეული, მხოლოდ მას ძალუძს საგნებთან მიმართებისას თავი დააღწიოს ყოველდღიურ მერკანტილურ დამოკიდებულებას, თავი დააღწიოს ნების მსახურობას, საკმაო საფუძვლის კანონებს, დაივიწყოს დრო, სივრცე, მიზეზობრიობა და ამაღლდეს წმინდა სუბიექტის ეთიკურ-ესთეტიკურ გენიალობამდე.

მხოლოდ ადამიანური ინდივიდის გენიას შეუძლია ფლობდეს „წმინდა ჭვრეტის" უნარს, შეუძლია ინტელექტუალური ენერგიის სიჭარბით დაძლიოს ძველი ნების ენერგიის ძალა, განთავისუფლდეს მისი ბატონობისაგან, ეძებოს თავის ინტერესების დაკმაყოფილება არა ერთეულ საგანთა სიმრავლეში, არამედ იდეათა სამყაროში, ძალუძდეს წმინდა სუბიექტის დონემდე ამაღლება და მტანჯველი სამყაროს გადაქცევა ესთეტიკური ტკბობის სამყაროდ, რათა განიცადოს იგი არამარტო როგორც „ხორცშესხმული ნება, არამედ როგორც ხორცშესხმული მუსიკა". ამრიგად, ეთიკურ-ესთეტიკური ხსნის

1 Шопенгауэр А., Афоризмы и максимы, т. 2, 1892, с. 45.
2 იქვე, გვ. 148.
3 იქვე, გვ. 327.

შემოქმედი მხოლოდ ადამიანური ინდივიდია. ინდივიდი მოკვდვია, მაგრამ შოპენჰაუერისათვის მოკვდავი ინდივიდაულობა უფრო ღირებულია (რადგან მასთან იგულისხმება ინტელექტი), ვიდრე უკვდავი ნება (ბოროტ-კეთილის ერთიანობით). შოპენჰაუერს შეგნებული აქვს ინდივიდის უდიდესი მნიშვნელობა. მის გარეშე ეთიკის შესაძლებლობა ხომ წარმოუდგენელია. ასევე სამყაროს აზრი და მისი უზოგადესი კანონების არსებობაც (ერთი თვისობრიობიდან მეორეში გადასვლა, დაპირისპირებულთა ბრძოლა, უარყოფის უარყოფა). ცხადია, მასთან ადამიანის მოკვდაობა ხელს არ უშლის ადამიანის უდიდესი ღირსების და ღირებულების აღიარებას. ადამიანური ინდივიდი მასთან ყოველი ჭეშმარიტი ეთიკის, ყოველი სამყაროს და ყოველი არსებობის უმნიშვნელოვანესი საყრდენი ღერძია.

ამრიგად, თუ ჰეგელთან ადამიანი აბსოლუტური გონის – დემიურგის იარაღია მხოლოდ, შოპენჰაუერის ფილოსოფიური სისტემის ცენტრი, კანტის მსგავსად, ადამიანის შესახებ მოძღვრებაა. ეს ინტერესი თანდათან ღრმავდება ჰეგელისშემდგომ ფილოსოფიაში, სადაც ადამიანისა და ინდივიდის საკითხი უმნიშვნელოვანესი პრობლემატური საკითხია, რითაც მან საფუძველი ჩაუყარა ადამიანის არსებობის ფილოსოფიას (ექსისტენციალიზმს). ამ საკითხში ერთ-ერთი პირველთაგანი იყო კანტის თაყვანისმცემელი შოპენჰაუერი, რომელიც გამოდიოდა რა კანტის ფილოსოფიიდან, თავის დიდ მასწავლებელს არ შორდებოდა ადამიანის ცხოვრებით და რაობით დაინტერესების საკითხშიც. შოპენჰაუერისათვისაც, როგორც კანტისათვის, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ადამიანური ინდივიდის საკითხი. მას არ ავიწყდებოდა სოკრატეს მითითება, რომ სამყაროს წვდომამდე საჭიროა დებულება: „შეიმეცნე თავი შენი“, არც – პროტაგორას სიტყვები, რომ „ადამიანი არის საზომი ყოველი საგნისა“ და დეკარტის დებულებას ადამიანის არსის შესახებ „ვაზროვნებ, მაშასადამე ვარსებობ“, ცვლის დებულებით: „მნებავს, მაშასადამე ვარსებობ“.

„მნებავს, მაშასადამე ვარსებობ“ და „მნებავს ის, რასაც წარმოვადგენ“ არის შოპენჰაუერის ახალი დებულება, რომლის მიხედვითაც ანთროპოლოგიიდან, მიკრო სამყაროს შეცნობიდან, ინდივიდუალური ადამიანის მნებელობიდან უნდა ჩავწვდეთ მაკროსამყაროს არსს –

ყოველივე არსებულის არსს – ნებას და ამავე დროს, ეთიკის უნივერსალურ პრინციპს.

რაციონალიზმის ეპოქაში, ზოგადის ბატონობისა და ინდივიდის იგნორირების ეპოქაში, შოპენჰაუერი იძულებულია სიმართლეს თვალი გაუსწოროს – ინდივიდის სასრულობა აღიაროს, მაგრამ ადამიანის სიცოცხლის აზრი და დანიშნულება თავისუფლების არსებობის რწმენით და სამყაროს მარადიულობისათვის საკუთარი ინდივიდუალობის მსხვერპლშეწირვის მისიით გაამართლოს, რომლის გარეშეც ვერც სამყაროს მარადიულობა იქნება, ვერც მისი დაბლიდან მაღლისაკენ, მარტივიდან სრულყოფილებისაკენ უსასრულო სვლა. ამ მისიაში შოპენჰაუერის მიერ ინდივიდის ჩვენება არ მიგვაჩნია უმნიშვნელოდ.

თავი V
ესთეტიკურისა და ბედნიერების გაგება შოპენჰაუერის მოძღვრებაში

შოპენჰაუერი ცნობილია როგორც პესიმისტი ფილოსოფოსი, მაგრამ იგი სრულიადაც არ გამორიცხავს ამქვეყნად ბედნიერების (თუმცა არასრულის) არსებობას.

შოპენჰაუერის აზრით, რადგან „ჩვენი სამყარო ყველაზე უარესია ყველა სამყაროთა შორის" მაშასადამე ის შორსაა სრულყოფილებისაგან, მაგრამ სამყარო ესთეტიკურია, რადგან თავისთავში ატარებს მწუხარების მშვენიერებას, იდეალებისაკენ სწრაფვის მშვენიერებას, ტრაგიკული გენიოსის ცხოვრების მშვენიერებს და ტრაგი-კომიკურ აწმყოსაც.

სამყარო შოპენჰაუერთან არის „ხორცშესხმული მუსიკა" რომელიც ხან მინორულია, ხან მაჟორული, მაგრამ ყოველთვის ემოციურია მუსიკის მსგავსად და ამდენად ესთეტიკურობას თავისთავში ატარებს, როგორც ყოველი ჟანრის დიდებული მუსიკა. მშვენიერია ყოველი, რაც სრულყოფილებისკენ მიისწრაფის ფორმათა მრავალფეროვანი გამოხატულებით. სრულყოფილება კი შეიძლება იყოს სხეულებრივიც, გონითიც, წარმავალიც და მარადიულიც.

ინდივიდუალურ ადამიანში ესთეტიკურს ქმნის ის, თუ როგორია მისი მსურველობა, ეთიკურთან ერთად მშვენიერია თუ არა ის შემოქმედი აზრი, რომლისკენაც ადამიანი მიისწრაფის. ესთეტიკური გენია მასთან ამაღლებული პიროვნებაა, რომელიც იწვევს პატივისცემას, მოკრძალებას, მშვენიერი კი – სიყვარულს. ამაღლებული მძაფრ ემოციას იწვევს, მშვენიერი თვალს იტაცებს. გენიალური ადამიანი ამაღლებულია, იგი ეხება ამაღლებულ გონებას, გონის სიდიადეს, მშვენიერი კი გრძნობადია. კანტის მსგავსად მასთან ამაღლებული ადამიანი მელანქოლიურია, ხოლო მშვენიერში ჭარბობს მხიარულება.

ესთეტიკურ-ეთიკურ-ინტელექტუალურ გენიას უდიდესი მნიშვნელობა აქვს შოპენჰაუერის მოძღვრებაში. ამ გენიათა ნიჭიერებით დგება ადამიანი თავისუფლების გზაზე, სიმშვიდის, ნეტარების და ბედნიერების გზაზე, რომლის შესახებაც შოპენჰაუერი ამბობს: „ეს არის უმტკივნეულო მდგომარეობა, რომელსაც აქებდა ეპიკურე, როგორც უმაღლეს სათნოებას, როგორც უფლისსწორ მდგომარეობას, რადგან იმ

წუთში ჩვენ თავისუფალი ვართ ნების სასტიკი დაწოლისაგან, ვზეიმობთ ნების კატორღისაგან თავდახსნას, როცა იქსიონის ბორბალი გაჩერებულია", როცა ესთეტიკური გენია ცალკეულ კონკრეტულ საგნებსა და ადამიანში ჭვრეტს ზოგადს და გვაგრძნობინებს მის მშვენიერებას, ამაღლებულობას, სიდიადეს.

ბედნიერების საკითხის განხილვისას შოპენჰაუერისთვის მთავარია ადამიანის შიგა არსი ანუ ის, რაც პიროვნების შინა-არსიდან გამომდინარეობს და რადგან შინაარსი გული, გრძნობა და გონებაა, ხოლო შინაგანი ხმა სინდისის სახით ღვთაებრივის და ინტელიგიბელურის ზნეობრივის ხმაა ჩემში, რომელიც მზის სიკეთესავით უანგაროა, ამიტომ ეთიკური გენიის ბედნიერებისათვის მთავარია მშვიდი სინდისით ნეტარება, სიმშვიდეში ნეტარება. რადგან სინდისი არის გულის ხმა და გულის მეტყველება ჩვენს არსებაში, რომელიც ემთხვევა ღმერთის ხმას ჩემში, რომელიც მკარნახობს ზნეობრიობას, ამიტომ ბედნიერებისათვის მთავარი არის სინდისის სიმშვიდით ნეტარება. მაგრამ ხომ არიან ადამიანები, რომელთაც სინდისი არ გააჩნიათ ანუ მათგანვეა ჩახშობილი? ამ შემთხვევაში შოპენჰაუერს სჯერა, რომ ოდესმე ის მიიღებს შესაბამის პასუხს, რადგან სამყაროში არაფერი არ იკარგება.

გენია ესთეტიკაში ხელოვანის სახით ერთეულში ჭვრეტს ზოგადს – ნების მარადიულ ტიპებს (პლატონის იდეების მსგავსს). ესთეტიკური გენია ბედნიერებას პოვებს შემოქმედებით სიხარულში. მისი შემოქმედებით ტკბობა – ნეტარება არის ის საუკეთესო პირობა ადამიანური ბედნიერებისათვის, რაც მიუწვდომელია ჩვეულებრივი „სტანდარტული ადამიანებისათვის", რომლებიც მხოლოდ ყოფითი ეგოისტური მისწრაფებების დაკმაყოფილებით, შურით, ბოროტებით გატაცებულნი ბრაზისაგან მხოლოდ ტანჯვაში არიან.

ბედნიერების საკითხთან დაკავშირებით შოპენჰაუერი ადამიანთა ორ პლეადას განასხვავებს: (რომელიც ემყარება მათი არსის – ნების სხვადასხვაობას), ერთნი არიან სხვათაგან გამორჩეული ინდივიდუალობის მატარებელი ადამიანები, რომლებიც ეთიკურ-ესთეტიკურ-ინტელექტუალური სრულყოფილებისაკენ ისწრაფვიან და გააჩნიათ ამ სრულყოფილებისაკენ მისწრაფებისათვის თანდაყოლილი უნარები, ხოლო მეორე პლეადას იგი აკუთვნებს იმ „სტანდარტულ" ადამიანებს, რომელთაც თანდაყოლილად ასეთი უნარები არ გააჩნიათ

და არც – სრულყოფილებისაკენ სწრაფვა, მაგრამ სუბიექტურად თავს ბედნიერად გრძნობენ. პირველნი ჭეშმარიტ ბედნიერებას ესწრაფვიან, მეორენი კი – მატყუარა ილუზიას.

შოპენჰაუერის აზრით, ყოველივე, რასაც ემყარება ადამიანთა ბედის განსხვავება უკავშირდება 3 ძირითად კატეგორიას:

1. რა არის ადამიანი ანუ პიროვნება თავისთავად, მისი ყველაზე ფართო გაგებით (აქ შედის გონება და მისი განვითარების ხარისხები, ზნეობრიობა, ძალა, სილამაზე და ა. შ.).

2. რა გააჩნია ადამიანს ანუ რას ფლობს ნივთიერად, მატერიალურად.

3. რას წარმოადგენს ადამიანი სხვათა თვალში, როგორია სხვათა აზრი მასზე.

პირველ პუნქტში გამოხატულია ადამიანი ბუნებრივი მონაცემებით. ე. ი. როგორია მისი თანდაყოლილი უნარები, ინდივიდუალური არსი. შოპენჰაუერის აზრით, სწორედ ამ პუნქტის მიხედვით შეიძლება დასკვნის გამოტანა ადამიანის ბედნიერება-უბედურების შესახებ, რადგან ეს – პირველი უფრო მთავარია, უფრო ფიგურირებს ბედნიერების შექმნაში, ვიდრე ორი დანარჩენი, რომლებიც იქმნებიან არა საკუთრივ ადამიანის, არამედ სხვათა მიერ.

ამრიგად, ბედნიერებისათვის უპირველესი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რას წარმოადგენს ადამიანი თავისი არსით, შინაგანი გონისმიერი თუ გულისმიერი ღირსებებით. „ის რაც ჩვენს შიგნითაა, ბევრად მოქმედებს ჩვენს ბედნიერებაზე, ვიდრე ის, რაც გარემომცველი სამყაროდან გამომდინარეობს“[1]. მართლაც, აღნიშნავს შოპენჰაუერი, პიროვნების კეთილდღეობისათვის ყველაზე არსებითი ისაა, რაც მასშია შინაგანად და რაც მასში ხდება. მხოლოდ ამითაა განპირობებული მისი დაკმაყოფილების და დაუკმაყოფილებლობის გრძნობა, რაც მისი შეგრძნების, სურვილის თუ აზროვნების შედეგს წარმოადგენს. ადამიანებს სხვადასხვა – ინდივიდუალობა გააჩნიათ, ამიტომაა, რომ ერთიდაიგივე მოვლენა სხვადასხვა ადამიანზე სხვადასხვაგვარად მოქმედებს. მისი აზრით, ბედნიერების საკითხში მთავარი რომ იყოს გარეგანი ფაქტორი, მაშინ ერთიდაიგივე გარემოში ადამიანებს სხვადასხვა ბედი არ ექნებოდათ. ადამიანის ინდივიდაულობა – გამომდინარე არსიდან –

1 Шопенгауэр А., Афоризмы житейской мудрости, 1914, с. 8.

ნებიდან, წინასწარ განსაზღვრავს მისთვის შესაძლებელ ბედნიერებას. „მისი თანდაყოლილი სულიერი ძალები განსაზღვრავენ სიამოვნების უნარსაც და მათი წვდომის შესაძლებლობასაც. თანდაყოლილ უნართა მიხედვით იქმნება სუბიექტური ბედნიერების კომპონენტებიც: გრძნობადი სიამოვნებანიც, წყნარი და მშვიდი ცხოვრებაც, საშინელი საზოგადოებაც და ჯულგარული გართობანიც"[1], ხოლო „ყველაზე დიდი სიამოვნება სულიერი სიამოვნებაა"[2], რომელიც მიიღწევა გონების ძალით. „ჭკუა, შინაარსიანი სურვილით სწრაფვა და ამასთან წმინდა სინდისი, აი, კეთილდღეობა, რომლის შეცვლა არ შეუძლია ჩინებს და განძეულობას. ის, რასაც ადამიანი წარმოადგენს შინაგანად, თავისთავად, რაც მას თან ახლავს თვით მარტოობაშიც და რაც არავისგან არ შეიძლება იყოს ნაჩუქარი ან წართმეული – ესაა ის, რასაც იგი ნამდვილად წარმოადგენს... „ჭკვიანი ადამიანი მარტოობაშიც იპოვის შესანიშნავ გასართობს თავის ფიქრებში და წარმოდგენაში..."[3] რაც უფრო გონებით ძლიერია და გულით კეთილი ადამიანი, მით უფრო მეტ საფუძველს იქმნის თავისი ბედნიერებისათვის. „ტანჯვის სამყაროში" – ამქვეყნიურ ცხოვრებაში ბედნიერებას შეიძლება მივაღწიოთ მხოლოდ სულიერი სიმშვიდე-ნეტარების და თვითკმაყოფილების სახით, რასაც ელირსება მხოლოდ ღირსეული, კეთილი ნების ადამიანი, რადგან ფილოსოფოსის აზრით, ბედნიერება უწინარეს ყოვლისა გონისმიერი და გულისმიერი ღირსებებით თვითკმაყოფილებაში მდგომარეობს. ბრაზიანი, შურიანი, ბოროტი ადამიანი ვერ იქნება კმაყოფილი თავისი თავით, რადგან მატერიალური სიმდიდრე ვერ დაფარავს სულიერ სიღატაკეს, რომლის დაფარვა მას სხვათა აზრის შექმნისას სჭირდება.

შოპენჰაუერის შრომები, განსაკუთრებით „აფორიზმები ცხოვრებისეული სიბრძნიდან" უდიდეს მასალას გვაწვდის იმის შესახებ, რომ ზნეობრიობისა და ბედნიერების საფუძვლად წარმოგვიდგინოს ადამიანის შინაგანი არსი, შინაგანი თანდაყოლილი სამყარო. შოპენჰაუერი თავისი შრომებით გვევლინება ისეთ ფილოსოფოსად, რომელიც სულიერ და გონებრივ შინაარსს ყოველგვარ ღირსებებზე მაღლა აყენებს. მისი ეთიკური მოძღვრება ადამიანებს მოუწოდებს ზნეობრივ-სულიერი გამდიდრებისაკენ, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

1 იქვე, Шопенгауэр А., Афоризмы житейской мудрости, 1914, გვ. 10.
2 იქვე, გვ. 12.
3 იქვე, გვ. 23.

შოპენჰაუერის აზრით, ადამიანის შინაგანი რაობის ღირებულება აბსოლუტურია, მაშინ, როდესაც, სხვა დანარჩენ კეთილდღეობათა ფლობა ნივთიერად და რას წარმოვადგენთ სხვათა თვალში – შეფარდებითია. მისი აზრით, „ადამიანთაგან ბედნიერი იქნება ის, ვისაც დიდი შინაგანი სიმდიდრე გააჩნია[1]. მაღალი, მდიდარი სულის ინდივიდუალობა განსაკუთრებით კი დიდი გონება, ნიშნავს უბედნიერეს ხვედრს დედამიწაზე, რაც არ უნდა ცოტა ბრწყინვალება ჰქონდეს მას"[2].

ბედნიერების წყარო შოპენჰაუერთან საწყისს ილებს თვით ადამიანში, მისი ნების თავისუფლებაში და თანდაყოლილ უნართა თავისფალ განვითარებაში. ხშირად იგი ახსენებს ეპიკურეს, სოკრატეს, სენეკას და არისტოტელეს. ერთგან იგი იმოწმებს არისტოტელეს, რომ „ადამიანის ბედნიერება გამოიხატება ადამიანში არსებული შესაძლებლობების თავისუფალ გამოყენებაში" და ბედნიერება – მდგომარეობს იმაში, რომ ავარჯიშო შენი მიდრეკილებანი, უნარები შესაფერისი საქმით, რომელიც მიგაღწევინებს გარკვეულ შედეგს.

ამრიგად, შოპენჰაუერის აზრით, ადამიანის ბედნიერებისათვის მთავარი პირობაა შინაგანი – სულიერ-გონებრივი სიმდიდრის შექმნა, ბუნებით თანდაყოლილ უნართა თავისუფალი გამოყენებით, მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ იგი ყურადღების გარეშე ტოვებდეს ბედნიერების ერთ-ერთ აუცილებელ საფუძველს – მატერიალურ პირობებს, რომლის უქონლობა, სხვა რომ არ იყოს, დაბრკოლებებს შეუქმნიდა შინაგანი უნარების განვითარებას, მაგრამ არ ემხრობა მატერიალური პირობებით ზომაგადასულ უზრუნველყოფას, რომელიც მობეზრებას და მოწყენას ქმნის.

სოკრატეს მსგავსად, შოპენჰაუერს მიაჩნია, რომ ვიდრე კოსმოსს შევისწავლიდეთ, საჭიროა შევისწავლოთ ადამიანი, რადგან არსებობენ ადამიანები, რომელთა „სიმძიმის ცენტრი მათ გარეშეა და არსებობენ ადამიანები, რომელთა „სიმძიმის ცენტრი მხოლოდ მათშივეა". პირველთ ეკუთვნიან ისინი, რომელთაც შიგნით, შინაარსში არ გააჩნიათ სულიერი ღირებულებანი და ამ სიცარიელის შევსებას გარედან ცდილობენ. ასეთთა სურვილები და კაპრიზები განუწყვეტლივ იცვლება. მხოლოდ გენია ისწრაფვის, ჩასწვდეს საგანთა არსებას და თავის

1 Шопенгауэр А., Афоризмы житейской мудрости, 1914, с. 23.
2 იქვე, გვ. 30-31.

ინდივიდუალურ უნარია შესაბამისად ცდილობს მათ სიღრმეში ცოდნის გადმოცემას ხელოვნების, პოეზიის ან ფილოსოფიის სფეროში. მხოლოდ ასეთი ადამიანისათვის თავისი აზრებით და შემოქმედებით საკუთარ თავში საქმიანობაა აუცილებელი, განმარტოება – სასიამოვნო, თავისუფალი დრო – უმაღლესი სიკეთე, სხვა ყველაფერი ზედმეტი ტვირთია მისთვის. ასეთ ადამიანზე შეიძლება ითქვას, რომ „მისი სიმძიმის ცენტრი მხოლოდ მასშივეა.

შოპენჰაუერი, ადამიანის ბედნიერების საკითხის განხილვისას, სოკრატეს და არისტოტელეს მსგავსად, უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს თავისუფალ დროს.

ამრიგად, შოპენჰაუერს ბედნიერაბად მიაჩნია სულისა და გონების უნარით დაჯილდოებულ ადამიანთა ბედნიერება, რომლებიც დაუბრკოლებლად, ნების თავისუფლებით ავარჯიშებენ და ავითარებენ ამ უნარს. იგი ამბობს, რომ ვინც დაბადებულია ტალანტით და ამ ტალანტისათვის, იგი მასში პოვებს თავის ბედნიერებას, მაგრამ შოპენჰაუერი სინანულს გამოთქვამს იმის გამო, რომ ბუნება არ იძლევა თავისუფალ დროს – მოცალეობას. ადამიანისათვის ბუნებას დაუდგენია, რომ მთელი ცხოვრება გაატაროს არსებობისა და ოჯახისათვის საჭირო საგანთა შეძენაში, რადგან იგი შვილია სიდუხჭირისა და არა „თავისუფალი გონებისა". ამრიგად, თავისუფალი დროის თვალსაზრისით შოპენჰაუერი ადამიანებს ორ კატეგორიად ყოფს. ადამიანებად, რომელთათვისაც თავისუფალი დრო ბედნიმერებაა და ადამიანებად, რომელთათვისაც იგი ტანჯვაა, რადგან „ძნელია მოიპოვო სიმშვიდე უსაქმურობაში".

ადამიანებიდან ზოგი ეძებს სუბიექტურ ბედნიერებას, ზოგი – ობიექტურს – ვისი ნიჭი და გონებაც ძლევს ცხოვრებისეულ ტკივილებს, ტანჯვას და ბრძნული სიმშვიდით მიჰყვება თავის მოწოდების გზას.

შოპენჰაუერი სავსებით რეალურ პოზიციას იცავს, რომ სულიერის გარდა, ბედნიერებას სჭირდება მატერიალური მხარეც, მაგრამ შოპენჰაუერს არ ავიწყდება იმის ხაზგასმაც, რომ სულიერ-გონებრივი სიმდიდრით არსებული ბედნიერება უფრო მაღლა დგას სხეულებრივ-მატერიალური კეთილდღეობით შექმნილ ბედნიერებაზე.

ამასთანავე, გამოჩენილი გონება აშორებს მის პატრონს სხვა ადამიანებისაგან. მათი ცხოვრებისა და ინტერესებისაგან, ვინაიდან, რაც

უფრო მეტს ფლობს ადამიანი შინაგანად, მით უფრო ცოტას მიცემა შეუძლიათ მისთვის სხვებს. „ათასობით საგანი, რომლებიც, ჩვეულებრივ, ადამიანებს სიამოვნებას ანიჭებს, მისთვის მოსაწყენია და უსარგებლო, და ამიტომ მისდამი მეჯავნდება ყველგან გამეფებული შურისგების კანონი[1] (გავიხსენოთ სოკრატეს მაგალითი). ზოგჯერ ობიექტურად ბედნიერი* ადამიანი სუბიექტურად უბედურად გრძნობს თავს და, პირიქით, ობიექტურად უბედური – ბედნიერად.

რაც შეეხება სურვილთა მიმართ შოპენჰაუერის დამოკიდებულებას, იგი ფილისტერს უწოდებს ადამიანს, რომელსაც სულიერი მოთხოვნილებები არ გააჩნია. მისი აზრით, ფილისტერი – ეს არის ადამიანი სულიერ მოთხოვნილებათა გარეშე, აქედან გამომდინარე, თავის თავისადმი დამოკიდებულებაში ფილისტერი მოკლებულია სულიერ სიამოვნებას. ნამდვილი სიამოვნება მისთვის მხოლოდ გრძნობადია. შოპენჰაუერის აზრით, ადამიანებს აბედნიერებს სხვათა შექება, დაფასება. დიდებული ადამიანები ბედნიერნი არიან არა მარტო საკუთარი სიდიადით, არამედ იმითაც, როცა მათი სწორად ესმით, აფასებენ, ღირსეულად ექცევიან, ზრუნავენ, პატივს სცემენ, და რაც ყველაზე მთავარია, უყვართ. ადამიანებს ღრმად სტკივათ ყოველგვარი შეურაცხყოფა და ღირსების შელახვა. ამიტომ ნაკლები მგრძნობელობით უნდა მივიღოთ სხვათა აზრი, როცა ისინი გვეპირფერებიან, და მაშინაც, როცა ისინი (უსამართლოდ) გვიცხავენ... წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ გავხდებით მონები სხვათა აზრისა. ღირსება, საზოგადოების მიერ ჩვენი შეფასება აუცილებელია ცხოვრებაში, მაგრამ სხვისი აზრის განსაკუთრებულად გაზვიადებას ჩვენი ბედნიერების მსხვრევა მოჰყვება. შოპენჰაუერის აზრით, „რას იტყვიან სხვები", ამას ჩვენი ღირსებისათვის აუცილებელი მნიშვნელობა უნდა მივცეთ, მაგრამ იმდენად არ უნდა გავაბატონოთ იგი ჩვენზე, რომ სამართლიანი შეფასების უნარი ან სულიერი სიმშვიდე და ბედნიერება დაგვიკარგოს. ამიტომ უნდა დავიცათ ზომიერება სხვათა აზრისადმი დამოკიდებულებაში, ბედნიერების სისრულისათვის საჭიროა ანგარიში გავუწიოთ მას, მაგრამ გადაუჭარბებლად და გაუზვიადებლად.

---

1 Шопенгауэр А., Афоризмы житейской мудрости, 1914, с. 40-41.

* ობიექტურად ბედნიერში იგულისხმება განსაკუთრებული ნიჭით, სიბრძნით დაჯილდოვებული ადამიანი.

ბედნიერების საკითხში გვერდს ვერ ავუვლით სიყვარულის თემასაც. შოპენჰაუერის აზრით, სიყვარულის 2 სახე არსებობს: სქესობრივი და ზოგადადამიანური. სქესობრივი სიყვარული ემსახურება გვარის გაგრძელების ინტერესს. გვარი არის მიმტყუებელი ინდივიდისა იმ ილუზიით, თითქოს ის ამ გრძნობად სიამოვნებაში იქნება ბედნიერი. სიყვარული, ფილოსოფოსის აზრით, ნების წყურვილია და იგი გამონვეულია ახლადჩასასახავი არსების სიცოცხლისაკენ ლტოლვით, ნების ძალით, სწრაფვით, რომელიც ეს-ესაა იწყებს ქმედებს: „ახალი ინდივიდი ახალი (პლატონური) იდეაა და როგორც ყველა სხვა იდეა უდიდესი ვნებით მიისწრაფვის, რათა განხორციელდეს გამოვლენის ფორმაში"[1] აღნიშნავს იგი. შოპენჰაუერის აზრით, ნების წყურვილი, ნების სწრაფვაა სწორედ ვნებიანი სიყვარული, რომლისთვისაც საკმარისია, რომ „პირველსავე და ერთადერთ შეხედვისათანავე წარმოიშვას საუკეთესო შესაბამისობა ანუ თანაგრძნობა, ანუ ის, რაც ჩვეულებრივ ცხოვრებაში იწოდება სისხლის სიმპათიად"[2], რაც ნიშნავს სისხლის მიზიდულობას, მისწრაფებას იმისაკენ, რის შევსებაც ესაჭიროება მის ჯიშს ან ინდივიდუალობას.

შოპენჰაუერის მხატვრული შედარებით სქესობრივი სიყვარულის ატრიბუტებია: „მშვილდი (გულში), სიბრმავე და ფრთები". ეს უკანასკნელი მიუთითებს მის ცვალებადობაზე (გაფრენაზე), რომელიც ჩვეულებრივ გამოვლინდება იმედგაცრუებაში, ხოლო იმედგაცრუება შედეგია დაკმაყოფილებისა"[3].

ზოგადადამიანურ სიყვარულში ჭარბობს სულიერ-მეტაფიზიკური, ხოლო სქესობრივ სიყვარულში მოვლენისეული, ფიზიკურ-გრძნობალი ელემენტი.

ბედნიერება მოვლენისეულ სიყვარულში არ ეგულება შოპენჰაუერს, რადგან აქ იგი მიაჩნია, უნინარეს, გრძნობად სიამოვნებად, თუმცა მისდამი ნების ძალით „მუხლს იდრეკს ღირსებაც, მოვალეობაც, ერთგულებაც, რომელთაც შეუძლიათ წინაღუდგნენ სხვა ცდუნებებს და სიკვდილის მუქარასაც კი"[4].

---

1 Шопенгауэр А., Мир, как воля и представление, 1893, с. 649.
2 იქვე, გვ. 668.
3 იქვე, გვ. 668-669.
4 იქვე, გვ. 649.

ფილოსოფოსის თვალსაზრისით, ადამიანის ყველაზე დიდი შეცდომა მაშინაა, როცა ბედნიერებას ეძებს გრძნობად სიამოვნებაში და მთელი სიცოცხლის მანძილზე ესწრაფვის მას. აქ იგი იმონმებს პლატონს, რომ „ყველაზე მატყუარა ყველა სიამოვნებათა შორის გრძნობადი სიამოვნებაა"[1].

აღნიშნულიდან გამომდინარე, ხშირად ასეთი დასკვნა გამოაქვთ, რომ შოპენჰაუერი სიყვარულს მხოლოდ ფიზიკურ ლტოლვად თვლის და ივიწყებენ, იმ ფაქტს, რომ მისი ეთიკის ამოსავალი პრინციპი – თანატანჯვა უწინარეს ორი ადამიანის სიყვარულში ვლინდება, რომ ზემოთ აღნიშნული სამგვარი სიმპათიიდან სწორედ სიყვარულში იჩენს თავს „მეტაფიზიკური მისტერია", რომლის დროსაც მოქმედებს „სიყვარულის სული", (რომელიც შთააგონებს მოყვარულ არსებას, რომ ჭირში და უბედურებაში ჩაენაცვლოს ძვირფას ადამიანს, თავი გასწიროს მითვის, და რომ, ეს „სიყვარულის სული" არის ნებაში დადებითის, კეთილის, ზნეობრივის ენერგია.

ამრიგად, სიყვარული შოპენჰაუერის გაგებით არის ფიზიკურის და მეტაფიზიკურის, მოვლენისეულის და თავისთავადის, გრძნობადის და ინტელიგიბელურის ერთიანობა. მხოლოდ გრძნობადი – უხამსია და მდაბალი, ამიტომ მეტაფიზიკურთან ერთიანობა აუცილებელია ადამიანის ჭეშმარიტი ბედნიერი სიყვარულისათვის. შოპენჰაუერს თავის სიცოცხლეში არ ჰქონია სიყვარულის განცდის პირობები, ამიტომაც ძუნწად პასუხობს ამ თემას. ადამიანთა საერთო აზრით კი წმინდა, ლამაზი, ამაღლებული სიყვარული უძლიერესი ატრიბუტია ადამიანის ბედნიერებისა. და თუკი იგი ცალმხრივი არ არის, მაშინაც კი ბედნიერებაა, როცა ტანჯვა მოაქვს და თუნდაც თავგანწირვას, საკუთარი მეობის მსხვერპლად შეწირვასაც მოითხოვს.

შოპენჰაუერი იმ აზრს იცავს, რომ სიბრძნე უნდა ეძებდეს არა სიამოვნებას, არამედ ტანჯვის უქონლობას და რომ სიცოცხლე გვეძლევა არა სიამოვნებისათვის, არამედ იმისათვის, რათა იგი დავძლიოთ, გადავიტანოთ. მისი აზრით, უბედნიერესია ადამიანი, ვინც ცხოვრება განვლო განსაკუთრებული ტანჯვის გარეშე (როგორც სულიერი, ისე სხეულებრივი). ცხოვრებისეული ბედნიერების კრიტერიამია ტანჯვის არარსებობა და თუ ამას დაემატება მოწყენილობის უქონლობაც,

1 Шопенгауэр А., Мир, как воля и представление, 1893, с. 654.

ძირითადად ბედნიერება მიღწეული იქნება. მისი აზრით, სულელი მისდევს სიამოვნებას და პოულობს იმედგაცრუებას, ბრძენი კი მხოლოდ გაურბის მწუხარებას. შოპენჰაუერი იწონებს იმ ძველ ბერძენთა მისწრაფებას, რომლებიც სიამოვნებას გაურბოდნენ იმის გამო, რომ გაურბოდნენ ტანჯვას, რომელსაც გულისხმობდნენ სიამოვნებათა თანამდევად. მათთვის უმთავრესი იყო ტანჯვა-მწუხარების აცილება, რადგან გამსჭვალული იყვნენ სიამოვნების უარყოფითი და ტანჯვის დადებითი ელემენტებით. ისინი უარს ამბობდნენ სიამოვნებაზე, რომელიც ბადე იყო იმისთვის, რომ ადამიანები ტანჯვაში გაეხლართათ. საბოლოოდ, შოპენჰაუერი დაასკვნის, რომ ყველაზე ძვირფასი ესაა უწყინარი, მშვიდი და გასაძლები არსებობა, და თუ ამით შემოვფარგლავთ ჩვენს მოთხოვნილებას, უფრო სწორად განვახორციელებთ მათ. ერთი სიტყვით, შოპენჰაუერი აქ იცავს დემოკრიტესეულ სულის უშფოთველობასა და არისტოტელე-დემოკრიტესეულ ზომიერების დაცვის პრინციპს, რომელსაც სავსებით ვიწონებთ.

შოპენჰაუერის რჩევით, არ არის საჭირო, ცხოვრებას წავუყენოთ ძალზე მაღალი მოთხოვნილებები. მოთხოვნილებათა შეზღუდვა ეხმარება ბედნიერებას და მთავარია არა საერთოდ მბრწყინავი, ხმაურიანი ზეიმი და მხიარულება, არამედ ის, რომ ჩვენს მოქმედებაში „კმაყოფილი ვიყოთ საკუთარი თავით“, ასეთ ადამიანს უყვარს მარტოობა და თავისუფლება, რადგან მარტოობის დროს უბადრუკი ადამიანი გრძნობს თავის არარაობას, ხოლო დიდი გონება – თავის დიდებულებას.

შოპენჰაუერი, ცხადია, მეშჩანურ საზოგადოებაზე ლაპარაკობს, როდესაც ამბობს: „ჭკვიანურ აზრებს აზრი აქვს მხოლოდ ჭკვიან საზოგადოებაში, ჩვეულებრივ მას საზოგადოება ვერ იტანს. რომ მოვეწონოთ ასეთ საზოგადოებას, უნდა ვიყოთ უხამსნი და შეზღუდულნი... რადგან იგი გვაერთებს ისეთ ადამიანებთან, რომელთა უმეტესობა ზნეობრივად გაფუჭებულია და გონებრივად დამახინჯებული... ფლობდე იმდენს შენსავე თავში რომ არ საჭიროებდე მათ, ეს უკვე იმიტომაცაა ბედნიერება, რომ ყველა ჩვენი ტანჯვის წყაროა საზოგადოება, ხოლო სულიერი სიმშვიდე ჯანმრთელობასთან ერთად შეადგენს ჩვენი ბედნიერების არსებით ელემენტს“[1]. გარდა ამისა,

1 Шопенгауэр А., Афоризмы житейской мудрости, 1914, с. 117.

ყოველივეს მოპოვებისათვის, რაც მას მიაჩნია ბედნიერების წყაროდ, შოპენჰაუერი უმაღლეს განმგებლად მიიჩნევს გონებას. ამ თვალსაზრისისათვის იგი ამბობს: „თუ გსურს, შენს თავს დაუმორჩილო ყველაფერი, შენი თავი დაუმორჩილე გონებას"[1]. ბედნიერების აუცილებელ პირობად შოპენჰაუერი მიიჩნევს აგრეთვე მოღვაწეობას ფიქრით ან საქმით. ერთი სიტყვით, მოღვაწეობა აუცილებელია ადამიანის ბედნიერებისათვის – დასძენს შოპენჰაუერი. იგი ადამიანის ბედნიერებას სწორედ გონით მოღვაწეობაში ხედავს. მისი თქმით, ყველაზე ბედნიერნი არიან გონებრივად დაჯილდოებული ადამიანები, რომლებსაც შესწევთ უნარი, შექმნან სერიოზული, დიდებული შრომები. მთელი მათი ყოფა აღსავსეა ამაღლებული ინტერესებით, რაც მათ ანიჭებს ისეთ განსაკუთრებულ მიმზიდველობას, როგორიც არ გააჩნიათ სხვებს, რადგან „გონების სამეფოში არ არის ტანჯვა". ამავე დროს, სხვათა მიერ ჩვენი შეფასებისას უნდა გვახსოვდეს, რომ ადამიანს მეორის გაგება შეუძლია მხოლოდ იმდენად, რამდენადაც იგი შეესაბამება მის ჭკუას, რადგან არავის არ შეუძლია დაინახოს სხვაში ის, რაც მის თავს აღემატება და ნებისმიერი ჭკუა დარჩება შეუმჩნეველი იმისათვის, ვისაც იგი არა აქვს. ამიტომაც, გვირჩევს შოპენჰაუერი, არ უნდა გამოვედევნოთ სხვათა აზრებს განსაკუთრებული მგრძნობელობით.

შოპენჰაუერის შეხედულებით, ჩვენი ცხოვრება არსებითად მეტად ნაღვლიანი და მძიმე ტვირთია, უთვალავი უბედურებებით. ჩვენ ვეჩვევით საგანთა არასრულყოფილებას, ვაანალიზებთ მოსალოდნელ უბედურებას, იმის გადასაწყვეტად – გავექცეთ მას თუ შევებრძოლოთ, რათა დავძლიოთ იგი. დამაწყნარებლად მოქმედებს იმის გააზრება, რომ უნდა მოხდეს ის, რაც გარდუვალად აუცილებელია. ამის გააზრების შემდეგ ადამიანი მიიღებს ზომებს და როცა დარწმუნდება სინამდვილეში, აკეთებს იმას, რაც მისი შესაძლებლობის ფარგლებშია, თუ არა და – ეგუება მას. როგორც ვხედავთ, შოპენჰაუერს შესაძლებლად მიაჩნია აუცილებლობათა შეცნობა და ვითარების შესაბამისად მისი გამოყენება-წარმართვა.

შოპენჰაუერის აზრით, მორალური და ინტელექტუალური ღირებულება გვეძლევა არა გარედან და ციდან, არამედ იგი გამომდინარეობს ჩვენი არსების სიღრმიდან, იქიდან, რომ სულიერი სიმდიდრით

1 Шопенгауэр А., Афоризмы житейской мудрости, 1914, с. 154.

დაჯილდოებული ადამიანები დამოკიდებული არიან თავიანთი უნარის ხარისხზე.

ამრიგად, ბედნიერების საკითხის განხილვისას შოპენჰაუერს მიაჩნია, რომ ადამიანის ჭეშმარიტი ბედნიერებისათვის აუცილებელი პირობაა გულისა და გონების სიდიადე, რომელსაც ქმნის შინაგანი დადებითი უნარ-თვისებების განვითარება, ამისათვის კი საჭიროა თვითცნობიერება, შინაგანი ხედვის მიმართვა საკუთარი ღირსებისაკენ და საკუთარი ნებელობისაკენ.

შოპენჰაუერის აზრები ემთხვევა დემოკრიტეს აზრებს ბედნიერების შესახებ. მისი თვალსაზრისით, ბედნიერება მდგომარეობს სულის მშვიდ, „ევთემიურ" ყოფაში, სულის სიკეთით განწყობაში, რომელიც იგივეობრივი კი არაა სიამოვნებისა და ნეტარება-განცხრომისა, არამედ იმგვარი ყოფაა, როცა სულის ატომთა განონასწორებისა და ჰარმონიულობის ქვეშ აღარ შფოთავ არავითარი შიშით, უშფოთველობისთვის კი საჭიროა სიბრძნე და ზნეობრიობა. საფუძველს მოკლებულია გავრცელებული აზრი, თითქოს შოპენჰაუერი მომხრეა გულგრილობისა, აპათიისა და განუცდელობისა. მისი აზრით, ადამიანის „მაღალინტელიგენტურობას განაპირობებს ამაღლებული მგრძნობიარობა, რომელიც ეფუძნება ნება-სურვილთა ინტენსიობას, ანუ განცდიანობას"[1]. „სულიერი სიამოვნებანი უფრო ძლიერია, რაც უფრო მეტი ინტენსიობისაა მგრძნობელობა და გონება"[2].... „ჩვენი რეალური ცხოვრება თუ მას არ ავსებენ განცდები, მოსაწყენია და უგერგილო. საწინააღმდეგო შემთხვევაში ის მწარე იქნება"[3]. შოპენჰაუერი პიროვნებას ჰპირდება, რომ ბედნიერი იქნება ის, ვისაც დიდი შინაგანი სიმდიდრე გააჩნია და ამით ადამიანებს მოუწოდებს საკუთარი სულიერ-ზნეობრივი თვითშემეცნებისა და თვითაღზრდისაკენ, რადგან ჭეშმარიტ ბედნიერებად მიიჩნევს სულიერ-გონებრივ და ზნეობრივ სიდიადეს" „მაღალი, მდიდარი სულის ინდივიდაულობა, განსაკუთრებით კი დიდი გონება ნიშნავს უბედნიერეს ხვედრს დედამიწაზე"[4] – გვასწავლის იგი. ამრიგად, პოზიტიური მნიშვნელობისაა იმ მომენტი, რომ ბედნიერების ძიება საკუთარ შინაარსში, პიროვნულ (გონისმიერ და გულისმიერ)

1 Шопенгауэр А., Афоризмы житейской мудрости, 1914, с. 25.
2 იქვე. с. 33-34.
3 იქვე.
4 იქვე, с. 25.

ღირსებებშია, რაც ადამიანის ყურადღებას პასუხისმგებლობის გაძლიერებისაკენ, თვითშემეცნებისა და თვითაღზრდისაკენ მიმართვას. სავსებით ვერ დავეთანხმებით შოპენჰაუერს იმაში, რომ ადამიანი ბედნიერია მხოლოდ მარტოობაში და საზოგადოების გარეშე. კარგი ნიადაგი – კარგი საზოგადოება ადამიანს აძლევს სრულყოფილი განვითარების შესაძლებლობას, ცუდი კი – მომადლებულ უნარებს ართმევს. რადგან, თუ ცხოველს აქვს ერთი მარტივი ცხოვრება, ადამიანს – ორმაგი: ინდივიდუალური და საზოგადოებრივი, ამიტომ მცდარად მიგვაჩნია მისი აზრი იმის შესახებ, რომ ადამიანისათვის „ყველა ჩვენი ტანჯვის წყაროა საზოგადოება".

ჩვენის აზრით, საზოგადოებაა ადამიანის ბედნიერების კრიტერიუმის დამდგენი. მართალია, შინაგანი კმაყოფილების განცდას გვაძლევს ის ფაქტი, თუ კეთილმოქმედი ხარ, სამართლიანი, პატიოსანი, თავისუფლად ასრულებ მოვალეობას, სუფთა სინდისი სიმშვიდეს გგვრის და გაგაჩნია მატერიალურ-სულიერი საფუძველი ბედნიერებისათვის, მაგრამ ბედნიერი მაინც ვერ იქნები, თუ ყოველივე ამას შენს ირგვლივ საზოგადოება არ გიდასტურებს, არ გიფასებს, ე. ი. მთავარი მარტო ის არ არის, როგორი ხარ შენ, ხარ თუ არა ინტელექტუალურ, ესთეტიკურ, ეთიკურ სრულყოფილების გზაზე. საზოგადოების დასტურის გარეშე ზნეობრიობა ვერ იძლევა ბედნიერების სრულ გარანტიას.

შეიძლება ადამიანი იმსახურებდეს ბედნიერებას და ბედნიერი არ იყოს და პირიქით, ადამიანი შეიძლება არაფრით არ იმსახურებდეს ბედნიერებას და ბედნიერი იყო და ეს ბევრადაა დამოკიდებული საზოგადოებაზე. რეალური ბედნიერებისათვის საჭიროა საზოგადოების ზრუნვა პიროვნებისათვის, მისი მხარდაჭერის გარეშე პიროვნება ვერ მიაღწევს ვერანაირ ბედნიერებას. საჭიროა საზოგადოების მიერ ბოროტის დასჯისა და სიკეთის წახალისების სამართლიანობის უზრუნველყოფა (ამიტომ იყვნენ მართალნი პლატონი და არისტოტელე, როდესაც ბედნიერების კრიტერიუმის დამდგენად სახელმწიფოს სახავდნენ. ამიტომ მცდარად მიგვაჩნია შოპენჰაუერის აზრი, თითქოს ადამიანის ბედნიერებაში მხოლოდ თანდაყოლილ პირად ღირსებებს ეკუთვნოდეს გადამწყვეტი მნიშვნელობა და აქ საზოგადოება ზედმეტიც კი იყოს. ჩვენ ვეთანხმებით შოპენჰაუერს იმაში, რომ ადამიანს სურს ის, რასაც წარმოადგენს და იქცევა ისე, როგორადაც სურს, მაგრამ არ

ვეთანხმებით იმ აზრს, რომ თითქოს ადამიანის ბედნიერებას მხოლოდ მისი თანდაყოლილი ღირსება-უნარები ქმნის. მცდარია აზრი, ყოველი ადამიანი თავისი ბედნიერების მჭედელიაო. ჩვენ ვეთანხმებით მიშელ მონტენს, რომელიც აღნიშნავდა, რომ ადამიანს და მის ბედნიერებას ქმნიან ადამიანები. განა შოპენჰაუერის ბედნიერების არასრულობა საზოგადოების მისადმი დამოკიდებულებამ არ განსაზღვრა?

ჩვენ უარვყოფთ იმ გავრცელებულ აზრს, რომლის მიხედვით თითქოს იგი ნაკლებ ყურადღებას ანიჭებდა გონებას – „რაციოს", რაკი მას თვლიდა ჯნების იარაღად. მართალია, შოპენჰაუერი გონებას „ნების მეგზურს" და მის ჩირაღდანს უწოდებდა, მაგრამ რაციონალისტებზე ნაკლებ როდი აფასებდა მას.ერთი ადმიანის მეორეზე ამაღლებას ის ხედავდა გონების, ინტელექტის, შემეცნების უნარში.

ამრიგად არ ვიზიარებთ გაბატონებულ აზრს იმის შესახებ, თითქოს შოპენჰაუერი საერთოდ უარყოფდა ამქვეყნად ბედნიერების შესაძლებლობას. ბედნიერება მასთან არის საკუთარი გულისმიერი და გონის მიერი, ღირსებებით კმაყოფილება, ზნეობრიობით, ესთეტიკურობით ტკბობა, შემოქმედებითი სიხარული, უშფოთველი სინდისით ნეტარება და ამაღლებული გონებით ზომიერი ცხოვრება.

ამრიგად მასთან ყველაზე მეტად მნიშვნელობს შინაგანი „მე", ადამიანის შინაარსი, მაგრამ ბედნიერების საკითხში იგი არც ღმერთისგან მოვლენილ ბედისწერას ივიწყებს და ამბობს: „ცხოვრება ჭადრაკის თამაშსაც ჰგავს, ჩვენ გეგმას დავაწყობთ გამარჯვებისათვის, მაგრამ მისი განხორციელება იმაზეცაა დამოკიდებული, თუ როგორ თამაშობს ჭადრაკს ჩვენი პარტნიორი, ანუ ბედისწერა".

თავი VII
შოპენჰაუერის მიმდევრები

შოპენჰუერი უსაყვედურებს „სამ დიდ მატყუარას“ (ფიხტეს, შელინგს, ჰეგელს) კანტის დამსახურებების გაყალბებას. რომ 1) გერმანული იდეალიზმის მიერ იგივეობად იქნა წამოყენებული კანტისეული თთნ-ის და მოვლენის, რეალურისა და იდეალურის დაპირისპირება, რომ 2) თუ კანტმა ზნეობის ასახსნელად აპრიორული მეცნიერება შექმნა და თეორია ზნეობას დაუქვემდებარა, ჰეგელმა პირიქით, ზნეობა თეორიას დაუქვემდებარა და 3) ღმერთის არსებობის დაუსაბუთებლობა, რომელიც ზნეობის მოძღვრებაში წინგაგადგმული ნაბიჯი იყო, ჰეგელმა ბუნდოვანი სისტემით შეცვალა, რითაც ზნეობის ავტონომიის დადებითობა წაშალა.

შოპენჰაუერში უთუოდ იყო რაღაც ისეთი, რითაც იგი მოაზროვნე ადამიანებმა ფილოსოფიის კორიფეთა გვერდით დააყენეს. ამას ნიცშეს შესახებ მსჯელობისას ასაბუთებს ი. ფრენზელი, როდესაც ამბობს: „თუ ფილოსოფიის მნიშვნელობას შეავფასებთ იმ გავლენით, რომელიც აქვთ მის ქმნილებებს, მაშინ ფრიდრიხ ნიცშე დგას ჰეგელის, მარქსის, კირკეგორის და შოპენჰაუერის გვერდით, როგორც მათი თანასწორი. ის ეკუთვნის მე-19 საუკუნის დიდ მოაზროვნეთა მცირე ნაწილს, რომლებმაც ძალზე გაუსწრეს წინ თავის საუკუნეს და რომელთა გარეშეც მე-20 საუკუნე არ იქცეოდა იმად, რაც ის არის“. შოპენჰაუერს დიდი გავლენა აქვს შემდგომ ფილოსოფიაზე. შოპენჰაუერის მიმდევრებს, მთელს ნეოკანტიანელობას და სიცოცხლის ფილოსოფიას, განსაკუთრებით კირკეგორს აერთიანებთ ადამიანის ბედის, ადამიანის არსების, ადამიანის შესაძლებლობათა სფეროს თემა. ყველა მათგანს მიზნად აქვს ადამიანში ადამიანურის აღორძინება, რომელიც ცივილიზაციამ დათრგუნა, აინტერესებს პრობლემა სამყაროსა და ადამიანის მეტაფიზიკური ძირისა. ნეოკანტიანელებს შოპენჰაუერთან აკავშირებთ თთნ-ის საკითხი. ჰარტმანს მასთან აკავშირებს ცნობიერებისგან დამოუკიდებელი, ირაციონალური არსის კვლევა, იდეალურის და რეალურის ურთიერთდამოკიდებულება. ყოფიერება ორივესთან არც მარტო რეალურია და არც მარტო იდეალური, რომ ყოველი არსი მოიცავს მატერიალურსაც და იდეალურსაც. ყველაფერს,

რაც არსებობს, ჰარტმანთანაც აქვს ორი მხარე: აობა (არსებობა) და რაობა (როგორობა), ანუ როგორც შოპენჰაუერი იტყოდა, მოვლენის სფერო და არსის სფერო.

შოპენჰაუერის გავლენა ვილჰელმ რიხარდ ვაგნერზე გამოიხატა მის მსოფლმხედველობაში გრძნობიერების და ასკეტიზმის დაპირისპირების შესახებ და ესთეტიკური გენიის შეფასებაში.

შოპენჰაუერი და ნიცშე ახლოს არიან ერთმანეთთან იმ საერთო საყრდენით, რომელიც შოპენჰაუერმა ხელოვნებას დააკისრა. ხელოვნება ორივესთვის დრო – სივრცის მიღმა არსებულ იდეათა სამყაროს ჩაწვდომაა, მუსიკა სამყაროს არსების-ნების უშუალო ამსახველია, ხელოვნის არსებაში მოქმედი ძალები კი სამყაროს ძალთა გამოვლენაა. მათი საერთო საფუძველი მეტაფიზიკური ნებაა, კვლევის მეთოდი ინტუიციაა, ფილოსოფიური ხედვაა. ნებაც, სამყაროც, ხელოვნებაც ორი სპირისპირო საწყისის შემცველია კეთილ-ბოროტის, ბნელ-ნათელის დაპირისპირებულთა ერთიანობა. ორივეს მსოფლმხედველობით ხელოვანი არსების წვდომის შემძლებია, ორივესთან სიზმარი არსებას ჭვრეტს. ნიცშესთანაც, შოპენჰაუერის მსგავსად, შესაძლებელი ხდება „მაიის საფარველის" ჩამოხსნა და ყოველ არსებულში ერთარსის წვდომა. მაგრამ თუ შოპენჰაუერთან სამყაროს ეთიკური მისია აკისრია, ნიცშესთან იგი ესთეტიკურ-ხელოვნისეულ მისიას ასრულებს. თუ შოპენჰაუერთან მუსიკა სამყაროს არსების გამეორებაა, ნიცშესთან ლირიკაა პირველარსის ფარული არსის გაცხადება: „ლირიკოსი მედიუმია, რომლის საშუალებითაც ლაპარაკობს სამყაროს არსება."

ერთნაირია შოპენჰაუერისა და ნიცშეს მსჯელობა გენიალურ ადამიანზე, რომ ბენებას ესაჭიროება დიდი ადამიანი – გენია, რადგან მხოლოდ მის ნამოლვაწარში იმეცნებს იგი თავის თავს. მაგრამ თუ შოპენჰაუერი მეცნიერების ადამიანზე მაღლა ეთიკურ გენიას აყენებდა, ნიცშე მეცნიერების ადამიანზე მაღლა აყენებს ხელოვანს, ესთეტიკურ გენიას. მისი აზრით, ბახის, ბეთჰოვენის, ვაგნერის მუსიკალური სული უკავშირდება კანტის და შოპენაუერის მიერ დახვეწილ ფილოსოფიას, რომელიც აღრმავებს ეთიკისა და ხელოვნების საიდუმლო წვდომას და ცნებებით გამოხატულ დიონისურ სიბრძნეს წარმოადგენს.

რაც შეეხება ეთიკას, ნიცშეს და შოპენჰაუერის დამოკიდებულება მორალისადმი რადიკალურად განსხვავებულია. ნიცშესთან, მორალური

ადამიანის ნაცვლად, აღიარებულია ზნეობრივი ღირებულებებისაგან თავისუფალი ზეკაცი, რომელიც სიკეთისა და ბოროტების მიღმა დგას. შოპენჰაუერის თანაგრძნობის მორალის ადგილას ნიცშე გვთავაზობს ბატონობის, ძალაუფლების მორალს. მათ შორის საერთობა შეინიშნება პიროვნების ინდივიდუალობის დაცვაში. როგორც ვიცით, შოპენჰაუერი დიდი მნიშვნელობას აძლევდა ადამიანის ინდივიდაულობას, რითაც ის გამორჩეულია, განსაკუთრებულია, რაც მას განასხვავებს „სტანდარტებისაგან", მასებისაგან, ბრბოსაგან, რომელსაც ნიცშე ჯოგს უწოდებს. ნიცშე აღრმავებს ამ ტენდენციას. მისი აზრით, ჯოგისათვის ნიშანდობლივია პიროვნების ნიველირება, აქედან მორალურ გამოსავალს შოპენჰაუერი ანალოგიის პრინციპის დადგენასა და თანაგრძნობაში ეძებს, ხოლო ნიცშე ადამიანის ნიველირებაში სწორედ თანაგრძნობას ადანაშაულებს, მოითხოვს შებრალებისა და თანაგრძნობისაგან ადამიანის განთავისუფლებას.

შოპენჰაუერს – „ფრანკფურტელ განდეგილს" საერთო აქვს „დანიელ განდეგილთან" – სიორენ კირკეგორთანაც: შოპენჰაერსაც და კირკეგორსაც ერთმანეთთან აკავშირებთ, უპირველეს ყოვლისა, ადამიანის არსით და არსებობით დაინტერესება, რომელიც იგივეობრივია სამყაროს არსისა. ჰეგელისაგან განსხვავებით, რომლისთვისაც პიროვნება ობიექტური გონის აქციდენციაა მხოლოდ, შოპენჰაუერთანაც და კირკეგორთანაც ადამიანის შინაგანი არსი, მისი თავისთავადობა და განუმეორებლობა უმაღლესი ღირებულებაა. ორივესთვის პიროვნება მით უფრო სრულყოფილია, რამდენადაც თავისთავადია, ორიგინალური და განუმეორებელი. კირკეგორთან ადამიანი იბადება, როგორც ესთეტიკური. მასში იგულისხმება ის თვისებები, რომლებიც ადამიანისთვის თანდაყოლილია: შემდეგ ადამიანი მთელი ცხოვრების მანძილზე ქმნის თავისთავს. ადამიანში ბუნებით თანდაყოლილისაგან განსხვავებით, თვით ადამიანის მიერ ქმნილ მხარეს იგი ეთიკურს უწოდებს. ესთეტიკური ადამიანის მამოძრავებელი მოტივია ცხოვრებით ტკბობა. მისი შედეგია სასოწარკვეთილება, (შოპენჰაუერთან ტანჯვა). ეთიკური ადამიანი კირკეგორთან, უარს ამბობს ცხოვრებით ტკბობაზე და ამ არჩევნით ესთეტიკურიდან ეთიკურში გადადის. აქ საერთოობაა შოპენჰაუერის ნების, სამყაროს განმტკიცების უარყოფასა და ეთიკური გზის, ხსნის გზის

არჩევანში. ამ არჩევანშია ორივესთან ადამიანის თავისუფლება. კირკეგორის ადამიანიც ამქვეყნად ცხოვრობს შოპენჰაუერის ადამიანივით, როგორც ცოდვილი, დამნაშავე, მაგრამ თუ შოპენჰაუერთან ღმერთის დაუსაბუთებლობა მოტანილია იმისთვის, რომ ადამიანი ზნეობრიობის პასუხისმგებლობას თავად გრძნობდეს, კირკეგორთან ადამიანის ზნეობრიობისათვის აუცილებელია ღმერთის არსებობის დასაბუთება.

ბერგსონს შოპენჰაუერთან აკავშირებს სინამდვილის ორ მხარედ დაყოფა: მასთანაც მთელი სინამდვილე, ყოველი არსებული, ერთი მხრივ, არის მატერიალური, და მეორე მხრივ – სიცოცხლისაკენ სწრაფვა-ლტოლვა. როგორც ეს შოპენჰაუერთან კარგადაა გამოხატული. არაორგანულ ბუნებაში სიცოცხლისაკენ სწრაფვა მიჩქმალულია, გამოუმჟღავნებელი. მცენარეში ნაკლებ გამოიხატება, ვიდრე ცხოველში, ხოლო ცხოველში უფრო ნაკლებ – ვიდრე ადამიანში. სიცოცხლისაკენ სწრაფვის უმაღლესი გამოხატულება არის ადამიანის სიყვარული სიცოცხლისადმი. ბერგსონიც, შოპენჰაუერის მსგავსად, ინტუიციას ინტელექტზე მაღლა აყენებს, რადგან მისი საშუალებით ვწვდებით არსებას. დიდ საერთოობას ვხვდებით, აგრეთვე, ბერგსონის სულის უკვდავებასა და შოპენჰაუერის ნების უკვდავებაში.

ამრიგად, შოპენჰაუერმა სტიმული მისცა კანტის მოძღვრების აღორძინებას და ნეოკანტიანური ფილოსოფიის წარმოშობას, ჰარტმანის „არაცნობიერს“, ნიცშეს „სიცოცხლის ნებას“, ექსისტენციალიზმის ფილოსოფიას, ფროიდის ფსიქოანალიზს, შელერის „ლტოლვას“ და სხვას, რომლებიც შოპენჰაუერის მეტაფიზიკის გავლენითაა ნასაზრდოები. უნდა დავუმატოთ ისიც, რომ შოპენჰაუერის ეთიკიდან უშუალოდ გამომდინარეობს ფოიერბახის ეთიკაც, რომ მისი „სიყვარულის რელიგია“ ნასაზრდოებია შოპენჰაუერის ეთიკით.

ნების ადრინდელი გაგებისაგან განსხვავებით, ფოიერბახისეული ნებაც არის ძალა, მისწრაფება, ლტოლვა. ფოიერბახთან გონება ანგარიშს უწევს ნებას, ხოლო შოპენჰაუერთან გონება ექვემდებარება ნებას. ამავე დროს, შოპენჰაუერის ნების ყველაზე ძლიერი გამოხატულება – მსურველობა ფოიერბახთანაც ძალაშია. „ჩემი სურვილი, ესაა ჩემი არსი“. ფოიერბახი ადამიანის კეთილდღეობას და სიკეთეს აკავშირებს მსურველობასთან, სურვილთან, ნებასთან ადამიანის არსის შესაბამისად

ორივეს მიაჩნია მსურველობა სიცოცხლისაკენ სწრაფვის, თვითშენახვის, თვითგანმტკიცების, თავისუფლების მსურველობად. შოპენჰაუერი ხაზს უსვამს იმას, რომ ყოველი, რაც არსებობს, არსებობს მხოლოდ მსურველობასთან ერთად, ხოლო როდესაც შეწყვეტს მსურველობას, იგი გადავა ახალ არსებობაში. ფოიერბახიც ამის შესახებ ამბობს, რომ არც ერთი გონება თავისუფალი არ არის მსურველობისაგან „თავისუფლად მოქმედი არსებანიც კი მხოლოდ ამაში არ არიან თავისუფალნი". ფოიერბახს შოპენჰაუერის მოძღვრებაში განსაკუთრებით მოსწონს ის, რომ კლასიკური ფილოსოფიის სპეკულატური მორალისაგან განსხვავებით შოპენჰაუერის მორალს საფუძვლად აქვს თანაგრძნობა და „არ ავნო არავის". „ამ შემთხვევაში ძევს არა რაიმე საყოველთაო ნიშანი, ან იდეა, ან სამართლიანობის მოვალეობა აბსტრაქტულად, არამედ მხოლოდ თანაგრძნობა"[1] – ამბობს იგი და ქადაგებს ადამიანების სიყვარულს საერთოდ.

შოპენჰაუერის აზრები ახლოა ფოიერბახთან სინდისის განსაზღვრაშიც: „ესაა მეორე მე ჩემში წარმოდგენილი".

გერმანულ ენაში სინდისი მართლაც ნიშნავს ვინმესთან ერთად ხედვას, ვინმესთან ერთად ცოდნას („Gewissen ist Mitwissen"), ე. ი. იცოდე, ხედავდე ვინმესთან ერთად. აქედან ერთი ნაბიჯია ვინმესთან ერთად ტანჯვამდე, ვინმესთან ერთად გრძნობამდე, ანუ თანაგრძნობამდე, თანატანჯვამდე. ადამიანში ნების ხმა არის მეორე ხმა – მეორე მე (კეთილი ან ბოროტი) ჩემში. ამრიგად, ფოიერბახთანაც და შოპენჰაუერთანაც კეთილი ხმა ესაა სინდისი, რომელიც მე სხივის დაჩაგვრისას მამხელს, ესაა ეგოისტური მისწრაფებების მოწინააღმდეგე ჩემში, ბოროტი ნების – მაცდუნებელი ნების მოწინააღმდეგე, ზნეობრიობის ხმა. ორივე ფილოსოფოსთან სინდისი მაახლოებს სხვებთან. მაგებინებს, რომ ისინი ჩემი იგივეობრივნი არიან არსით.

დასასრულ, უნდა აღვნიშნოთ, რომ აკრიტიკებს რა გერმანული კლასიკური ფილოსოფიის სპეკულატურ გაგებას მორალისას, ფოიერბახი ცალკე გამოჰყოფს შოპენჰაუერის ფილოსოფიას და ამბობს: „შოპენჰაუერმა, გამორჩეულმა სხვა გერმანელ ფილოსოფოსთაგან თავისი გულწრფელობით, გარკვეულობით და განსაზღვრებებით, წამოაყენა მათი ცარიელი ფილოსოფიური პრინციპების საპირისპირო

1 Фейербах Л., Избранные философские произведения, т. I, с. 625.

„თანატანჯვა“ – როგორც მორალის საფუძველი, როგორც ერთადერთი ჭეშმარიტად მორალური იმპულსი, რომელიც ცოცხლობს და მასთან ერთად მოქმედებს ადამიანში“... „განუსაზღვრელი თანაგრძნობა – ამბობს ის სხვათაშორის – ყველა ცოცხალ არსებაში არის მორალური ქცევის მტკიცე და საიმედო თავდები, რომელიც არ საჭიროებს არავითარი დებულებებით მტკიცებას. ვინც აღსავსეა ამგვარი მორალით, ალბათ არავის არ მიაყენებს შეურაცხყოფას და არც არავის აწყენინებს, ყველას მიეხმარება რამდენადაც შეუძლია და ყველა მისი ქცევა იქნება აღბეჭდილი სამართლიანობით და ადამიანებისადმი სიყვარულის ნიშნით“[1].

ორივე ფილოსოფოსთან „წადილთა ნება“ ებრძვის „თანამგრძნობ ნებას“. წადილთა ნება ორივესთან ეგოისტური სურვილებისაკენ მსწრაფველია და იგი ებრძვის ადამიანში ზნეობრიობის ხმას – სინდისს. თუ ფოიერბახის აზრით, ბედნიერებისადმი სწრაფვის გარდა, ადამიანში მოქმედებს მისი საწინააღმდეგო ძალა – სინდისი („სინდისი ესაა მეორე მე მეში“)[2], შოპენჰაუერთანაც სინდისისა და ეგოისტური ბედნიერების სწრაფვა ადამიანში ანტონიმებია.

მაგრამ, თუ შოპენჰაუერთან ბედნიერება არის სულიერი სიმშვიდით ნეტარება, რისი მიღწევაც ამქვეყნად ყველაზე მნიშვნელოვნად მიაჩნია, ფოიერბახთან „ადამიანის ყველაზე არსებითს მიეკუთვნება მისწრაფება კეთილდღეობისადმი და თავისთავის შენახვის სურვილი“. ფოიერბახთან ნება ესაა თავად მისწრაფება ბედნიერებისაკენ. „ბედნიერების სურვილი აუცილებელია ნებისათვის. იგი ძევს მის არსში და არ შეიძლება მოვაცილოთ მას“. ამიტომ ბედნიერება – ზნეობრიობის ანტინომიას ფოიერბახი ბედნიერების სასარგებლოდ წყვეტს, მაშინ როდესაც შოპენჰაუერი ბედნიერებას უქვემდებარებს ზნეობრიობას.

საბოლოოდ მათ ერთმანეთთან ანათესავებთ საერთოდ ადამიანის სიყვარულის ეთიკა, რომლის მიხედვითაც ფოიერბახის ეთიკა გვესახება უშუალოდ შოპენჰაუერის ეთიკიდან გამომდინარედ.

---

1 Фейербах Л., Избранные философские произведения, т. I, с. 625.
2 იქვე, გვ. 627.

დასკვნა

როგორც უკვე აღვნიშნეთ, კანტის, ფიხტეს და შოპენჰაუერის მოძღვრებათა განმსაზღვრელია ზნეობრივი იდეალი, ადამიანის, როგორც ზნეობრივი არსების სრული ავტონომიის შესაძლებლობის დასაბუთება. ამ მხრივ პრიორიტეტი კანტს და ფიხტეს ეკუთვნით, მაგრამ, როგორც ზემოთ ითქვა, საბოლოოდ მაინც, კანტმა – პოსტულატების დაშვებით, ფიხტემ კი – სოლიფსიზმით ეს დადებითობა დაჩრდილეს. მათთან ქმედების ძირითადი მიზეზია ზნეობრივი კანონი – მოვალეობა, რომელსაც შოპენჰაუერი თანაგრძნობის პრინციპით ცვლის. შოპენჰაუერთან ღმერთის არსებობის დაუსაბუთებლობით ადამიანი თავისუფალია და პასუხისმგებელი ყველაფერზე.

შოპენჰაუერის ონტოლოგიური კვლევიდან გამომდინარე ეთიკის სიახლეები შემდეგში მდგომარეობს:

1. შოპენჰაუერმა გააკრიტიკა ევდემონზმიც, რიგორიზმიც, სპეკულატური იდეალიზმიც ეთიკაში, სწორად შენიშნა სპინოზას და ჰეგელის ეთიკურ კონცეფციებში რაციონალიზმის ნაკლი შეგნების როლის აბსოლუტიზაციაში და აღნიშნა, რომ ზნეობაში მთავარია არა მხოლოდ შეგნების, არამედ ნებელობის, არჩევნის მომენტი, რომ ზნეობის სპეციფიკა არჩევნის თავისუფლებაა.

2. თუ ჰეგელმა კანტიანური ნებისყოფა-აზროვნების გათიშვის უარყოფით აზროვნება გააბატონა, რის გამოც ეთიკამ დაკარგა ავტონომიურობა, შოპენჰაუერმა კვლავ აღადგინა იგი.

3. ცნობილია, რომ კანტთან და ფიხტესთან ზნეობის არსება წარმოდგენილია, როგორც ადამიანის მიერ საკუთარი თვითკანონმდებლობა. შოპენჰაუერმა ადამიანის ქცევა საკუთარი შინაგანი არსით, შინაგანი მეობით, მისივ ნებით განსაზღვრა.

4. ცნობილია, ადამიანს არ ევალება ის, რაც მის შესაძლებლობებს აღემატება. თუ მას შეუძლია ნების გამო არჩევანი მოახდინოს გრძნობადემპირიულსა და ინტელიგიბელურს შორის, ჩანს, შეუძლია იყოს

აუცილებლობისაგან თავისუფალი, ე. ი. მასში არის თავისუფლება და მაშასადამე ზნეობრიობის შესაძლებლობა.

5. შოპენჰაუერს ყველაზე სასურველ მდგომარეობად მიაჩნია გულის, ნების და გონების თანხმობა, როცა გონების, გულის და ნების სწრაფვათა ინტენსიობა წონასწორობაშია, თანხმობაშია, მაშინ გვაქვს სულის ატომთა (დემოკრიტესეული) „ეუთემიური" მდგომარეობა და სინდისიც – მშვიდი. „ლავუაზიემ დაჰყო წყალი წყალბადად და ჟანგბადად, მე დავყავი სული ორ შემადგენელ ელემენტად: ნებად და წარმოდგენად (გონებად)... გონება ემსახურება ნებას, მხოლოდ გენიის გონება ეტოლება მას. „წარმავალი და სიკვდილს დამორჩილებულია ტვინი (გონება), როგორც მოვლენა, ხოლო გაუნადგურებელი „რჩება მხოლოდ თთნ – ნება", რომელიც ინახავს ადამიანის მემკვიდრულ ფაქტორთა ერთობლიობას, ასევე, ინტელიგიბელურის ხმას, როგორიცაა კანტის „ზნეობრივი კანონი ჩემში".

6. თუ ჰეგელმა ინდივიდის ღირებულება დააკნინა, შოპენჰაუერმა აღადგინა მისი მნიშვნელობა. მართალია, ადამიანის სიკვდილით მისი ინდივიდუალური არსებობა ნადგურდება, მაგრამ ინდივიდის მსხვერპლად შეწირვა ახალი ზნეობრივი ნების განახლებას ემსახურება. ეს მისია არ უნდა ჩაითვალოს ინდივიდის ღირებულების ნიველირებად, რადგან ინდივიდი ის ცენტრალური ფიგურაა, რომლის არსი მისი სხეულის სიკვდილთან ერთად არ კვდება, რომელი ინდივიდიც ასრულებს ეთიკის დამფუძნებლის როლს სამყაროში და რომლის საშუალებითაც მიიღწევა ძირითადი პრობლემები ეთიკისა: თვითშემეცნება, თავისუფლება, მორალის საფუძვლების რეალიზება და სრულყოფილებისაკენ ამაღლება ინტელექტუალურ-ესთეტიკურ-ეთიკური გენიალობით. ამ მისიაში ინდივიდია სწორედ შოპენჰაუერის მსოფლმხედველობის საყრდენი ორიენტირი.

7. შოპენჰაუერი ექსტრასენსულ მოვლენებს – სომნამბულიზმს, შთაგონებას, ჰიპნოზს და სხვა ამგვარს სწორედ ნების ძალით ხსნის.

8. შოპენჰაუერის მოძღვრებაში სიახლეა აგრეთვე პალინგენეზის

თეორიით დიალექტიკის უზოგადესი კანონების გადმოცემა.

9. მორალის საფუძვლად თანაგრძნობა-თანატანჯვის შემოტანა (სამართლიანობა-კაცთმოყვარეობის სათნოებით) ჰუმანიზმის განმტკიცებისაკენ დადებით ნაბიჯად მიგვაჩნია.

10. შოპენჰაუერის მიზნის მიღწევად ვთვლით იმას, რომ მასთან რაკი ღმერთი ადამიანს გადაწყვეტილებათა მიღებისას თავისი სურვილით არჩევანს უტოვებს, ადამიანი იქცევა საკუთარი ზნეობრივი და არაზნეობრივი ენერგიით. ამიტომ ის თავისუფალია, ნებაყოფლობითია, ნების მიერია და თვითკანონმდებელი. შოპენჰაუერი თავისი მოძღვრების გამართლებას აღწევს ეთიკის ავტონომიით, თავისუფლების დასაბუთებით და მაღალჰუმანური პრინციპის – თანატანჯვის პრინციპის წამოყენებით.

11. უდიდესი სიახლეა, აგრეთვე, მეტაფიზიკურ ნებაზე დაქვემდებარებულ სამყაროსა და ინდივიდთა ჩვენება ნების კოსმიურ ენერგიებად, რომელთა შორის მზე-ნება (ზენა ნება) უმაღლესი ენერგიაა, რომ ადამიან-ნებებს სამყაროსთან ერთად მზენებობრიობა – უანგარო სიკეთის მისია აკისრიათ.

12. შოპენჰაუერის მოძღვრებამ სტიმული მისცა ნეოკანტიანელობისა და ეგზისტენციალიზმის წარმოშობას, ჰარტმანის „არაცნობიერს", ნიცშეს „სიცოცხლის ნებას", ფროიდის ფსიქოანალიზს, შელერის „ლტოლვას", ფოიერბახის ეთიკას და „სიყვარულის რელიგიას".

დასასრულს, უნდა აღვნიშნოთ კაცობრიობის სინდისის შემბლალავი ფაქტი, რომ შოპენჰაუერს – ღირსეულს დამსახურებული აღიარებისათვის, თავშეწირულს მეცნიერებისათვის, მთელი სიცოცხლის მანძილზე წილად ხვდა სიძულვილი თვით აზროვნების კორიფეთა მიერ.

დასანანია, რომ კაცთა დანდობის, ურთიერთდახმარების, ურთიერთთანაგრძნობის მოქადაგე მოაზროვნეს, რომელიც

ადამიანთა ხსნის გზებს ზნეობრიობაში ეძებდა, „აცთმოძულე", „ამორალისტიც" შეარქვეს, და ისე წავიდა ამ ქვეყნიდან, მადლიერი სიტყვა არვისგან ღირსებია. მისი შრომების მიჩქმალვით, მისი გონების სიდიადეზე დაყრდნობით ბევრმა შეძლო სახელის მოპოვება.

...და მაინც, საოცარია ის ზღვა ინტერესი, რომელიც სიცოცხლეში იგნორირებულ ადამიანს მეცნიერებამ სიკვდილის შემდეგ მიაგო, მაგრამ სათანადო ადგილი მაინც ვერ მიაკუთნა, რომ ყოველივეს თავისი სახელი დარქმეოდა.

ჩემი წიგნი ძალზე მცირეა საამისოდ,. მაგრამ ვიმედოვნებ, იგი ამ დიდი პიროვნებისადმი მადლიერების გამომხატველად მაინც გამოდგება.

შინაარსი:

მკვლევართა მიერ გამოთქმული აზრები შოპენჰაუერის შესახებ 3

რა არის შოპენჰაუერის მოძღვრებაში „ნება“ 11

შოპენეჰაუერის დამოკიდებულება რელიგიებისადმი და

ავტორის ჰიპოთეზები 30

სამყაროს ახსნა არსის განახლებით (პალინგენეზით) 40

ექსტრასენსული მოვლენების შოპენჰაუერისეული ახსნა 57

შოპენჰაუერის ეთიკა და მისი მიმართება კანტის ეთიკასთან 70

1) ნების თვითცნობიერება – ეთიკის ძირითადი საკითხი 75

2) ადამიანური ნების თავისუფლება 82

3) მორალის საფუძველი – მეორე ძირითადი პრობლემა ეთიკისა 89

4) ეთიკის მეტაფიზიკური საფუძველი 97

ინდივიდის პრობლემა შოპენჰაუერის ფილოსოფიაში 114

ესთეტიკურისა და ბედნიერების გაგება შოპენჰაუერის
მოძღვრებაში 123

შოპენჰაუერის მიმდევრები 137

დასკვნა 143